(Pirce, Metkalf, 1922; Кузнецов, 1978; Bradlei, Tremevan, Smith, Hargreaves, 1979; Парулава, 1987).

It is widespread everywhere, including in the Caucasus, nevertheless, it is a new species for the fauna of Georgia. Its larvae develop on the stems of herbaceous plants.

Imago with wingspan is 13-18 mm, flies in July.

Specimens were found in the vicinity of Agubedia Monastery (2 specimens) and in Lagodekhi (2 specimens) in 1986-1987 (G. Parulava).

Genital structure is given in Figure 2.

> ***Bactra lacteana* Car.**

(Kuznetsov, 1975, 1978; Parulava, 1987)

It is widespread everywhere, except for the northern regions, nevertheless it is a new species for the fauna of the Caucasus and Georgia. The Larvae probably feed on grain plants, the nutrient plant for Georgia's conditions needs to be determined.

Imago with wingspan is 13-17 mm, flies in July.

Specimens were found in the vicinity of Agubedia (1 specimen) and in the Lagodekhi nature reserve (2 specimens) 1986-1987. (G. Parulava).

Genital structure, Figure 3.

> **Bactra bactrana Kenn.**

(Kuznetsov, 1975, 1978; Parulava, 1987)

It is a widespread species, but it is new for the fauna of Georgia. Its larvae feed on legume stems. The imago with the wings spread is 12-15 mm. They fly in July.

Specimens were collected in the vicinity of Bedia, 1987. (G. Parulava)

The genital structure is shown in Figure 4.

> **Bactra robustana Chr.**

(Kennel, 1908; Kuznetsov, 1978; Bradlei, Tremevan, Smith, Hargreaves, 1979; Parulava, 1987)

It is a widespread species, but it has not been found in the Caucasus, it is new for the fauna of the South Caucasus. Its larvae feed on cane (especially *Scirpus maritimus*) stems and roots.

The imago with the wings spread is 14-20 mm. They fly in July. In Georgia, 2 specimens were collected in Bedia area and 2 specimens in Lagodekhi nature reserve, 1986-1987 (G. Parulava).

Genital structure is given in Figure 5.


From the tribe Endotherniini, *Endothernia* Stph was recorded in the same region. (Figure B). The following species of the genus [16, 17] :

> **Endothernia marginana Hw.**

(Kennel, 1908; Pirce, Metkalfe, 1922; Kuznetsov, 1978; Parulava, 1987).

It is a widespread species, inhabiting everywhere across the entire Palaearctic. The larvae develop on composite and labiates plants. The imago has a wingspan of 12-16 mm. It flies in June and July. Specimens were collected in Georgia: 3 specimens in the vicinity of the village of Tagiloni, 8 specimens in Dikhazurga, and 38 specimens in Lagodekhi, between 1985 and 1987 (G. Parulava). Genital structure is given in figure B (6).

Figure B (6)



Definitions of genital inscriptions are given under Figure A.

> **Endothernia genthianaeana Hb.**

(Kennel, 1908; Spuler, 1910; Kuznetsov, 1978; Bradley, Tremevan, Smith, Hargreaves, 1979; Parulava, 1987).

This species is widespread everywhere, it is recorded in almost all regions of Georgia. Carnivorous larvae develop in the flower stalks of tea trees, carnations and other similar plants.

The imago with the wings spread is 12-19 mm. They fly from the end of June to September.

7 specimens were found in Tagilons, 3 in Saberio, 48 in the rest of Georgia.

Genital structure is given in Figure 7.

> ***Endothenia nigricostana* Hw.**

(Kennel, 1908; Pirce, Metkalfe, 1922; Kuznetsov, 1978; Parulava, 1987)

It is a new species for the fauna of the entire Caucasus, including Georgia. Its larvae develop on the stems and roots of smallpox plants.

Imago with wings spread 9-14 mm, flies in August.

3 specimens were found in Dikhazurga, 9 in the rest of Georgia.

Genital structure is given in Figure 8.

> ***Endothenia carbonana* Dbld.**

(Pierce, Metkalfe, 1922; Kuznetsov, 1978; Parulava, 1987).

It is a new species for the fauna of Georgia. Its larvae grow on soft ivy.

Imago with spread wings is 10-14 mm, flies from June to September. 2 specimens were found in the vicinity of Okhurei, 107 specimens were found in the rest of Georgia.

Genital structure is given in Figure 9.

Figure A. Bactra.



Fig. 2



Fig.3



Fig. 4




Fig. 5

Fig.A. Bactra Stph.

2. *B. furfurana* Hw. 3. *B. lacteana* Car. 4. *B. Bactrana* Kenn. 5 *B. robustana* Chr.

Fig. B. Endothenia.



Fig. 7



Fig. 8



Fig. 9

Fig. B. Endothenia Stph.

7. – *E. gentianaeana* Hb. 8.- *E. nigricostana* Hw. 9. – *E. carbonana* Dbld.

Conclusion

An analysis of the specimens collected from the southeastern region of Abkhazia, specifically from the Ochamchire and Gali districts, revealed that the genus **Bactra** (Bactrini) of

the family **Tortricidae** (Lepidoptera) consists of 5 species, while the genus **Endothenia** (Endotheniini) is represented by 4 known species. The species of the genus **Bactra** differ from each other based on the shape of the valva parts of the male genital structure. The species of the genus **Endothenia**, on the other hand, can be distinguished and accurately diagnosed by the shape and size of both the valva and the edeagus. All nine recorded species are important from both a faunistic standpoint and in terms of their relevance to agriculture and forestry.

References:

1. მიქაია ნ. ოდიშის ცხოველთა სამყარო. ოდოში. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. შრომათა კრებული. ტ. 4, გვ.240-247.
2. Городков К. Б. Простейший Микропроектор для рисования насекомых. Энтомологическое обозр. Л. – 1961. - 40, вып. 4. – С.936-939.
3. Данилевский А.С., Кузнецов В.И. Фауна СССР. Насекомые, Чешуекрылые. Л. – 1968. – 5. Вып.1. – 634 с.
4. Костюк Ю. А. К экологии листоверток (Lepidoptera, Tortricidae) горных районов Советских Карпат. Экология насекомых и других наземных беспозвоночных Советских Карпат. – Ужгород. – 1964. – С. 44- 47.
5. Кузнецов В.И. Определитель насекомых европейской части СССР. Л. -1978. – 4. Часть 1. – С.193-686.
6. Парулава Г.К. Определитель родов и видов листоверток трибы Archchipini (Lepidoptera, Tortricidae) фауны Кавказа по самкам. Энтомологическое обозрение. Л. 1987. – 66. – Вып.1. С. 129-141.
7. Парулава Г.К. Некоторые особенности распределения листоверток (Lepidoptera, Tortricidae) на южных склонах Большого Кавказа в Восточной Грузии и описание новых видов. Энтомологическое обозрение. Л. 1988. – 67. – Вып.1. - С. 131-141.
8. Парулава Г.К., Гергедава М.Г., К фауне листоверток (Lepidoptera, Tortricidae) триб Bfctrini и Endotheniini Мегрелии (Грузия). XII – Съезд Русского Энтомологического Общества. Санкт-Петербург. 2002. С. 117.
9. Bradley I. D., Tremevan W. G., Smith A., Hargreaves B. British Tortricoid Moths. Tortricidae: Olethreutinae. – London. 1979. -335 p.
10. Kennel J. Die palaearktischen Tortricidae. Zoologica. 21. – N 54.- Stuttgart. – 1908. – 100 S. 1910. – 131 S. 1921- S. 547 – 742.
11. Pierce F. N. Metcalfe I. W. The genitalis of the British Tortricidae. – Oundle. Northants. – 1922. – 101 p.
12. Spuler A. Die Smetterlinge Europas. Stuttgart. 1910. 2. – 523 S.
13. https://en.wikipedia.org/wiki/Bactra_lancealana
14. <https://www.google.com/search?q=Bactra+furfurana>
15. <https://www.google.com/search?q=Bactra+bactrana>
16. <https://www.google.com/search?q=Endothenia+marginana>
17. <https://www.google.com/search?q=Endothenia+nigricostana>
18. https://ka.wikipedia.org/wiki/ოჭამხირის_მუნიციპალიტეტი .
19. https://ka.wikipedia.org/wiki/გალის_მუნიციპალიტეტი ;

სექციური მოხსენებები Section Talks

სექცია 1 • Section 1

გეოპოლიტიკა და ბუნებისმეტყველება
GEOPOLITICS AND NATURAL SCIENCES

DOI: 10.5281/zenodo.14616845

ოკუპირებული აფხაზეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკური პროცესების
კონტექსტში

გელა ტაავა

ასოცირებული პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ანა პოლიტკოვსკაიას #61, 0186, თბილისი, საქართველო;

gela.tsaava@gau.edu.ge

OCCUPIED ABKHAZIA IN THE CONTEXT OF GEOPOLITICAL PROCESSES IN THE CAUCASUS REGION

Gela Tsaava

Associate Professor, Sokhumi State University;

61 Politkovskaya Street, 0186, Tbilisi, Georgia;

gela.tsaava@gau.edu.ge

Abstract: The presented work discusses issues related to the formal definition of the so-called independence of Abkhazia, occupied by the Russian Federation, and the main directions of its geopolitical interests in the modern world. The discussion also focuses on the direction of relations with the main political powers in the Caucasus region: Russia, Turkey, the rest of Georgia, and Western countries. At the same time, the model of formation of the „independent Abkhazian state“ is analyzed. Here, emphasis is placed on the cultural and civilizational processes taking place in the world and the Caucasus today, including geopolitical factors, which are particularly problematic in the occupied region. We would also like to note that Abkhazia has become one of the epicenters of confrontation between external geopolitical forces. It has special geostrategic importance, especially in terms of the interests of those political forces that are actively competing for control of the region. It is noteworthy that the above-mentioned work focuses on the so-called partnership relations of occupied Abkhazia with Russia, Turkey and Western countries, possibly based on what each of them represents in terms of its strategic goal - the preservation of national identity and the choice of the „main geopolitical vector for the development of Abkhazian statehood“. The discussion will concern the content part, according to which a kind of novelty of the presented work is the assessment of the research subject and, in general, the provision of a proper analysis and conclusion of the current topic under discussion.

Keywords: Georgia, Occupation, Formation, Partnership, Identity.

შესავალი. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. დამოუკიდებლობის ფორმალურ განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები და თანამედროვე მსოფლიოში მისი გეოპოლიტიკური ინტერესების ძირითადი მიმართულებები. ასევე, საუბარია კავკასიის რეგიონის მთავარ პოლიტიკურ ძალებთან: რუსეთთან, თურქეთთან, დანარჩენ საქართველოსთან და დასავლეთის ქვეყნებთან აფხაზეთის ურთიერთობის მიმართულებების შესახებ.

ამავდროულად, გაანალიზებულია „დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს“ ფორმირების მოდელი. აქვე, აქცენტები კეთდება დღეს მსოფლიოსა და კავკასიაში

მიმდინარე კულტურულ და ცივილიზაციურ პროცესებზე, მათ შორის გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე, რაც განსაკუთრებით პრობლემურია ოკუპირებულ რეგიონში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული აფხაზეთი გარე გეოპოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირების ერთ-ერთი ეპიცენტრი აღმოჩნდა. მას განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, საკუთრივ იმ პოლიტიკური ძალების ინტერესების თვალსაზრისით, რომლებიც აქტიურად ეჯიბრებიან აღნიშნული რეგიონის დაუფლებას.

ამოცანები. ნაშრომის ამოცანაა, ყურადღება გამახვილდეს ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. პარტნიორულ ურთიერთობებზე რუსეთთან, თურქეთთან და დასავლეთის ქვეყნებთან იმის საფუძველზე, თუ რას წარმოადგენს თითოეული მათგანი თავისი სტრატეგიული მიზნის - ეროვნული იდენტობის შენარჩუნებასა და „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის განვითარების მთავარი გეოპოლიტიკური ვექტორის“ არჩევისას. ყურადღებას ვამახვილებთ შინაარსობრივ ნაწილზე, რომლის თანახმად, წარმოდგენილი ნაშრომის ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს საკვლევი საგნის შეფასება და ზოგადად, განსახილველი საკითხის სათანადო ანალიზისა და დასკვნის უზრუნველყოფა.

აღნიშნული კვლევის მიზანია, ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. დამოუკიდებლობის პრიორიტეტებისა და სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების განსაზღვრა. ამასთანავე, იმის დადგენა თუ რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს რეგიონში არსებულმა პოლიტიკურმა დამაბულობამ რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური მიმართულებების განსაზღვრაზე.

მასალები და მეთოდები. ნაშრომში გამოყენებულია მონაცემთა ანალიზის მეთოდები. აქვე, განვსაზღვრავთ კონტენტ ანალიზს, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოპოვებული ინფორმაცია გავაანალიზოთ, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კომპონენტებით. რაოდენობრივ კონტენტ ანალიზს გამოვიყენებთ ტენდენციების დასადგენად, ხოლო თვისებრივი კონტენტ ანალიზი დაგვეხმარება დავადგინოთ და ავხსნათ, თუ რას წარმოადგენს არსებული ტენდენციების მიზეზები.

განხილვა. დღეს მსოფლიოსა და კავკასიაში მიმდინარე კულტურული და ცივილიზაციური პროცესები, მათ შორის გეოპოლიტიკური, განსაკუთრებით პრობლემურია ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში. მეტიც, რეგიონი გარე გეოპოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირების ერთ-ერთი ეპიცენტრი აღმოჩნდა. მას მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით იმ ე. წ. პოლიტიკური ძალების ინტერესების თვალსაზრისით, რომლებიც აქტიურად ეჯიბრებიან აღნიშნული რეგიონის დაუფლებას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასია ეთნიკური შეტაკებების ცენტრად იქცა: „პოსტსაბჭოთა სივრცეში შვიდი შეიარაღებული ეთნიკური კონფლიქტიდან ხუთი კავკასიის რეგიონში მოხდა“ [5, 2013]. რა თქმა უნდა, ეთნიკური დაპირისპირებები რუსეთისთვის ყველაზე დაუცველი მიმართულებით - კავკასიაში - სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა სიტუაციის დესტაბილიზაციას ქვეყნის სამხრეთ საზღვრებზე, რამაც გავლენა მოახდინა რუსეთის აქტიურ ქმედებებზე, როგორც მთავარი შუამავლზე გაყინული კონფლიქტების გადაწყვეტაში (მთიანი ყარაბაღი), აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) [3, 2012: 35]

ყოფილი სსრკ-ის ევროპული ნაწილის სამხრეთით მდებარე პოსტსაბჭოთა სივრცე მოიცავს ჩრდილოეთ კავკასიის სუბიექტებს, მათ შორის სტავროპოლისა და კრასნოდარის ტერიტორიებს კავკასიის მიმდებარედ და სამხრეთ კავკასიას.

ყველა ერთეული, მათ შორის ამიერკავკასიის რესპუბლიკები, დიდი ხანია დაკავშირებულია რუსეთთან პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ინტელექტუალური, კონფესიური, ეთნიკური და სხვა ურთიერთობებით ერთი მრავალეროვნული, მულტიკულტურული და მრავალრელიგიური მრავალკომპონენტური სახელმწიფოს ფარგლებში. ამ რეგიონებში პოლიტიკური პროცესის შედარებითი ანალიზი ძალაუფლებისა და ოპოზიციური სტრუქტურების გეოპოლიტიკური პოზიციების იდენტიფიცირება აჩვენებს ყველა სეგმენტის განვითარების პერსპექტივებს [6, 2016].

ოკუპირებული აფხაზეთის მხარდაჭერა რუსეთს საშუალებას აძლევს გააძლიეროს თავისი გეოპოლიტიკური პოზიციები სამხრეთ კავკასიაში. პირველ რიგში, რეგიონი რუსეთისთვის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მხარდაჭერის ობიექტს წარმოადგენს.

სამხრეთ კავკასიას ყოველთვის ჰქონდა გეოპოლიტიკური მნიშვნელობა არა მხოლოდ მეზობელი ქვეყნებისთვის (რუსეთი, ირანი, თურქეთი), არამედ ექსტრარეგიონული მოთამაშეებისთვისაც (აშშ, ევროკავშირი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები), რომლებსაც სურდათ კასპიის აუზის ენერგორესურსების გადინების კონტროლი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს გლობალური ეკონომიკისთვის და წარმოადგენს მეტოქეობის საგანს მრავალ სახელმწიფოს შორის [2, 2011: 253].

რუსეთს შეეძლება გამოიყენოს ოკუპირებული აფხაზეთის დიდი და გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო პოტენციალი, პირველ რიგში საზღვაო და საჰაერო ზონები, რაც განსაზღვრავს შავი ზღვის სანაპიროზე რეკრეაციული ინდუსტრიის განვითარებას, რომელიც ამჟამად ზრდის პერიოდს განიცდის.

ოკუპირებულ აფხაზეთში მიიჩნევენ, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონს აქვს თავისი ძირითადი გეოპოლიტიკური ინტერესები, რომელთა დაკმაყოფილებაც მხოლოდ რუსეთის დახმარებით შეუძლია. მათ შორის მთავარი პრობლემა უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, რომლის „გარანტორად“ არსებობა რუსეთს შეუძლია. გარდა ამისა, რუსეთი ოკუპირებული აფხაზეთისთვის არის გასასვლელი გარე სამყაროში, სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, საქონლის გაცვლის შესაძლებლობისა და მისი კულტურული და ცივილიზაციური იდენტობის შენარჩუნების ფაქტორი.

რუსეთს, თავისი გეოპოლიტიკური სტატუსიდან გამომდინარე, შეერთებული შტატების მუდმივი მცდელობისა მიუხედავად, შეუძლია გააძლიეროს თავისი ლიდერობა რეგიონში, ყველაზე მნიშვნელოვან ექსტრარეგიონულ მოთამაშედ კავკასიაში. რუსეთის ფედერაციის შიდა რეგიონულ ურთიერთობებში ჩართვის ხარისხი განისაზღვრება, სხვა საკითხებთან ერთად, მისი სამშვიდობო ძალისხმევითა და ინიციატივებით ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოსაგვარებლად. მიუხედავად 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისა და საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების შემდგომი გაწყვეტისა, რამაც უარყოფითად იმოქმედა რუსეთის პოზიციაზე რეგიონში, რუსეთთან თანამშრომლობა კვლავ რჩება თვითგამოცხადებული რესპუბლიკების პრიორიტეტად, რაც დიდწილად განსაზღვრავს რეგიონის კონფიგურაციას, ასევე ქმნის აუცილებელი საფუძველი კავკასიაში რუსეთის ფედერაციის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესების წარმატებით განხორციელებისთვის უახლოეს მომავალში [1, 2018].

მას შემდეგ, რაც რუსეთმა ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. დამოუკიდებლობა აღიარა და მათ შორის „თანამშრომლობის ხელშეკრულებები“ გააფორმა, გაჩნდა

რეალური შესაძლებლობა რეგიონში სტაბილურობის შესაქმნელად და „აფხაზეთის სახელმწიფოს“ რეალური ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით.

თუმცა, ე. წ. საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ოკუპირებულ აფხაზეთში მხოლოდ მასზე და რუსეთთან „პარტნიორობაზე“ არ არის დამოკიდებული. ბოლო დროს სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ის ფაქტი, თუ როგორ იცვლება ვითარება მთელ მსოფლიოში - დასავლეთში, ახლო აღმოსავლეთში, რუსეთსა და სხვა მიმდებარე რეგიონებში.

„აფხაზეთის პოლიტიკური ძალები“ მათ მომავალს მხოლოდ „სუვერენული სახელმწიფოს“ სახით ხედავენ, ხოლო დასავლური სახელმწიფოების უმეტესობა რეგიონის მომავალს მხოლოდ საქართველოს ფარგლებში ყოფილი ავტონომიის სახით ხედავს.

ასევე, ბოლო დროს ოკუპირებული აფხაზეთი გეოპოლიტიკურად აქტუალური გახდა საერთაშორისო ურთიერთობების აღმოსავლეთის მიმართულებისთვის, კერძოდ თურქეთისთვის, რომლის გავლენა ბოლო წლებში შავი ზღვის სანაპიროზე აშკარად თვალში საცემია.

თურქეთისთვის კავკასია არის ნედლეულის ხელსაყრელი წყარო და პროდუქციის ბაზარი. რუსეთთან ერთად, თურქეთი ოკუპირებულ რეგიონს განიხილავს, როგორც კიდევ ერთ დერეფანს, რომლითაც მას შეუძლია გარე სამყარომდე მისვლა. გარდა ამისა, აქ არის თავმოყრილი აფხაზური დიასპორის ყველაზე მეტი წარმომადგენელი, რომელიც აქტიურად ლობირებს ოკუპირებული აფხაზეთის ინტერესებს, მათ შორის დასავლეთში.

საგულისხმოა, რომ დანარჩენ საქართველოსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის ურთიერთობა კვლავ აფხაზეთის გეოპოლიტიკის ყველაზე რთულ სფეროს წარმოადგენს. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, აფხაზეთი საქართველოს მიერ განიხილება, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი დერეფანი გარე სამყაროსკენ (ძირითადად ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით).

იმავე დერეფანზე პრეტენზიას რუსეთიც ამტკიცებს. ამიტომ, საქართველო თვლის, რომ მნიშვნელოვანია ამ დერეფნის კონტროლი და ოკუპირებული აფხაზეთის რესურს პოტენციალის ფლობა (ამ გზით ის წყვეტს ორმაგ ამოცანას - დაიცვას რუსული „საფრთხეები“ და აღმოფხვრას რესურსების დეფიციტი, რომელსაც დიდი ხანია განიცდიდა).

თუმცა, როგორც საქართველოში, ისე ოკუპირებულ აფხაზეთში პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეების უმრავლესობა აღიარებს, რომ მიმდინარე ისტორიული პერიოდის ფარგლებში შეუძლებელია ორივე მეომარი მხარისთვის მისაღები პოლიტიკური ფორმულის პოვნა, მით უმეტეს, სრულმასშტაბიანი და საბოლოო მოგვარების მიღწევა.

ამიტომ, თანამედროვე რეალობებში, კონფლიქტის მოგვარების უნივერსალური ფორმულების შემუშავებისა და მიღების მოლოდინის გარეშე, საჭიროა მოძებნოს დროებითი ფორმები და სქემები (შუალედური მოდელები), რომლებიც სტაბილური განვითარებისა და მიმდინარე ცხოვრების პრობლემების გადაჭრის საშუალებას იძლევა, რაც განსაზღვრავს მხარეებს შორის კონტაქტებისა და დაძაბულობის განმუხტვის პირობების შექმნას [4, 2001]. კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკური ფორმულა უნდა იყოს სამართლებრივი ნორმებისა და მექანიზმების ერთობლიობა, რომელიც ადეკვატურად ასახავს და ეფექტიანად იცავს როგორც დანარჩენი საქართველოს, ისე ოკუპირებული აფხაზეთის ეროვნულ ინტერესებს, ვინაიდან ეს იყო ორივე მხარის

შეუთავსებელი ინტერესების გაერთიანების მცდელობა ერთიან უნიტარულ სახელმწიფოში [7, 1999].

აფხაზები მიიჩნევენ, რომ საქართველოს მიერ, ოკუპირებული აფხაზეთისა და მისი ე. წ. სუვერენული სახელმწიფოებრიობის ეროვნული ინტერესების აღიარება საშუალებას მისცემს ორივე რეგიონს გადაიქცნენ საერთაშორისო პარტნიორებად და შეათანხმონ მათი მომავალი განვითარების მთელი სპექტრი სამართლებრივ საფუძველზე.

აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ ისტორიული ტრადიციები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თანამედროვე „აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში“. აფხაზთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, აფხაზურმა საზოგადოებამ საკმაოდ კარგად იცის სახელმწიფოს მნიშვნელობა და საჭიროება, მაგრამ არ აქვს მკაფიო წარმოდგენა მისი როლის შესახებ შიდა სოციალურ სტრუქტურაში.

მასობრივი ცნობიერების დონეზე „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის იდეის“ გაგებაში გარკვეული სტერეოტიპი ჩამოყალიბდა. ამ სტერეოტიპის მიხედვით, ე. წ. აფხაზური სახელმწიფოებრიობა, როგორც ასეთი, აღიქმებოდა ძირითადად, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი ქართული საფრთხის დასაძლევად.

გარდა ამისა, ე. წ. აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის იდეის გააზრებისას ძნელი არ არის მისი ღირებულებითი ასპექტების გარკვეული ცვლილება. დამოუკიდებელ აფხაზურ სახელმწიფოს ხშირად იდენტიფიცირებენ გარკვეულ საბოლოო მიზანთან, რომლისკენაც აუცილებელია სწრაფვა, მაშინ როცა სახელმწიფოს სოციალური მნიშვნელობა და მისი სოციალური ფუნქციები რაციონალური არ არის.

გარდა ამისა, „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის იდეის“ გააზრებისას ძნელი არ არის მისი ღირებულებითი ასპექტების გარკვეული ცვლილება. დამოუკიდებელ „აფხაზურ სახელმწიფოს“ ხშირად იდენტიფიცირებენ გარკვეულ საბოლოო მიზანთან, რომლისკენაც აუცილებელია სწრაფვა, მაშინ როცა სახელმწიფოს სოციალური მნიშვნელობა და მისი სოციალური ფუნქციები რაციონალური არ არის.

დასკვნა. ოკუპირებულ აფხაზეთში, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს უმეტეს ნაწილს მიაჩნია, რომ აფხაზეთის „გეოპოლიტიკური საკითხის“ პრობლემების გადაჭრაში წარმატების იმედის გაჩენა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მოიძებნება „ეროვნული სახელმწიფოებრიობის სისტემის სტრუქტურული ორგანიზაციის ოპტიმალური მოდელი“, რომელიც არ შეიძლება აგებული იყოს მხოლოდ „ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანიზებისა“ და მართვის პროცედურული საკითხების გადაწყვეტაზე.

ფაქტობრივად, ხალხის პოლიტიკური და სამართლებრივი თვითგამორკვევა პერსპექტიულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ეფუძნება უფრო ღრმა კულტურულ და ცივილიზაციურ თვითგამორკვევას.

„აფხაზეთის პარტნიორული ურთიერთობები“ რუსეთთან, საქართველოსთან, თურქეთთან და დასავლეთის ქვეყნებთან შესაძლებელია იმის საფუძველზე, თუ რას წარმოადგენს თითოეული მათგანი თავისი სტრატეგიული მიზნის - ეროვნული იდენტობის შენარჩუნებასა და ე. წ. აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის განვითარების მთავარი გეოპოლიტიკური ვექტორის არჩევისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Джологуа Д. А. ГЕОПОЛИТИЧЕСКИЕ ИНТЕРЕСЫ РОССИИ НА КАВКАЗЕ В ПЕРИОД КОНФЛИКТОВ В АБХАЗИИ И ЮЖНОЙ ОСЕТИИ. Серия История. Политология.. 2018. Том 45, № 2. Национальный исследовательский Нижегородский государственный университет

им. Н.И. Лобачевского, Россия, 603022, Нижегородская обл., г. Нижний Новгород, пр. Гагарина.

2. Эшба Э. Абхазия в сфере геостратегических интересов России и Турции. Т. 1. М., 2011.
3. Иванов А.Г. Политика России на Южном Кавказе в контексте проблем международной безопасности // Историческая и социально-образовательная мысль. № 6 (16). 2012.
4. Лепсая А. К проектам урегулирования. Возможны ли промежуточные модели? // Аспекты грузино-абхазского конфликта. Ирвайн, 2001.
5. Маркедонов С. Полигон этнических конфликтов.
URL: <http://www.apn.ru/publications/article9744.htm> (дата обращения: 23.06.2013).
6. Петрова С. В. ГЕОЭТНОПОЛИТИЧЕСКИЕ ПРОЦЕССЫ НА КАВКАЗЕ И РОЛЬ В НИХ РОССИИ НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ РАЗВИТИЯ СТРАТЕГИЧЕСКОГО ПАРТНЕРСТВА В РАМКАХ ЕВРАЗЭС. Выпуск 2 (14), 2016.
7. Чирикба В. А. Грузия и Абхазия: предложения к конституционной модели // Поиски альтернатив для Грузии и Абхазии. М., 1999.

DOI: 10.5281/zenodo.14616905

გეოპოლიტიკის ბასრი წახნაგები ...

საქართველოს ეკონომიკური სტაბილურობისა და უსაფრთხოების სამიზნე

იური პაპასკუა

პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ანა პოლიტკოვსკაიას #61, 0186, თბილისი, საქართველო;

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-7849-2426>

ელ. ფოსტა: papaskuaiuri@gmail.com

აბსტრაქტი. ნაშრომში წარმოდგენილია გეოპოლიტიკური მდგომარეობის განმაპირობებელი ფაქტორები, მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე; განხილულია გამოწვევები, რაც რეგიონში დასავლეთის, რუსეთისა და ჩინეთის ინტერესების გამო იქმნება; ყურადღება მახვილდება გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ გარემოებებზე, რომლებიც საქართველოს ანიჭებენ უპირატესობას და ამავდროულად, დიდ შესაძლებლობებთან ერთად, მისი დამოუკიდებლობის თუ სუვერენიტეტისთვის წარმოადგენენ ანგარიშგასაწევ საფრთხეებს; მოცემულია მოსაზრებები, რომლებიც ზესახელმწიფოებთან ურთიერთობის საფრთხეების განეიტრალებისთვის პოლიტიკისა და ეკონომიკის განვითარების კანონებთან თანხვედრი მრავალმხრივი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებაზე კონცენტრირდება. ნაშრომში განვითარებულია აზრი მასზე, რომ საქართველოს მისწრაფებების განხორციელება, გეოპოლიტიკური, აგრეთვე გეოეკონომიკური როლის გაგრძელება და გაძლიერება დიდადაა დამოკიდებული მის არჩევანზე, შიდა სტაბილურობის უზრუნველყოფასა და სტრატეგიული პარტნიორების ინტერესების „შეუბღალავად და დაუმონებლად“ მორგების უნარზე.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა, გეოეკონომიკა, ეკონომიკური სტაბილურობა, ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური ინტეგრაცია.

THE SHARP EDGES OF GEOPOLITICS ...

GEORGIA'S ECONOMIC STABILITY AND SECURITY TARGET

Iuri Papaskua

Professor, Doctor of Economic Sciences, Sokhumi State University;

61 Politkovskaya Street, 0186, Tbilisi, Georgia;

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-7849-2426>

e-mail: papaskuaiuri@gmail.com

Abstract. The paper presents the factors determining the geopolitical situation, their impact on Georgia's economic stability and security; discusses the challenges created in the region by the interests of the West, Russia, and China; focuses on the geopolitical and geoeconomic circumstances that give Georgia an advantage and, at the same time, along with great opportunities, pose significant threats to its independence and sovereignty; provides opinions that focus on the development of a multilateral state strategy consistent with the laws of political and

economic development in order to neutralize the threats of relations with superpowers. The paper develops the idea that the realization of Georgia's aspirations, the continuation and strengthening of its geopolitical and geoeconomic role largely depend on its choices, ensuring internal stability, and the ability to "unswervingly and unslavishly" accommodate the interests of strategic partners.

Keywords: geopolitics, geoeconomics, economic stability, economic security, economic integration.

შესავალი

უპირატესად, გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიული გარემოებებისა თუ რეგიონში აქტორი სახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთაზე ჩამოყალიბდა საქართველოს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური როლი, მისია და მისდამი დღევანდელი საერთაშორისო დამოკიდებულება, რაც ქვეყნისთვის დიდ შესაძლებლობებთან ერთად, სახიფათო გამოწვევებსაც მოიცავს.

ნაციონალური ქვეყნების ეკონომიკების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხელსაყრელი კავშირების დამყარების, კასპიის ზღვის აუზიდან და შავი ზღვის რეგიონისკენ უწყვეტად დენადი ტვირთებისა და ენერგეტიკული პროექტების გზაგამტარი საქართველოს ტერიტორიაზე პროექცირდება. ამიტომაც ამ გეოგრაფიულ არეალს - კავკასიის რეგიონის შუალედ ნაწილს, უმთავრესად მატერიალური და ფინანსური კაპიტალის ტრანზიტული ხიდის, ქვეყნების ეკონომიკური, აგრეთვე დიპლომატიური ინტეგრაციის ხელშეწყობის დანიშნულება აკისრია. ამასთან, საქართველო არის განსხვავებული ცივილიზაციებისა და რელიგიების გზაჯვარედინი, კულტურული და ისტორიული მრავალფეროვნების გამტარებელიც. ამის გამო, ის მომიჯნავე სახელმწიფოების ინტერესების მუდმივად მკვეთრი დაპირისპირებების ობიექტია. აქ ტვირთბრუნვისა და ენერგეტიკული კვანძების გარშემო არსებული სტრატეგიული თუ კერძო ინტერესები წარმოშობს მაღალ რისკებს კონფლიქტების წარმოშობისთვის. ისტორიულ წარსულშიც, აღმოსავლეთ რომის, სპარსეთის, ოსმალეთის, რუსეთის დიდი იმპერიები განუწყვეტლივ ცდილობდნენ ეს ევრაზიული გზაჯვარედინი მოექციათ მათი გავლენის სფეროში. სწორედ, გეოპოლიტიკური მდგომარეობა განსაზღვრავდა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ყოფნა-არყოფნის ბედს. მეოცე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისიდან, გარკვეული დროით, მთლიანი სამხრეთი კავკასია მიიერთა ახალმა საბჭოთა იმპერიამ და აქ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მიზანშეწონილობას ავტორიტარულად წყვეტდა ერთპარტიული „სახალხო დემოკრატიის“ უმაღლესი ხელმძღვანელობა.

საბჭოური სისტემის დაშლისა და დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდგომ განვითარებული მოვლენების შედეგად, საქართველომ დიდ მსოფლმხედველობრივ დაჯგუფებად პოლარიზებულ თავშესაყარზე უკვე ანგარიშგასაწევი მოთამაშის როლი შეიძინა, ჩართულია სახელმწიფოთაშორის მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებში და საერთაშორისო პროექტებში თანასწორუფლებიანი პარტნიორობა დაიმკვიდრა; დასავლეთს, რუსეთსა და ჩინეთს შორის გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში ცდილობს თავისი ინტერესების შესაბამისად განსაზღვროს ინტეგრაციული უპირატესობა.

დღეს ინტეგრაციული პროცესები ფაქტობრივად ასრულებს საზოგადოების განვითარების ლოკომოტივის ფუნქციას. მრავალმხრივი ინტეგრაციული პროცესი განვითარების ორიენტირია, ეროვნული ეკონომიკის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებისთვის „სტრატეგიული რესურსია“ [1, 2].

პრობლემის სრულად გახსნისთვის, საჭიროა შევნიშნოთ, რომ „საქართველო დგას ევროპისა და აზიის განსხვავებული ეკონომიკური პარადიგმების (ტენდენციების) მიჯნაზე, სადაც პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესი (როგორც ასეთი) განსაზღვრავს თანაარსებობის წესებს. იგი მიმზიდველია როგორც ბუფერული სივრცე, რომელშიც თვისებრივად ახალ გარემოსთან ადაპტირების (თავსებადობის) პროცესი ყველა მხარისთვის ნაკლები წინააღმდეგობებით ვითარდება. საყურადღებოა, რომ დასავლეთისთვის (აშშ, ევროკავშირი) საქართველო მიმზიდველია და მისაღები მათ ფასეულობებთან (ინტერესებთან) სიახლოვის, ხოლო მთლიანად აზიის ქვეყნებისთვის - საერთო (საზიარო) ისტორიული ფესვების გამო“ [1, 3].

ყველა ნიშნის მიხედვით, სამხრეთ კავკასიაში თავს იყრის გლობალური პრობლემების მთელი სიმკაცრე. აქვეა ამ პრობლემების გადაჭრის გასაღებიც. აქვე, საყურადღებოა, რომ „გლობალურმა პროცესებმა ახალი თვისებაც გამოავლინა. სახელმწიფოთა შორის დაპირისპირებამ უფრო შენიღბული ფორმა მიიღო – სამხედრო-სტრატეგიული სფეროდან ეკონომიკურ სივრცეში გადაინაცვლა. გეოპოლიტიკა თანდათანობით იცვლება გეოეკონომიკით. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში დომინირებს ეკონომიზაცია, რაც ნიშნავს პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას ეკონომიკური მეთოდებით, ქვეყნის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრაში უპირატესობას იძენს ეკონომიკური და არა პოლიტიკური, იდეოლოგიური ან ძალოვანი ჩარევა“ [2, 4].

ნაშრომის მიზანია წარმოადგინოს საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორები. კვლევის შესაბამისი მეთოდებისა და ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, შეფასდეს არსებული უპირატესობები და საფრთხეები, რომლებით ახლავს ევრაზიულ გზაჯვარედინზე მიმდინარე გლობალურ ინტეგრაციულ პროცესებს და გამოითქვას მოსაზრებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოს ზესახელმწიფოებთან ურთიერთობის საფრთხეების განეიტრალებას.

ჩატარებული ანალიზის შედეგების განხილვა და დისკუსია

გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის განმაპირობებელი ფაქტორები. მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე

მრავალფაქტორიანი გარემოებებით ჩამოყალიბებულ დღევანდელ გეოპოლიტიკურ თუ გეოეკონომიკურ რეალობაში საქართველო აღმოჩნდა რთული არჩევანის წინაშე - მან ევროპული პერსპექტივისკენ საყოველთაო სწრაფვას და გლობალური ინტერესების გამომხატველ მოთხოვნებს შორის ვიწრო, მობნევით დანადგმული გასასვლელი მათზე აფეთქების, საკუთარი იდენტობის მატარებელი პირობების დაკმაყოფილებისა და ღირსების შენარჩუნების ერთობლივი უზრუნველყოფით, „შეუბღალავად და დაუმონებლად“ უნდა გაიაროს.

აღამიანთა საცხოვრისში, ცივილიზაციების დაპირისპირებითა და სხვადასხვა დონის ეკონომიკებს შორის გარდაუვალი გლობალიზაციის განსხვავებული მოდელების მრავალფეროვნებით გაჯერებული ახალი მსოფლიო წესრიგი, ზესახელმწიფოების მიერ გეოპოლიტიკურ ცენტრებზე გავლენათა გაფართოების ინტერესების სასტიკი გამოვლინებების გამო, მუდმივად ცვალებადია. ეს პროცესი კი ახალ ვითარებაში ადაპტირების განსაკუთრებულ ალღოს მოითხოვს. ასეთ დინამიკურ და არასრულად პროგნოზირებად გარემოში, საქართველო კი ჯერ კიდევ ახალი ტიპის სახელმწიფოს ფორმირებასთან ერთად, ეკონომიკური განვითარების მოდელის ძიებისა და სამოქალაქო

საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესშია. ამასთან, ის რეგიონში გლობალური მოთამაშე სახელმწიფოების გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის გამოვლინებების ზემოქმედების ქვეშაა იმყოფება.

დღევანდელი გეოპოლიტიკისა თუ გეოეკონომიკის სირთულე და განსაკუთრებულობა იმაშია, რომ ქვეყნის განვითარების ყველა შემადგენელი (ფორმირებადი სახელმწიფოებრიობა, ეკონომიკური მოდელის გაურკვევლობა, მყიფე საზოგადოება, გარე და შიგნითა მტრული გარემოცვა) საქართველოს უქმნის სტაბილურობისა და უსაფრთხოების მაღალ რისკებს. თავის მხრივ, ამ ფაქტორებს უმთავრესად განაპირობებს:

ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა - ტრანზიტული კვანძების გზაგამტარი (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, სამხრეთის გაზის დერეფანი) იზიდავს ინვესტორებს, ქმნის უსაზღვრო ეკონომიკურ შესაძლებლობებს, დამატებით შემოსავლებს სატრანსპორტო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურიდან. მაგრამ ამ მდებარეობის გამო, აქ იკვეთება გეოპოლიტიკური დაპირისპირება - ენერგეტიკული კვანძების გარშემო დასავლეთის, რუსეთის, თურქეთის, ირანის განსხვავებული სტრატეგიული ინტერესები წარმოადგენენ კონფლიქტების ღია საფრთხეებს;

ისტორიული და კულტურული ფაქტორები - ისინი ქმნიან ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს და ხელს უწყობენ ტურიზმის განვითარებას, საერთაშორისო პოლიტიკურ სივრცეში დასავლური და აღმოსავლური ინტერესების თავსებადობას, თუმცა აქაც თვლემს ისტორიული დაპირისპირება რუსეთსა და ოსმალეთს შორის, აგრეთვე მტკიცებული მემკვიდრეობა ტერიტორიულ საკითხებში, თუნდაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართ. თითქოს უწყინარი ეს ფაქტორთა ჯგუფი ყველაზე ფეთქებადსაშიშაა - სხვადასხვა ცივილიზაციებს შორის არსებული განსხვავებები მათ შორის მწვავე დაპირისპირების წყარო ხდება;

სამეზობლო ურთიერთობა და უსაფრთხოება - ხმელეთით მოსაზღვრე ოთხი მეზობელი სახელმწიფოებიდან (რუსეთის ფედერაცია, თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი) ყველასთან არსებობდა უთანხმოების, დაპირისპირების თუ საომარი მოქმედების წარსული, რაც მეხსიერებაშია დაღეჟილი. მათ შორის კი, ღია დაპირისპირება და ტერიტორიების მიტაცების გამო, შეურიგებლობა რუსეთთან დღესაც მიმდინარეა. სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიკურ და სატრანზიტო კავშირებში პარტნიორული ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ურთიერთსასარგებლო და ხელსაყრელი კავშირები დამყარდა შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან, რაც უდავოდ პოზიტიური ფაქტორია. მაგრამ ამასთან, სამხედრო და ეკონომიკურ კავშირებში საქართველოს გაწევრიანების სწრაფვა რუსეთისთვის კატეგორიულად მიუღებელი და ფაქტობრივად, საომარი მოქმედების ზღვარზე დაჭერილი მდგომარეობაა;

საერთაშორისო ეკონომიკურ და სამხედრო კავშირები - რომელთა წევრობაზე გაცხადებულია ორმხრივი ინტერესი, ადასტურებს საქართველოს დასავლეთისკენ ორიენტაციას და საგრძნობია საერთაშორისო თანამშრომლობისგან უხვი სარგებელი ინვესტიციების, დახმარებების, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნატოს სტანდარტებთან მიახლოების, უვიზო მიმოსვლის, სხვადასხვა პროგრამებში ჩართვის სახით. მაგრამ საერთაშორისო ეკონომიკურ და ჩრდილო ატლანტიკურ სამხედრო კავშირში გაწევრიანების მინიმალური შანსის გაჩენის დღიდან საქართველო რუსეთისგან აგრესიული მოქმედებების სამიზნე გახდა, დაირღვა ტერიტორიული მთლიანობა, ოკუპირებულია ტერიტორიის 20%, ადგილი აქვს სავაჭრო შეზღუდვებს, გაუაზრებელ სანქციებს, მუდმივ არეულობებს და შიდა უთანხმოებებს.

გამოწვევები, რაც რეგიონში გლობალური ინტერესების გამო იქმნება

რეგიონში დასავლეთის, რუსეთისა და ჩინეთის ინტერესების გამო, მიმდინარეობს განუწყვეტელი ბრძოლა, მისი ყველაზე სასტიკი და დამანგრეველი ფორმით.

დასავლეთის, რუსეთისა და ჩინეთის ინტერესების დაპირისპირება ქმნის მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ გამოწვევებს, რომლებიც აისახება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობასა და განვითარების პერსპექტივებზე.

რეგიონში დასავლეთის ქვეყნების (აშშ, ევროკავშირი, ნატო) სტრატეგიული ინტერესები გაცხადებულია, როგორც **დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფნების გაკონტროლება**. ყველა სხვა ვექტორი ამ ორ ძირითად მიმართულებაშია კომბინირებული. ერთი შეხედვით, ამ ორ კეთილმყოფელ მისიაში შეფუთულია მათი ინტერესების მიზანი, ამოცანები და მიღწევის საშუალებები. სწორედ, მათ შორსმდევალ ინტერესებს ემსახურება ტექნიკური დახმარებების წყება, გრანტები ყველა სფეროში (დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისთვის, განათლების სფეროს გაცვლით პროგრამებში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩასართავად, გამომცემლობებში სარეკლამო და ლიბერასტული მსოფლმხედველობითი პროდუქციის ტირაჟირებისთვის, ახალგაზრდების „პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციისთვის“, გამოხატვის თავისუფლების წახალისებისთვის და ა.შ. **ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფნების გაკონტროლება** ამ ობიექტების დაცვის უზრუნველყოფასაც მოიცავს. ამ მოტივაციით, დასავლეთი საქართველოში მხოლოდ მისი გავლენის გაძლიერებისთვის ფართო მასშტაბიან ღონისძიებებს ახორციელებს.

საქართველოში 2024 წლის არჩევნებსა და შემდგომ განვითარებული მოვლენებიც გლობალურ ინტერესებსა და გეოპოლიტიკურ მიზნებს ემსახურება, რისთვისაც ზემოქმედების არსენალში გამოყენებულია საპროტესტო აქციების ორგანიზება, პოლიტიკური ფიგურების მიმართ სანქციები და იძულების სხვა მეთოდები. ასეთი არაადექვატური რეაგირება სპობს დიალოგის შესაძლებლობას და იწვევს დაპირისპირების ესკალაციას.

გავლენების გაფართოებისა და ახალი გეოპოლიტიკური თუ გეოკონომიკური ცენტრების ათვისების გლობალური ინტერესები ვერ ეგუება მასობრივ განათლებას. ამიტომაც გავლენების სფეროს სწავლების სისტემა დეგრადაციას განიცდის, კულტურა კარგავს ერის სულიერი მისიის დანიშნულებას, ტრადიციები უფასურდება.

დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი რეფორმები ხშირად იწვევს შიდა წინააღმდეგობას ან აჩენს პრობლემებს რეგიონში. სამართლიანობის, თავისუფლების, ლგბტ და ლიბერასტული ფასეულობების პროპაგანდა წინააღმდეგობაში მოდის ადგილობრივ ტრადიციებსა და კულტურასთან და მიდრეკილია შიდა კონფლიქტების გაჩენისკენ. ამ კონფლიქტებიდანაც კი დასავლეთი სარგებელს იღებს.

დასავლეთის გავლენის გაძლიერებას რეგიონის ქვეყნებში, საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების სწრაფვას რუსეთი აღიქვამს როგორც საფრთხეს. ამის შედეგია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაცია. რუსეთისთვის მიუღებელია დასავლეთის მეცადინეობა, რომ აკონტროლოს ენერგეტიკული კორიდორი. რუსეთი ენერგორესურსებს იყენებს, როგორც პოლიტიკური ზეწოლის იარაღს და კავკასიაში მას მოცილე არ სჭირდება. რუსეთის ინტერესებთან წინააღმდეგობაშია დასავლეთის მიერ რეგიონის უსაფრთხოების გაძლიერების ყოველგვარი ცდა. რუსეთი ხედავს კავკასიას, როგორც თავისი ტრადიციული გავლენის ზონას და მის ნაწილად განიხილავს.

რუსეთისთვის დასავლური ქვეყნების მიერ რეგიონში დემოკრატიის მხარდაჭერა და ნატოს გაფართოება საფრთხეს წარმოადგენს. ამიტომაც მუდმივად ცდილობს გააძლიეროს დამაბულობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე და იყენებს მათ დასავლეთზე ზეწოლის იარაღად. ეს ხელს უშლის არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ ხელს უწყობს რეგიონის დესტაბილიზაციას.

განსხვავებულია, მაგრამ ძლიერია ჩინეთის გავლენა რეგიონში გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკაზე. ჩინეთი აქ ძირითადად ეკონომიკური მიზნებით არის წარმოდგენილი და მისი მთავარი პრიორიტეტია „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივის (Belt and Road Initiative) განხორციელება. ჩინეთისთვის მნიშვნელოვანია სტაბილურობა რეგიონში, რათა უზრუნველყოს ეკონომიკური დერეფნების წარმატებული ფუნქციონირება. მისი აქტივობა ფოთისა და ანაკლიის პორტების ამოქმედებაში ხაზს უსვამს ამ მაგისტრალური მიმართულების განსაკუთრებულ მიზანსწრაფულობას და წარმოაჩენს მას რუსეთისთვის დაუძლეველ კონკურენტად.

ჩინეთის სწრაფი ეკონომიკური ექსპანსია იწვევს დასავლეთის გაღიზიანებასაც. ამიტომაც რუსეთი და დასავლეთიც ცდილობს შეაკავოს ჩინეთის გავლენის გაზრდა მთლიანად ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში.

დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირება სამხედრო ესკალაციისა და ენერგეტიკული ომების რისკს ზრდის. ჩინეთის ეკონომიკური გაფართოება კი იწვევს შიდა პოლიტიკურ და სოციალურ დამაბულობას.

დასავლეთის, რუსეთის და ჩინეთის გარდა, სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი, საქართველოს მიმართ განსაკუთრებული ინტერესები თურქეთს და ირანს. დაპყრობითი ომების მძიმე წარსული ახლა ეკონომიკური ექსპანსიის მეთოდებმა ჩაანაცვლა.

თურქეთის ინტერესი გამოხატულია საქართველოსთან სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერებით. მას აქტიური წვლილი აქვს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთსადენისა და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტების განხორციელებასა და მართვაში. თუმცა ის ყურადღებით აკვირდება აჭარაში მუსლიმანური მოსახლეობის განწყობა-მდგომარეობას.

არანაკლებ შორს გამიზნულ ინტერესებს ავლენს ირანი. ის აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან ვაჭრობისა და ენერგეტიკულ სფეროებში. ირანს სურს საქართველოს გამოყენება ჩრდილო-სამხრეთის სატრანზიტო დერეფნისთვის. მისი ეს სწრაფვა განსაკუთრებულად გამოხატულია დასავლეთის სანქციების პირობებში, აძლიერებს საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას და ინვესტიციების განხორციელებას.

დასკვნები და წინადადებები

ამრიგად, გვაქვს საფუძველი შევჯერდეთ და გამოვთქვათ შემაჯამებელი მოსაზრებები. ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი გვადლევს შესაძლებლობას შევნიშნოთ, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური გარემოებები უნიკალურია, რაც ერთდროულად უპირატესობა და გამოწვევაა. მისი სტრატეგიული მდებარეობა, ეკონომიკური პოტენციალი და ბუნებრივი რესურსები განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ქვეყანას რეგიონულ და გლობალურ პროცესებში. თუმცა, ამავე დროს, ეს უპირატესობები მისი სუვერენული და დამოუკიდებლობის რისკის წყაროა.

საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა ითვლება ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს აქტივად. მას გეოგრაფიული ადგილმდებარეობა აძლევს უნიკალურ როლს ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობას. საქართველო იქცა ერთგვარ ბუფერად რუსეთის

გავლენასა და ნატოს გაფართოებას შორის. მისი მდებარეობა აუცილებელია დასავლეთის სტრატეგიული ინტერესებისთვის შავი ზღვის რეგიონში.

საქართველოს გეოეკონომიკური სიძლიერე მის რესურსებზე, ბაზრებზე წვდომასა და ეკონომიკურ კავშირებზეა დაფუძნებული. იგი ცენტრალურ ადგილს იკავებს კასპიის ზღვის ენერგორესურსების ტრანზიტში. ეს ქვეყანა უზრუნველყოფს ევროპას რუსული ენერგორესურსების ალტერნატივით. ეს ზრდის ქვეყნის მნიშვნელობას და ქმნის ეკონომიკურ სარგებელს საერთაშორისო პროექტებიდან. ღია თანამშრომლობა დასავლეთთან ხელს უწყობს ნატოსა და ევროკავშირის ინტერესების განხორციელებას, რაც მას საშუალებას აძლევს მიიღოს სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა. დასავლეთის, რუსეთისა და ჩინეთის, აგრეთვე რეგიონში მოქმედი სხვა გლობალური ძალების ინტერესების კონფლიქტი ქმნის მრავალწახნაგოვან გამოწვევებს სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ დონეზე.

საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური უპირატესობები, როგორცაა მისი სტრატეგიული მდებარეობა, ენერგეტიკული და სავაჭრო დერეფნების როლი და დასავლეთის მხარდაჭერა, ქმნის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს, მაგრამ ამავე დროს სერიოზულ საფრთხეებსაც მოიცავს. გარე ზეწოლა, შიდა მოწყვლადობა და ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკები საქართველოს სუვერენიტეტისთვის მუდმივ გამოწვევას წარმოადგენს.

ზესახელმწიფოებთან ურთიერთობა მცირე და საშუალო ქვეყნებისათვის განსაკუთრებულ სტრატეგიულ გამოწვევას წარმოადგენს. საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის, რომელიც გეოპოლიტიკურად და გეოეკონომიკურად მნიშვნელოვან რეგიონში მდებარეობს, ზესახელმწიფოებთან ურთიერთობის მართვა საჭიროებს ჭკვიანურ დიპლომატიას, მოქნილ პოლიტიკას და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად მრავალმხრივი სტრატეგიების ჩამოყალიბებას.

საფრთხეების განეიტრალება მოითხოვს სტრატეგიული პოლიტიკის, დიპლომატიური მოქნილობის, ეკონომიკური დამოუკიდებლობის და შიდა კონსოლიდაციის ეფექტიან კომბინაციას. საქართველო უნდა დარჩეს პროაქტიული მოთამაშე რეგიონულ და გლობალურ პოლიტიკაში, იხელმძღვანელოს ეროვნული ინტერესებით და მტკიცედ დაიცვას თავისი სუვერენიტეტი. ამას გარდა, ქვეყნის გრძელვადიანი სტაბილურობის გასაღებია საზოგადოებისა და ხელისუფლების შეთანხმება საერთო მიზნებზე.

ქვეყნის უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა, ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და ეკონომიკური განვითარება - ყველა ეს საკითხი გადაჭრით მოითხოვს ახალი სტრატეგიების შემუშავებას. განვითარება და სტაბილურობა დამოუკიდებელია საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე, რეგიონული კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებასა და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაძლიერებაზე. საქართველომ და მისმა მეზობლებმა უნდა აირჩიონ, როგორ დააბალანსონ ეს ძალები ისე, რომ უზრუნველყონ სტაბილურობა, განავითარონ ეკონომიკა და თავიდან აირიდონ გლობალური მოთამაშეების მიერ გამოწვეული კონფლიქტები. ქვეყნის მთავარი ამოცანაა, რომ ეფექტურად გამოიყენოს თავისი უპირატესობები და ამავე დროს თავიდან აიცილოს ანგარიშგასაწევი საფრთხეები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭითანავა ნ. საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია, „ივერიონი“, თბ. 2018. გვ. 376;
2. ჭითანავა ნ. გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში, „ივერიონი“, თბ. 2021. გვ. 360;
3. პაპასქუა ი. გლობალური ისტერიკები პროევროპულ საქართველოში, „ივერიონი“, თბ. 2023. გვ. 94
4. ხონელიძე ზ. საქართველოს არჩევანი. თბ. 2013 წ.

ფენოქსიმარმჟავას წარმოებული მიკრობული მეტაბოლიტების გავლენა ცხოველებში პეროქსიდული სტრესის განვითარებაზე

მურად გარუჩავა

პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

murad.garuchava@sportuni.ge

აზა რევიშვილი

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

aza.revishvili@sportuni.ge

ინგა ღვინერია

პროფესორი, მედიცინის დოქტორი, შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი, პროფილაქტიკური ტოქსიკოლოგიის განყოფილების გამგე.

აბსტრაქტი. შესწავლილია 2,4-დიქლორფენოქსიმარმჟავას K-ის მარილის და 2,4-D-ს წარმოებული მეტაბოლიტის 2,4-დიქლორფენოლის მცირე კონცენტრაციების გავლენა ვირთაგვებში ლიპოპეროქსიდაციის პროცესის განვითარებაზე. ვირთაგვებში, საკვლევი ნივთიერებების ერთი და იგივე კონცენტრაციების დროს, დადგენილია პეროქსიდაციის მეორადი პროდუქტის მალონის დიალდეჰიდის აქტივობა, იგივე ჯგუფის ცხოველებში შესწავლილია ანტიოქსიდანტური სისტემის ძირითადი ფერმენტების კატალაზას (KF1.11.1.6) და სუპეროქსიდდისმუტაზას (KF.1.11.1.6) აქტივობის ცვლილება ექსპოზიციისაგან დამოკიდებულებით. დადგენილია შესწავლილ ცხოველებში, კვლევაში გამოყენებული მეტაბოლიტებიდან, ლიპიდების პეროქსიდაციის პროცესი უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს 2,4-დიქლორფენოლის მონაწილეობით, 2,4-დიქლორფენოქსიმარმჟავას K-ის მარილთან შედარებით. გამოთქმულია მოსაზრება რომ, იმ ჯგუფის ცხოველებში რომლებიც იმყოფებოდნენ 2,4-დიქლორფენოლის ზემოქმედების ქვეშ, მართალია სუპეროქსიდდისმუტაზას აქტივობა მაღალია 2,4-დიქლორფენოქსიმარმჟავას K-ის მარილთან შედარებით, მაგრამ მიგვაჩნია რომ ამ ცხოველებში სუპეროქსიდდისმუტაზას სინთეზი მიმდინარეობს უფრო ინტენსიურად, ვიდრე ის საჭიროა ლიპოპეროქსიდაციის პროცესის როგორც პირველადი ასევე მეორადი ტოქსიკური პროდუქტების უტილიზაციისათვის.

საკვანძო სიტყვები: ვირთაგვები, 2,4-დიქლორფენოქსიმარმჟავას K-ის მარილი, 2,4-დიქლორფენოლი, პეროქსიდაცია, ლიპიდები, სტრესი.

EFFECT OF PHENOXYACETIC ACID-DERIVED MICROBIAL METABOLITES ON THE DEVELOPMENT OF PEROXIDIC STRESS IN ANIMALS

Murad Garuchava

Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;

49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

murad.garuchava@sportuni.ge

Aza Revishvili

Associate Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;
49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

aza.revishvili@sportuni.ge

Inga Gvineria

Professor, Doctor of Medical Science, Scientific Research Institute of Labor Medicine and Ecology, Head of Preventive Toxicology Department.

Abstract. The influence of the K salt of 2,4-dichlorophenoxyacetic acid and small concentrations of 2,4-D derivative metabolite 2,4-dichlorophenol on the development of lipoperoxidation in rats was studied. In rats, the activity of malondialdehyde, a secondary product of peroxidation, was determined at the same concentrations of the test substances. In animals of the same group, changes in the activity of catalase (KF1.11.1.6) and superoxide dismutase (KF.1.11.1.6), the main enzymes of the antioxidant system, depending on the exposure, were studied. It was established that in the studied animals, from the metabolites used in the study, the process of lipid peroxidation is more intense with the participation of 2,4-dichlorophenol, compared to the K salt of 2,4-dichlorophenoxyacetic acid. The opinion is expressed that, in the group of animals exposed to 2,4-dichlorophenol, although the activity of superoxide dismutase is high compared to the K salt of 2,4-dichlorophenoxyacetic acid, we believe that the synthesis of superoxide dismutase in these animals is more intense than it is required for the lipoperoxidation process as a primary, as well as for the utilization of secondary toxic products.

Keywords: Rats, 2,4-Dichlorophenoxyacetic Acid K Salt, 2,4-Dichlorophenol, Peroxidation, Lipids, Stress.

შესავალი. დღეისთვის ბიოსფეროს პრიორიტეტულ დამაბინძურებლად ითვლება ბუნებრივი და ანთროპოგენური წყაროები. ანთროპოგენურ დამაბინძურებლებს შორის პრიორიტეტი ჰერბიციდებს მიეკუთვნება. ჰერბიციდების სისტემატურმა გამოყენებამ ბიოსფეროში ბევრი პრობლემა წარმოშვა. მათ შორის მნიშვნელოვანია ტოქსიკოლოგიური და ეკოლოგიური პრობლემები. განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს მდგრადი ჰერბიციდები ან მისი მეტაბოლიტები, რომლებიც შეიძლება ნიადაგში აკუმულირდეს რამდენიმე ათეული წელი. მათი არსებობა ბიოსფეროსთვის მიუღებელია. ცოცხალი ორგანიზმების ნორმალური განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თავისუფალრადიკალურ და ზეჟანგურ ჟანგვას შორის ბალანსის არსებობის შენარჩუნება [8]. მათ შორის წონასწორობის დარღვევა არის წინაპირობა პათოგენური დაავადებების განვითარებისთვის, აგრეთვე უჯრედული მემბრანების ფუნქციისა და მთლიანობის რღვევისთვის [14, 15].

ქიმიურ დამაბინძურებლებს შორის არიან ისეთი ნივთიერებები, რომლებსაც გააჩნიათ უნარი ცოცხალ ორგანიზმებში გააქტიურონ თავისუფალრადიკალიანი დაჟანგვის პროცესები და გავლენა იქონიონ ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ სისტემაზე [6,7]. ასეთ ნივთიერებებს მიეკუთვნება ფენოქსიმარმჟავას წარმოებულები, კერძოდ 2,4-დიქლორფენოქსიმარმჟავა (2,4-D), მისგან წარმოებული მარილები და ეთერები. აღნიშნული ჰერბიციდი რამდენიმე ათეული წელია გამოიყენება საქართველოში, სოფლის მეურნეობაში სარეველა მცენარეების წინააღმდეგ საბრძოლველად [1, 2, 3]. 2,4-დიქლორფენოქსიმარმჟავა, მისგან წარმოებული მარილები

და ეთერები, რომლებიც თავიანთ შემადგენლობაში (შეწონილი ნივთიერებების სახით) შეიცავენ დიოქსინებს გააჩნიათ ცოცხალ ორგანიზმებზე, უმეტესად ცხოველებზე ფუნქციონალური კუმულაციის უნარ. აგრეთვე კანცეროგენული, მუტაგენური და სხვა თვისებები [9, 10, 11]. ცნობილია, აგრეთვე ფენოქსიმდარმჟავას და მისგან წარმოებული ჰერბიციდების გავლენით ცოცხალ ორგანიზმებში ანტიოქსიდანტური სისტემის შემადგენელი კომპონენტების აქტივობის ცვლილება. დღეისთვის გარემოს ამ ჯგუფის დამაბინძურებლებზე მიმდინარეობს მკაცრი კონტროლი, რომ ისინი ჰერბიციდული დოზით არ მოხვდნენ ცოცხალ ორგანიზმებში. თუმცა ეს არ გამორიცხავს მათ არსებობას ბიოსფეროში დასაშვებ კონცენტრაციაზე დაბალი დოზებით. აქედან გამომდინარე ჩვენ არა გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ამ ჰერბიციდების და მისი ტოქსიკური მეტაბოლიტების მცირე დოზებიც კი არ ახდენენ გავლენას ცოცხალი ორგანიზმების უჯრედებში მეტაბოლურ, ბიოქიმიურ და ფიზიოლოგიურ პროცესებზე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც რომ, 2,4-დიქლორფენოქსიმდარმჟავას მეტაბოლიტები და ნარჩენი რაოდენობა (როგორც მარილების, ასევე ეთერების სახით) ადვილად შეღწევადია ცოცხალი ორგანიზმების უჯრედებში, ლოგიკურია ვიფიქროთ, მან შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს უჯრედში თავისუფალი რადიკალებით დაჟანგვაზე.

კვლევის მიზანი და ამოცანები. ზემოთქულიდან გამომდინარე კვლევის მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა 2,4-დიქლორფენოქსიმდარმჟავას და მისი წარმოებული მეტაბოლიტების დაბალი კონცენტრაციების გავლენა ვირთაგვებში ანტიოქსიდანტური სისტემის ძირითად კომპონენტებზე, ექსპოზიციისაგან დამოკიდებულებით. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გამოგვეტანა დასკვნა ამ ცხოველებში შესწავლილი ნივთიერებების გავლენით ჟანგვითი სტრესის განვითარებაზე. დასახული მიზნის განსახორციელებლად გადავწყვიტეთ შემდეგი ამოცანების შესრულება:

1. შეგვესწავლა ანტიოქსიდანტური სისტემის არაფერმენტული კომპონენტი, მალონის დიალდეჰიდი, რომელიც წარმოადგენს მუტაგენურ, გენოტოქსიკურ და კანცეროგენულ ნაერთს.


2. შეგვესწავლა ანტიოქსიდანტური სისტემის ფერმენტული კომპონენტები, სუპეროქსიდდისმუტაზა (KF.1.11.1.6), რომლის ძირითადი დანიშნულებაა სუპეროქსიდური ანიონრადიკალის გარდაქმნა წყალბადის ზეჟანგად და ჟანგბადად. აგრეთვე თავის მოქმედებით მნიშვნელოვანია ფერმენტი კატალაზა (KF1.11.1.6), რომელიც ახდენს წყალბადის ზეჟანგის დაშლას წყლად და ჟანგბადად.

კვლევის ობიექტი და მეთოდიკა. დაკვირვებას ვაწარმოებდით ვირთაგვების სამ ჯგუფზე. თითოეულ ჯგუფში გვყავდა $n=10$ ცხოველი, მასით (120-130) გრ. გამოვიყენეთ ჩვენს მიერ 2,4-დიქლორფენოქსიმდარმჟავას მიკრობული ტრანსფორმაციის შედეგად იდენტიფიცირებული მეტაბოლიტები: 2,4-დიქლორფენოქსიმდარმჟავა და 2,4-დიქლორფენოლი [12]. გამოვიყენეთ ორივე საკვლევი პრეპარატის ერთნაირი კონცენტრაციები - 0,4 ПДК. 1ПДК=0,03მგ/ლ. მიკრობული პრეპარატები ვირთაგვების ორგანიზმში შეგვყავდა კუჭნაწლავის ტრაქტის გზით, დანამატის სახით, ვირთაგვებისათვის განკუთვნილ სპეციალურ საკვებთან ერთად. ცხოველებისთვის წყლის მიწოდება არ იყო შეზღუდული. ცხოველები გვყავდა ერთნაირი კონტროლის პირობებში. ტემპერატურა (20-22)⁰C. 12სთ სიბნელის და 12სთ სინათლის პირობებში.

ლაბორატორიული კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ვირთაგვებიდან აღებული სისხლი, რომლის ცენტრიფუგირებით, 1500 ბრ/წთ.-ში, ტოლი მოცულობის ჰეპტანისა და იზოპროპანოლის დამატებით მივიღეთ საკვლევი, სამუშაო სისხლის პლაზმის, შრატის ხსნარი. მიღებული შრატის ხსნარი გავყინეთ და ვინახავდით (-17, -20) ⁰C

პირობებში. იგი გამოვიყენეთ ჩვენი შემდგომი კვლევებისთვის, კერძოდ ვირთაგვებში ლიპოპეროქსიდაციის ანტიოქსიდანტური ფერმენტების კატალაზას და სუპეროქსიდდისმუტაზას რაოდენობრივი განსაზღვრისთვის. სუპეროქსიდდისმუტაზას აქტივობა განვსაზღვრეთ კვარცეტინის დაჟანგვის მიხედვით, 406 ნმ ტალღის სიგრძეზე. გაზომვა ჩავატარეთ საწყის მდგომარეობაში და კვარცეტინის დაჟანგვიდან 20წთ-ის შემდეგ. კატალაზას აქტივობა განვსაზღვრეთ კინეტიკური მეთოდით, წყალბადის ზეჟანგის პირდაპირი რეგისტრაციით [13]. ცილის საერთო რაოდენობა განვსაზღვრეთ ბრედფორდის მეთოდის მიხედვით [4, 5]. ბრედფორდის რეაქტივის დასამზადებლად ვიყენებდით კუმასის ბრილიანტის ლურჯს G - 250. 0,01% (W/V), ეთანოლს 4,7% და ფოსფორმჟავას 8.5% (W/V).

მიღებული შედეგების განსჯა. ცხოველებზე დაკვირვებას ვახდენდით 30 დღის განმავლობაში. ვაკვირდებოდით საკვლევი ჰერბიციდების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ცხოველების ქცევას. შეიმჩნეოდა მათი განსხვავებული ქცევა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. კერძოდ, გამოხატული ქონდათ ნორმალური ნერვული სისტემის დაზიანების ნიშნები. ხანმოკლე პასიურობით, შემდეგ აღგზნებით. გარეშე გამღიზიანებლებზე რეაქცია მკვეთრად ჰქონდათ გამოხატული. აკეთებდნენ უნებლიე მოძრაობებს და ავლენდნენ სხვა სიმპტომებს. ვირთაგვების ასეთი მდგომარეობა ყველაზე უფრო გამოხატული იყო 20-დან 30-დღემდე.



ნახ. 1. 2,4-დიქლორფენოქსიმარმჟავას და მისგან წარმოებული მეტაბოლიტების დაბალი კონცენტრაციების გავლენა ვირთაგვების სისხლის შრატში ანტიოქსიდანტური სისტემის ფერმენტების აქტივობაზე და პეროქსიდაციის პროცესის განვითარებაზე ექსპოზიციისაგან დამიკვიდებულებით.

ანტიოქსიდანტური სისტემის შემადგენელი კომპონენტების კვლევამ ნახ.1, გვაჩვენა რომ მალონის დიალდეჰიდის შემცველობა ვირთაგვების სისხლის შრატში უფრო მაღალია იმ ცხოველებში, რომლებზედაც ვატარებდით 2,4-დიქლორფენოლის

კვლევას (მრუდი 2), 2,4-დიქლორფენოქსიმმარმჟავას K-ის მარილთან შედარებით (მრუდი1). ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ 2,4-დიქლორფენოლის მოქმედების დროს ადგილი აქვს ჟანგვითი სტრესის უფრო ინტენსიურ განვითარებას 2,4-დიქლორფენოქსიმმარმჟავას K-ის მარილთან შედარებით.

რაც შეეხება სუპეროქსიდდისმუტაზას შემცველობას, 2,4-დიქლორფენოლის შემთხვევაში მართალია მაღალია (მრუდი 4), 2,4-დიქლორფენოქსიმმარმჟავას K-ის მარილთან შედარებით (მრუდი 3), მაგრამ შესაძლებელია იმ ცხოველებში, რომლებიც იმყოფებიან 2,4-დიქლორფენოლის ზემოქმედების ქვეშ მათში სუპეროქსიდდისმუტაზას სინთეზი მიმდინარეობს უფრო ინტენსიურად, ვიდრე ის საჭიროა ლიპოპეროქსიდაციის სტრესის დროს წარმოქმნილი პირველადი ტოქსიკური მეტაბოლიტების უტილიზაციისათვის. ან კიდევ შეიძლება ვიფიქროთ, რომ უჯრედში ლიპოპეროქსიდული სტრესის დროს სუპეროქსიდდისმუტაზას კონფორმაციული ცვლილების დროს არ ხდება მისი მოლეკულიდან პირველადი პეროქსიდაციის პროდუქტების მოხლეჩვა, რის შედეგადაც პირველადი პეროქსიდაციის პროდუქტები ვერ ამჟღავნებენ თავიანთ აქტივობას.

განსხვავებული სურათი გვაქვს კატალაზას შემთხვევაში. ყველაზე მაღალი კატალაზას აქტივობა მივიღეთ საკვლევი ცხოველების იმ ჯგუფში რომლებმაც მიიღეს 2,4-დიქლორფენოლი 0,4 ПДК -ს კონცენტრაციით(მრუდი6). აქ ბუნებრივია, ანტიოქსიდანტური სისტემის ფერმენტების გააქტიურების შედეგია რომ ისინი ადვილად ახდენენ ამავე სისტემის როგორც პირველადი, ასევე მეორადი პროდუქტის, მალონისდიალდეჰიდის ინჰიბირებას (ნახ.1).

ამგვარად ჩვენი კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ: როგორც 2,4-დიქლორფენოქსიმმარმჟავას K-ის მარილი, ასევე მისგან წარმოებული მეტაბოლიტის 2,4-დიქლორფენოლის დაბალი კონცენტრაციები ხელს უწყობენ ვირთაგვებში ლიპიდების პეროქსიდაციის პროცესის განვითარებას. ეს ცვლილება გამოიხატება პეროქსიდაციის პროცესის როგორც პირველადი, ასევე მეორადი პროდუქტების აქტივობის გაზრდით და შესაბამისად ანტიოქსიდანტური სისტემის აქტივობის შემცირებით. ეს ცვლილება უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს 2,4-დიქლორფენოლის შემთხვევაში, ვიდრე იგივე კონცენტრაციის 2,4-დიქლორფენოქსიმმარმჟავას K-ის მარილი დროს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გარუჩავა მ. ფენოქსიმმარმჟავას წარმოებული ჰერბიციდების ტრანსფორმაცია აგრობიოცენოზში. დისერტაცია ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2003, გვ.34-51
2. საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალ. 2019;
3. ღვინერია ი., სააკაძე ვ., ჟურული მ., ჯავახაძე რ., წერეთელი მ., კაციტაძე გ., ონიანი თ., პესტიციდების ტოქსიკურობა და უსაფრთხო გამოყენების პრინციპები" ცნობარი, თბ. 2012.
4. Bradford M, a rapid and sensitive method for the quantitation of microgram quantities of protein utilizing the principle of protein-dye binding, Anal.Biochem. 1976, 72, 248-254.
5. Goldring JPD. Measuring Protein Concentration with Absorbance, Lowry, Bradford Coomassie Blue, or the Smith Bicinchoninic Acid Assay Before Electrophoresis. Methods Mol Biol. 2019;1855:31-39. doi:10.1007/978-1-4939- 8793-1_3. PMID: 30426404

6. Hypolipidilnic and antioxidant activities of virgin olive oil and its fractions in 2,4-dichlorophenoxyacetic acid-treated rats I A. Nakbi. W. Tayeb, S. Dabbou [et al] // Nutrition. - 2012. - Vol. 28. N2 1. - P.
7. Cause-specific mortality of Dutch chlorophenoxy herbicide manufacturing workers I D. Boers. L. Pöllgen, H.B. Bueno-deMesquita [et al.] II Occup. Environ. Med. -2010. - Vol. 67. N2 1. -P. 24-31.
8. Differential response of young and adult leaves to herbicide 2,4-dichlorophenoxyacetic acid in pea plants: role of reactive oxygen species / D.M. Pamino. M. Rodriguez-Serrano. M.C. Roluero-Puertas [et al.] II Plant Cell Environ. - 2011. - Vol. 34, N211. - P. 1874-89.
9. Ddidigvni, Nwani C. Toxicity of the Herbicide Atrazine: Effects on Lipid Peroxidation and Activities of Antioxidant Enzymes in the Freshwater Fish Channa Punctatus (Bloch) I C. Ddidigwu Nwani. W. Singh Lakra. N. Sahebrao Nagpure [et al.] II J. Environ. Res. Public Health. -2010. - 2 8. -P. 3298-33 12.
10. Differential response of young and adult leaves to herbicide 2,4-dichlorophenoxyacetic acid in pea plants: role of reactive oxygen species / D.M. Pamino. M. Rodriguez-Serrano. M.C. Roluero-Puertas [et al.] II Plant Cell Environ. - 2011. - Vol. 34, N211. - P. 1874-89.
11. 2,4-Dichlorophenoxyacetic acid effects on nephrotoxicity in rats during late pregnancy and early postnatal periods I A. Troudi N. Soudani. A. Mahjoubi Samet [et al.] II Ecotoxicol. Environ. Saf. - 2011. - Vol. 74. N2 8. - P. 2316-23.
12. Гаручава М. и др. Микробиологическое разложение 2,4-дихлорфеноксиуксусной кислоты актиноцетами, выделенными из почв разных регионов Грузии. Агрохимия, 2002, N 3, с. 42-46
13. Сирота, Т. В. Новый подход к исследованию аутоокисления адреналина и использование его для измерения активности супероксиддисмутазы / Т. В Сирота // Вопросы медицинской химии. - 1999.-№ 3. -С. 56-58.
14. Калоянова-Симеонова Ф., Ю.И. Кундиев и А.М. Шенкер. Пестициды. 2011, с.269
15. Камилов Ф.Х. Патохимия токсикологического действия хлорорганических и ароматических соединений / Ф.Х. Камилов // медицинский вестник Башкортостана – 2007.- Т.2, №6. – с.76-80.

**ქართული წარმოშობის ახალი ჯანსაღი პროდუქტის
წარმოების ტექნოლოგიის შემუშავება**

აკაკი ბოკერია

დოქტორანტი, მოწვეული პედაგოგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი, მერაბ კოსტავას 67, თბილისი, საქართველო;

akakibokeria@gmail.com

სოფიო ძნელაძე

დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი, დავით გურამიშვილის 17, თბილისი, საქართველო.

ელენე სორდია

დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი, დავით გურამიშვილის 17, თბილისი, საქართველო.

ნათია შენგელია

ქიმიის აკადემიური დოქტორი, მოწვეული პროფესორ-მასწავლებელი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ქიმიის მიმართულება, ა. პოლიტკოვსკაიას 61, თბილისი, საქართველო.

ანზორ გელაშვილი

დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი, თბილისი, საქართველო.

აბსტრაქტი. ახალი ჯანსაღი პროდუქტების ტექნოლოგიების შემუშავება თანამედროვე მოსახლეობისათვის მეტად აქტუალური თემაა. მოსახლეობა გამუდმებით ეძიებს ახალი საგემოვნო მახასიათებლებით შექმნილ პროდუქტებს, რომლებით ბუნებრივი აქტიური დანამატებით იქნება დამზადებული და ამასთან სარგებლის მომტანი ჯანმრთელობისათვის, რომელიც მისაღები იქნება როგორც ბავშვების, ისე ასაკიანი ადამიანებისა და სპორტსმენების კვებით რაციონში. ჩვენ შევიმუშავეთ ქართული ტრადიციული რძემჟავა პროდუქტის მაწვნის ტექნოლოგია თაფლის დამატებით. მოგეხსენებათ მაწონი ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და მისი მიღება რეკომენდირებულია სხვადასხვა დაავადების მატარებელი ადამიანებისათვის და სპორტსმენებისათვის [1]. ის დიეტურ პროდუქტს წარმოადგენს. მდიდარია მინერალური ნივთიერებებით, ცილებითა თუ ვიტამინებით. თაფლის დამატება კი კიდევ უფრო ამდიდრებს ისედაც ღირებულ მაწონს მასში შემავალი სამასამდე ერთმანეთისაგან განსხვავებული კომპონენტით. ამასთან, თაფლი ფართოდაა გავრცელებული საქართველოში მისი მოპოვება სირთულეს არ წარმოადგენს. ზოგადად, მაწონსა და იოგურტისმაგვარ პროდუქტებში, ცნობილია, რომ ხილისა თუ სხვა არომატიზირებული ნივთიერებების დამატება მზა პროდუქტზე მიმდინარეობს. ჩვენ შემთხვევაში თაფლის დანამატად შეტანა უშუალოდ რძეში მოვახდინეთ და შემდეგ დავამზადეთ „ახალი მაწონი“, რამაც ხელი შეუწყო საბოლოო პროდუქტში თაფლის შემადგენლობაში არსებული ნივთიერებების სრულად გადასვლას და ახალი ამინომჟავური კომპლექსების ჩამოყალიბებას. ვფიქრობთ, შემუშავებული ტექნოლოგია „ახალი მაწონი თაფლის დანამატით“ საინტერესო და ღირებული პროდუქტი იქნება როგორც თავისი ქიმიური

შემადგენლობით, ისე ორგანოლეპტიკური მახასიათებლებითა და მისი დამზადების შემუშავებული ტექნოლოგიით.

საკვანძო სიტყვები: რძემჟავა პროდუქტი, მაწონი, დანამატი, ორგანოლეპტიკა, თაფლი, ტექნოლოგია.

DEVELOPMENT OF PRODUCTION TECHNOLOGY FOR NEW HEALTHY PRODUCT OF GEORGIAN ORIGIN

Akaki Bokeria

PhD student, invited lecturer, Georgian Technical University, Faculty of Chemical Technology and Metallurgy, 67 Merab Kostava Avenue, Tbilisi, Georgia;

akakibokeria@gmail.com

Sofia Dzneldze

Doctor, Assistant Professor, Georgian Technical University, Faculty of Agricultural Sciences and Biosystems Engineering, 17 Davit Guramishvili Avenue, Tbilisi, Georgia.

Elena Sordia

PhD, Associate Professor, Georgian Technical University, Faculty of Agricultural Sciences and Biosystems Engineering, 17 Davit Guramishvili Avenue, Tbilisi, Georgia.

Natia Shengelia

Academic Doctor of Chemistry, Visiting Professor, Sokhumi State University, Department of Chemistry, Faculty of Natural Sciences, Mathematics, Technology and Pharmacy, 61 A. Politkovskaya Street, Tbilisi, Georgia.

Anzor Gelashvili

PhD student, Georgian Technical University, Faculty of Chemical Technology and Metallurgy, Tbilisi, Georgia.

Abstract. The development of technologies for new healthy products is a very relevant topic for the modern household. The population is constantly looking for products with new flavor characteristics, which will be made with natural active additives and beneficial for health, which will be acceptable in the diet of children, the elderly and athletes. We have developed the technology of the traditional Georgian lactic acid product Matsoni with the addition of honey. Matsoni – sour cream is a monument of Georgian intangible cultural heritage and its intake is recommended for people with various diseases and athletes. It is a dietary product and is rich in minerals, proteins and vitamins. The addition of honey enriches the already valuable sourdough with up to three hundred different components. However, honey is widely distributed in Georgia and is not difficult to get it. In general, in sourdough and yogurt-like products, it is known that the addition of fruit or other flavoring substances affects the finished product. In our case, we added honey as an additive directly to milk and then prepared "new sourdough", which contributed to the complete transition of the substances in the composition of honey to the final product and the formation of new amino acid complexes. We think, that the developed technology with the "new Matsoni honey additive" will be an interesting and valuable product both with its chemical composition and organoleptic characteristics and the development of its technology.

Keywords: lactic acid product, sourdough, additive, organoleptic, honey, technology.

შესავალი

რძისა და რძის პროდუქტების წარმოების ახალი ტექნოლოგიების შემუშავება ერთ-ერთი აქტუალური თემაა მსოფლიო ბაზრისათვის, რადგან დღითიდღე იზრდება მათზე მოთხოვნა მოსახლეობის მხრიდან. აღნიშნული პროდუქტები ფართოდ მოიხმარება როგორც ბავშვთა, ისე სხვადასხვა დაავადების მქონე ადამიანების, სპორტულ, დიეტურ, თუ ნებისმიერი მოყვარულის საკვებ რაციონში. მომხმარებელი ძიებაშია ახალი საგემოვნო თვისებების მქონე ჯანსაღი პროდუქტისა, რომელიც არ იქნება დამზადებული სინთეზური დანამატებით, არომატიზატორებითა და ა. შ.

მოგვხსენებათ, რძე ჯანმრთელობის თეთრი ელექსირის სახელით მოიხსენიებენ, რომელიც მდიდარია ცილებით, ნახშირწყლებით (ლაქტოზა), ცხიმებით, ვიტამინებით, მინერალური ნივთიერებებით, ანტისხეულებითა და სხვა ნაერთებით. აქედან გამომდინარე რძის პროდუქტებზე მოთხოვნაც დიდია [2].

ჩვენი ამოცანაა ახალი პროდუქტის შექმნა ბუნებრივად აქტიური დანამატებით. პრობლემა ქართული რძემწავა პროდუქტის - მაწონში დანამატად თაფლის გამოყენებით გადავლახეთ.

ასევე ღირებული პროდუქტია თაფლია, რომლის შემადგენლობაში სამასამდე განსხვავებული კომპონენტი შედის და იგი დამოკიდებულია თაფლის მოპოვების სეზონურობაზე, მცენარის ნაირსახეობაზე, რომლითაც ფუტკარი იკვებება, კლიმატურ პირობებზე და ა. შ. თაფლი მდიდარია ვიტამინებით, ამინომჟავებით, ფერმენტებითა და სხვა ნაერთებით და სხვადასხვა აგებულების ნახშირწყლებით, რომლის შემცველობა დაახლოებით 80 %-ია. 100 გ თაფლის კვებითი ღირებულება 328 კკალ-ია წარმოადგენს. ამიტომ თაფლის დანამატად გამოყენება ახალ კვებით ღირებულებას შესძენს ქართულ ეროვნულ ტრადიციულ პროდუქტს მაწონს და ის ჯანსაღი

ჩვენ შევიძუშავეთ ტექნოლოგია „ახალი მაწონი თაფლის დანამატით“ დამზადებისა.

მასალები და მეთოდები

მაწონი თაფლით ჩვენ ძროხის რძისაგან დავამზადეთ.

გაფილტრულ ნედლი ძროხის რძის მახასიათებლების შესწავლა LACTOSCAN MCCWS-ით (Milk analyzer) მოვახდინეთ.

ტიტრული მჟავიანობის განსაზღვრისათვის ნიმუშის 5 გ-ს გავხსენით 50 სმ³ დისტილირებულ წყალში, დავამატეთ დიეთილისა და ეთილის სპირტის 20 სმ³ ნარევი (1:1), ინდიკატორი ფენოფტალეინი და გავტიტრეთ NaOH-ის 0.1 ნორმალობის ხსნარით ვარდისფერი შეფერილობის მიღებამდე. დახარჯული NaOH-ის რაოდენობის მიხედვით დავადგინეთ ნიმუშის ტიტრული მჟავიანობა.

საერთო შაქარი ყველსა და თაფლში განვსაზღვრეთ ბერტრანის მეთოდით: წინასწარ ერთგვაროვან კოსტიტენციამდე მიყვანილი ნიმუშის (ყველი წინასწარ გავსრისეთ) 5 გ გავხსენით 25 სმ³ დისტილირებულ წყალში, შევათბეთ, მოვურიეთ, დავამატეთ 5 სმ³ ფელინგი 1 და 2 სმ³ ნატრიუმის ტუტის 1 ნ ხსნარები. მიღებული ნარევი შევავეთ 250 სმ³-მდე დისტილირებული წყლით. გავაჩერეთ 30 წთ, შემდეგ გავფილტრეთ, ფილტრატის 50 სმ³ გადავიტანეთ ერლენმეიერის კოლბაში და დავამატეთ 25-25 სმ³ ფელინგი 1 და ფელინგი 2-ის ხსნარები. ხსნარი ვადუღეთ 6 წთ. ამ დროს გამოილექა სპილენძის (I) ოქსიდის წითელი ფენა. სითხე გავფილტრეთ ბიუბხენის ძაბრით, ჩავრეცხეთ დისტილირებული წყლით და სწრაფად გავტიტრეთ კალიუმის პერმანგანატის ხსნარით

დია ვარდისფერი შეფერილობის მიღებამდე. დახარჯული პერმანგანატის მიხედვით ვიანგარიშეთ საერთო შაქრის შემცველობა ნიმუშში.

ცილის შემცველობა განსაზღვრეთ კელდალის (Kjeldahl method) მეთოდით: კელდალის კოლბაში 200 გ ნიმუშს დავამატეთ 4 გ კელდალის კატალიზატორი (Kjeldahl tablets, TP1523569 149, Supelco, Germany), 10 სმ³ კონც. გოგირდმჟავა. მოვახდინეთ მინერალიზაცია 420 °C-ზე (SpeedDigester K-439), სალათისფერი შეფერილობის მიღების შემდეგ კოლბის შიგთავსი გავაცივეთ 25 °C-მდე, კოლბის კედლები ჩავრეცხეთ დისტილირებული წყლით (50 °C) და კვლავ გავაცივეთ 25 °C-მდე. შემდეგ კოლბა მოვათავსეთ ანალიზატორში (KjelFlex k-360) და დავაფიქსირეთ ანალიზის შედეგები.

C ვიტამინი ნიმუშებში განსაზღვრეთ ტიტრული მეთოდით: ნიმუშის 5 გ დავხსენით 30 სმ³ დისტილირებულ წყალში, შევათბეთ 50 °C-მდე, დავაცენრიფუგირეთ, საანალიზო ხსნარის 20 სმ³ -ს დავამატეთ 150 სმ³ დისტილირებული წყალი, 5-5 სმ³ მარილმჟავას და KI-ის 0.6 M ხსნარები, 2 სმ³ სახამებლის 2%-იანი ხსნარი და გავტიტრეთ NaIO₃-ის 0.002 M ხსნარით. დახარჯული NaIO₃-ის მიხედვით განსაზღვრეთ C ვიტამინის შემცველობა ნიმუშებში.

ტენიანობისა და მშრალი ნაშთის განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ გამოშრობის მეთოდი. ამისათვის დაქუცმაცებული ნიმუშის 5 გ მოვათავსეთ წინასწარ გამომშრალ, აწონილ ქვიშიან ფაიფურის ჯამში და გამოვაშრეთ 105 °C-ზე საშრობ კარადაში 2 სთ-ის განმავლობაში. შემდეგ გავაცივეთ ექსიკატორში და დავაფიქსირეთ წონა. 20 წთ-ის განმავლობაში კვლავ მოვათავსეთ საშრობ კარადაში და გავიმეორეთ დარჩენილი პროცედურები. შედეგი დავაფიქსირეთ მაშინ, როცა ბოლო ორ აწონვას შორის განსხვავება არ აღემატებოდა 0,01გ-ს.

კვლევის შედეგები

დანამატად გამოყენებულ იქნა კახეთის რეგიონიდან მოწოდებული გაზაფხულის მინდვრის თაფლი, რადგან შემოდგომის სეზონის თაფლისათვის უფრო სიმწარეა დამახასიათებელი. აღებულ რძესა და თაფლზე ჩატარებული ანალიზების შედეგები დადებითად შეფასდა, რადგან ექვემდებარება მათზე წაყენებულ სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შედეგები მოტანილია ცხრილი 1-ში:

ცხრ.1 ძროხის რძისა და თაფლის ქიმიური შემადგენლობა.

№	ძროხის რძე	შედეგები
1	მჟავიანობა, pH	7,12
2	მშრალი ნივთიერებები (ცხიმის ცათვლით), %	12,44
3	ცხიმიანობა, %	3,61
4	ლაქტოზას შემცველობა, %	4,85
5	მინერალური ნივთიერებები, %	0,71
6	სიმკვრივე, °A	30,37
7	ცილა, %	3,22
	თაფლი	
8	საერთო შაქარი, %	81,68
9	ტენიანობა, %	18,10
10	მშრალი ნივთიერებები, %	81,90
11	ცილა, %	0,33
12	ვიტამინი C (მგ 100 გ-ზე)	0,50
13	მინერალური ნივთიერებები, %	0,38

ახალიზის შედეგები თავლიან მაწონზე მოტანილია ცხრილი 2-ში:
ცხრ.2 თავლიანი რძის მახასიათებლები

№	მახასიათებლები	შედეგები
		თაფლის დანამატით
2	მჟავიანობა, ^{0}Th	90
2	ტენიანობა, %	84,5
3	მშრალი ნაშთი, %	15,5
4	ცილა, %	3,1
4	ვიტამინი C (მგ 100 გ-ზე)	0,15
5	შაქრიანობა, %	8,5
6	ცხიმოვანობა, %	3,2
7	მინერალური ნივთიერებები, %	0,7

განხილვა

ახალი მაწონის თაფლის დანამატით დასამზადებლად, პირველ რიგში, შემოწმებულ რძეს ჩავუტარეთ პასტერიზება, შევათბეთ 40-45°C-მდე და განვახორციელეთ სეპარირება და ნორმალიზება (ცხიმოვანობის მიხედვით) ისე, რომ შემდგომში თაფლის დამატებამ არ გამოიწვიოს ცხიმოვანობის შემცირება, რადგან მისი კლება იწვევს მაწვნის საგემოვნო თვისებების დაკარგვას. სეპარირების შემდეგ რძე გავაცხელეთ 60-65°C ტემპერატურამდე და ჩავუტარეთ ჰომოგენიზირება. შემდგომ რძე ვაცხელეთ 92-95°C ტემპერატურამდე და დავაყოვნეთ 3-5 წთ. საბოლოოდ 40°C ტემპერატურამდე გაგრილებულ რძეში შევიტანეთ თაფლი (რძის მასის 10% რაოდენობით) და დედო (CALZA CLEMENTE CYCFX 01 მშრალი დედო).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თაფლი დამატებულ იქნა პასტერიზების შემდგომ 40 °C-მდე გაგრილებული.

დამზადებულ თავლიან მაწონზე ჩატარებულმა კვლევებმა დადებითი შედეგები მოგვცა. შედეგები მოტანილია ცხრილი 2-ში.

მიღებული „ახალი მაწონი თაფლის დანამატით“ ტექსტურის მხრივ ხასიათდება ზომიერი სიმკვრივით, ნადები გამოდის დაუმლელი, იერსახე აქვს ღია მოყვითალო (თაფლის მარმარილოსებრი ჩანართებით), აქვს მაწვნისათვის დამახასიათებელი მომჟავო გემო და თაფლის სასიამოვნო არომატი, სიტკბო - ზომიერად ტკბილი.

დასკვნა

ჩვენ მიერ შემუშავებული „ახალი მაწონი თაფლის დანამატით“ ტექნოლოდია მნიშვნელოვანია იმ გარემოებით, რომ თაფლის შეტანა არა მზა მაწონზე მოვახდინეთ, არამედ დავამზადეთ თაფლგარეული რძისაგან. რამაც ხელი შეუწყო თაფლში არსებული ვიტამინებისა თუ სხვა ღირებული ნივთიერებების სრულად გადასვლას, რძესა და თაფლში შესწავლილი ნივთიერებების შერწყმით ახალი ამინომჟავური კომბინაციების ჩამოყალიბებას და იწვევს მაწვნის კვებითი ღირებულების მატებას. ამასთან, თაფლის ანტიოქსიდანტური თვისებებიდან გამომდინარე დამზადებულ მაწვნის ვარგისიანობის ვადა 10 დღით იზრდება. ამასთან დამზადებულ ახალ მაწონს თაფლის დანამატით, დანამატად გამოყენებული თაფლის ხარჯზე, შეძენილი ექნება მაპროფილაქტიკური უნარი სხვადასხვა დაავადების მიმართ.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მიღებულია ახალი ჯანსაღი პროდუქტი, რომლითაც შეუძლიათ იკვებონ როგორც ბავშვებმა, ისე ხანში შესულმა

ადამიანებმა, დიეტაზე მყოფებმა და სპორტსმენებმა (თუ არ აღენიშნებათ ალერგია თაფლისა და რძის მიმართ), რომელიც მათთვის ახალი ენერგიის მიღების წყარო გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება №02/49, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ. 22.07.2020;
2. ე. ჭავჭავაძე. რძე და რძის ნაწარმი - ოჯახის მკურნალი, თბილისი, „სამედიცინო ჟურნალი“, 2008, გვ. 6-7;
3. ე. კაკაბაძე. საქართველოში გამოყოფილი რძემჟავა ბაქტერიების ბიომრავალფეროვნების, ბიოტექნოლოგიური და პრობიოტიკური პოტენციალის შესწავლა-დახასიათება, თბილისი, 2020.

Lali Tabatadze

Sokhumi State University, Department of Chemistry, Faculty of Natural of Sciences, Mathematics, Technologies and Pharmacy, 61 Politkovskaia Str., Tbilisi, 0186, Georgia;

l.tabatadze@sou.edu.ge

David Gventsadze

Iv. Javakhishvili Tbilisi State University, R. Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry, 11 Mindeli Str., Tbilisi, 0186, Georgia;

Tinatin Lezhava

Iv. Javakhishvili Tbilisi State University, R. Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry, 11 Mindeli Str., Tbilisi, 0186, Georgia;

Mariam Mchedlishvili

Sokhumi State University, Department of Chemistry, Faculty of Natural Sciences, Mathematics, Technologies and Pharmacy, 61 Politkovskaia Str., Tbilisi, 0186, Georgia;

Tamar Shonia

Sokhumi State University, Department of Chemistry, Faculty Natural of Sciences, Mathematics, Technologies and Pharmacy, 61 Politkovskaia Str., Tbilisi, 0186, Georgia;

Darejan Iremashvili

Sokhumi State University, Department of Chemistry, Faculty of Natural Sciences, Mathematics, Technologies and Pharmacy, 61 Politkovskaia Str., Tbilisi, 0186, Georgia.

Abstract: Plant resources, being recognized and one of the main riches on earth, are very diverse: coniferous and deciduous wood, cotton, flax and oilseeds, a number of starch-containing crops, cereals, seaweeds. A research group of Chemical Department, from Sokhumi State University and the Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry of Tbilisi State University, in order to reduce environmental pollution, have developed technologies for processing renewable plant materials and secondary polymer products for the production of new industrial products. The review examines the influence of chemical compounds: polyolefins and tetraethoxysilane, used in the processing of natural cellulose fiber "Yucca gloriosa" to obtain thermoplastic and thermosetting biomaterials. Thermogravimetric analysis (TGA) showed the influence of chemical compounds on the thermal stability of the bioorganic composite material. Modification of organic compounds improved the physical and mechanical properties of the developed biomaterial.

Keywords: Eco-friendly, Plant materials, Secondary polymer waste, Tetraethoxysilane, Biomaterials.

გარემოს დაცვის ქიმიური ტექნოლოგიები

ლალი ტაბატაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქიმიის დეპარტამენტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტი, პოლიტკოვსკაიას 1. 61, თბილისი, 0186, საქართველო;

l.tabatadze@sou.edu.ge

დავით გვენცაძე

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რ. აგლაძის არაორგანული და ელექტროქიმიის კვლევითი ინსტიტუტი. მინდელის ქ. 11, თბილისი 0186, საქართველო;

თინათინ ლუჟავა

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რ. აგლაძის არაორგანული და ელექტროქიმიის კვლევითი ინსტიტუტი. მინდელის ქ. 11, თბილისი 0186, საქართველო;

მარიამ მჭედლიშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქიმიის დეპარტამენტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტი, პოლიტკოვსკაიას ქ. 61, თბილისი, 0186, საქართველო;

თამარ მ. შონია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქიმიის დეპარტამენტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტი, პოლიტკოვსკაიას ქ. 61, თბილისი, 0186, საქართველო;

დარეჯან ირემაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქიმიის დეპარტამენტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტი, პოლიტკოვსკაიას ქ. 61, თბილისი, 0186, საქართველო.

აბსტრაქტი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური დეპარტამენტის და თბილისის ივანე ჯავახიშვილის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითმა ჯგუფმა, გარემოს დაბინძურების შემცირების მიზნით შეიმუშავა განახლებადი მცენარეული მასალების და მეორადი პოლიმერული პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიები ახალი სამრეწველო წარმოებისთვის. განახლებადი მცენარეული ნედლეულის ბიომასის, პოლიმერული ნარჩენების და ბუნებრივი მინერალების ცხლად დაწნევის მეთოდით, შემუშავებულ იქნა ბიოკომპოზიციური მასალის დამზადების მარტივი ტექნოლოგია. მაარმირებელი აგენტების და შემკვრელების: კრისტალური აგებულების ჭიათურის მარგანეცის მინერალების, გარემოს დამაბინძურებელი პოლიმერული ნარჩენების და „იუკა დიდებულის“ ბოჭკოს მოდიფიცირებით, მარტივი და იაფი ტექნოლოგიური მეთოდით მიღებულ იქნა სამრეწველო წარმოებისათვის გაუმჯობესებული, საუკეთესო ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მქონე, დაბალი ღირებულების, მსუბუქი, მაღალის სიმტკიცის, თერმო- და ქიმიურად მდგრადი, კოროზიამდეგი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ბიომასალები. სტატიაში განხილულია ორგანული ქიმიური ნაერთების - პოლიოლეფინების და ტეტრაეტოქსისილანის გავლენა (გამოიყენებია ბუნებრივი ცელულოზური ბოჭკოს "იუკა დიდებულის"-ის გადამუშავებისას თერმოპლასტიკური და თერმომდგრადი ბიომასალების წარმოებისთვის), სამეცნიერო კვლევითი ჯგუფის მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით ეკოლოგიურად სუფთა ბიოკომპოზიტის მიღება და ანალიზი. თერმოგრაფიმეტრულმა ანალიზმა (TGA) აჩვენა ქიმიური ნაერთების გავლენა ბიოორგანული კომპოზიციური მასალის თერმულ სტაბილურობაზე. ორგანული ნაერთების მოდიფიკაციამ გააუმჯობესა შემუშავებული ბიომასალის ფიზიკური და მექანიკური მახასიათებლები.

საკვანძო სიტყვები: გარემოს დაცვა, მცენარეული მასალები, მეორადი პოლიმერული ნარჩენები, ტეტრაეტოქსისილანი, ბიომასალები.

Introduction

When we talk on environmental safety, about the environment, we often think of the physical and biological components of the environment, that is, soil, existing vegetation, wildlife, water, ecosystem management, forestry, and also forests. Therefore, this discussion of environmental issues also touches on some issues of impact on social values. About 1/20 of the total productivity of the biosphere is made up of agricultural products, which annually yield 8.7 billion tons of organic matter [1]. Due to the careful attitude to the world's forests, in all countries, easily renewable (cheap) non-wood raw materials are becoming the main object of research and development of complex and environmentally friendly technologies into popular products.

Environmental pollution remains one of the most pressing problems in the modern world. According to the United Nations, 19–23 million tons of plastic waste enter rivers, seas and oceans every year, which has an irreversible negative impact on the ecosystem. In this regard, the Black Sea and the coasts of the Black Sea countries deserve special attention.

Household and industrial products made from polyolefins do not decompose in the atmosphere; they slowly disintegrate into small fragments - microplastics, macro- and meso-residues of which are found in drinking water, the human body, the placenta and the blood of newborns and in fish and damage the endocrine system, cause infertility, hormonal imbalance and increase the risk of cancer.

The environment is polluted by the most commonly used plastic products [2-4]: polyethylene terephthalate PETE – (beverage, food bottles/cans, polyester diapers, etc.) polypropylene PP, polystyrene PS etc. Polymer products. Macro- (>5 mm) and meso- (<5 mm - ≥ 1 mm) microplastic debris pose a threat to marine mammals and birds, as they may mistake these debris for food [5-6]. The solution to this problem requires the development of new technologies that will reduce polymer waste in the environment by 50-60% and convert composite materials into biodegradable ones, which is a guarantee of environmental protection from global pollution.



Picture 1. *Yucca gloriosa*.

The purpose of the research is to develop innovative technologies for the production of biocomposite materials from the point of view of environmental safety. The new composite material was developed by a scientific team by processing renewable raw materials of natural origin (*Yucca gloriosa*) and polymer waste that pollutes the atmosphere and the Black Sea. The

hot pressing method will be used to develop a biocomposite material with the best properties, safe for health (no formaldehyde), cheap, and manufactured using simple technology [5, 6].

Our scientific group has proposed a new, cheap and accessible method for producing biocomposites based on renewable plant raw materials, in which phenolic resins are replaced with a non-toxic polymer material - secondary isotactic polypropylene and high-strength „Yucca gloriosa“ fibers containing a large amount of fiber.

A very original method of obtaining fiber from the leaves of „Yucca gloriosa“ in Pic. 1. using sodium alkali is described in the works [7-10], where long uncut fibers without lignin are obtained from its leaves, from which various products are made.

Methodology

To study the physical and mechanical characteristics of the developed biocomposite, standard pressure forms of water absorption were used; Heat resistance, dependence of softening on T^0 were determined according to "Vika"; The ultimate strength in bending and longitudinal bending, as well as impact toughness were studied.

FTIR spectrometric research was carried out on a SHIMADZU "IRSPIRIT" device. Wavelength $4000-600\text{ cm}^{-1}$, mode - UATR; The microstructure of the biocomposite was studied using an optical trinocular microscope with a Euromex ME 2665 digital camera.

Thermogravimetric analysis of yucca composite materials was carried out on TG209F3 Tarsus in ambient air, the temperature increase range was 10 degrees/min, corundum - $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$ was used as a thermally inert substance. Samples were heated from room temperature $250\text{ }^\circ\text{C}$ to $5000\text{ }^\circ\text{C}$.

Development of a biocomposite. Yucca is a perennial, evergreen shrub that develops 1-3 flower stems, each of which up to 70 grams of flowers can be collected. The plant blooms for 20-25 days, then the flowers wither, fall off and remain shiny. It is from this waste that the effective growth and development stimulator Aleksin is created. It is highly soluble in water, biodegradable, harmless, amorphous brown powder.

In order to improve the physical and mechanical properties of the resulting composites, they were modified in the form of an adhesion modifier with tetraethoxysilane. which is a colorless, odorless liquid and is used as a highly effective modifying additive in the production of polymer composites, where its percentage was 5%. In order to improve the technological properties, 5% of the powder obtained from the extraction of Chiaturi mining and processing waste (sludge) was added to the composition of the composite, which ensures accelerated mixing of strong yucca fibers, which manifested itself in a decrease in miscibility time to 1 minute.

Results and Discussion

The resulting samples of the developed biocomposites (Tab. 1.) are characterized by lightness (in the range from 991 to 1178), high compressive strength (41.2-76.6 MPa) and relatively high impact strength (7-12.5 kJ/m²). It should be noted here that the impact strength of the resulting composites with mineral fillers based on isotactic polypropylene does not exceed 7.0 kJ/m², which confirms that in our case yucca fibers are a reinforcing element. With high filling, the water absorption of materials is 2-5%. Modification of these materials with 5% tetraethoxysilane liquid reduced the rate of water absorption by 1.5-2 times, and the strength properties improved by 10-15% [11]. Due to the introduction of 5% powder obtained from the extraction of Chiaturi mining and processing waste (sludge), the physical and mechanical

properties of the composite were preserved, the density increased slightly at high filling and water absorption slightly decreased. But a technological effect appeared - reducing the mixing time to 1.

Table 1. the physical and mechanical properties of the biocomposite.

Nº	Composite	Relative density, kg/m ³	Compression strength, Mpa	Impact viscosity, kJ/m ²	Water absorption, %
Samples	PP + YGF 40 wt %	991	66,0	8,8	0,1
2	PP + YGF 60 wt. %	1090	53,5	9,5	2,0
3	PP + YGF 80 wt. %	1175	41,2	7,7	6,5
4	PP + YGF 40 wt. % modified with TEOS 5 wt. %	1010	76,6	12,0	0,1
5	PP + YGF 60 wt. % modified with TEOS 5 wt. %	1054	56,3	12,5	1,2
6	PP + YGF 80 wt. % modified with TEOS 5 wt. %	1170	45,4	8,9	5,1
7	PP + YGF 55 wt. % modified with powder* 5 wt. %	1060	52,2	8,8	1,5

*Powder obtained as a result of leaching of the residue (sludge) of the Chiaturi mining and processing industry.




Fig. 1. Sample 3. PP + YGF 80 wt. % .

Chemical composition of bioorganic composite materials studied by FTIR spectroscopy. The spectrum without modification of Fig. 1. (cm⁻¹, γ, m.n.), shows the characteristic absorption band of the OH group in the region of 3000–3500 cm⁻¹; The absorption band in the region of 2851, 2920 cm⁻¹ is characteristic of the valence bond of the group –CH₂–; For the stretching vibrations of the C=O bond, a small absorption band is observed in the region of 1739 cm⁻¹ (for unsubstituted reducing polysaccharides, this peak appears in many cases); The region of 1000–1149 cm⁻¹ is

characteristic of the (C-O-C) bond; $1419, 1598\text{ cm}^{-1}$ (CH_{def}); $1241\text{--}1316\text{ cm}^{-1}$ mixture of aliphatic and aromatic nitriles);




Fig. 2. Sample 5. FTIR spectrum of PP + YGF 60 wt.% modified with TEOS 5 wt.%.

The spectrum of Fig. 2. (cm^{-1} , γ , m.n.), The characteristic absorption band of the OH group is observed in the region of $3000\text{--}3500\text{ cm}^{-1}$; The absorption band in the region of $2839, 2874\text{ cm}^{-1}$ is characteristic of the valence bond of the $-\text{CH}_2-$ group (standing at the carbon atom C_6); The absorption band at 2948 cm^{-1} is characteristic of the vinyl ($-\text{CH}=\text{CH}_2$) group; 1373 cm^{-1} (aromatic glass mixture); 1454 cm^{-1} ($-\text{CH}_2$ -propylene); 1620 cm^{-1} ($\text{C}=\text{C}$); Due to the substitution of the allyl group, an overlap occurred, therefore the absorption band of the ($\text{C}=\text{O}$) group is not visible; Nitrile impurities are observed in the regions of 2339 and 2362 cm^{-1} ; A characteristic absorption band of the ($\text{Si}-\text{O}$) bond is observed in the region of 1155 cm^{-1} .




Fig. 3. Sample 6. FTIR spectrum of PP + YGF 80 wt.% modified with TEOS 5 wt.%).

In the FTIR spectrum of the Fig. 3. (cm^{-1} , γ , m.n.), a characteristic absorption band of the OH group can be observed in the region of $3000\text{--}3500\text{ cm}^{-1}$; The absorption band in the region of $2839, 2874\text{ cm}^{-1}$ is characteristic of the valence bond of the $-\text{CH}_2-$ group (standing at the C_6 carbon atom); The absorption band at 2948 cm^{-1} is characteristic of the vinyl group ($-\text{CH}=\text{CH}_2$); 1373 cm^{-1} (a mixture of aromatic glasses); 1454 cm^{-1} ($-\text{CH}_2$ -propylene); $1620\text{--}1680\text{ cm}^{-1}$ ($\text{C}=\text{C}$); Due to the substitution of the aromatic group, an overlap has occurred, so the absorption band of the ($\text{C}=\text{O}$) group is not visible; 2339 and 2362 cm^{-1} regions show impurities of aromatic and aliphatic nitriles; In the region of 1161 cm^{-1} a characteristic absorption bond of the ($\text{Si}-\text{O}$) bond is observed; $900\text{--}1034\text{ cm}^{-1}$ ($\text{C}-\text{O}-\text{C}$); $700\text{--}600\text{ cm}^{-1}$ ($\text{Si}-\text{C}$).

Thermogravimetric analysis of yuca composite of samples 4, 5 materials was carried out on TG209F3 Tarsus in ambient air, the temperature increase range was 10 degrees/min , Samples 4,5 were heated from room temperature $250\text{ }^{\circ}\text{C}$ to $5000\text{ }^{\circ}\text{C}$. The temperature was chosen based on the nature of the yuca biopolymer, since the material is organic, the mass loss of each of them at 500 degrees was about $>90\%$. Thermogravimetric analysis allowed us to study the thermal destruction of "Yucca gloriosa", which is observed by the TG curve. As in the case of sample 4 (PP + YGF 40 wt.% modified with TEOS 5 wt.%), sample 5 (PP + YGF 60 wt.% modified with TEOS 5 wt.%), the material exhibits thermal stability up to 250 degrees , observing the TG curve clearly shows that the main mass loss occurs in the range from 250 to 350 degrees , which reflects the thermo-oxidative destruction of the Yucca material (Fig. 4, 5). This opinion is supported by the DTA curve, which records the exothermic effect ($265, 321\text{ degrees}$). At the peak of the DTA curve (314 degrees), the temperature at which the thermo-oxidative destruction reaction rate was maximum is clearly visible. In the range from 250 to 425 degrees , the initial mass loss of sample 5. was approximately 84% .




Fig. 5. Sample 4. PP + YGF 40 wt.% modified with TEOS 5 wt.%.





Fig. 6. Sample 5. PP + YGF 60 wt.% modified with TEOS 5 wt.%.

The microstructure of the materials was studied using an optical trinocular microscope. As can be seen from Pic. 2. an equal distribution of domains of different sizes in the matrix will appear on the surface. However, small cracks and dents are observed. It should be noted that the temperature regime of composite preparation has less influence on the microgram surface structure.



Picture 2. Sample 5. at 150 °C PP + YGF 60 wt.% modified with TEOS 5 wt.%
Tetraethoxysilylated polypropylene containing biocomposite.

Conclusion

The introduction of „*Yucca glauca*“ in to the polypropylene composition reinforced the composition, increasing the impact strength by 2 times, the high filling (80 %) turned the composite into a biodegradable polymer material, with the introduction of flame retardant. With the introduction of Antipyrène, composites from combustible materials turn into fire-resistant ones, which expands the scope of their use, especially in construction.

Biocomposites obtained through the development of appropriate formulations and technologies will be used to obtain relatively cheap building materials, on the basis of which it will be possible to manufacture products for industrial and household purposes (tiles, decking boards, various small parts). Tiles made from them can be used in the interior of the house: walls, ceilings and floors, as well as in the production of furniture.

New biocomposite materials free from formaldehyde have been obtained - based on renewable plant raw materials and recycled polymers - with improved physical and mechanical properties, high environmental friendliness, simple production technology, meeting modern and international requirements for similar materials.

References:

1. R.C. Sun. Cereal Straw as a Resource for Sustainable Biomaterials and Biofuels: Chemistry, Extractives, Lignins, Hemicelluloses and Cellulose. (2010). *Elsevier*, pp. 300.
2. Roberto Nisticò, Polyethylene terephthalate (PET) in the packaging industry. *J. Polymer Testing*, 2020. Volume 90, 106707.
<https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0142941820310333>
3. Nicola Careddu, Giampaolo Siotto, Riccardo Siotto, Caterina Tilocca. From landfill to water, land and life: The creation of the Centre for stone materials aimed at secondary processing. *J. Resources Policy*, 2013. V. 38(3), P. 258-265.
<https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0301420713000378>
4. Bugoni, L., Krause, L., & Petry, M. V. (2001). Marine debris and human impacts on sea turtles in southern Brazil. *Marine pollution bulletin*, 2001. 42(12), 1330-1334.
<https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0025326X01001473>
5. Petry, M. V., Krüger, L., da Silva Fonseca, V. S., Brummelhaus, J., & da Cruz Piuco, R. Diet and ingestion of synthetics by Cory's Shearwater *Calonectris diomedea* off southern Brazil. *Journal of Ornithology*, 2009. 150(3), 601. [DOI:10.1007/s10336-009-0373-7](https://doi.org/10.1007/s10336-009-0373-7)
6. Jadhav, S. A., Suchithra, P. S., Narute, S. T., Patil, Sh. Sh., Abitha, V. K., Rane, A. V. *Mor. J. Chem.* **2015**, 3(4), 723-729.
https://www.academia.edu/es/73284784/Polymeric_Particle_Board_A_Sustainable_Substitute_to_Wooden_Boards
7. Salthammer, T., Mentese, S., Marutzky, R. Formaldehyde in the Indoor Environment. *Chem Rev.* **2010**, 110(4), 2536-2572. DOI: 10.1021/cr800399g
8. Hamad, K. et al., Effect of Recycling on the Rheological and Mechanical Properties of Poly (Lactic Acid)/Polystyrene Polymer Blend. *Journal of Material Science*, **2011**, 46(9), 3013-3019. [doi:10.1007/s10853-010-5179-8](https://doi.org/10.1007/s10853-010-5179-8)
9. Idris, U.D., Aigbodon, V.S., Gadzama R.M. and Ahmed, T.Y. Suitability of maize cob particles and recycled low-density polyethylene for particleboard manufacturing, *Materials Science, MSAIJ*, **2012**, 8(1), 34.
<https://www.tsijournals.com/articles/suitability-of-maize-cob-particles-and-recycled-low-density-polyethylene-for-particleboard-manufacturing.pdf>

10. Moghaddam, M.K. & Karimi, E. The effect of oxidative bleaching treatment on Yucca fiber for potential composite application. *Cellulose*, **2020**, *27*, 99383-9396. <https://doi.org/10.1007/s10570-020-03433-x>
11. Turkadze, Ts., Gventsadze, D., Mumladze, T., Gorgodze, G., Bochoidze, I. Characterization of Polypropylene Composite Reinforced on Bio-waste from the Production of Tung Oil. Environmental Research, *Engineering and Management*, **2023**, *79*(4), 29–38. ISSN: 1392-1649. [DOI:10.5755/j01.erem.79.4.33393](https://doi.org/10.5755/j01.erem.79.4.33393)

შავი ზღვის ნაპირდაცვა ბუნებრივი ანალოგების გამოყენებით

მელორ ალფენიძე

პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი;

ანა პოლიტკოვსკაიას #61, 0186, თბილისი, საქართველო;

m.alphenidze@sou.edu.ge

აბსტრაქტი. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს (315 კმ) თანამედროვე ავარიული მდგომარეობა ამ 150-200 წლის წინ დაფიქსირდა, აქტიური ნგრევა კი XX ს-ში გამოვლინდა. ნაპირდაცვის რკინა-ბეტონის ნაგებობების მშენებლობამ ნგრევის პროცესი ვერ შეაჩერა: თუ კი 1961 წელს ნაპირების აბრაზია 155 კმ შეადგენდა, 1969 წელს 183, ხოლო 1980 წელს 220 კმ დაფიქსირდა. აბრაზიის აქტივობა ინერციულად დღემდე გრძელდება. სტატიაში დასტურდება ნაპირების დეგრადაციის მიზეზები და მისი შენელების მექანიზმები. სანაპირო ზონის კვლევა ემყარება თანამედროვე ტექტონიკის, ნაპირების ლითოლოგიის, ზღვის დონის რყევისა და ღელვის რეჟიმების, ანთროპოგენური წნეხების ინდიკაციის შედეგებს. აქედან გამომდინარე, განიხილება აბრაზიის ბუნებრივ-ანთროპოგენური მიზეზები და აღდგენა-დაცვა-შენარჩუნების ანალიზი.

კვლევამ გამოავლინა: ნაპირების ნგრევისა და პლაჟების წარცხვის ობიექტური მიზეზები და ნეგატიური შედეგები; ანთროპოგენური წნეხების რაოდენობრივი და თვისებრივი ტრანსფორმაციის სიდიდეები; ნაპირდაცვის არაეფექტური პროექტების რეალიზაციის შედეგები; ნაპირების აღდგენის ინოვაციური მიდგომის უპირატესობა; თავისუფალი პლაჟების შექმნის ეკონომიკური ეფექტურობა; ინოვაციური ნაპირდაცვის ეკოლოგიური და სოციალური მიზანშეწონილობა.

საკვანძო სიტყვები: ნაპირი, აბრაზია, ნაპირდაცვა, თავისუფალი პლაჟი.

BLACK SEA COASTAL DEFENSE BY APPLYING NATURAL ANALOGUES

Melor Alphenidze

Professor, Doctor of Geography, Sokhumi State University;

26 Politkovskaya Street, 0186, Tbilisi, Georgia;

m.alphenidze@sou.edu.ge

Abstract

Discussed: anthropogenic pressures of Black Sea coast abrasion, negative effects of coastal defense structures - provoking beach washes.

Confirmed: a). capital (walls, groyne) buildings: demolition and repair; weak ability to wave resistance; high cost of exploitation; low economic effects; b). discretization of coastal currents, beach washing, shore erosion.

Offered: Mobilization of pebble material on the Gudauta shore, formation of a free beach and episodic filling.

Prognosis: "Resuscitation" of the coastal currents and formation of a stable beach; restoration and maintenance of the shore; protection of resort infrastructure.

Keywords: coast, abrasion, coastal defense, free beach.

შესავალი. ზღვების ბუნებრივი სისტემები რთული ხასიათის მატარებელი არიან, რომელთა არსებობა ნივთიერებათა ნაკადების გენერირებას უკავშირდება. მათი მექანიზმისა და სტრუქტურის მრავალფეროვნება ზღვა-ხმელეთის სისტემის მიჯნაზე - სანაპირო ზონის ფარგლებში ვლინდება. პლანეტის ზღვებისა და ოკეანეების ნაპირებს შთმბეჭდავი (473000 კმ) გავრცელება, დიდი სამეურნეო (სამრეწველო, რეკრეაციული) ღირებულება და სტრატეგიული (თავდაცვა, ნავიგაცია) დანიშნულება გააჩნიათ. ამავდროს, ნაპირების აბიოტური და ბიოტური მდგენელები ენერგო-მასების ენერგეტიკული და დინამიკური ნაკადების ფორმირებას, მექანიკური ენერგიის კონცენტრაციასა და სანაპირო ზონის ელემენტების მობილურობას განაპირობებენ. აქედან გამომდინარე, ნაპირებს ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვთ შემენილი: ა). ზღვა-მდინარე-სანაპირო-ხმელეთის სისტემის შეფასება, ბუნებითსარგებლობის პროექტების შემუშავება და სანაპირო პროცესების მართვა; ბ) ანთროპოგენური საქმიანობის (პოზიტიური და ნეგატიური) გონივრული ანალიზი, სანაპირო ზონის ათვისების ღონისძიებების დაგეგმარება-რეალიზაცია, გონივრული ნაპირდაცვითი პროექტების განხორციელება და კონტროლი.

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო მაღალი სამეურნეო ღირებულების სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენს. მისი თანამედროვე ავარიული მდგომარეობა სახიფათო ტენდენციისაა [1; 4; 17]. ამიტომ, „ზღვა-ნაპირი“ სისტემის სანაპირო „აქვავარემოს“ ბუნებრივი იერსახის შენარჩუნება ერთ-ერთ **აქტუალურ** პრობლემას წარმოადგენს, რომელიც მეცნიერთა და სპეციალისტების ყურადღებას მოითხოვს. ზღვის სანაპირო ზონა საკმაოდ მოწყვლადი ბუნებრივი სისტემაა. ამიტომ, მისი სივრცე-დროითი გარდაქმნები სწრაფად მიმდინარეობს. ნაპირების ტრანსფორმაციაც, ბუნებრივ ფაქტორებთან ერთად (ჰავის ცვლილებები და ზღვის დონის აწევა, ექსტრემალური შტორმები, მდინარეთა ჩამონადენის ვარდნა, თანამედროვე ტექტონიკური მოძრაობანი) ანთროპოგენურ წნეხებთანაა (სანავსადგურო ინფრასტრუქტურა და მდინარეთა ენერგეტიკული რეგულირება, ინერტული მასალის გაზიდვა, არაგონივრული ნაპირდაცვა) დაკავშირებული.

სანაპირო ზონის შიდა ბუნებრივი და ანთროპოგენური იმპულსების ურთიერთ თანაშეხამებათა სისტემური „მოწესრიგებისა“ და ნაპირების ნგრევის (პლაჟების წარცხვის) ტენდენციის ჩამოყალიბების აღქმამ, სანაპირო ზონის იერსახის აღდგენა-შენარჩუნებისა და ეფექტური (გონივრული) დაცვის მისაღწევი მეთოდების შემუშავებასა და, საბოლოო ჯამში, პრობლემის გადაწყვეტას უნდა მოემსახუროს.

საქართველოს შავი ზღვის ნაპირების ოპტიმალური ათვისება და ნაპირდაცვის პრობლემის გადაჭრა ნაკარნახევაა: სანაპირო ზონის შენარჩუნების აუცილებლობით; ხელოვნური თავისუფალი პლაჟების შექმნის - დეფორმირებადი ბუნის (კენჭნარი მასალის ნაპირის ავარიულ უბანზე მობილიზაცია) შექმნა-მშენებლობის აუცილებლობით; ნაპირების ჰომოლოგიურ უბნებზე თავისუფალი პლაჟების ექსტრაპოლაციის მიზანშეწონილობით.

კვლევის მიზანი - სანაპიროების აბრაზიისა და პლაჟების წარცხვის პროცესების ინდიკაცია - ნაპირების ტრანსფორმაციის სივრცე-დროითი სტადიების ფიქსაცია, ხელოვნური პლაჟების ეფექტურობის ანალიზი და რაოდენობრივ-თვისებრივი ცვლილებების შეფასება, ნაპირდაცვის ინოვაციური მეთოდის კრიტერიული ანალიზი.

კვლევის ამოცანები:

1. სანაპიროს ინდიკაცია და ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ინტერპრეტაცია;
2. ტრადიციული ნაპირდაცვის კრიტიკული შეფასება;
3. ინოვაციური (ბუნებრივი ანალოგები) ნაპირდაცვის ანალიზი;
4. თავისუფალი პლაჟის ექსტრაპოლაციის დასაბუთება;

კვლევის მეთოდები:

1. **გეომორფოლოგიური მეთოდით** დასტურდება: ნაპირების ტრანსფორმაციის ფიქსაცია და ინდიკაცია; ანთროპოგენური ფაქტორების გამოვლენა; ტრადიციული ნაპირდაცვის კრიტიკული შეფასება; პლაჟების ალდგენის ექსპერიმენტის შეფასება და მისი ექსტრაპოლაციის ეფექტურობა;
2. **შედარებით-გეოგრაფიული მეთოდით** გამოიკვეთა: ნაპირის დინამიკის რეალური სურათი; ნაპირდაცვის ისტორიული მიდგომების დანერგვის მიზანშეწონილობა;
3. **ექსტრაპოლაციის მეთოდით** შესაძლებელი გახდა წარმატებული ექსპერიმენტის ექსტრაპოლაცია და კრიტერიალური ტრადუქცია;
4. **მრავალფაქტორულმა მეთოდმა** მოიცვა: პლაჟების ინდიკაცია და მათი დინამიკის ანალიზი; მდინარეთა ნაკადების რეგულირების, კაპიტალური ნაგებობების ინერტული მასალის გაზიდვის ანალიზი; ინოვაციური ნაპირდაცვის - თავისუფალი პლაჟის მშენებლობისა და სანაპიროსგასწვრივი ნაკადების რეგულირება-მართვის უპირატესობის დადასტურება.


საწყისი მასალები.

ნაპირების დაცვისა და გონივრული ათვისებისათვის მიზანშეწონილია კლიმატის ცვლილებების გათვალისწინება. ატმოსფეროსა და ოკეანის კლიმატური ფაქტორების კვლევის შედეგების [15, 23] ფიქსაციისა და ანალიზის საფუძველზე დასტურდება: ჰაერის ქვედა ფენის საშუალო ტემპერატურის აწევა; ატმოსფერული ნალექების საშუალო სიდიდის ზრდა; კონტინენტური მყინვარების დნობა და ოკეანის წყლის შევსება; შავი ზღვის დონის შეფარდებითი აწევის ტენდენცია. ცხადია, ზღვის დონის +3,5 მ აწევის შემთხვევაში სანაპირო ზოლის ინგრესიას, საყოველთაო დატბორვა, აქტიური წარეცხვები და კლიფების აბრაზია უნდა გამოეწვიოს.

ფოთის პორტისა და ბათუმის ჰმს-ის მონაცემების ხანგრძლივი (100 წწ) დაკვირვების მონაცემები შემდეგ სურათს იძლევა: 1884-1906 წლებში ზღვის დონის წლიური მაჩვენებელი +0,5-სა და -0,8 შორის მერყეობდა, შემდგომში (1906-1924 წწ) კი უმნიშვნელო ($\pm 0,2$ მმ/წწ) ცვლილებას განიცდიდა. მომდევნო 1924-1940 წლებში ეს სიდიდე +0,35-სა და -0,2 მმ/წწ შორის მერყეობდა, თუმცა აწევის ტენდენცია აშკარად შეიმჩნეოდა. 1940 წლიდან საუკუნის დასასრულამდე ზღვის დონის აწევის ჯამურმა სიდიდემ 70 მმ (0,7 მმ/წწ) შეადგინა.

ბათუმის ჰმს-ის დაკვირვების შედეგები ასეთ სურათს იძლევა: 1920-1966 წწ-ში (46 წწ) ზღვის დონე +0,1-სა და +0,4 შორის მერყეობდა, ხოლო 1966-1994 წლებში +0,55 მმ/წწ გამოდგა.

შავი ზღვის დონის აწევის ტენდენცია დასტურდება საქართველოსა და უკრაინის სანაპიროებზე. თუმცა საფარისებრი და მთიანეთების [23] მყინვარებისა და მსოფლიო ოკეანეს წყალმიმოცვლას შორის სუსტი კავშირები დასტურდება. ასე, 1850-1921 წწ მონაცემებით, შავი ზღვის დონის დაწევის (-3,5 მმ/წწ) ტენდენციასთან ერთად, ვერტიკალური ტექტონიკური დიფერენცირებული მოძრაობის, კონტინენტური ჩამონადენის, ატმოსფერული ნალექებისა და აორთქლების შესაბამისი რეჟიმები ფიქსირდებოდა.



ნახ. 1. შავი ზღვის დონის ცვლილება 1894-2000 წწ. (Джаошвили, 2002).

ამ პოზიციიდან ნათელია, რომ ზღვის დონის რყევის გამომწვევ მიზეზებს [23] შორის განიხილება როგორც სანაპირო ხმელეთის თანამედროვე ტექტონიკური მოძრაობის სივრცითი სხვადასხვაობა, ისე მყინვარების დნობის ხასიათი და ზღვის წყლის მასის ცვლილების სიდიდე. ამასთან, ზღვის დონის შეფარდებითი აწევა ზღვისპირეთის თანამედროვე ტექტონიკური მოძრაობის ნიშნებზეა დამოკიდებული. ამ მხრივ, საქართველოს ფარგლებში გამოყოფენ 1-3 მმ/წწ დიაპაზონის აზეგებისა (განთიადი-გაგრა, მიუსერა-გუდაუთის მარჩხოზი, კინდლი-ოჩამჩირე, სუფსა-ნატანები, მახინჯაური-ციხისძირი, სარფი) და დაძირვის (1-6 მმ/წწ) ტენდენციის (მზიმთა-ფსოუ, ბზიფი-მიუსერა, გუმისთა-კოდორი, ენგური-სუფსა, ციხისძირი-ნატანები, ჭოროხი-ბათუმი) სანაპირო მონაკვეთებს [11]. მათ ფარგლებში სახეზეა ზღვის დონის შეფარდებითი რყევის საერთო სურათი.

ამავე დროს, ნაპირის აბრაზიის ან პლაჟების წარეცხვის ან აკუმულაციის გენერირების ხასიათი, სანაპირო ზონის ბუნებრივი სისტემისა (ზღვა-ნაპირი-მდინარე) და ანთროპოგენური წნეხების (პორტების, ჰეს-ების, ნაპირდაცვის ნაგებობებისა და ინერტული მასალის გაზიდვის) ფაქტორების ურთიერთობა-თანაშეხამების სიდიდეებითაა განსაზღვრული.

XX ს 20-იანი წლებიდან, შავი ზღვის ზედაპირზე ჰაერის ფენის ტემპერატურის ზრდის პირობებში, თავდაპირველად (1926 წ-მდე) წყლის დონის დაწევა, ხოლო შემდგომ მისი აწევის ტენდენცია დაფიქსირდა [23], რაც ჰმს-ის (ვარნა, ოდესა, ოჩაკოვი, ფოთი, ბათუმი, სევასტოპოლი, სინოპი) დაკვირვების ფაქტობრივი მასალებით (ცხრილი 1) დასტურდება.

ცხრილი 1. შავი ზღვის დონის რყევა (Шуйский, Джаошвили, Каплин, Селиванов) მიხედვით.

სადგური	წლები	დონის რყევის სიდიდე		შედარება წინა პერიოდთან
		აწევა მმ/წწ	დაწევა მმ/წწ	
ოჩაკოვი	1874-1924		1,29	

	1925-1949	2,47		2,91 ჯერ მეტი
ოდესა პორტი	1874-1924		1,65	
	1925-1949	2,41		
	1950-1973		4,01	1,7-ჯერ მეტი
	1974-2000		7,23	3,4 ჯერ მეტი
ფოთი	1984-1906	0,5	0,8	1894-1994 წწ 70 მმ
	1906-1924	0,25	0,2	
	1924-1940	0,3-0,4	0,2	
	1940-1994	0,1-0,2	0,1	
	1894-1994	0,7		
ბათუმი	1920-1940	0,15		1920-1994 წწ 35 მმ
	1940-1966	0,1		
	1966-1994	0,5		
	1920-1994	0,3		

მოსალოდნელია, რომ შავი ზღვის დონის კატასტროფული აწევის სიჩქარე მიმდინარე საუკუნეშიც გაგრძელდება, რამაც დაბალი ნაპირების კატასტროფული პასიური დატბორვები, ძირითადი ნაპირების კლიფების აქტიური აბრაზია და სანაპირო რელიეფის აკუმულაციური ფორმების ინტენსიური წარეცხვები უნდა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში, შავი ზღვის სანაპირო ზონაში უნდა ველოდოთ: 1. წყალქვეშა მარჩხოვნების (გუდაუთის, ოჩამჩირის, ციხისძირის, სარფის) ნაპირების უმნიშვნელო რეაგირებას; 2. მდინარეთა (ფსოუ-მზიმთას, ბზიფის, მჭიმთა-ჰიფსთას, გუმისთის, კოდორის, ჭოროხისა და რიონის ახალი კალაპოტის) შესართავებისა და სერა-ბაბა - სოუკ-სუს უბნების პასიურ დატბორვას; 3. სანაპირო დიუნების ხმელეთისაკენ გადაადგილებას; 4. კოლხეთის სანაპიროსა და წყალქვეშა ფერდობის რელიეფის უმნიშვნელო ადაპტაციურ გარდაქმნას; 5. პეტრე-პავლოვსკის, ახალი ათონის, ეშერის მეწყრული პროცესების აქტივიზაციას; 6. კლიფების (მიუსერა, სერა-ბაბა, სოუკ-სუ, მახინჯაური, ციხისძირი, სარფი) აქტიურ აბრაზიას. სცენარების საპროგნოზო მოდელის მიხედვით ნაპირების ნეგატიური გარდაქმნა მოსალოდნელია ინერტული მასალის გაზიდვის, მდინარეთა რეგულირების, ნატანის ნაკადების გაწყვეტისა და არაგონივრული ნაპირდაცვის შემთხვევაში.

კლიმატის გრძელვადიანი (2200 წ-მდე) პროგნოზი შესამჩნევ ცვლილებებს გვპირდება სანაპირო ზოლის მოწყვლად უბნებში. დაბალი სანაპიროების მნიშვნელოვანი დატბორვების (0,09 - 3,9 კმ²) შესახებ მსჯელობენ უკრაინელი და ქართველი მკვლევარები [12, 21]. სანაპირო ზოლის დატბორვის პროგნოზული მაჩვენებელი დამოკიდებულია როგორც დონის რეჟიმსა და სანაპიროს მორფოგრაფიაზე, ისე ანთროპოგენური წნეხების სიდიდეებზე. აქედან, სახეზეა ნაპირების აღდგენა-შენარჩუნების, ეკონომიკური აღმავლობის, სოციალური კეთილდღეობისა და ეკოლოგიური წონასწორობის მიზანშეწონილობა.

ამჟამად, ნაპირების 70 % ავარიულ მდგომარეობაშია. ნაპირდაცვის რეტროსპექტივამ [4] გამოავლინა ნაგებობათა აქტიური სახეების (ბუნა, ტალღამტეხი) არაეფექტურობა. პასიური (კედელი, ბერმა, ფასონური მასივები) გამაგრების დადებითი ეფექტები დადასტურდა სანაპირო მეწყრების პერიმეტრებსა და დაუსახლებელ ფრაგმენტებზე. ამ მხრივ, საქართველოს შავი ზღვის ძირითადი ნაპირების აბრაზიისა და პლაჟების წარეცხვის ათეულობით მიზეზებისა და შედეგებიდან აღსანიშნავია:

I. ნაპირისგასწვრივი დისკრეტული ნაკადები:


1. პორტის მოლოების „ქვედა წარეცხვის“ ეფექტი: ა). **გაგრის ნავმისადგომის** (აშენდა 1901 წ) მოკლე მოლოს მიერ კურორტის სანაპიროს [5] დაცვა, გასულ საუკუნეში, კაპიტალური ძვირადღირებული ნაპირდაცვითი ნაგებობების მშენებლობით ვერ მოხერხდა; ბ). **ოჩამჩირის სამხედრო პორტის** (აშენდა 1934-36 წწ) მოლოს ქარზურგა სანაპირო პერიმეტრზე აბრაზიამ 250-300 მ შეადგინა. მისი შენელების მიზნით ბუნის სერიისა და კედლის გამოყენებას [3, 4, 5] დადებითი შედეგი დღემდე არ მოაქვს; გ). **ფოთის პორტის** (აშენდა 1884 წ) მოლოს მიერ ნაპირის გასწვრივი ნაკადის (მდ. მდ. ენგური-ნატანები) გაწყვეტამ, მიმდებარე (ქარზურგა) ნაპირის კატასტროფული (900 მ-ით) უკან დახევა გამოიწვია. ნაპირის დეგრადაციას აქტიური (ბუნის სერია) და პასიური (ბერმა, დიდი ლოდები) ნაგებობების მშენებლობამ ნაპირდაცვითი ეფექტი ვერ მოიტანა [1]; დ). **ბათუმის პორტის** აკვატორიის დასაცავად, XIX ს-ის 80-ანი წლებში, კონცხის რკალზე 170 მ სიგრძის დეზი [20] ააშენეს, რომლის ქარპირა უბანი სწრაფად (30-40 წწ) შეივსო მდ. ჭოროხის ალუვიონით. ნაპირის ხაზიც წყალქვეშა კანიონის სათავეს მიუახლოვდა და პლაჟის მასალამ ზღვის სიღრმეში გადაინაცვლა. ცხადია, დეზის ქარზურგა რკალზე ნატანის მწვავე დეფიციტი შეიქმნა და პლაჟების წარეცხვაც აქტიურად წარიმართა.

II. აქტიური ნაპირგამაგრების ეფექტები:

1) **ბუნის სერიების** ნაპირდაცვითი ეფექტები: ა). რკინიგზის ლიანდაგის აბრაზიისაგან დაცვის მიზნით სადგური „თხემის“ სანაპირო პერიმეტრის ბუნის სერიით გამაგრებამ, მისი ქარზურგა მონაკვეთის პლაჟის წარეცხვა, ძირითადი ნაპირის დეგრადაცია და ქ. გაგრის კომუნიკაციის ნგრევა გამოიწვია, რომლის ნაპირდაცვას ტალღამტეხის (2 მლნ მანეთი) მშენებლობა დაჭირდა [5, 18]; ბ). **კურ. ძველი გაგრის** ავარიული პერიმეტრის (კურორტის პარკი) ნაპირდაცვითმა ბუნის სერიამ, თავის მხრივ, ქვედა წარეცხვის ინდუცირება მეზობელ 4 კმ-იან უბანზე [1, 2, 4, 18] განახორციელა. ამ ავარიულ უბანზე 38 ბუნისა და კედლის უმედეგო მოწყობა გახდა საჭირო; გ). **გუდაუთისა და ახალი ათონის** სანაპირო მონაკვეთებზე ბუნის მეზობელ უბანზე, ქვედა წარეცხვის ეფექტით პროვოცირებულ ახალი ავარიული მონაკვეთის დაცვას, საბოლოო ჯამში, 132 ახალი ბუნის მშენებლობა დაჭირდა; დ). **სოხუმის ყურეში** ტანკერი „ემბას“ და რკინა-ბეტონის დოკის ჩაძირვა (1942 წ) ღელვის ადგილობრივი რეჟიმის შეცვლისა (დიფრაქცია) და, შესაბამისად, ქ. სოხუმის ბულვარის კატასტროფული ნგრევის [8] მიზეზი გახდა. ნაპირის უკან დახევამ 80 მ შეადგინა. ნაპირდაცვის კედელი ავარიულად დაინგრა, ხოლო ბუნის

მშენებლობამ ქვედა წარეცხვის ეფექტი გამოავლინა. ამჟამად, 2 კმ-იან სანაპიროს ტალღამრეკლავი კედელი და 24 ბუნის სერია იცავს; ე). **ოჩამჩირის სანაპირო** პერიმეტრის ნგრევას თითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვს. ნაპირდაცვის მიზნით გამოყენებული ყოველი ბუნა ახალ ქვედა წარეცხვის პროვოცირების მიზეზი გახდა და მეზობელი მონაკვეთის ნგრევა გამოიწვია. ამჟამად, 60 ბუნისა და კედლის 70 % ამორტიზებულია და თავის ფუნქციას ვერ ასრულებს;


2. **ტალღამტეხების საიმედოობა** და ნაპირდაცვითი ეფექტები: ა). **აქტიური ნაპირდაცვის** გამოყენება დადასტურებულია პეტროპავლოვსკის, ახალი ათონისა და ეშერის მეწყრული უბნების (ნახ. 2) სანაპირო ფრაგმენტებზე. მეწყრული უბნების ნაპირები (თიხის კლიფები) აბრაზია პეტროპავლოვსკის მეწყრულ მონაკვეთზე ბუნისა და ტალღამტეხების მიერ მეტ-ნაკლებად შენელებულია, თუმცა ეშერის მეწყრული უბანი ავარიულ მდგომარეობაში იმყოფება და ნაპირდაცვას მოითხოვს;



ნახ. 2. შავი ზღვის მეწყრული ნაპირი

ბ). **სოხუმის ყურეს უბანზე** რკინიგზის ლიანდაგის დაცვა ამ 70 წლის წინ ტალღამტეხით ცადეს. თუმცა, ეს ნაგებობა სწრაფად დაინგრა და ნაპირის დაცვის ფუნქცია დაქვეითდა. მისი რეანიმაციის მიზნით (1990 წ.), ნაგებობის შიდა სივრცეში, კენჭნარი მასალის (3,5 ათასი მ³) მობილიზაცია განხორციელდა, რასაც ტალღამტეხის შიდა აკვატორიის შევსება და მდგრადი პლაჟის შექმნა უნდა გამოეწვია. თუმცა, მოსალოდნელი ეფექტი ვერ დადასტურდა. პირველივე შტორმის შემდეგ მობილიზებული მასალა ნაპირიდან გაქრა, ტალღამტეხის ნაპირდაცვითი ფუნქცია კი წინა მდგომარეობაში დაბრუნდა.

ექსპერიმენტის არაეფექტურობას ადასტურებენ დაკვირვების ვიზუალური და წყალქვეშა შემოწმების ფაქტები: ა). ნაპირდამცავი ნაგებობის ავარიული მდგომარეობა და შტორმების მიერ ტალღამტეხის შემომზღუდავი ტრავერსიდან წყლის გადმოღენა მის შიდა სივრცეში, „ზედმეტი“ წყლის მიერ, დონის აწევას იწვევდა; ბ). ნაგებობის წყალქვეშა შემოწმებით დადასტურდა ნაგებობის შემომზღუდავი ტრავერსის ფუნდამენტის ძირსა და ზღვის ფსკერს შორის 0,4-0,5 მ სივარცის არსებობა. სავარაუდოდ, ამ სივარცის მეშვეობით, ტალღამტეხის აკვატორიიდან „ზედმეტი“ წყლის უკუდინება პლაჟის მასალის ღია ზღვაში გატანა უნდა გამოიწვიოს. ცხადია, ტალღამტეხის სივრცეში ხელოვნურად მობილიზებული კენჭნარი მასალა, კონსერვაციის ნაცვლად, წყლის უკუდინების მიერ, ღია ზღვაში იქნა გატანილი (ნახ. 3).



დეფორმირებული ტალღამტების „ნაპირდაცვის“ შედეგი.

III. ჰეს-ის აბრაზიული ეფექტები. ა). მდ. ენგური-ჰეს-ის კაშხალის მიერ წყლის ნაკადის გადაკეტვის გამო ნატანის 92 %-ით [12] დაცემის შედეგად შესართავისპირა ნაპირის 5-7 მ/წწ-ით უკან დახევა [1, 12, 16, 8] დაფიქსირდა; ჰეს-ის კაშხლის მშენებლობას უკავშირდება ასევე მდ. ერისწყლის (სარინი არხი) შესართავის უბანზე ნატანის ბალანსის დარღვევა და მდინარის ნატანის (4850 მ³/წწ) მიერ „მოლური ეფექტის“ ფორმირება, ნაპირისგასწვრივი დისკრეტული ნაკადის შექმნა და „ქვედა წარეცხვის“ წარმოქმნა; ბ). მდ. ჭოროხის კალაპოტში ჰეს-ების კასკადის აშენებამ მისი ალუვიონი (2,5 მლნ მ³) 85 %-ით შეამცირა, ნაპირისგასწვრივი ნაკადის მოცულობა (20 000 მ³) გახდა და ნაპირისგასწვრივი ნაკადის შესამჩნევი (25 %) დეფიციტი გამოიწვია [12]. პროგნოზით კი ამ დეფიციტის 95%-მდე ზრდაა მოსალოდნელი. კლიმატის გლობალური ცვლილებებისა და ოკეანის დონის აწევის ფონზე [12, 16, 21, 23], სანაპიროს გონიო-ბათუმის პერიმეტრზე, მოსალოდნელია 50 მ სიგანის წარეცხვა და 40 ჰა პლაჟის ზოლის შთანთქმა. ზღვის დონის 1 მ-ით აწევის შემთხვევაში კი ნაპირის წარეცხვის გაორმაგებას [12, 16, 17, 18] ელოდებიან. გ). დერივაციული გუმისთა-ჰესის მშენებლობა 1934-1948 წლებში მიმდინარეობდა. ის მუშაობს მდინარის ჩამონადენზე და მცირე ზომის წყალსაცავი გააჩნია. 2019 წელს ჰეს-ის სიმძლავრე 19,6 მგტ, გამომუშავება კი 120 მლნ კვტ-სთ შეადგენდა. მდინარის რეგულირება მისი ალუვიონის მოცულობაზე აისახა. მიმდინარე საუკუნეში მდ. გუმისთის პლაჟწარმოქმნელი ფრაქციის მოცულობა 46,0 ათას მ³/წწ შეადგენდა [1, 5, 8, 12, 22], რაც ბუნებრივ რეჟიმში არსებულთან შედარებით 25-30 %-ით ნაკლები იყო. მდ. გუმისთის შესართავის მარცხენა ფრთა წარეცხვას დაექვემდებარა და ზღვის კიდეც 45-50 მ უკან დაიხია [8].

IV. ინერტული მასალის დამუშავება. საქართველოს შავი ზღვისპირეთზე ალუვიონის შემოტანა ბუნებრივ რეჟიმში 11,1 მლნ მ³, ხოლო პლაჟური ფრაქცია 4,65 მლნ მ³ შეადგენდა. გასულ საუკუნეში, მდინარეთა კალაპოტებისა და პლაჟის ინერტული მასალის გაზიდვამ 35 მლნ მ³ შეადგინა [14]. ამჟამად, მდინარეთა ალუვიონის პლაჟური მასალის მოცულობა დაახლოებით 2,0 მლნ მ³-მდე (2,3-ჯერ) დაეცა, რაც ნაპირების აშკარა არამდგრადობაზე აისახა: ნაპირებზე გაჩნდა პლაჟის მწვავე დეფიციტი; დაირღვა სანაპირო ზონის მდგრადობა; განვითარდა პლაჟების აქტიური წარეცხვა და ძირითადი ნაპირების აბრაზია; დაინგრა სანაპირო სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურა; სახეზეა ტურიზმისა და რეკრეაციის ობიექტების არასაიმედო პროგნოზი და სხვ.

სანაპირო ზონის ბალანსის აღდგენას კი 30-35 ათასი მ³ ინერტული მასალის ნაპირზე მობილიზაცია ჭირდება, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია;


V. მდინარეთა შესართავების ხელოვნური რეგულირება: შესართავისპირა უბნებისა და გამოზიდვის კონუსების ხელოვნური ტრანსფორმაცია უშუალო ვლინდება მიმდებარე პლაჟებსა და ნაპირებზე: ა). **მდ. რიონის** შესართავის უბანზე ქ. ფოთის დატბორვის აცილების მიზნით, გამანაწილებელი - რაბის მშენებლობამ (1939 წ) და მდ. რიონის ახალ კალაპოტში მოქცევამ, ძველი დელტის უბანზე პლაჟის წარეცხვა და ნაპირის კატასტროფული ნგრევა გამოიწვია. ნაპირდაცვა (დამბა, ბუნა) უშედეგო გამოდგა, თუმცა მან დიდი ხარჯი მოითხოვა; ბ). **ბიჭვინთის** ყურეს დასავლური ფრთის შედარებით სტაბილური პლაჟის ტალღების შემხეფების დიუნებზე, მაღლივი კორპუსების განთავსებას სწრაფი ნგრევა მოყვა: 1968-1969 წწ-ის შტორმების (h=9-10 მ) ზვირთცემის ნაკადმა პლაჟი წარეცხა, ტალღამრიდი კედელი დაანგრია, ბიჭვინთის მაღლივ კორპუსებს წალეკვით დაემუქრა. კატასტროფის მიზეზი კი ნაპირების ათვისების არაგონივრულ პროექტის განხორციელება იყო: კაპიტალური კორპუსების მშენებლობა სანაპიროს აშკარად მოწყვლად უბანზე - ტალღების შემხეფებისა და ზვირთცემის ნაკადის ზოლში; გ). **მდ. ზზიფის** შესართავის უბანზე, სათავო ნაგებობის დაცვა ბეტონის დამბას უნდა შეესრულებინა. ამ მიდგომით კალაპოტის „რეგულირებამ“, წყლის ნაკადის შეცვლა და „მოლური ეფექტის“ გამოწვევამ, ნაპირზე მწვავე დეფიციტი შექმნა განაპირობა. პლაჟის მასალის დანაკარგმა 500 ათასი მ³ შეადგინა, სანაპირო ხაზმა 100-120 მ-ით უკან დაიხია. ნაპირდაცვას 300 000 მ³ კენჭნარი მასალის მობილიზაცია და ცელას რეგულირების საინჟინრო საქმიანობა დაჭირდა.

ამდენად, ზღვის ნაპირების განვითარების 1,5 საუკუნის ისტორია აშკარად აჩვენებს როგორც არაგონივრული სამეურნეო საქმიანობის ნეგატიურ შედეგებს [4], ისე მათი შერბილების ღონისძიებების - კაპიტალური ნაპირდაცვითი ნაგებობების ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ არაეფექტურობას.

ინოვაციური ნაპირდაცვა. ამჟამად, ნაპირდაცვის პრაქტიკაში პრიორიტეტი ხელოვნური პლაჟების რეალიზაციას ენიჭება. თავისუფალი პლაჟი იცავს აშშ-ის, ესპანეთის, გერმანიის, ბრიტანეთის, საქართველოს ნაპირებს [4, 13, 16, 17]. თეორიულად დადასტურდა თავისუფალი პლაჟის ექსპერიმენტის ჰომოლოგიურ ნაპირზე შესაძლო ექსტრაპოლაცია [5] და ავარიულ ნაპირზე ეფექტური ინოვაციის უპირატესობა [2, 3]. ხელოვნური პლაჟების ხანგრძლივი ექსპლუატაცია აშკარად აჩვენებს მათ დადებით ეფექტებს: ნაპირდაცვის ხარჯების შემცირება; დეფიციტური სამშენებლო მასალების (ცემენტი, ლითონი) ეკონომია; კაპიტალური რემონტის დაბალი ხარჯები; პლაჟის აქტიური ბალანსი და აღდგენა; ქვედა წარეცხვების მინიმიზაცია; სანაპირო ნაკადების მართვა და რეგულირება; ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება; სანაპიროს იერ-სახის გაუმჯობესება და სხვ.

ნაპირდაცვის მსგავსი მიდგომა შესაძლებელია ასევე გუდაუთის ყურეს სანაპირო პერიმეტრზე, რომელიც რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ნაგებობებითა გარშემორტყმული და შეუფერებელი საკურორტო ინფრასტრუქტურასთან. გუდაუთის სანაპირო ზონა ფსკერული ნატანის კვების რეჟიმით ხასიათდება [9]. თუმცა, მწვავე დეფიციტის ნაპირისგასწვრივი ნაკადი ვერ უზრუნველყოფს როგორც პლაჟის წარეცხვასა და ნაპირის აბრაზიას, ისე თვით ნაპირდაცვითი ნაგებობების მდგრადობას. ნაპირის სტაბილიზაციის მიზნით ხელოვნური პლაჟის შექმნა და კენჭნარი მასალის „დეფორმირებადი ბუნის“ მშენებლობა მიზანშეწონილია გუდაუთის ყურესა და სოუკ-სუს მომიჯნავე უბანზე (ნახ. 4). ამ პროექტის განხორციელების დადებითი ეფექტია:

სანაპირო ზოლის აღდგენა და საკურორტო მოლის კეთილმოწყობის მიღწევა; კაპიტალური ნაგებობების „განამარხება“ პლაჟის მასალის მიერ; ტურისტების მოზიდვის ხელსაყრელი ფაქტორის შექმნა და სხვ. პროექტის რეალიზაციის შემავერებელ ფაქტორს პლაჟის მასალის კარიერის უქონლობა წარმოადგენს.



ნახ. 4. გუდაუთის სანაპიროს დაცვა თავისუფალი პლაჟით

ამრიგად, ნაპირდაცვითი კაპიტალური ნაგებობების რეალიზაციამ აჩვენა: სწრაფი ნგრევა და ხშირი რემონტი; ტალღის ენერგიის შთანთქმის სუსტი უნარი; ნაპირისგასწვრივი ნაკადების დისკრეტულობა; სანაპიროს იერ-სახისა და ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის დამახინჯება; სამშენებლო-საექსპლუატაციო სამუშაოთა დაბალი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტურობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალფენიძე მ., ლომთათიძე ზ. შავი ზღვა: აბიოტური და ბიოტური პროსესების დინამიკა. 2016, თბ.- 312 გვ.
2. ალფენიძე მ. შავი ზღვის ნაპირდაცვა რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით და ნეგატიური შედეგები. სსუ შრ. XVII, 2018, გვ. 100-107
3. ალფენიძე მ. თავისუფალი ხელოვნური პლაჟის შექმნა ოჩამჩირის ნაპირზე. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, კონფერენციის მასალები (2016-2017 წწ), თბილისი - 2018. - 46-57 გვ.
4. ალფენიძე მ. ზღვების ნაპირდაცვის რეტროსპექცია. საქართველოს ალ. ჯავახიშვილის გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, ახალი სერია, IV (XXII), თბ., 2024. - 55-74 გვ.
5. Alpenidze and other. Georgia Black Sea Coast Protection with Free Beaches. Journal of Geoscience and Environment Protection. Vol.06. No. 05, 2018; PP. 151-167.
6. Bird E. Coastal Geomorphology. Second Edition. New Delhi, 2008. - 411 p.
7. Zenkovich V. P., Maurice L. Schwartz. Protecting the Black Sea. Georgian SSR Gravel Coast. Journal of Coastal Research. Vol. 3. N 2, 1987, pp. 201-209.
8. Алпенидзе М. Д. О новейших изменениях береговой линии Сухумского района. Сообщ. АН ГССР, 1978, т. 90, № 3, с. 397-399
9. Алпенидзе М. Д. Донное питание вдольберегового потока наносов //Геоморфология. 1985. №2. С. 65-70.

10. Айбулатов Н. А., Кочергин А.Д, Создание искусственных свободных пляжей в Геленджикской бухте. Изв. Сев. Кавк. Научн. Центр. Высш. Школа. Сер. Естествен. Наук. 1983, № 2, -101 с.
11. Джанджгава К. И. Инженерная геология шельфовой зоны и побережья Черного моря в пределах Кавказа. Изд.,»Месниереба», Тбилиси, 1979.-216 с.
12. Джаошвили Ш.В. Реки Черного моря. Тбилиси, Европейское агенство по охране окружающей среды. 2003.- 58 с.
13. Зенкович В. П. Из зарубежного опыта морской берегозащиты.в сб., Природные основы берег защиты. М., Наука. 1987. с. 149-153.
14. Кавтарадзе П.Я. География промышленности строительных материалов Грузинской ССР. Дисс..., кгн, Тб., 1974. -24 с.
15. Каплин П.А., Селиванов А.О. Изменения уровня морей России и развитие берегов: прошлое, настоящее, будущее. 1999. М.: ГЕОС – 299 с.
16. Кикнадзе А. Г., Меладзе, Ф. Г., Сакварелидзе, В. В. От берегоукрепления к регулированию процессов берегоформирования. Проблемы развития морских берегов: ИО АН СССР, Москва, 1989. с. 97 – 107
17. Меладзе Ф.Г. Инженерные решения защиты морских берегов. 1993. Тбилиси. - 208 с.
18. Пешков А. М. Галечные пляжи неприливых морей. Основные проблемы теории и практики. Краснодар, 2005. – 444 с
19. Сафьянов Г. А. Береговая зона океана в веке. М.: Мысль, 1978. – 263 с.
20. Свищевский Д. Разрушение морского берега у г.Батуми, как явление общее для восточного побережья Черного моря. Известия Государственного Географического общества. т.LXXII – выпуск 5. Ленинград 1939 г. ст. 658-689;
21. Шуйский Ю. Д. Оценка состояния берегов Черного моря в течение ближайших десятилетий. Екологічні проблеми Чорного моря: Зб.наук.праць, 2001. вип. 3. 367-373;
22. Шуйский Ю. Д. Портовые сооружения и их влияния на береговую зону Черного моря. Вісник Одеського національного університету. Географічні та геологічні науки. Вип. 2 (35), Т. 24. 2019. С. 53 – 83.
23. Шуйский Ю. Д. Практические приложения в береговедении. Одесса: 2022. – 300 с.

რაჭის ქედის კარსტის კვლევის პერსპექტივები

მერაბ გონგაძე

გეოგრაფიის დოქტორი, თსუ-ს გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

merabgongadze@gmail.com

გიორგი ლომინაძე

გეოგრაფიის დოქტორი, თსუ-ს გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თამჯდომარე

g_lomin@hotmail.com

გიორგი ხომერიკი

თსუ-ს გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი

giorgi.khomeriki@tsu.ge

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია რაჭის კირქვული ქედის ზედაპირული და მიწისქვეშა კარსტის კვლევის სამომავლო პერსპექტივები: რელიეფის თავისებურებები, მისი კვლევის ძირითადი მიმართულებები და მეთოდика. ქედის წარმოქმნა უმთავრესად გეოლოგიურ-ტექტონიკურმა და ლითოლოგიურმა აგებულებამ განაპირობა, რასაც თან ერთვოდა ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენა. შედეგი გამოიხატა საშუალო და მაღალმთიანი რელიეფის, ხშირი ეროზიული ქსელისა და მრავალგვარი კარსტული ფორმების განვითარებით. მდინარეთა ქსელი გარკვეულწილად მისადაგებულია რღვევებთან, ხოლო ურგონულმა კირქვებმა, დოლომიტებმა და სხვა წყლისადმი დამყოლმა ქანებმა ღრმა, ციცაბოკალთებიანი ხეობების ჩამოყალიბება განაპირობა. აქ, უმთავრეს ეროზიულ მოქმედებას კრიხულა, ხოტეურა, შარაულა და მათი მრავალრიცხოვანი შენაკადები აწარმოებენ. ამავე მიზეზით ხიხამთის კირქვულ მასივზე, შაორის ქვაბულში, ნაქერალას ქედზე, ინტენსიურად ვითარდება კარსტული პროცესები, რომლებიც ვლინდება როგორც მიწისზედა, ასევე მიწისქვეშა ფორმებით. მდინარეთა ხეობებში კარსტული პონორებისა და ვოკლუზების სიმრავლე მეტყველებს წყლის მიერ კირქვებში გამომუშავებული სიღრუეების - ხვრელების, გვირაბების, მღვიმეების განტოტვილი ქსელის განვითარებაზე. რაჭის ქედზე არსებული მრავალრიცხოვანი ზედაპირული კარსტული ფორმების (პოლიეები და მათში განვითარებული ძაბრები, ჭები, ნაპრალები) საშუალებით ქედის სქელშრეებრივ კირქვებში დიდი რაოდენობით ზედაპირული - წვიმის, ნადნობი თოვლის, მცირე ღელეებისა და ნაკადულების წყლები იჟონება, რასაც მოჰყვება ინტენსიური კარსტული დენუდაცია და შედეგად მიწისქვეშა სიცარიელების გამომუშავება. ყველა ამ მონაცემის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ რაჭის ქედის კირქვულ - კარსტული მასივი ძალზე რთულ და განტოტვილ მიწისქვეშა სიღრუეთა სისტემას შეიცავს, რომელიც ხანგრძლივ და კომპლექსურ გეომორფოლოგიურ, გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ და გეოფიზიკურ შესწავლას ითხოვს.

RACHA RIDGE KARST AND ITS RESEARCH PERSPECTIVE

Merab Gongadze

Doctor of Geography, Senior Scientist at the Institute of Geography at TSU, Associate Professor of the Department of Geography at Sokhumi State University

merabgongadze@gmail.com

Giorgi Lominadze

Doctor of Geography, Head of the Department of Geomorphology-Geoecology of the Institute of Geography at TSU, Chairman of the Scientific Council of the Institute

g_lomin@hotmail.com

Giorgi Khomeriki

Researcher at the Vakhushti Bagrationi Institute of Geography at the Tbilisi State University

giorgi.khomeriki@tsu.ge

Abstract. The article examines the future perspectives of research of the surface and underground karst of the Racha limestone Mountain Range: relief particularities, main directions of its research and methodology. Appearing of the mountain range was conditioned mainly by geological-tectonic and lithological structure, to which was added impact of the exogenous factors. The result was expressed in developing of alpine relief, dense erosive network and multivarious karstic forms. The rivers' network to some extent is adapted to breakdowns, and Urgonian limestones, dolomites and other rocks, non-resistant to water, conditioned formation of deep, steep-sloped valleys. Here the rivers Krikhula, Khoteura, Sharaula and their numerous tributaries conduct main erosive activities. Because of the same reason on the limestone massif of Kikhamta, Shaori Caverne, Nakerala Range are intensively developing karstic processes, which are manifested in both, surface and underground forms. The abundance of karstic ponors and vaucluses in the river valleys is testimony to the development of multiramouse network of cavities – holes, tunnels, and caves, produced by water in the limestones. By means of numerous surface karstic forms (polieebi and developed in them sinks, wells, crevices), located on the Racha Mountain Range, a great amount of surface water (rain, melted snow, creeks, streams), is leaking in the thick layers of the range lime stones, resulting in intense karstic denudation and in consequence – production of underground hollows. Taking into consideration all these data, we can presume that the limestone-karstic massif of the Racha Mountain Range contains a very complicated and multiramouse system of underground cavities, which requires long and complex geomorphological, geological, hydrogeological and geophysical study.

Keywords: Karst, caves, ponors, vaucluses, river valleys, geomorphological study.

შესავალი

რაჭის ქედის კარსტული ფორმების გამოვლენა და მათი გონივრული ათვისება სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენს. თუ კარსტულ-სპელეოლოგიური გამოკვლევების შედეგად აღმოჩენილი ახალი კარსტული ობიექტები მიიქცევენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო სტრუქტურების ყურადღებას, ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რაჭის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის გონივრულად გამოყენებას. სწორედ ესაა ის უმნიშვნელოვანესი მიზანი, რისთვისაც წარმოდგენილი სტატია შეიქმნა.

კვლევის საგანი, მასალები და მეთოდები

კვლევის საგანს წარმოადგენს რაჭის კირქვული მასივის ზედაპირული და მიწისქვეშა კარსტი, რაც მოიცავს კირქვული მასივის ზოგად ხასიათს, ცალკეული

კარსტული ფორმების (მღვიმეების, ვოკლუზების, ძაბრების, ჭების, ტრავერტინების და სხვ.) მორფოლოგიასა და ჰიდროლოგიას. გამოყენებული იყო ლიტერატურული, კარტოგრაფიული, საფონდო მასალების კამერალური დამუშავების, გაანალიზების და საველე კვლევის მეთოდები. საველე კვლევებისას გამოვიყენეთ გეომორფოლოგიური და გეოლოგიური მეთოდები, კერძოდ, მორფოლოგიური მეთოდით გამოვლინდა ტერიტორიის ძირითადი კარსტული ფორმები, მათი მოყვანილობა და განლაგება. მორფომეტრიული მეთოდის გამოყენებით დადგინდა ამ ფორმების ზომები, ხოლო მორფოსტრუქტურულმა მეთოდმა რელიეფის კარსტული ფორმებისა და გეოლოგიური სტრუქტურების ურთიერთკავშირების გარკვევის საშუალება მოგვცა. გამოყენებული იყო ასევე რიგი გეოლოგიური მეთოდებისა: მასალის ლითოლოგიური ანალიზი, დანალექი შრეების წარმოქმნის თანამიმდევრობის გარკვევა, მასალის გრანულომეტრიისა და დამრგვალების ხარისხის შესწავლა. ამ მეთოდებით ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე გაკეთდა ის დასკვნები, რომლებიც სტატიის ბოლოშია მოცემული.

კვლევის შედეგები და განხილვა


საქართველოს კირქვული ზოლი უწყვეტადაა გადაჭიმული აფხაზეთიდან სამაჩაბლომდე. ყველაზე განიერი იგი რაჭაშია და კარსტული პროცესების ფართო გავრცელებით გამოირჩევა. გეომორფოლოგიური დარაიონების სხვადასხვა სქემების მიხედვით ეს რეგიონი მიეკუთვნება სამხრეთ-დასავლეთ კავკასიონის კირქვულ-კარსტულ მხარეს, უფრო ზუსტად კი – რაჭის ქედის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთს მოიცავს.

რელიეფის განვითარების გასაანალიზებლად აუცილებელია მიმოვიხილოთ რაჭის ქედის ამ ნაწილის ტექტონიკური და გეოლოგიური აგებულება, აგრეთვე ოროგრაფიული მდგომარეობა. რაჭის ქედის ამ მონაკვეთის ყველაზე მაღალ წერტილს ხიხამთა წარმოადგენს (2240 მ ზღვის დონიდან). მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მთა ველტყევია (1922 მ), სამხრეთისკენ ქედის თხემი ციცაბოდ დაბლდება სხვაგვარად დასასვლელისაკენ (1185 მ). რაჭის ქედის ამ მონაკვეთის განშტოებები ასიმეტრიულად არიან განვითარებული – შაორის ქვაბულისკენ მიმართული ფერდობები ფლატეებს ქმნიან, ხოლო ჩრდილო-დასავლეთი მხარე დამრეცადაა დაქანებული.

გეოლოგიურად რეგიონი ძირითადად ქვედა ცარცული კირქვებით, დოლომიტებით, მერგელებით და ქვიშაქვებითაა აგებული. ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ პერიფერიებზე ზედაპირზე შიშვლდება შესაბამისად აპტურ-ალბური ასაკის თიხები, მერგელები, მერგელური კირქვები, ზედა ცარცი-ეოცენის კირქვები, მერგელები, თიხები, ქვიშაქვები [1]. თვით რაჭის ქედი მძლავრ ანტიკლინს წარმოადგენს, რომელიც შაორის ქვაბულიდან შქმერამდე გრძელდება. ქედის თხემი ანტიკლინის ჩრდილო ფრთას მიუყვება, ხოლო სამხრეთი ფრთა ეროზია-დენუდაციითაა გადარეცხილი. უფრო ჩრდილოეთით ვრცელდება ლემანეულის ანტიკლინი, რომელიც ამბროლაურთან იძირება, ხოლო საპირისპირო – დასავლეთის მხრიდან, უერთდება რაჭის ანტიკლინს. ამ ორ ანტიკლინს შორის ვრცელდება ხოტევის სინკლინი, რომლის ღერძი აღმოსავლეთით იძირება, ხოლო დასავლეთით მისი ნაოჭები იკარგება ანტიკლინურ შრეებს შორის. რეგიონი დაქსელილია პლიკატური და დიზუნქტიური დისლოკაციებით. ლემანეულის ანტიკლინი ჩრდილოეთით ისაზღვრება განედური შესხლეტვით, რომელიც იწყება სოფ. ხონჭიორის აღმოსავლეთით და ციცაბო ფლექსურით გამოიხატება. სოფ. ქედისუბნიდან რღვევით აწეულია სამხრეთული ფრთა,

შემდეგ კი რღვევა გადის ადგილ ქვაფუტკარისა და იწის მიდამოებში. აქ, მდ. რიონის გასწვრივ გამოშავალ სარმატული ქვიშაქვებიდან რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლეზე ზედა ცარცული შრეები შიშვლდება [4]. აღმოსავლეთით ეს ტექტონიკური ხაზი კარგად ჩანს სოფელ კრიხთან, სადაც შეცოცება ადგილს უთმობს ფლექსურულ რღვევას და რელიეფში 7-8 მ სიგანისა და 100-120 მ სიმაღლის გაჭიმვის ნაპრალითაა გამოხატული. ეს რღვევა შემდეგ გადის სოფ. სხვავის ჩრდილოეთით 1175 მ-ის სიმაღლეზე და გრძელდება სოფ. ზედა ბარის აღმოსავლეთით. ამ ტექტონიკურ დისლოკაციაში ჰორიზონტული გადაადგილება მიმართულია ჩრდილოეთით, ხოლო ვერტიკალური მოძრაობის მიმართულება იზრდება აღმოსავლეთით. ველტყევის სამხრეთ-დასავლეთით იწყება გარდიგარმო რღვევა, რომელიც მიემართება სოფ. ველევისაკენ და კვეთს შაორის ქვაბულს. აეროკოსმოსური ფოტოსურათების დეშიფრირების შედეგად იკვეთება ორი ურთიერთგადამკვეთი რღვევა, რომელიც ერთმანეთს ამბროლაურსა და სხვავას შორის ხვდება. ერთი მათგანი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ მიემართება, მეორეს კი მას დიაგონალურად კვეთს და შაორის ქვაბულიდან სხვავა-ბარის გასწვრივ ვითარდება. ამ ტექტონიკური დისლოკაციების ასაკი სავარაუდოდ პლიოცენით თარიღდება [5].

რაჭის ქედის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის რელიეფის განვითარება უმთავრესად გეოლოგიურ-ტექტონიკურმა და ლითოლოგიურმა აგებულებამ განაპირობა. ეს გამოიხატა ხშირი ეროზიული ქსელის განვითარებით, რომელიც გარკვეულწილად მისადაგებულია რღვევებთან, ხოლო ურგონულმა კირქვებმა, დოლომიტებმა და სხვა წყლისადმი დამყოლმა ქანებმა ღრმა, ციცაბოკალთებიანი ხეობების ჩამოყალიბება განაპირობა. უმთავრეს ეროზიულ მოქმედებას აქ კრიხულა, ხოტევეურა, შარაულა და მათი მრავალრიცხოვანი შენაკადები აწარმოებენ. მათ მიზეზით ხიხამთის კირქვულ მასივზე, შაორის ქვაბულში, ნაქერალას ქედზე ინტენსიურად ვითარდება კარსტული პროცესები, რომლებიც ვლინდება როგორც მიწისზედა, ასევე მიწისქვეშა ფორმებით.



სურ. 1. სხვავის საყინულეს შესასვლელი.

ამ ადგილების კარსტული ფორმები მრავალ მკვლევარს აქვს აღწერილი (ვახუშტი ბატონიშვილი, შალვა ყიფიანი, დავით წერეთელი და სხვები). ცალკე უნდა აღინიშნოს ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – ში მოყვანილი ცნობები შაორისა და სხვაგვას ყინულოვან მღვიმეებზე, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს მათ „საყინულეებზე“. . . . “კვალად კრიხულას ერთვის კრიხს ზეით, სხოვის ხევი, დის სამხრიდან ჩრდილოთ. ამ ხევზედ არს ორმო დიდი, ვრცელი და ღრმა, რომელსა შინა დის წყარო, და ვერ გაჰყინავს ზამთარს, არამედ ზაფხულს ჰყინავს სრულიად, რომელი ამოუვლელი არს, რაოდენიცა სჭრას მრავალმან, კაცმან” [2]. ვახუშტი ბატონიშვილი აქ აღწერს სხვაგვის საყინულეს, რომელიც ამავე სახელწოდების სოფლის სამხრეთით, ხიხამთის მასივზე 1300 მ სიმაღლეზე მდებარეობს (სურ. 1). მღვიმე ქვედაცარცულ კირქვებშია გამომუშავებული და უსწორმასწორო ფსკერის მქონე ღია ორმოა, სადაც კლდეში გაჩენილი ნაპრაღის შიგნით, 12-13 მ-ის მოშორებით გაჩენილია ყინულის სვეტები, სიმაღლით 5 და 8 მ. მღვიმეში ტემპერატურა იცვლება სეზონურად და ყოველდღიურადაც. შესასვლელთან, ივლისში 18-20° –ია, ხოლო სიღრმეში 2°–მდე ეცემა. ზამთრის ცივი ჰაერის ჩადინება აქ გრუნტის წყლების გაყინვას იწვევს, რომლებიც მღვიმის ჩრდ. ნაწილში გროვდება. გაზაფხულზე ჰაერის მოძრაობის და ტემპერატურის ცვალებადობის შედეგად ყინული დნება, მაგრამ ზამთრის უარყოფითი ტემპერატურების მეშვეობით წყალი ისევ იყინება.



სურ. 2. კარსტული უფსკრული („სასულე“) ხიხამთის მთაზე.

ხიხამთის კირქვული მასივი ვრცელდება სოფ. შქმერიდან სოფ. კრიხამდე. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იგი შემოფარგლულია რაჭის ქედის თხემით (საწალიკემდე), ხოლო ჩრდილო-დასავლეთიდან სოფ. სხვაგვის მთით, რომელიც აღმართულია რიონისა და კრიხულას ხეობებს შორის. ეს უკანასკნელი სოფ. სხვაგვსთან იღებს სათავეს უხვწყლიანი ვოკლუზის სახით, საიდანაც, ფაქტიურად მთელი ეს მდინარე გამოედინება. აქვე ვოკლუზთან, 25 მ-ის სიმაღლის ჩანჩქერით სამხრეთიდან მას უერთდება მოზრდილი მდინარე, რომელიც შ. ყიფიანს თავის ნაშრომში მდ. ველევურას სახელწოდებით აქვს მოხსენიებული [3]. ვოკლუზთანვე კრიხულას ჩრდილო, მარჯვენა მხრიდან უერთდება

პატარა მდინარე, რომელსაც ადგილობრივები ჭალას უწოდებენ, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილს მას „სხოვის ხევად“ იხსენიებს. მისი ზედაპირიდან ხიხამთის მწვერვალამდე შეფარდებითი სიმაღლე 650 მ-ია, ხოლო მდ. ჭალას, რომელიც სოფ. ფუტიეთის მიდამოებიდან იღებს სათავეს, რამდენიმე ათეული მეტრი სიღრმის კანიონისებური ხეობა აქვს გამომუშავებული. მდინარე ურგონულ, მსხვილშრობრივ კირქვებში ჭრის თავის კალაპოტს და მისი ფსკერი მრავალრიცხოვანი პონორებითაა დახვრეტილი. თვით ხიხამთის მასივი ზედაპირული კარსტული ფორმების სიჭარბით გამოირჩევა. გარდა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღწერილი „სხოვის საყინულისა“ აქ მრავლადაა კარსტული ეხები, ძაბრები და ჭები - ე.წ. „სასულეები“, როგორც მათ ადგილობრივი მოსახლეები უწოდებენ (სურ. 2).

1970 წლის ზაფხულში სტატიის ერთერთმა ავტორმა და თსუს დოცენტმა შ. ყიფიანმა მოინახულეს და აღწერეს რამდენიმე მათგანი. შედეგად „საყინულე“ საქართველოში წითელი წიგნის არაორგანული ბუნების ძეგლების ნუსხაში მოხვდა, ხოლო 2008 წელს გამოსულ საყმაწვილო ენციკლოპედიის IX ტომში „საყინულე“, „სასულე“ და საერთოდ ხიხამთის მასივი შევიდა, როგორც საქართველოს ბუნების უნიკალური ძეგლი. ამის საფუძველს იძლევა 2006 წელს სტატიის ერთერთი ავტორისა და კ. წიქარიშვილის მიერ ჩატარებული გამოკვლევები, რამაც დაგვანახა, რომ ხიხამთის სახით გამორჩეულ კარსტულ სისტემებთან გვაქვს საქმე [4]. ზემოთაღნიშნული გამოკვლევების დროს, მიწისძვრის და ხშირის წვიმების შედეგად ჩამოსულმა მეწყერულმა სხეულმა კრიხულას ვოკლუზიდან 1,5 კმ-ით ზევით მდ. ჭალა გადაკეტა და მცირე ტბა გაჩნდა. წყალი თანდათან მატულობდა, რამაც ტბიდან რამდენიმე ასეული მეტრის აყოლებით გაზარდა წნევა-დაწოლა კალაპოტზე. შედეგად მდინარის ნატანით ამოვსებული პონორები გაიხსნა და მდინარემ მიწისქვეშა სადინარით გააგრძელა გზა კრიხულას ვოკლუზამდე, ანუ თავის ეროზიის ბაზისამდე. მდ. ჭალაზე სხვაველებს რამდენიმე წისქვილი აქვთ გამართული, რომლებიც უწყლოდ დარჩნენ. მოსახლეობამ წისქვილების ზევით პონორები ამოავსო და წყალმა წისქვილებამდე ისევ ზედაპირზე იწყო დენა. მათს ქვევითაც, დროთა განმავლობაში მდინარის ნატანი ისევ ამოავსებს პონორებს და წყალიც ზედაპირზე იდენს. მაგრამ, მთავარია ის, რომ ამ მოვლენებმა დაგვანახეს, თუ რა განვითარებული მიწისქვეშა სადინარი აქვს ამ პატარა მდინარეს. აღარაფერს ვამბობთ თვით კრიხულაზე, რომელიც მიწისქვეშაიდან საკმაოდ დიდი ნაკადის სახით გამოდის და ამბროლაურთან უერთდება რიონს.

2018 წლის ივნისში მოეწყო ხიხამთის კირქვული მასივის კარსტის შემსწავლელი ექსპედიცია, რომელშიც ერთობლივად მონაწილეობდნენ ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიისა და გეოეკოლოგიის განყოფილების თანამშრომლები – გიორგი ლომინაძე, მერაბ გონგაძე, ლაშა ასანიძე და სპელეოლოგები საფრანგეთიდან და ბელგიიდან, რომელთაც ლიეჟის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილიპ პიკარდი ხელმძღვანელობდა. უნდა აღინიშნოს, რომ სპელეოლოგთა ეს ჯგუფი რამდენიმე წელია თანამშრომლობს ქართველ სპელეოლოგებთან და შესწავლილი აქვთ სამეგრელოსა და იმერეთის კირქვული მასივები. ჯერ კიდევ 1979 წელს დაიდო დამძოვილების ხელშეკრულება ნანტს, სენ-ჰერბლანის და თბილისს შორის. 1980 წელს დამყარდა კონტაქტები სენ-ჰერბლანის სპელეოკლუბსა და სოფიის გეოგრაფიის ინსტიტუტს შორის, რასაც მოყვა კონტაქტები ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგებთან [6]. 1991 წლის აგვისტოდან ეს კონტაქტები გამყარდა და სენ-ჰერბლანის სპელეოკლუბისა და ქართველი სპელეოლოგების ერთობლივი

ექსპედიციები ტარდებოდა როგორც საქართველოს, ასევე საფრანგეთის კარსტულ რეგიონებში.

რაჭის ქედის კარსტის გასაცნობად ფრანგი სპელეოლოგები 2017 წლის ოქტომბერში ჩამოვიდნენ და კველვითი საქმიანობა სოფ. სხვაჟიდან დაიწყეს. მათ, ადგილობრივი გამყოლის საშუალებით, მოინახულეს ხიხათის კირქვული მასივი, სხვაჟის ცნობილი საყინულე და კარსტული ჭები, მათ შორის “სასულე”, როგორც მას ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებენ. რამდენადაც იმ პერიოდში დროში შეზღუდულები იყვნენ, ჭაში ჩაშვება მათ შემდეგი წლისთვის გადადეს.

2018 წლის ივნისში ისინი კვლავ ჩამოვიდნენ საქართველოში და თსუ-ს გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად რაჭაში ავიდნენ. სოფ. სხვაჟაში მათ ერთი კვირა დაჰყვეს. მოინახულეს ზღვის დონიდან 1300 მ-ის სიმაღლეზე მდებარე სხვაჟის საყინულე, რომლის შესასვლელიც ამჟამად ჩამონგრეული ლოდნართაა ამოვსებული. 2006 წელს მისი შესასვლელი იხსნებოდა 30 მ-დე სიღრმის ძაბრის ფსკერზე, კლდეში გაჩენილი ვიწრო, ვერტიკალური ნაპრალის სახით. ნაპრალის შემდეგ იხსნება საკმაოდ დიდი ზომის მღვიმე, სადაც ყინულის გროვებია შექმნილი, და რასაც მღვიმის ნაპრალიდან შემოსული თბილი და ცივი ჰაერისა და მღვიმეში არსებული ტენის კონტაქტისას ჩამოყალიბებული კონდენსაციის ზამთრისა და ზაფხულის შებრუნებული რეჟიმი იწვევს [4].

ფრანგ სპელეოლოგებს 2018-ში ასეთი სურათი დახვდათ: 20 მ-დე სიმაღლის ვერტიკალური კედელი, ძაბრის ზედა დიამეტრი – 50 მ, კედლიდან ჩამოშლილმა ქვებმა ამოქოლეს მღვიმის შესასვლელი, მაგრამ შესასვლელიდან მაინც უბერავს ცივი ჰაერის ძლიერი ნაკადი. ამდენად, მათ მღვიმეში არსებული ყინული ვერ იხილეს [6]. მთავარი, რაც ფრანგმა სპელეოლოგებმა აქ მიაღწიეს, ესაა ძალზე რთული ჩასვლა “სასულეს” კარსტულ ჭაში, სადაც მანამდე ადამიანი არ ჩასულა. ისინი აქ ორი დღის განმავლობაში რამდენჯერმე ჩაემვნენ და ამოიტანეს ძვირფასი მასალა ამ კარსტული უფსკრულის ზედა, 80 მ-იან მონაკვეთზე არსებული მდგომარეობის შესახებ. უფსკრული მდებარეობს ზღვის დონიდან 1700 მ-ის სიმაღლეზე, სოფ. სხვაჟიდან პირდაპირი ხაზით 3,5 კმ-ზე. სოფლიდან უფსკრულამდე რამდენიმე ეროზიული ხეობაა გადასალახავი, ბილიკები უკვე წაშლილია და ამდენად, იქამდე მიღწევას 3 სთ-ზე მეტი დრო სჭირდება. უფსკრული დიდი, 5 X 15 მ-დე ზომის ოვალური ფორმის ვერტიკალური სიღრუით იხსნება. პირველი საფეხური ჩნდება 30 მ-ის სიღრმეზე, რომლის ზომები 3X5 მ-ია. მეორე საფეხური 50 მ-ის სიღრმეზე ჩნდება, შემდეგ მას მოყვება კიდევ 20 მ სიღრმის ვიწრო, ვერტიკალური ჭა. უსკრულის კედლებზე რამდენიმე ადგილას გამოდის თითქმის გამჭვირვალე ნაფენი, რომელში გუანოს მსგავსი ჩანარებია. ამ ფენის ნიმუშები ფრანგმა სპელეოლოგებმა თან წაიღეს გენეზისის დასადგენად. საფეხურებს ჰორიზონტული განშტოებები გააჩნიათ, რამდენიმე მეტრის სიგანითა და სიმაღლით. უფსკრული გრძელდება ძალზე ვიწრო ნაპრალებით, რომლებშიც ადამიანი ვერ გაეტევა, მაგრამ მათგან გამომავალი ცივი ჰაერის ნაკადი მიანიშნებს, რომ მათ გაგრძელებები გააჩნიათ.

ხიხათის მასივი, რომლის უმაღლესი წერტილი 2240 მ-ზე მდებარეობს ზ.დ.-დან, დახვრეტილია სხვადასხვა ზომის ძაბრებით, რომელთა ნაწილს ფსკერზე მცირე ნაპრალები აქვთ. დროის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა სასულეს მსგავსი უფსკრულების მოძიება, რომლებიც 1,5 კმ-ის სისქის კირქვულ მასივზე, სავარაუდოდ, უნდა იყოს, რამდენადაც ხიხათის მასივის ძირში, ზღვის დონიდან 700 მ-ზე, პირდაპირ მიწის ზედაპირიდან გამოდის საკმაოდ წყალუხვი მდინარე კრიხულა, რომელიც ამბროლაურთან უერთდება მდ. რიონს. მასივი ასევე, მრავალი მცირე მდინარითაა

დაქსელილი, რომელთაც კალაპოტის ქვეშაც აქვთ გამომუშავებული სადინარები. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ რამდენიმე წლის წინათ გამოთქმული ვარაუდი აქ მიწისქვეშა კარსტული სიცარიელების არსებობის შესახებ გამართლებულად მიგვაჩნია [4].

დასკვნები

ყოველივე ზემოთქმული მეტყველებს წყლის მიერ კირქვებში გამომუშავებული სიღრუეების - ხვრელების, გვირაბების, მღვიმეების განტოტვილი ქსელის არსებობაზე. ამას ემატება მასივის ზედაპირზე უკვე აღნიშნული კარსტული ჭებიდან ჩამავალი წყლები, რომელიც, საფიქრებელია, რომ ასევე კარგად განვითარებული მიწისქვეშა სიცარიელები აქვთ გამომუშავებული. თუ მასივის სქემას დავხედავთ, დავინახავთ, რომ მრავალრიცხოვანი ზედაპირული ფორმების საშუალებით მასივში დიდი რაოდენობით ნალექი იჟონება, რაც კარსტული დენუდაციის ინტენსიურ განვითარებას იწვევს. ყველა ამ მონაცემის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ ხიხამთის კირქვულ-კარსტული მასივი ძალზე რთულ და განტოტვილ მიწისქვეშა სიღრუეთა სისტემას შეიცავს. მისი კვლევა ქართველი სპელეოლოგების გადაუდებელ საქმედ უნდა იქცეს, რათა ქვეყანას გადაეცეს ახალი ათონისა და წყალტუბოს მღვიმეთა რანგის ობიექტი. შაორის ტურისტულ კოლმპლექსთან ერთად ხიხამთის კარსტული სისტემა, მისი სერიოზული გამოკვლევისა და კეთილმოწყობის შემდეგ, ბუნების უნიკალურ ტურისტულ ობიექტად იქცევა. ყოველივე ეს კი საფუძვლიანად გამოაცოცხლებს ამ თითქმის დაცლილი კუთხის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გეგუჩაძე შ. რიონ-ყვირილის წყალგამყოფის გეოლოგია და განვითარების ისტორია. გამომც. "მეცნიერება", თბილისი, 1973, 157 გვ.
2. ვახუშტი ბაგრატიონი "აღწერა სამეფოსა საქართველოსა", საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1941, 340 გვ.
3. ყიფიანი შ. "შაორის გამოქვაბულის გეომორფოლოგიისათვის". გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1939, 10 გვ.
4. საქართველოს ბუნებრივი საოცრებანი. გამომც. "დილა", თბილისი, 2008, 158 გვ.
5. Джанелидзе А. И. Геологические наблюдения в Окрибе и в смежных частях Рачи и Лечхуми. Изд. АН ГССР, Тбилиси, 1940, 247 стр.
6. Report of the 2018 Racha (Georgia) Speleological Expedition. 2018, 24 p.

გეოგრაფიის სტრატეგიული გამოყენება მარკეტინგში

ბექა სხირტლადე

დოქტორანტი, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

bekaskhirtladze04@gmail.com

აბსტრაქტი. ადგილობრივი ბიზნესებიდან, გლობალურ ბრენდებამდე, გეოგრაფიული მონაცემების სწორად განსაზღვრამ და მიზანმიმართულად გამოყენებამ, მნიშვნელოვნად შეიძლება გააუმჯობესოს კომპანიების დაკავშირება მომხმარებლებთან, ოპტიმიზაცია და ცნობადობის ზრდა. ეს მიდგომა, რომელსაც ხშირად ლოკაციაზე დაფუძნებულ მარკეტინგის უწოდებენ, საშუალებას აძლევს ბიზნესს, მომხმარებელს მიაწოდოს პერსონალიზებული გამოცდილება, გააუმჯობესოს ჩართულობა, კონვერტაციის მაჩვენებლები და ლოიალობა. სტატიაში განხილულია, თუ როგორ თამაშობს გეოგრაფია სტრატეგიულად მნიშვნელოვან როლს მარკეტინგში და როგორ შეუძლია ბიზნესს გამოიყენოს მისი ძალა მარკეტინგის ძალისხმევის გასაძლიერებლად. თითოეულ მარკეტინგულ აქტივობაზე და შემდგომ, მარკეტინგული აქტივობების შედეგზე, მრავალი განსხვავებული ფაქტორი ახდენს გავლენას. სამიზნე აუდიტორიის, დემოგრაფიის და გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, საზოგადოების აქტივობა, წარმატებული მარკეტინგული კამპანიის მნიშვნელოვანი კომპონენტებია. გეოგრაფიული მახასიათებლები, საშუალებას გვაძლევს, რომ მარკეტინგული აქტივობის განხორციელებამდე, შევისწავლოთ ბაზარი, მომხმარებელთა ქცევა კონკრეტულ არეალში, მათი მოტივები, მოთხოვნები და მოთხოვნილებები კონკრეტულ პროდუქტთან თუ მომსახურებასთან მიმართებით.

საკვანძო სიტყვები: გეოდემოგრაფია, მდებარეობაზე დაფუძნებული მარკეტინგი, სეგმენტაცია, ლოკალიზაცია, ურბანიზაცია.

STRATEGIC USE OF GEOGRAPHY IN MARKETING

Beka Skhirtladze

PhD student, business administration, Sokhumi State University;

bekaskhirtladze04@gmail.com

Abstract. From local businesses to global brands, the correct and targeted use of geographic data can significantly improve companies' customer engagement, optimization and awareness. This approach, often called location-based marketing, allows businesses to deliver a more personalized experience to customers, improving engagement, conversion rates and loyalty. The article discusses how geography plays a strategically important role in marketing and how businesses can use its power to enhance their marketing efforts. Many different factors affect each marketing activity and the outcome of the subsequent marketing activities. Depending on the target audience, demographics and geographic location, community engagement is an important component of a successful marketing campaign. Geographical features allow us to study the market, the behavior of consumers in a specific area, their motivations, demands and needs in relation to a specific product or service before implementing marketing activities.

Keywords: geodemography, location-based marketing, segmentation, localization, urbanization.

შესავალი

გეოგრაფიული მახასიათებლები, ხშირად, გავლენას ახდენენ ბაზრის ფორმასა და ზომაზე. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ბიზნეს ობიექტი, მთის, მდინარის, ეროვნული პარკის ან მსგავს გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს, აღნიშნული ელემენტები, ხელისშემშლელი ფაქტორი აღმჩნდება მომხმარებლისთვის. მსგავს შემთხვევაში, რიგი ხელისშემშლელი ფაქტორების გამო, ადამიანებს ურთულდებათ დანიშნულების ადგილამდე მისვლა და შედეგად, ბიზნესი კარგავს პოტენციურ მომხმარებელს, რაც, საბოლოოდ, ბიზნესსაქმიანობაზე, უარყოფითად აისახება. გეო-დამიზნება, ანუ, საჭირო დროს, სწორ აუდიტორიასთან მიღწევას გულისხმობს, ასევე, მომხმარებლებისთვის, კონტენტის ან რეკლამის მიწოდების პრაქტიკას, მათი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე. სმარტფონების, GPS-ზე მხარდაჭერილი მოწყობილობების და მდებარეობის სერვისების ზრდასთან ერთად, ბიზნესს, შეუძლია, შესამჩნევი სიზუსტით განსაზღვროს მომხმარებლები - მათი საცხოვრებელი არეალის მიუხედავად.

რატომ არის მნიშვნელოვანი გეო-დამიზნება?

გეო-დამიზნება, საშუალებას აძლევს ბრენდებს, შექმნან პერსონალიზებული მარკეტინგული გამოცდილება მომხმარებლებისთვის, მათი მდებარეობის მიხედვით. გეო-დამიზნება, ეხმარება ბიზნესს, ძირითადი აქცენტი გააკეთოს, მარკეტინგული ბიუჯეტის კონვერტაციის ყველაზე მაღალი ალბათობის მქონე რეგიონებზე ან ლოკაციებზე ფოკუსირებით, რაც ამცირებს რეკლამისთვის ხარჯებს, ნაკლებად რელევანტურ სფეროებში.

კვლევის მიზანი. კვლევა, მიზნად ისახავს:

1. შეისწავლოს გეოგრაფიული სეგმენტაციის როლი მომხმარებელთა მიზნობრიობაში.
2. გამოიკვლიოს, თუ როგორ უჭერს მხარს, გეოგრაფიული მონაცემები, მდებარეობაზე დაფუძნებულ მარკეტინგსა და რეკლამას.
3. მარკეტინგული სტრატეგიების ოპტიმიზაციისას GIS და სხვა სივრცითი ინსტრუმენტების გამოყენების შეფასება.
4. გეოგრაფიის მარკეტინგულ ძალისხმევასთან ინტეგრირების ტენდენციებისა და საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირება.

მასალები და მეთოდები. აღნიშნული კვლევის ძირითადი მასალები მოიცავს:

1. ბაზრის სეგმენტაციის მონაცემებს მომხმარებელთა გამოკითხვებიდან, საცალო გაყიდვებიდან და დემოგრაფიული ანგარიშებიდან.
2. კომპანიების შემთხვევის შესწავლას, რომლებიც იყენებენ გეოგრაფიულ სტრატეგიებს, თავიანთ მარკეტინგულ კამპანიებში.
3. აკადემიური ნაშრომები, ინდუსტრიის ანგარიშები და სხვა ლიტერატურა, გეოსივრცული მარკეტინგის შესახებ.

კვლევის შედეგები და განხილვა: გეო-დემოგრაფიული სეგმენტაცია - ადგილობრივი მომხმარებელთა ქცევის გაგება.

გეო-დემოგრაფიული სეგმენტაცია არის ბაზრის ცალკეულ ჯგუფებად დაყოფის პრაქტიკა, როგორც გეოგრაფიული მდებარეობის, ასევე დემოგრაფიული

მახასიათებლების მიხედვით (როგორიცაა ასაკი, შემოსავალი, ოჯახის ზომა და ცხოვრების წესი). ეს სეგმენტაცია, ეხმარება ბრენდებს, თავიანთი შეტყობინებების მორგებაში კონკრეტულ თემებზე ან თუნდაც უბნებზე.

ბაზრის გეოგრაფიის შესწავლის შემდგომ, შესაძლებელია, გამოვლინდეს კონკრეტული დემოგრაფიული ფაქტორები, რომლებიც, პირდაპირ თუ ირიბად, გავლენას ახდენს ბიზნესზე. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ბიზნესის გეოგრაფიული მდებარეობა არის ისეთ ქალაქში, სადაც რამდენიმე სასწავლო დაწესებულება ერთ ქუჩაზე მდებარეობს, არის სხვადასხვა აქტივობები, გადატვირთული მოძრაობა, ტურისტულად აქტიური ლოკაცია, სასწავლო წლის განმავლობაში ქაოსი, ხოლო, ზაფხულზე სიმშვიდე, აღნიშნული ტერიტორიის დემოგრაფიული შემადგენლობის ცოდნა, გეხმარებათ იცოდეთ, თუ როგორ მიაღწიოთ და დააკმაყოფილოთ თქვენი მომხმარებლების საჭიროებები და სურვილები, რასაც, შედეგად, ლოიალური მომხმარებლების სტატისტიკის ზრდა მოჰყვება. რაც შეეხება სეზონურ ცვლილებებს, იგი, ხშირად, გავლენას ახდენს ბაზარზე და იმაზე, თუ რა სურს მომხმარებელს. ზოგიერთ რაიონში, უფრო გრძელი ზამთარია, ზოგს - უფრო გრძელი ზაფხული, ზოგს კი სეზონური ცვლილებები ოდნავ ან საერთოდ არ აქვს. მომხმარებლებს, შეიძლება ჰქონდეთ უნიკალური საჭიროებები ტორნადოს, ქარიშხლის ან წვიმიანი სეზონის დროს. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ფესტივალები და სპეციალური ღონისძიებები, რომელიც იმართება თქვენს სამოქმედო ტერიტორიაზე. ბიზნესსაქმიანობაზე, გეოგრაფიის გავლენის დადგენის შემდგომ, შესაძლებლობა გაქვთ, რომ თქვენი პროდუქტი, მომსახურება და შეთავაზებები, მოარგოთ ადგილობრივ მომხმარებლებს.

გეო-დემოგრაფიული სეგმენტაციის უპირატესობები:

მდებარეობის, დემოგრაფიულ მონაცემებთან კომბინაციით, ბრენდებს შეუძლიათ, შექმნან შეტყობინებები, რომლებიც უფრო ღრმად ეხმიანება კონკრეტულ ჯგუფებს. მაგალითად, ძვირადღირებული ტანსაცმლის ბრენდმა, შეიძლება მიმართოს მდიდარ ქალაქებს, ფუფუნების შესახებ შეტყობინებებით, ხოლო, ოჯახზე ორიენტირებულმა ბრენდმა, შეიძლება ფოკუსირება მოახდინოს გარეუბნებზე, მშობლებსა და შვილებზე გათვლილი აქციებით. რაც შეეხება შესყიდვის ქცევის პროგნოზირებას, სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს, შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული მოთხოვნები პროდუქტებზე, სერვისებზე ან ბრენდებზე. მაგალითად, სანაპირო რაიონებში მომხმარებლებმა შეიძლება გამოიჩინონ უფრო მეტი ინტერესი პლაჟის ტანსაცმლის მიმართ, ხოლო ცივ კლიმატში მცხოვრებმა, უპირატესობა შეიძლება მიანიჭოს ზამთრის ტანსაცმელს.

ადგილობრივი საჭიროებების, მოთხოვნილებების და კულტურული ნიუანსების გაცნობით, კომპანიებს, შეუძლიათ შექმნან უფრო ძლიერი, უფრო ლოიალური ურთიერთობა მომხმარებელთან. სოციალური მედიის პლატფორმები, როგორიცაა Facebook, Instagram და Twitter, გთავაზობენ მდებარეობაზე დაფუძნებულ მძლავრ ფუნქციებს, რაც საშუალებას აძლევს ბიზნესს, მიაღწიოს სამიზნე მომხმარებლებს რეალურ დროში. გეოფილტრების და მდებარეობის მონიშვნის ფუნქციის გამოყენებით, ბიზნესს, შეუძლიათ გაზარდოს პოსტების ხილვადობა ადგილობრივ ადგილობრივ აუდიტორიაზე დაყრდნობით.

გეოგრაფია, არ არის მხოლოდ ადგილობრივი მარკეტინგი, ის, მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალურ მარკეტინგულ სტრატეგიებში. როდესაც ბიზნესი ფართოვდება ახალ რეგიონებში ან ქვეყნებში, ამ ბაზრების გეოგრაფიული ნიუანსების გაგება,

აუცილებელი ხდება წარმატებისთვის. გეოგრაფია გავლენას ახდენს კულტურულ პრეფერენციებზე, ენაზე და ყიდვის ჩვევებზე. ბრენდებმა, რომლებიც ახალ ბაზრებზე შედიან, უნდა მოერგონ თავიანთი მარკეტინგული სტრატეგიები ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს, ღირებულებებსა და ქცევებს, რათა უზრუნველყონ შესაბამისობა და თავიდან აიცილონ კულტურული შეცდომები.

დასკვნა

გეოგრაფია უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ფონი, მარკეტინგული კამპანიებისთვის. ეს არის სტრატეგიული აქტივი, რომელსაც შეუძლია მიზანმიმართული, შესაბამისი და ეფექტური მარკეტინგული ძალისხმევის გაწევა. იქნება ეს გეო-დამიზნების, გეოდემოგრაფიული სეგმენტაციის თუ მდებარეობაზე დაფუძნებული კონტენტის მეშვეობით. თქვენი აუდიტორიის გეოგრაფიული კონტექსტის გაგებამ, შეიძლება მნიშვნელოვნად გააძლიეროს მომხმარებელთა ჩართულობა, გააუმჯობესოს სარეკლამო ხარჯები და გაზარდოს კონვერტაციის მაჩვენებლები.

რამდენადაც მომხმარებლები აგრძელებენ უფრო პერსონალიზებულ და კონტექსტში გააზრებული გამოცდილების მოთხოვნას, გეოგრაფია რჩება კრიტიკულ ფაქტორად წარმატებული მარკეტინგული სტრატეგიების ჩამოყალიბებაში. მდებარეობის მონაცემებისა და რეგიონული შეხედულებების გამოყენებით, ბიზნესს, შეუძლია, შექმნას ახალი შესაძლებლობები ზრდისთვის, დაამყაროს უფრო ძლიერი ურთიერთობა მომხმარებელთან და დარჩეს კონკურენტული უპირატესობის ხაზზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Aaker, D. A. (2014). Strategic Market Management. Wiley.
2. Clarke, G. P. (2001). Geographic Information Systems in Marketing. Springer.
3. Christopher, M. (2016). Logistics & Supply Chain Management. Pearson.
4. Craig, C. S., & Douglas, S. P. (2005). International Marketing Research. Wiley.
5. Demby, G., & Katz, M. (2004). Geodemographics and Marketing. Wiley.
6. Kotler, P., Bowen, J. T., & Makens, J. C. (2017). Marketing for Hospitality and Tourism. Pearson.
7. Levitt, T. (1983). The Globalization of Markets. Harvard Business Review.
8. Ritzer, G. (2003). The Globalization of Nothing. Sage.
9. Schiffman, L. G., & Kanuk, L. L. (2010). Consumer Behavior. Pearson.

გიორგი ვანიშვილი

ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 26, ანა პოლიტკოვსკაია ქ., თბილისი, საქართველო;

g.vanishvili@sou.edu.ge

ONE-YEAR VARIATIONS OF COSMIC RAYS

Giorgi Vanishvili

Candidate of Physics and Mathematical Sciences, Sokhumi State University;

26, Anna Politkovskaya St., Tbilisi, Georgia;

g.vanishvili@sou.edu.ge

Abstract. The continuous data of cosmic rays of soft component flux intensity, obtained from two geographical points of the World Wide Network of cosmic rays stations, located in Canada (Deep River) and British Columbia (Mount Wellington), were analyzed to reveal the one-year variations of the cosmic rays. Using Mansurov's classification of two different types of Interplanetary Magnetic Field's strength direction (positive polarity) directed Away from the Sun, and (negative polarity) directed Towards the Sun were used to separate the data obtained during two different polarities from each other. For every 27 days of cosmic rays' data observations was used the formula (1). observational material of seven years, namely from 1977 to 1984 was used. For each year were processed 14 points using the formula (1). 7.5 angular degree inclination of the ecliptic plane to the Solar Bipolar Magnetic Field Equator served as the principal criterion for the article, to reveal annual variations of the intensity of the observed cosmic rays' flux's intensity. At the same time, the fact of variation of the distance between the Earth, moving across the Ecliptic and the Heliospheric Neutral Current Sheet, which in its turn is the magnetically neutral area and causes influence on the Geomagnetic Field without magnetic pressure from the Sun, and therefore affects rotational speed of the Earth around its axes of rotation, produces the summary effect of annual variations of the cosmic rays' intensity, observed on the earth. The essence of this article is not the true variations of the cosmic rays originating from the Centers of the Galaxies or neutron stars, but the indication of electromagnetic processes in near Sun and near-Earth space, which affect the propagation of the Cosmic Rays.

Keywords: Galactic Cosmic Rays, Solar Cosmic rays, Cosmic Rays Intensity, Cosmic Rays Hard Component, Cosmic Rays Soft Component, Cosmic Rays Meson Component, Cosmic rays Neutron Component, Cosmic rays Variations, World-Wide Network of Cosmic Rays Stations, Forbush-Effect, HelioSphere, Heliospheric Neutral Current Sheet, HelioEquator, Ecliptic Plane, HemiSphere, Annihilation, Interplanetary Space, Interplanetary Magnetic Field, Astronomical Unit, Geomagnetic Field, Asthenosphere, HelioMeridian.

შესავალი

კოსმოსური სხივების პირველადი გამოსხივება შედის ურთიერთქმედებაში მისი გავრცელების გზაზე არსებული ნივთიერების ნაწილაკებთან, ხდება ე.წ. მეორადი ნაწილაკების დაბადება. გალაქტიკის ცენტრიდან წამოსული კოსმოსური სხივების

პირველადი ნაწილაკები პროტონებისა და ატომბირთვების სახით, გაივლიან დედამიწის ატმოსფეროში, ატმოსფეროს ნაწილაკებთან მათი ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნებიან მეორადი ნაწილაკები, რომელთა ნაკადის ინტენსივობის რეგისტრაცია ხდება დედამიწის ზედაპირზე არსებული ნაწილაკების მთვლელების საშუალებით.

მეორადი კოსმოსური სხივების სიმრავლე ორი ნაწილისაგან შედგება. ელექტრონები, ფოტონები, ნეიტრონები, პოზიტრონები, პროტონები წარმოადგენენ მესამე თაობის ელემენტალურ ნაწილაკებს და მათ ეწოდებათ კოსმოსური სხივების რბილი კომპონენტა, ხოლო μ -ეზონები (μ^+ , μ^-) წარმოადგენენ მეორე თაობის ელემენტალურ ნაწილაკებს და მათ ეწოდებათ კოსმოსური სხივების ხისტი კომპონენტა. მათი მასა ელექტრონის მასაზე 208-ჯერ მეტია. მათი რეგისტრაცია ხდება სპეციალური მთვლელის საშუალებით, რომელსაც მეზონური ტელესკოპი ეწოდება, ხოლო კოსმოსური სხივების რბილი კომპონენტის რეგისტრაცია ხდება სპეციალური ხელსაწყოთი, რომელსაც ნეიტრონული მონიტორი ეწოდება. ამერიკელი ფიზიკისის სიმპსონის ინიციატივით განხორციელდა კოსმოსური სხივების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი კოსმოსური სხივების სადგურების მსოფლიო ქსელის შექმნა. კოსმოსური სხივების მსოფლიო ქსელი მოიცავს როგორც ნეიტრონული მონიტორების, ასევე მეზონური ტელესკოპების კომპლექსებს.

ამოცანები, მასალები და მეთოდები.

დედამიწა მოძრაობს მზის ირგვლივ სიბრტყეზე, რომელსაც ეკლიპტიკის სიბრტყე ეწოდება. დედამიწა და მზე წარმოადგენილია სფეროს სახით. პოლუსების შემაერთებული წრფის, როგორც ბრუნვის ღერძის მიმართ მართობულად გამავალ სიბრტყეს, ეკვატორულ სიბრტყე ეწოდება.

ეკლიპტიკის სიბრტყე დახრილია ჰელიოეკვატორის სიბრტყის მიმართ 7.5 გრადუსიანი კუთხით. ამტომ, მზის ირგვლივ მოძრავი დადამიწა ნახევარი წლის განმავლობაში მოქცეულია მზის მაგნიტური ველის სამხრეთ ნახევარსფეროში (ჰელიოსფეროს შემადგენელ სამხრეთ ჰემი-სფეროში და ნახევარი წლის განმავლობაში მოქცეულია მზის მაგნიტური ველის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში (ჰელიოსფეროს შემადგენელ ჩრდილოეთ ჰემი-სფეროში).

ეკლიპტიკის სიბრტყისა და ჰელიოეკვატორის სიბრტყის გადაკვეთის წერტილები ცნობილია, როგორც გაზაფხულისა და შემოდგომის დღე-ღამ ტოლობის წერტილები (21 მარტი და 21 სექტემბერი).

ეკლიპტიკისა და ჰელიოეკვატორის აღმწერ მრუდ წირებზე მოთავსებულ და ჰელიოსფერის ერთი და იმავე მერიდიანზე მდებარე და ჰელიოეკვატორიდან მაქსიმალურად დაშორებულ ეკლიპტიკის წერტილებს ეწოდებათ ზაფხულისა და ზამთრის მზებუდობის წერტილები (21 ივნისი და 21 დეკემბერი).

ჰელიოეკვატორი არ არის ბრტყელი არამედ გოფრირებულია და არსებითად იცვლის თავის ფორმას მზის ერთი შემობრუნებიდან მეორე შემობრუნებამდე.

მზის მახასიათებელი პარამეტრები (მასა, რადიუსი, და კუთხური სიჩქარე) იწვევენ მზის მაგნიტური ველის შემადგენელი უწყვეტი მაგნიტური ძალწირების გაწელვას ჰელიო ეკვატორულ არეში, რამოდენიმე ათეულ ასტრონომიულ ერთეულზე მეტ მანძილზე, და შედეგად მიიღება ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი ძალწირების კონები დაშორებული ერთმანეთისაგან გაცილებით მცირე მანძილით, მათი გაწელვის მანძილთან შედარებით. ეს თავის მხრივ წარმოქმნის ე.წ. ნეიტრალური დენების ფენას (ურთიერთ საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი მაგნიტური

ძალწირები არ იწვევენ ანიჰილაციას, მაგრამ იწვევენ ურთიერთ საწინააღმდეგოდ მოძრავი მაგნიტური ველების მიერ შექმნილი ჯამური ელექტრული ველების განეიტრალებას.

საპლანეტათშორისო სივრცეში ყალიბდება ე.წ. ნეიტრალური დენების ფენა, რომელიც ასევე გოფირებულია ჰელიომაგნიტური ეკვატორის სტრუქტურის შესაბამისად, და დინამიკურად გადაადგილდება მზის მახლობელ კოსმოსურ სივრცეში და ბრუნავს რა მზესთან ერთად. დედამიწა და მისი მიდამოები აღმოჩნდება მზის ირგვლივ ერთი შემობრუნების განმავლობაში, მაგნიტური ნაკადის შიგნით, რომლის ძალწირების მიმართულება შეესაბამება დედამიწის არსებობას ჰელიოეკვატორის სამხრეთით ან ჩრდილოეთით არსებულ ჰელიო-ჰემი-სფეროში. ჰელიოსფერის ზედა და ქვედა ჰემი-სფერულ ნაწილში დედამიწის მიდამოების მოქცევის შედაგად წარმოშობილი განსხვავებების ამსახველი ეფექტის მკაფიოდ გამოყოფა საკაოდ ძნელია. ე.ი. ჰელიოეკვატორის მიმართ, ჰელიომერიდიანული მიმართულების გასვრივ დედამიწის მოქცევის შედაგად დამზერლი გეომაგნიტური ეფექტების და მათ შორის განსხვავებების ზუსტად ასახვა წარმოადგენს გადასაჭრელ პრობლემას. მსგავსი სიტუაცია მკაფიოდ განისაზღვრება იშვიათ შემთხვევაში, და მხოლოდ დროის მხოლოდ მცირე შუალედების განმავლობაში დაიკვირვება დედამიწის მოქცევა საპლანეტათშორისო სივრცის შემადგენელი ნეიტრალური დენების შრის შიგნით.

განსხვავებული ეფექტის მკაფიოდ იდენტიფიცირება, რომელიც შეესაბამება დედამიწის მიმდებარე კოსმოსური სივრცის კუთვნილი ზედაპირისა და ჰელიოსფეროს ნეიტრალური ფენის ურთიერთ დაცილების მოვლენას, რომელიც დაკვირვებადია მზის მერიდიანული მიმართულების გასწვრივ, ჰელიოსფეროს ორი სხვადასხვა წერტილის მიხედვით, საკმაოდ რთული ამოცანაა. (ეს სიტუაციები იშვიათად არის მკაფიოდ განსაზღვრული და მხოლოდ დროის მოკლე მონაკვეთებზე, პლანეტათშორისი გარემოს ნეიტრალური ფენის ბრუნვად სურათში.)

დედამიწა მზის ირგვლივ, თავისი მოძრაობის გზაზე იცვლის მდებარეობას და დაშორებას მზის მაგნიტური პოლუსების მიმართ: კერძოდ, მოთავსებულია ან ჰელიოეკვატორის ზემოთ, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, ან ჰელიო-ეკვატორის ქვემოთ, სამხრეთ ნახევარსფეროში. შესაბამისად იცვლება დედამიწის ფარგლებში დარეგისტრირებული საპლანეტათშორისო მაგნიტური ველის ძალწირების პოლარობა. არსებობს მზის მაგნიტური ველის შესაბამისი მაგნიტური ძალწირების ორი მიმართულება: მიმართული მზიდან (+ დადებითი პოლარობა) და მიმართული მზისკენ (-უარყოფითი პოლარობა) [3].

“მანსუროვის ჰიპოთეზა მიიჩნევს, რომ დადებითი (უარყოფითი) კორელაცია არსებობს საპლანეტათშორისი მაგნიტური ველის B მაგნიტური დამაბულობის y ღერძის გასწვრივ მოქმედ B_y კომპონენტასა და ზედაპირული წნევის ანომალიას შორის სამხრეთ (ჩრდილოეთ) ნახევარსფეროში” [4]

ეს ნიშნავს, რომ მანსუროვის ჰიპოთეზის თანახმად, არსებობს დადებითი კორელაცია საპლანეტათშორისი მაგნიტური ველის მაგნიტური დამაბულობის B_y კომპონენტასა და ზედაპირული წნევის ანომალიას შორის ჰელიოსფეროს ზედა ნახევარსფეროში, ე.ი. სამხრეთ ნახევარსფეროში, და უარყოფითი კორელაცია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ საპლანეტათშორისი ანუ მზის მაგნიტური ველის ძალწირებს აქვთ “დადებითი” მიმართულება, როდესაც დედამიწა მოთავსებულია ჰელიოსფერის სამხრეთ ნახევარსფეროში, და აქვთ უარყოფითი

მიმართულება – ჰელიოსფეროს ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. შესაბამისად, დადებითი და უარყოფითი მიმართულება აღნიშნულია “+” და “-” ნიშნით.

ამრიგად, დედამიწა მზის ირგვლივ ორბიტაზე მოძრაობისას 6 თვე იმყოფება ჰელიოსფეროს სამხრეთ ნახევარსფეროში და საპლანეტათშორის მაგნიტური ველის მიმართულება დადებითია (პირდაპირ Forward არის მიმართული, და დანარჩენი 6 თვე იმყოფება ჰელიოსფეროს ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და საპლანეტათშორის მაგნიტური ველის მიმართულება უარყოფითია (შებრუნებით “Backward” არის მიმართული).

გაზაფხულისა და შემოდგომის ბუნიობის (დღე-ღამე სწორობის) წერტილებში ხდება დედამიწის გადასვლა ჰელიოსფეროს შემადგენელი სამხრეთი ნახევარსფეროდან ჰელიოსფეროს შემადგენელ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, და პირიქით, უწყვეტად.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დედამიწის მაგნიტური ველისაგან განსხვავებით, საპლანეტათშორისო სივრცეში არსებული მზის მაგნიტური ველი გამოიკვეთება განსაკუთრებული გამორჩეულობით, ჩვეულებრივი პლანეტარული მაგნიტური ველებისაგან, იმის გამო მზის მასა, რადიუსი, და მზის საკუთარი საკუთარი ღერძის ირგვლივ ბრუნვის სიჩქარით წარმოშობილი ცენტრიდანული ძალები გაცილებით მეტია მზის მაგნიტური ძალების დამაბულობის სიდიდეზე, რაც, აიძულებს მზის მაგნიტური ველის ძალებს, რომ ჰელიოეკვატორთან მიახლოებისას მოხდეს ძალების გაწელვა რამოდენიმე ათეულ ასტრონომიულ ერთეულზე, რის შედეგადაც წარმოიქმნება ე.წ. ჰელიოსფეროს ნეიტრალური დენების შრე, რომელშიც ურთიერთ საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობენ საპლანეტათშორისო სივრცეში გაწეილი ჰელიოსფეროს მაგნიტური ველის ძალები. ამიტომ, ჰელიო ეკვატორის სივრცეში გაწეილი საპლანეტათშორისო მაგნიტური ველის ძალების ერთობლიობა ქმნის ე.წ. ჰელიოსფეროს ნეიტრალურ დენების შრეს. იგი წარმოადგენს ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მიმართული და მცირე მანძილებით დაშორებული ძალების ერთობლიობას, რომლის ჯამური მაგნიტური ველი ნულის ტოლია. ამიტომ, როდესაც დედამიწა თავისი მზის ირგვლივ ორბიტაზე მოძრაობის პროცესში აღმოჩნდება ნეიტრალური დენების შრის არეში, დედამიწის საკუთარი ბრუნვის ღერძის ირგვლივ ბრუნვის კუთხური სიჩქარე იზრდება იმის გამო, რომ მზის ქარის მიერ განვითარებული წნევის ძალა მიისწრაფის ნულისაკენ, და შედეგად დედამიწის მზის მხარეს არსებული და დედამიწის მზის საწინააღმდეგო მხარეს არსებული გეომაგნიტური ველის რადიუსები, თითქმის ხდება თანატოლი და შედეგად, დედამიწის დღე-ღამური ბრუნვის პერიოდი სწრაფად მცირდება, ხოლო როდესაც დედამიწა გამოდის ნეიტრალური შრის არედან, დედამიწის დღე-ღამური ბრუნვის პერიოდი კვლავ იზრდება, და უბრუნდება პირვანდელ მნიშვნელობას. მართალია დედამიწის ბრუნვის კუთხური სიჩქარის ცვლილება ნანოწამების რიგისაა, მაგრამ დედამიწის მასისა და რადიუსის გათვალისწინებით, წარმოშობილი ცენტრიდანული და ცენტრისკენული ძალები საკმარისია ასტენოსფეროში მოტივტივე ფილაქნების დასაძვრელად, რაც ტექტონიკურ ცვლილებებს იწვევს და მიჰყვართ ძლიერ და დამანგრეველ მიწისძვრებამდე.

ამრიგად, ჰელიოეკვატორი არ წარმოადგენს დედამიწის ეკვატორის მსგავს ერთგვაროვან და უცვლელ სიმრუდის რადიუსის მქონე ზედაპირას არამედ, რამოდენიმე ასტრონომიულ ერთეულზე გაწეილ ვიწრო მაგნიტურ ნეიტრალურ და გოფრირებულ ფენას, რომელსაც არა აქვს უცვლელი სტრუქტურა დროში და სივრცეში

და რომლის კონფიგურაციის შესახებ რეგულარილად აქვეყნებს საჯარო ინფორმაციას ვილკოქსის მაგნიტური ობსერვატორია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, შერჩეული იქნა გალაქტიკური კოსმოსური სხივების სადგურების მსოფლიო ქსელიდან ნეიტრონული მონიტორების – კოსმოსური გამოსხივების შემადგენელი რბილი კომპონენტის ინტენსივობის აღმრიცხველი კოსმოსური სხივების ორი სადგურის, დიპ-რივერის (კანადა) და მთა ველინგტონის (ტასმანია) დღე-ღამური მონაცემები 1977 წლიდან 1984 წლამდე [1]. არჩეული იქნა წერტილების წყვილები, რომელთაგან თითოეული შეესაბამება ჰელიოეკვატორის ჰორიზონტალური სიბრტყედან ჰელიოსფერის ნეიტრალური შრის მაქსიმალურად დაშორების მომენტს. ყოველი წლისათვის შერჩეული იყო ასეთი სახის წერტილების 14 წყვილი.

კვლევის შედეგები

გაკეთებულია დაშვება იმის შესახებ, რომ ელექტრო-მაგნიტური მდგომარეობა მზის მახლობლად არსებულ კოსმოსურ სივრცეში, განიცდის უფრო არსებით ცვლილებას მზის ერთი ბრუნიდან მეორე ბრუნამდე, ვიდრე ერთ ცალკეული ბრუნის განმავლობაში. დედამიწის მდებარეობა განიხილებოდა ჰელიოსფეროს მაგნიტური ველის ნეიტრალური დენების შრის მიმართ განლაგებით-- ვილკოქსის მზის მაგნიტური ობსერვატორიის მიერ შედგენილი მაგნიტური რუქების მიხედვით [2, 3].


ჩვენი ამოცანისათვის საინტერესო ეფექტის გამოვლენის მიზნისათვის გამოიყენებოდა ფორმულა:

$$\text{delta} = (2 * (I_+ - I_-) / (I_+ + I_-)) * 100 \% \quad (1)$$


სადაც I_+ არის გალაქტიკური კოსმოსური სხივების ინტენსივობა, რომელიც შეესაბამება საპლანეტათშორისი მაგნიტური ველის მაგნიტური ძალწირების მიმართულებას მზიდან. ხოლო I_- არის გალაქტიკური კოსმოსური სხივების ინტენსივობა, რომელიც შეესაბამება საპლანეტათშორისი მაგნიტური ველის მაგნიტური ძალწირების მიმართულებას მზისკენ.

კვლევის შედეგები, განხილვა

ნახ.1 და ნახ.2 გრაფიკული სახით გამოსახავს (1) ფორმულის მიხედვით ჩატარებული გამოთვლებით მიღებული შედეგებს. ნახ 1.ა-ზე გამოსახული გრაფიკი არ ითვალისწინებს მზეზე მომხდარი ქრომოსფერული აალებების შედეგად გამოყველი შემფოთებების მოსალოდნელ გავლენას საძიებელ ეფექტზე, და არც ფორბუმ-ეფექტების ტიპის სხვა სახის არასტაციონალურ მოვლენებს, ნახ. 1-ბ გამოსახავს 1982 წლის ივლისის ~ 18 %- იანი ფორბუმ-ეფექტის გავლენით გამოწვეულ შედეგს, ამ გამოთვლებში არ არის გათვალისწინებული ინტერფერენცია, გამოწვეული მზეზე მომხდარი ქრომოსფერული აალებების გავლენი ფორბუმ-ეფექტებზე და სხვა არასტაციონალურ მოვლენებზე სასურველი ეფექტის სუპერპოზიციის ფორმით, ნახ. 1-ა, და გათვალისწინებულია მხოლოდ 1982 წლის ივლისის ("18%-იანი) ფორბუმ-ეფექტის გავლენა, ნახ.1-ბ.



ნახ. 1. კოსმოსური სხივების ერთ-წლიანი ვარიაციები, სადგური დიპრივერი.



ნახ. 2. კოსმოსური სხივების ერთ-წლიანი ვარიაციები, სადგური მთა ველინგტონი.

ეკლიპტიკის სიბრტყეში მოძრავი დედამიწის მიერ ჰელიოეკვატორიდან მაქსიმალურად დაშორებულ წერტილში გავლა, როგორც ჰელიოსფეროს ცენტრალური მერიდიანის გასვრივ, როგორც ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, ასევე სამხრეთ ნახევარ სფეროში მოქცევის შემთხვევაში, განიხილებოდა როგორც დროის ათვლის დასაწყისი ($T=0$), საპლანეტაშორისი მაგნიტური ველის როგორც დადებითი ასევე უარყოფითი სექტორის შიგნით ყოფნის შემთხვევაში. გამოთვლებში I_- იყო ფიქსირებული, ე.ი. აღებული იყო და გამოიყენებოდა ინტენსივობის მნიშვნელობა ოთხი (4) დღე-ღამის განმავლობაში, მანამ, ვიდრე დედამიწის მიერ მოხდებოდა მზის ცენტრალური მერიდიანის გავლა ($T = -4$). I_+ -ის მნიშვნელობის შერჩევა ხორციელდებოდა დროში წანაცვლების შესაბამისად, $T = -4$ -დღე-ღამიდან $+6$ დღე-ღამემდე. ნული შეესაბამება მზის ცენტრალური მერიდიანის გადაკვეთის მომენტს, როდესაც დედამიწის პროექცია მოთავსებულია მზის დისკის სექტორში, მზისკენ მიმართული მაგნიტური ველის უპირატესობით.

კვლევის შედეგების შემდგომი განხილვა

მიღებული შედეგების წინასწარი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საძიებელი ეფექტი საუკეთესო სახით ვლინდება $T = +3$ დღე-ღამის შემთხვევაში ე.ი. საპლანეტათშორისო მაგნიტური ველის სექტორული სტრუქტურის შემადგენელი დადებითი (+) მაგნიტური პოლარობის (ე.ი. განიხილება დედამიწიდან მზისკენ მიმართული მზის პოლარული ველის მაგნიტური ძალწირის შემთხვევა) მქონე სექტორის შიგნით მოთავსებული და ჰელიოსფეროს ნეიტრალური შრიდან მაქსიმალურად დაშორებული (გადახრილი) წერტილის მიერ მზის ხილული დისკოს ცენტრალური მერიდიანის გადაკვეთის მომენტიდან სამი დღე-ღამის გავლის შემდეგ.

N – ასოთი აღნიშნულია მზის ბრუნის რიგითი ნომერი, დაკვირვების ექსლერიმენტის ყოველი წლის შემთხვევისათვის. კერძოდ $N = 1$ შეესაბამება წლის განმავლობაში პირველ შემობრუნებას, ე.ი. ემთხვევა წლის პირველ თვეს, იანვარს, შესაბამისად, $N = 2, 3, \dots$ შეესაბამება მზის მეორე, მესამე, და ა. შ. შემობრუნებას, და სულ ერთი წლის განმავლობაში გვაქვს 13-ზე მეტი და 14-ზე ნაკლები რაოდენობის მზის ბრუნის საკუთარი ღერძის ირგვლივ [1] ნახ. 1-ზე და ნახ. 2-ზე წარმოდგენილი გრაფიკების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როდესაც დედამიწა თავის მოძრაობის დროს მზის ირგვლივ, იმყოფება ჰელიოსფეროს შემადგენელ სამხრეთ ნახევარსფეროში, (ჰელიოეკვატორის სიბრტყედან მის მიმართ 7 გრადუსიანი კუთხით დახრილ ეკლიპტიკის სიბრტყეზე მოძრავი დედამიწის მაქსიმალური სიდიდით გადახრა მიიღწევა და დაიკვირვება მარტში) $\langle \delta \rangle$ -ის მნიშვნელობა, ძირითადად, უარყოფითია; მაშინ, როდესაც დედამიწის გეგმილი გადადის ჰელიოსფეროს შემადგენელ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, $\langle \delta \rangle$ -ის მნიშვნელობა უმეტესწილად, ხდება დადებითი. გამონაკლისს შეადგენს მერვე ბრუნის უარყოფითი მნიშვნელობა $\langle \delta \rangle$ სიდიდისათვის, რაც შეესაბამება ივლისს და აგვისტოს. ყველა დანარჩენი ექსპერიმენტული წერტილების შესაბამისი მნიშვნელობები დასაშვები ცდომილებების ფარგლებში, არ ეწინააღმდეგება გამოტანილ დასკვნას.

დასკვნა

კოსმოსური სხივების ნაკადის ინტენსივობის წლიური ვარიაციები შესაძლებელია იქნეს აღმოჩენილი, თუ განვიხილავთ დედამიწის თანაბრად დაშორების მომენტებს საპლანეტათშორისი მაგნიტური ველის ნეიტრალური ფენიდან, მზის ირგვლივ სხვადასხვა ბრუნვის პროცესში. ასეთი განხილვა გვამღევს კოსმოსური სხივების ნაკადის ინტენსივობის წლიური ვარიაციების ამპლიტუდას, საშუალოდ 2 %-ის ფარგლებში, განხილული რვა (8) წლიანი დროის შუალედისათვის. ავტორი გამოხატავს ღრმა მადლიერების გრძნობას აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-პედაგოგიური კოლექტივის მიმართ, საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციაში მონაწილეებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Solar Geophysical Data, 1977-1984.
2. Hoeksema J.T., Scherrer Ph. H. Report, UAG-94. The Solar Magnetic Field, 1976 through 1985; 1986.
3. <http://wso.stanford.edu/SB/SB2.html>
4. Jone Øvretvedt Edvartsen*, Ville Maliniemi, Hilde Nesse and Spencer Hatch J. Space Weather Space Clim. 2023,13,17.

**საქართველოს ეროვნული უსაფრთხო განვითარების სრულყოფა
გლობალიზაციის მეთოდოლოგიურ კონტექსტში**

ლიპარტია ზურაბ

პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;

ელ. ფოსტა: Zlipartia@yahoo.com

შერაზადიშვილი ბესიკ

ასოცირებული პროფესორი, საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;

ელ. ფოსტა: b.sherazadishvili@gtu.ge

აბსტრაქტი. თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესების შედეგად ფორმირებადი გლობალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი მსოფლიო დონეზე ეკონომიკური სუბიექტების, ურთიერთობების, ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფორმებისა და მეთოდების განმსაზღვრელ სისტემას წარმოადგენს, რომელიც მსოფლიო თანამედროვეობის მიერ აღიარებულ სამართლებრივ ნორმებს ემყარება და გლობალური ეკონომიკური სისტემის განვითარების მიმართულებებს, დინამიზმს განსაზღვრავს. გლობალიზაციის პროცესი ზემოქმედებს არა მარტო ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთობებზე, არამედ იგი მოიცავს ადამიანისეული საქმიანობის ყველა სფეროს: პოლიტიკურს, სამართლებრივს, სოციალურს, კულტურულსა და სხვ., რომელიც ურთიერთგანპირებულობის დამოკიდებულების ზრდას განაპირობებს, ამასთანავე ცალკეულ სახელმწიფოს ზოგად საკაცობრიო ფასეულობების აღიარებისა და დამკვიდრების საფუძველზე, საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად განვითარების შესაძლებლობას აძლევს. შესაბამისად, გლობალიზაციის პროცესის შედეგად ფორმირებული ეკონომიკა გულისხმობს სახელმწიფოთა შიგნით და სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობების ერთიანი პრინციპის, პოლიტიკურ-ეკონომიკური დემოკრატიის მსოფლიო მასშტაბებით დამკვიდრებას. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული უსაფრთხო განვითარების სტრატეგიული მიზნის, რომ საქართველო გადაიქცეს ეკონომიკური, საფინანსო, კომუნიკაციური, კულტურული, ცივილიზებული მიმართულებებით ევროპული და აზიური რეგიონის დამაკავშირებელ რგოლად, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ინტერესები, გამომდინარე და განხილული სტრატეგიული ამოცანების კონტექსტში, უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საგარეო პირობებს, საქართველოს საზოგადოებრიობის დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცებას, ქვეყნის გარეთ საერთაშორისო ურთიერთობებში, საქართველოს მოქალაქის გარანტირებული უფლებისა და თავისუფლების დაცვას.

საკვანძო სიტყვები: განვითარებადი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რეგიონული კონკურენტუნარიანობის ფორმირების გეოპოლიტიკური სივრცე, ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის ახალი პარადიგმა, ინვესტიციური სფერო.

**IMPROVING GEORGIA'S NATIONAL SECURE DEVELOPMENT IN THE
METHODOLOGICAL CONTEXT OF GLOBALIZATION**

Lipartia Zurab

Professor, Doctor of Economic Sciences, Sokhumi State University, Tbilisi, Georgia;

E-mail: Zlipartia@yahoo.com

Sherazadishvili Besik

Associate Professor, Academic Doctor of Public Administration, Technical University of Georgia, Tbilisi, Georgia;

E-mail: b.sherazadishvili@gtu.ge

Abstract. The mechanism of functioning of the global economic system formed as a result of globalization processes in the modern world, is a system determining the forms and methods of regulation of economic entities, relations, and economic processes at the world level, which is based on legal norms recognized by world modernity and determines the directions and dynamism of the development of the global economic system. The globalization process affects not only the relations between economic entities, but also covers all spheres of human activity: political, legal, social, cultural, etc., which leads to an increase in interdependence, and at the same time gives individual states the opportunity to develop in accordance with their national interests, based on the recognition and establishment of general human values. Accordingly, the economy formed as a result of the globalization process implies the establishment of a unified principle of economic and political relations within and between states, and political and economic democracy on a global scale. Accordingly, in line with the strategic goal of Georgia's national secure development, which is to transform Georgia into a connecting link between the European and Asian regions in economic, financial, communication, cultural, and civilized directions, Georgia's foreign policy interests, in the context of the emerging and discussed strategic objectives, ensure the external conditions for the country's economic growth, the strengthening of the democratic foundations of Georgian society, and the protection of the guaranteed rights and freedoms of Georgian citizens in international relations outside the country.

Keywords: socio-economic problems of developing countries, geopolitical space for the formation of regional competitiveness, the new paradigm of management of transnational corporations, investment field.

შესავალი, ამოცანები, მასალები და მეთოდები, კვლევის შედეგები.

საქართველოსათვის გლობალიზაციის მიმართულებით გასატარებელ ამოცანებად თანამედროვე ეტაპზე გვევლინება, კერძოდ:

ა) საქართველოს და მთელი სამხრეთ კავკასიის გეოსატრანსპორტო მდგომარეობის გამოყენება (როგორც ბუნებრივი ხიდის) ევროპასა და აზიას შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების სისტემის შექმნით;

ბ) საქართველოს ან მთლიანად კავკასიის სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებით მოხდეს აღნიშნული პოტენციალის გაერთიანება აზიის კაპიტალთან და მათი მოთხოვნების გაერთიანება ჩვენს ცოდნაში;

გ) საქართველოს დიპლომატიის ამოცანა მდგომარეობს აზიური ინტეგრაციისა და აზიური ეკონომიკის შესაძლებლობათა გამოყენებაში რეფორმების განხორციელებისა და საქართველოს აღორძინების მიზნით;

დ) ბუნებრივი რესურსების გამოყენების ახალი ტექნოლოგიების დამკვიდრება;

ე) რეგიონთაშორისი ინტეგრაცია და საქართველოს ფედერალიზმისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცება-უზრუნველყოფა.

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, **პროფესორ ზურაბ ხონელიძის** შეფასებით: “საქართველ-

ოსთვის საბჭოური სისტემის 30 წლიანი უსისტემო დემონტაჟისა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზა წინააღმდეგობით აღსავსე აღმოჩნდა. ქართული სახელმწიფო არ შეესაბამება ქვეყნის განვითარების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, კულტურულ-ცივილიზაციურ, გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ინტერესებს. ფაქტია, რომ მაღალინტელექტუალური ქართველი ერისა და სახელმწიფოს წინაშე დგას **გამოწვევა**,

შესაბამისად, საქართველოს ერთიანობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხო, გარანტირებული მომავლის უზრუნველყოფის უპირველეს ამოცანად ვაღიაროთ ე.წ. ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები. მისი დაძლევა რეალობის პრაგმატული გააზრებით, საქართველოს სრულფასოვან სახელმწიფოდ გარდაქმნის ახალ გზაზე გაიყვანს. საერთაშორისო ფუნქციიდან ამოვარდნილ საქართველოს მომავალს თანამედროვე სამყაროში, ავტორი, ქვეყნის როლის ახლებურ გააზრებასა და მისთვის დამატებითი ფუნქციის შემენის აუცილებლობაში ხედავს. „პრობლემის არსიდან გამომდინარე, რეალობის ძირეულად შესაცვლელად და ქართული სახელმწიფოს გასამთლიანებლად აუცილებელია საქართველომ განსაზღვროს საშინაო მიზანი, მასზე მორგებული საგარეო პოლიტიკა (მათი ერთიანობა) და არსებული სტრატეგიული რესურსის - გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით შეიძინოს (ნაწილობრივ აღადგინოს) საერთაშორისო ფუნქცია, ანუ დაიმკვიდროს თავისი კუთვნილი ადგილი გლობალიზაციის სამყაროში.

პროფესორი ზურაბ ხონელძე ასკვნის, რომ: „წინამდებარე პროექტში „საქართველოს ისტორიული და გეოპოლიტიკური დასაბუთებული ფუნქციის გააზრებიდან გამომდინარე, წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის შიდა, საერთო რეგიონული, გლობალური პრობლემების მოგვარების შეუქცევადი პროცესის კონცეპტუალური ხედვა (შემცირებული ვარიანტი)... სახელმწიფოებრივი მიზნის მიღწევის ახალი ზოგადქართული პროექტის შეთავაზება, რომლის ძალა მრავალ ეროვნებაში, ეფექტიანობა კი სივრცის გაფართოებაში მდგომარეობს, დღეს, სწორედ მსგავსი ისტორიული ჟამი დაუდგა. ეს ერთადერთი სწორი არჩევანია, მეტიც, ჩვენი ბედისწრა“ [1].

კვლევები მოწმობს, რომ გლობალიზაციის როგორც **მიზნის** შინაარსის გაგება

უკავშირდება ადამიანების, სახელმწიფოთა ლიდერების, მსხვილი ბიზნესის ხელმძღვანელების, საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების, ეროვნული და საერთაშორისო ჩინოვნიკების მოღვაწეობას. გამოყოფენ ასეთი მოღვაწეობის **სამ დონეს**: გლობალურს, რეგიონულს და ეროვნულს, რომელიც ზემოთ აღნიშნულ დონეებზე თითოეული ქვეყანა წყვეტს ეროვნულ ეკონომიკისა და პოლიტიკური სისტემის გლობალიზაციისა და რეგიონალიზმის მოთხოვნებთან ადაპტაციის თავის სპეციფიკურ ამოცანებს. თვალსაჩინო ქართველი მეცნიერ-მკვლევარისა და პედაგოგის, აკადემიკოს **რევაზ გოგოხიას** განმარტებით: „მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ნიშნავს მსოფლიო მომცველი ეკონომიკური ურთიერთობების ქსელის წარმოშობას და განვითარებას უფრო კონკრეტულად, გლობალიზაცია არის სახელმწიფოებს შორის საქონლისა და მომსახურების, წარმოების ფაქტორების მათ შორის განსაკუთრებით - შრომის, კაპიტალის და ცოდნის თავისუფალი მოძრაობა“ [2].

გამოჩენილი საერთაშორისო რანგის მეცნიერ-შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის, **აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას** აზრით, გლობალიზაცია არის **ისტორიული პროცესი** მისთვის დამახასიათებელი ეტაპებით, თავისებურებებით, ტენდენციებით, კანონზომაირებით...იგი ადეკვატურად ასახავს, ერთი მხრივ, შრომის დანაწილების მრავალმხრივ პროცესს, სცილდება ეკონომიკურ ჩარჩოს, მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა მხარეს (პოლიტიკას, იდეოლოგიას, კულტურას, რელიგიას) ერთმანეთთან

უშუალო კავშირში აერთიანებს ინტეგრაციისა და ავტონომიზაციის პროცესებს, დამოუკიდებლობას, მეორე მხრივ კი, ალიანსების შექმნისაკენ მისწრაფებას, ამიტომ სწორედ უნდა მივიჩნიოთ, რომ გლობალიზაცია მრავალწახნაგოვანი კატეგორიაა. განვითარების თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის პროცესების ახალი რეგიონალიზმი, რომელიც უნდა განვიხილოთ როგორც **გლობალიზაციის რეგიონული განზომილება**.

საქართველო განეკუთვნება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას. საქართველო და სამხრეთ კავკასია, საზოგადოდ, უნდა განვიხილოთ ევრაზიული კონტინენტის საკუთრივ ევროპულ ნაწილში მდებარე რეგიონად, რომლის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ მიზანს მისი **ევროკავშირში** გაწევრიანება წარმოადგენს, რაც შესაბამის მოთხოვნებსა და ამოცანებს უყენებს ქვეყანას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. უპირველეს ყოვლისა, ამოცანა მდგომარეობს ევროკავშირში გაწევრიანების ე.წ. **კოპენჰაგენის კრიტერიუმებით** განსაზღვრული პარამეტრების მიღწევის უზრუნველყოფაში [3].

კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდის ყველაზე გავრცელებული მიდგომას **ჰ.ამსტონგის კონკურენციის კრიტერიუმთა** განხილვა საზოგადოების პროგრესის უზრუნველყოფის მიმართულებით მთლიანად ქვეყნის მასშტაბებით წარმოადგენს. ნაშრომში შემოთავაზებულია რეგიონის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია, საიდანაც გამომდინარეობს, რომ კონკურენტუნარობაზე ზემოქმედების ფაქტორებს პოზიტიურ და ნეგატიურად ყოფენ.

კვლევები გვიჩვენებს, რომ ყალიბდება ახალი თეორიული შეხედულებები ეკონომიკურ განვითარებაში **საერთაშორისო ვაჭრობის** როლის შესახებ. იგი გულისხმობს, რომ ყოველგვარი შეზღუდვებისაგან თავისუფალი საგარეო ვაჭრობა შეიძლება ხელსაყრელი იყოს მასში მონაწილე ყველა ქვეყნისათვის. იმ უპირატესობების თეორიული დასაბუთება, რომელიც მოაქვს საერთაშორისო ვაჭრობას ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, მოგვცეს ჯერ **ა. სმიტმა, შემდეგ კი დ. რიკარდომ**, რომელიც შემდგომში არსებითად განვითარდა და განახლდა მთელი რიგი ეკონომისტების შრომებში, რომლებმაც შეიტანეს მასში საწარმოო ხარჯების ანუ წარმოების ფაქტორების (შრომის გარდა) ახალი კომპონენტები, კერძოდ კი, **კაპიტალის** ცნება.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **პ.გუგუშვილის** სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის, **პროფესორ რამაზ აბესაძის** სამეცნიერო ნაშრომში - „თანამედროვე გეოპოლიტიკური სიტუაცია და მისი გავლენა ეკონომიკაზე“ გამოკვლეულია ეკონომიკაზე მოქმედი **გეოპოლიტიკური ფაქტორები**, თანამედროვე გეოპოლიტიკური სიტუაცია და მისი ცვლილებების გავლენის შედეგები ეკონომიკაზე. გეოპოლიტიკური ფაქტორებიდან განხილულია: გეოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური, სამხედრო, დემოგრაფიული, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-სპორტული, ეთნიკური და რელიგიური.

თანამედროვე ეტაპზე ყველაზე დიდი გავლენა გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე მსოფლიოში იქონია პანდემიამ და რუსეთ-უკრაინის ომმა. შესაბამისად, ამ ორივე მოვლენის შედეგად: შემცირდა მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპები; შეფერხდა ერთობლივი გლობალური პრობლემების, ენერგეტიკული, სასურსათო, მიწოდების ჯაჭვის, ჰუმანიტარული და გეოპოლიტიკური კრიზისი შორსმომავალი შედეგებით. კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ გეოპოლიტიკის ცვლილება დიდ გავლენას ახდენს როგორც მსოფლიო საზოგადოებაზე, ისე მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკებზე, ვინაიდან ამ დროს ხდება სხვადასხვა ქვეყნის (განვითარებული და ყველაზე ძლიერი

განვითარებადი ქვეყნები) გავლენის სფეროების გადანაწილება, რაც გავლენას ახდენს საინვესტიციო ბაზარზე, საერთაშორისო ვაჭრობაზე და ეკონომიკის სხვა სფეროებზე.

გლობალურ და ეროვნულ ეკონომიკებზე მოქმედი ძირითადი გეოპოლიტიკური ფაქტორებია: 1) გეოგრაფიული; 2) პოლიტიკური; 3) ეკონომიკური; 4) ტექნოლოგიური; 5) სამხედრო; 6) დემოგრაფიული; 7) სამეცნიერო; 8) საგანმანათლებლო; 9) კულტურა, სპორტი; 10) ეთნიკური; 11) რელიგიური და 12) გლობალური საფრთხეები. გეოპოლიტიკური ფაქტორებიდან გეოგრაფიულია ძირითადი. დანარჩენი ფაქტორები მეორეხარისხოვანია, რადგანაც ისინი განისაზღვრება სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკით, ასევე დიდწილად დამოკიდებულია ქვეყნის გეოგრაფიულ ატრიბუტებზე [4].

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მადონა გელაშვილის მიერ სამეცნიერო ნაშრომში - „ინოვაციური ეკოსისტემა: თეორიული მიმოხილვა და განვითარების ძირითადი ფაქტორები“ განხილულია „ინოვაციური ეკოსისტემის“ გაჩენის მოკლე ისტორია, სისტემის გაგების ექვსი განსხვავებული მიდგომის ინტერპრეტაცია. ნაშრომში განსაზღვრულია ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებაზე. „ინოვაციური ეკოსისტემა“ – არსი და მიდგომები შემოთავაზებულია **ცხრილი N1-ში**.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ „ინოვაციური ეკოსისტემის“ გაგებამ გარკვეული ევოლუცია განიცადა: მიდგომებიდან, რომლებიც ხაზს უსვამენ დეტალებს, მიდგომამდე, რომელიც ცდილობს ყველა დეტალის ინტეგრირებას. ამრიგად, ინტეგრაციული მიდგომა, კონცეფციის ყოველმხრივი და სრული გაშუქების გამო, ყველაზე პერსპექტიულად გამოიყურება. თუმცა, სხვა მიდგომები ასევე არ კარგავენ აქტუალობას, რადგან ინოვაციური ეკოსისტემების რეალობა საკმაოდ ფართოა და მათი ანალიზი მოცემული ამოცანების შესაბამისად შეიძლება ფოკუსირებული იყოს სხვადასხვა კონკრეტულ ასპექტზე. სამეცნიერო ნაშრომში შემოთავაზებულია ინოვაციური ეკოსისტემების განვითარების ძირითადი ფაქტორები, როგორიცაა:

ცხრილი 1. ინოვაციური ეკოსისტემის მიდგომები

მიდგომის დასახელება	ინოვაციური ეკოსისტემის ინტერპრეტაცია	მიდგომის თავისებურების ანალიზი
„სისტემა შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე“	ფირმისა და ეკოსისტემის სხვა მონაწილეების მიერ ბაზრისთვის ახალი შეთავაზებების სინთეზი, რომელიც ახალ გადაწყვეტას სთავაზობს მომხმარებელს (Adner, 2006).	ერთ-ერთი ყველაზე პირველი ინტერპრეტაცია ინოვაციური ეკოსისტემის, რომელიც ამოსავალ წერტილად გამოიყენება თითქმის ყველა შემდგომი მკვლევარის მიერ.
„სისტემა შინაგანი წინააღმდეგობე“	ურთიერთდამოკიდებული სტრუქტურა, რომელიც შედგება ცენტრალური ფირმისა და მისი გარემოსგან: მომწოდებლები, მომხმარებლები, სხვადასხვა მარეგულირებელი ორგანოები და ფირმები, რომლებიც აწარმოებენ შესაბამის საქონელსა და	შეიძლება არსებობდეს წინააღმდეგობები ეკოსისტემის მონაწილეთა მიზნებში

	მომსახურებას. მონაწილეები შეიძლება იყვნენ აქტიური ან პასიური ინოვაციური განვითარების სფეროში, მხარი დაუჭირონ ან ხელი შეუშალონ ცენტრალური კომპანიის ინოვაციურ საქმიანობას (Adner, Kapoor, 2010).	
„ინოვაციისთვის ხელსაყრელი გარემო“	ეკონომიკური აგენტების, კავშირების და არაეკონომიკური კომპონენტების ნაკრები. ეს სტრუქტურა ქმნის ხელსაყრელ გარემოს ახალი იდეების გენერირების, ინოვაციების დანერგვისა და მათი გავრცელებისთვის. განვითარებული ეკოსისტემა ეხმარება მის მონაწილეებს იმუშაონ თავიანთი ფირმების ფარგლებს გარეთ და საშუალებას აძლევს მათ გადააქციონ საერთო ცოდნა ინოვაციად (Mercan, Göktas, 2011).	არაეკონომიკური კომპონენტების არსებობა, როგორც ხელსაყრელი გარემო ინოვაციისთვის
„ორგანიზაცია/ პლატფორმა“	ურთიერთდაკავშირებული ქსელი, რომელიც შედგება ცენტრალური ფირმის ან პლატფორმისგან და მის ირგვლივ ორიენტირებული კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციებისაგან, რომლებიც ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან ახალი ღირებულების შესაქმნელად ინოვაციების (ახალი ცოდნის) მეშვეობით (Pellikka, Ali-Vehmas)	არა მხოლოდ ფირმა, არამედ პლატფორმაც შეიძლება იყოს ეკოსისტემის ცენტრში
ეკოსისტემის მონაწილეები“	ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც არსებობს ცალკეულ სუბიექტებს და/ან ორგანიზაციებს შორის, რომლებსაც აქვთ საერთო მიზანი – უზრუნველყონ ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარება (Oh et al., 2016).	ყურადღება გამახვილებულია ეკოსისტემის მონაწილეებზე და სუბიექტებზე, რომლებიც ფლობენ ეკოსისტემისთვის გარკვეულ ფასეულობებს
„ინტეგრაციული“	ინსტიტუტების, გაერთიანებების, ასევე ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთშემცვლელი ურთიერთობები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცენტრალური ფირმის და მთლიანად ეკოსისტემის ინოვაციურ	ინოვაციების ეკოსისტემის ერთ-ერთი გვიანდელი ინტერპრეტაცია, რომელიც წარმოიშვა ბოლო 15 წლის განმავლობაში

	საქმიანობაში (Granstrand, Holgersson, 2020)	გამოცდილების განზოგადების შედეგად.
--	---	------------------------------------

ა) ინოვაციური – რაც გულისხმობს, ტექნოლოგიებისა და რესურსების მუდმივ ტრანსფორმაციას ახალ პროდუქტებში შედარებით დაბალი დანახარჯებით, ცვალებად გარემოსთან ადაპტაციას და ახალი შესაძლებლობების შექმნას.

ბ) სტრატეგიული – პროცესების მუდმივი განვითარება და მუშაობა როგორც არსებულ, ასევე პოტენციურ პარტნიორებთან, ინოვაციური სტრატეგიების შექმნა და ამავე დროს ეკოსისტემისთვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინება.

გ) ინფრასტრუქტურული – კლასტერული განვითარების დონე, უნივერსიტე-ტებსა და ფირმებს შორის თანამშრომლობა, ინოვაციების არსებობა.

დ) ადამიანური – ნიჭიერი ადამიანების არსებობა, მკვლევართა, მეწარმეთა და სხვადასხვა ინსტიტუტების კონცენტრაცია, მეწარმეობის არსებობა, წვდომა კაპიტალთან და ხელსაყრელ გარემო პირობებთან რეგულირების თვალსაზრისით.

შესაბამისად, არსებული წყაროების მიმოხილვის შედეგებიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებობს ე. წ. „ხაფანგები“, რომელთა არსებობა უდაოა და შეიძლება სერიოზული დაბრკოლება შეუქმნას როგორც თეორიული საკითხების შემუშავებას, ასევე ინოვაციური ეკოსისტემის პრაქტიკულ გამოყენებადობასაც. ერთ-ერთი საკითხია სახელმწიფოსთვის საკვანძო როლის მინიჭება, რომელიც პოზიციონირებს და გამოდის როგორც შემქმნელი, ლიდერი და მთავარი სპონსორი. ამან შეიძლება გამოიწვიოს დანარჩენ მონაწილე სუბიექტთა შედარებით პასიურ მდგომარეობაში გადასვლა. სახიფათოა ასევე, აღნიშნული კონცეფციის გამოყენება მხოლოდ ტერიტორიული ან ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების დონეზე, მაშინ როდესაც ეკოსისტემის პოტენციური ვრცელდება ბიზნესის, უნივერსიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების, მცირე და საშუალო ბიზნესების დონეზე და ა.შ. [5].

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი **კახაბერ ციმინიტა** მონოგრაფიული ნაშრომი „ჩრდილოვანი ეკონომიკა: თეორია და პრაქტიკა“ - საბაზრო ეკონომიკის საერთო წონასწორობისა და კეთილდღეობის პრობლემების ეკონომიკის ანალიზის პირობებში, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე აღნიშნავს, რომ წონასწორობა, რომელიც წარმოიშობა ყველა ბაზართა ურთიერთმოქმედებით, როცა ერთ ბაზარზე მოთხოვნის ან მიწოდების ცვლილება გავლენას ახდენს სხვა ბაზრების (ყველა წონასწორობა ფასსა და მოცულობაზე). შესაბამისად, აღნიშნავს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ადგილი და როლი ნათელ გამოხატულებას ჰპოულობს სტრატეგიულ მიზნებსა და ინტერესებში, კერძოდ, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა შემდეგი პრინციპების რეალიზებას ემყარება:

- 1) განვითარების ისტორიული გამოწვევებისა და მუქარების გათვალისწინებას;
- 2) გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების განსაზღვრას;
- 3) ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას;
- 4) ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს ურთიერთპასუხისმგებლობას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- 5) ეროვნულ უსაფრთხოებასა და საერთაშორისო თავსებადობას. [6].


კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს პრიორიტეტული საგარეო პოლიტიკური ინტერესები მდგომარეობს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საგარეო პირობების უზრუნველყოფაში, საქართველოს საზოგადოებრიობის დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცებაში და საერთაშორისო

ურთიერთობებში საქართველოს მოქალაქის გარანტირებული უფლებისა და თავისუფლების დაცვაში. შესაბამისად, რეგიონული განვითარების თეორიებისა და რეგულირების საერთაშორისო გამოცდილებათა განზოგადებასა და საქართველოს რეგიონული განვითარების თანამედროვე ტენდენციებიდან გამომდინარე, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია: 1) სახელმწიფო მოწყობისა და რეგიონების როლის განსაზღვრა; 2) რეგულირების ინსტიტუტების სამართლებრივი საფუძვლების დამკვიდრება; 3) მარეგულირებელი ინსტრუმენტების ფორმირება და დამკვიდრება სამეწარმეო ბიზნეს პრაქტიკაში; 4) განსაკუთრებული რეგიონული ფორმების (თავისუფალი ეკონომიკური ზონების) დამკვიდრება-განვითარება.

შესაბამისად, ქართველი ღვაწლმოსილი პროფესორების, **მახარაშვილი ი, ბარათაშვილი ე., გეჩაია ბ.-ს** აზრით, **აქტუალურია** ქვეყნის სტრატეგიული განვითარების პროგრამების ფორმირების პროცესში **შედარებითი მენეჯმენტის ინსტრუმენტების** გამოყენება მართვის ქართული სტილის მქონე სისტემაში, რომელიც გულისხმობს საქმიანი კულტურების თავისებურებების ანალიზს, სოციალური კვლევების მონაცემებისა და სპეციალისტების მოსაზრებების გათვალისწინებით, ქვეყნებს შორის პრაქტიკული ურთიერთქმედებების შედეგების შეგროვებას და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავებას მენეჯმენტის სისტემის სრულყოფის მიზნით, მეწარმეობრივი საქმიანობის **ეფექტიანობის** ასამაღლებლად [7].

კვლევები მოწმობს, რომ რეგიონების პრაქტიკული რეალიზაციების სამეცნიერო - საინფორმაციო ლიტერატურის წყაროების შესწავლის საფუძველზე ფაქტორთა კომპლექსი, რომლებიც განაპირობებენ და განსაზღვრავენ რეგიონში სოციალურ-პოლიტიკურ განვითარების გზების სისწორეს, კლასიფიცირდება მათი გამოვლენის სფეროების მიხედვით, კერძოდ: 1) პოლიტიკური; 2) ბუნებრივ-ეკოლოგიური; 3) ინფრასტრუქტურული; 4) დემოგრაფიული; 5) საკადრო უზრუნველყოფა; 6) მეცნიერულ-ტექნიკური; 7) რესურსული; 8) სოციალური (ნახ.1).

ნახაზი 1. რეგიონის დონეზე გაურკვევლობის ფაქტორების ურთიერთკავშირის სქემა



ზემოთ გაანალიზებული გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის თანამედროვე ტენდენციების ფონზე, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საზოგა-

დოებრივი ურთიერთობების რადიკალური ტრანსფორმაციის პირობებში, მსოფლიო მეურნეობაში თავისი ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ადგილის დამკვიდრებისათვის ფრიად აქტუალურია შესაბამისი მექანიზმების შემუშავება და რეალიზაცია. საქართველოს გააჩნია იმის სერიოზული პოტენციალი, როგორც **გეოპოლიტიკური, ასევე, რესურსული** თვალსაზრისით, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში და **ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიის რეალიზაციით შეინარჩუნოს ეროვნული თვითმყოფადობა.**

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოში **რეგიონული სატრანსპორტო-ლოგისტიკური** კლასტერების განვითარების პერსპექტივების განხილვისას, საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი, პროფესორი ბესიკ შერაზადიშვილი აღნიშნავს, რომ მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებში, რეგიონების ეკონომიკურმა და სოციალურმა განვითარებამ კლასტერული მიდგომების საფუძველზე ფართო გავრცელება ჰპოვა. საზღვარგარეთის ქვეყნების ინტენსიური პროცესების განვითარების გამოცდილება მოწმობს, რომ ის სტრუქტურები, რომლებიც აერთიანებენ საბოლოო პროდუქციის წარმოების ყველა რგოლს საბაზრო ეკონომიკაში უფრო ეფექტიანია. ამ პროცესებში კლასტრების თემა მნიშვნელოვნად აქტუალური ხდება [8].

შესაბამისად, საქართველოში თანამედროვე ეტაპზე ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ:

- 1) ქვეყანაში კლასტერული პოლიტიკის გატარება გააძლიერებს და დააჩქარებს რეგიონული ეკონომიკის განვითარებას;
- 2) გაზრდის ურთიერთობის ეფექტურობას კერძო სექტორს, სახელმწიფოს ფინანსურ ინსტიტუტებს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის;
- 3) შექმნის რეგიონალური განვითარების სტიმულირების მძლავრ ინსტრუმენტს და აამაღლებს პერიფერიული რეგიონების მდგრადი ფუნქციონირებისა და კონკურენტუნარიანობის ხარისხს;
- 4) კლასტერული პერსპექტივა გააძლიერებს ადგილობრივი მთავრობის როლს რეგიონის ეკონომიკის მართვის თვალსაზრისით და ხელს შეუწყობს რეგიონული ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობას, რომლებიც მოახდენენ ფინანსების აკუმულირებას რეგიონული კლასტერების განვითარებაში.

დასკვნა

ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის გლობალიზაციის მეთოდოლოგიურ კონტექსტში, ვასკვნით, რომ აუცილებელია ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ სტრატეგიაში შემდეგი ინტეგრაციული **ფაქტორების** გათვალისწინება, კერძოდ:

- 1) გლობალიზაციის მეთოდოლოგიის სწორი გაგება და მის მიმართ გაწონასწო-რებული და გონიერი დამოკიდებულება;
- 2) გლობალიზაცია რეგიონის ქვეყნებს უქმნის შესაძლებლობას, მოახდინოს თავიანთი ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიის ადაპტირება გლობალიზაციის დინამიკასთან მიმართებაში, თავიანთი ეკონომიკის სტრატეგია შეუხამონ ევროპული და აზიური რეგიონალიზმის განვითარებას;
- 3) გლობალიზაციის მიზნისადმი მიდგომა საშუალებას იძლევა გლობალიზაცია წარიმართოს მდიდრებისა და ღარიბების ინტერესების შეხამებისაკენ;
- 4) გლობალიზაციის პირობებში ეროვნული საქონელწარმოების დაცვის პრობლემის გათვალისწინება, რომელიც საჭიროებს ძალიან აწონილ-დაწონილ მიდგომას;

- 5) შეფასდეს თუ როგორ იქნეს გამოყენებული სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტერესების სასარგებლოდ დასავლეთ ევროპის გაერთიანებასთან და აზიის რეგიონთან მრავალმხრივი ურთიერთობის შესაძლებლობები;
- 6) მნიშვნელოვანია დასავლეთ ევროპა-აზიის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობები საქართველოსა და მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის **უსაფრთხოებისა** და იმ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რაც დაკავშირებულია მსოფლიო საფინანსო რყევების წარმოქმნასთან, ელექტრონული ვაჭრობის გავრცელებასთან, ლიბერალიზაციასა და აზიაში ინვესტიციებთან;
- 7) ინტერნაციონალური ძალისხმევით, როგორ გამოვაცოცხოთ საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი და როგორ გამოვიყენოთ ის გლობალური და რეგიონული ცოდნის კონტექსტში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ხონელიძე ზ.** - „მშვიდობის ქართული პარადიგმა“: საუნივერსიტეტო დიპლომატია-საქართველოს არჩევანი“. მონოგრაფია. ISBN:978-9941-8-2976-5. თბილისი, 2021-364 გვ.
2. **გოგობია რ.** - „საბაზრო ეკონომიკა“. თბილისი, 1996.-127გვ.
3. **ჭითანავა ნ.** - „გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში... საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხილული და უხილავი პრობლემები“. სამეცნიერო რედაქტორი პროფესორი იური პაპასქუა. გამომცემლობა „ივერიონი“. ISBN: 978-9941-8-3566-7. თბილისი. 2021.-360 გვ.
4. **აბესაძე რ.** - “თნამედროვე გეოპოლიტიკური სიტუაცია და მისი გავლენა ეკონომიკაზე” ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან მე-80 წ. მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული “მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში: საქართველოს ადგილი და გამოწვევები”. 21 ოქტომბერი 2024.
5. **გელაშვილი მ.** - „ინოვაციური ეკოსისტემა“: თეორიული მიმოხილვა და განვითარების ძირითადი ფაქტორები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიზნესისა და სოციალურ მეცნ. ფაკ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „უნივერსიტეტების როლი ინოვაციურ ეკოსისტემებში: აკადემიური მეწარმეობა და ინოვაციები“. 19-20 აპრილი, 2024.
6. **ციმინტია კ.** - „ჩრდილოვანი ეკონომიკა: თეორია და პრაქტიკა“. მონოგრაფია. თბილისი 2024.
7. **მახარაშვილი ი., ბარათაშვილი ე., გეჭბაია ბ.** - „მენეჯმენტის ინტეგრირებული სისტემები“. კავკასიის უნივერს. თბილისი. გამომც. „უნივერსალი“. 2018.-504 გვ.
8. **შერაზადიშვილი ბ.** - „საქართველოში რეგიონული სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების განვითარების პერსპექტივები“ Perspectives for the development of regional transport-logistics clusters in Georgia (სტატია ინგლისურ ენაზე). მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: "Innovative Processes Management in the Context of Education and Science Modernization". Dusseldorf (Germany). April 6-8, 2022.

DOI: 10.5281/zenodo.14631173

MEDICAL-BIOLOGICAL AND ECOLOGICAL ASPECTS OF QUANTITATIVE AND QUALITATIVE MEASUREMENT OF TOBACCO SMOKE COMPONENTS IN THEIR IDENTIFICATION

Giorgi Parulava

Professor, Doctor of Biological Sciences, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports; 49A Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

giorgi.parulava@sportuni.ge , paru56@mail.ru

David Zurabashvili

Professor, Doctor of Medical Sciences, Tbilisi State University;

1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

david.zurabashvili@tsu.ge

Alexander Egoyan

Associate Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;

49A Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

alexander.egoyan@sportuni.ge

Elene Parulava

Master, Rhine-Waal University of Applied Sciences;

1, Marie-Curie-StraÙe, Kleve, Germany;

Mariam Ubiria

Associate Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;

49A Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

mariam.ubiria@sportuni.ge

Aza Revishvili

Associate Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;

49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

aza.revishvili@sportuni.ge

Abstract. This work makes it possible to assess the degree of purity of the atmosphere around us in open and practically closed air spaces, to determine the degree of risk to which not only an active, but also a passive smoker is exposed. The importance of such studies is increasing, because the category of passive smokers always includes children, youth and teenage populations. The paper shows several important results in biology, medicine and ecology, as well as the presence in the human body of toxic components and derivatives of tobacco smoke directly affects the life and health of active and passive smokers. The article offers guidelines for researchers and professionals working in the field of quantitative and qualitative measurement of components and derivatives of tobacco smoke.

Keywords: tobacco smoke, toxicity, substances, identification, quantitative analysis, qualitative analysis.

თამბაქოს კვამლის კომპონენტების რაოდენობრივი და თვისობრივი გაზომვის
სამედიცინო-ბიოლოგიური და ეკოლოგიური ასპექტები მათი იდენტიფიკაციის
დროს

გიორგი ფარულავა

პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

giorgi.parulava@sportuni.ge , paru56@mail.ru

დავით ზურაბაშვილი

პროფესორი, მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

1 ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

david.zurabashvili@tsu.ge

ალექსანდრე ეგოიანი

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; 49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

alexander.egoyan@sportuni.ge

ელენე ფარულავა

მაგისტრი, რაინ-ვაალის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი;

1 მარი-კური-სტრაზო, კლევე, გერმანია;

მარიამ უბირია

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; 49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

mariam.ubiria@sportuni.ge

აზა რევიშვილი

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

[aza.revishvili@sportuni.ge](mailto:aза.revishvili@sportuni.ge)

აბსტრაქტი. ეს ნამუშევარი შესაძლებელს ხდის შეფასდეს ჩვენს ირგვლივ ატმოსფეროს სისუფთავის ხარისხი ღია და პრაქტიკულად დახურულ საჰაერო სივრცეებში, დადგინდეს რისკის ხარისხი, რომელსაც ექვემდებარება არა მხოლოდ აქტიური, არამედ პასიური მწვეველიც. ასეთი კვლევების მნიშვნელობა იზრდება, რადგან პასიურ მწვეველთა კატეგორიაში ყოველთვის შედის ბავშვები, ახალგაზრდები და მოზარდები. ნაშრომში ნაჩვენებია რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი ბიოლოგიაში, მედიცინასა და ეკოლოგიაში, ასევე ადამიანის ორგანიზმში თამბაქოს კვამლის ტოქსიკური კომპონენტებისა და წარმოებულების არსებობა პირდაპირ გავლენას ახდენს აქტიური და პასიურ მწვეველთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. სტატიაში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები მკვლევარებისთვის და პროფესიონალებისთვის, რომლებიც მუშაობენ თამბაქოს კვამლის კომპონენტებისა და წარმოებულების რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაზომვის სფეროში.

საკვანძო სიტყვები: თამბაქოს კვამლი, ტოქსიკურობა, ნივთიერებები, იდენტიფიკაცია, რაოდენობრივი ანალიზი, თვისებრივი ანალიზი.

Aim and objectives. In modern conditions, bioecological and biomedical monitoring, identification of atmospheric air pollutants, their quantitative and qualitative classification, and determination of the toxicity spectrum for humans and warm-blooded animals are of great importance. Therefore, the main objective of the article is to offer, based on our research, the best methods for the qualitative and quantitative analysis of substances in cigarette smoke and the resulting derivatives to all interested parties and those who work on the identification of substances in tobacco smoke.

Actuality. The range of scientific research related to the problems of tobacco smoke is unusually wide. These studies are always based on medical and social norms. In practical terms, it is especially important to study the toxic effect of individual components of tobacco smoke (or their combination) on the body, organs and organ systems of not only active, but also passive smokers, as well as on metabolic changes that are pathognomic for each toxic component of tobacco smoke. According to modern concepts, the carcinogenicity of tobacco smoke is much higher than the combustion product of a tobacco product inhaled through a cigarette filter. Thus, a passive smoker is at greater risk than an active smoker [1; 2; 3].

Emzar Zenaishvili and **Paata Natsvlishvili** are also participating in this process. The end was curious: "existing" Georgians Leri Khabelov and Kakhi Kakhiashvili from – "non existing country" Georgia -won the "existing" Gold Medals. So they demanded **Samaranch** to sign up their victory with both "non existing flag" and "non existing anthem" of "the non existing country". **Samaranch** resisted but he had no way out as he was in "trap". So soon he had to hold the awards ceremony for Georgians.

The members of Georgian National Olympic Committee did their best and they even partially restored – "the lost dignity" of Georgia. The Georgians won three gold and five bronze medals. This happened when Georgia, unlike the other fourteen post-Soviet countries, was neither a member of the **United Nations**, nor member of the **Commonwealth of Independent States** (CIS), nor member of **The International Olympic Committee** the (IOC), nor member of any international federation or sport. Georgia was not a member of any international structures.

It just didn't exist!!! ...

The diplomatic curiosity of the century!!! ...

References:

1. მაგანია გ. „ქართული სპორტის მატთანე“, გამომც. შპს „სვეტი“, 2012.
2. გაჩეჩილაძე თ. „ლელო 80“, გამომც. „პალიტრა მედია“, 2014.
3. ჭიპაშვილი ჰ. დიპლომატიის ანბანი. თბ., 1993.
4. ჭიპაშვილი ჰ. ეტიკეტი და დიპლომატიური სამსახური, გამომც. „მერანი“, თბ., 2000.
5. ჩიკვაძე ა. ჭიპაშვილი ჰ. დიპლომატიის სამზარეულო. თბ., 2008
6. ჭიპაშვილი ჰ. დიპლომატია. გამომც. „ინოვაცია-პლიუსი“, თბ., 2007.
7. ჯოლია გ. დიპლომატიური და ბიზნეს-ეტიკეტი, სტუ-ს გამომცემლობა, თბ., 2003.
8. „ოლიმპიური ქარტია“, გამომც. „სამშობლო“, თბ., 1996.

სექციური მოხსენებები Section Talks

სექცია 2 • Section 2

ჯანმრთელობა და სპორტი

HEALTH AND SPORT

ელიტარულ მძლეოსან სპორტსმენთა სიმაღლის, წონის და BMI ინდექსის
სტატისტიკურად განსაზღვრული საშუალო მნიშვნელობებიდან გადახრის
ბიომექანიკური ანალიზი

ალექსანდრე ეგოიანი

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; 49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

alexander.egoyan@sportuni.ge

ალექსანდრე გობირაშვილი

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; 49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

aleksandre.gobirakhashvili@sportuni.ge

კარლო მოისწრაფიშვილი

პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; 49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

karlo.moistsrapishvili@sportuni.ge

მანანა მესხი

უფროსი სპეციალისტი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; 49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

manana.meskhia@sportuni.ge

საბინა შახვერდიევა

მაგისტრი, ათენის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტი; 76 პატისიონის ქუჩა, ათენი, საბერძნეთი;

ssha21@yahoo.com

ელენა ტიო

დოქტორი, ყაზახეთის პრეზიდენტთან არსებული საჯარო მართვის აკადემია; 33ა აბაიას გამზირი, ალმათი, ყაზახეთი;

y.tyo@apa.kz

ტარუნ გუპტა

გონებრივი ტრენერი სპორტსმენებისთვის, სპორტის მოყვარული სპორტის, სპორტსმენების და მათი მოთხოვნების ღრმა ცოდნითა და გაგებით, გოა, ინდოეთი;

tarun.gupta68@gmail.com

აბსტრაქტი. ამ ნაშრომში ჩვენ ვიკვლევთ ელიტარულ მძლეოსნობაში პროფესიონალი ათლეტების სიმაღლის, მასის და BMI ინდექსის საშუალო მნიშვნელობებიდან გადახრის ბიომექანიკურ არსს. ჩვენი ანალიზის თანახმად, ელიტარულ მძლეოსნობაში სპორტსმენის შედეგი მეტწილად განპირობებულია მისი ფიზიკური პარამეტრებით, როგორცაა სიმაღლე და წონა, ამიტომ მძლეოსნობის ყველა დისციპლინაში არსებობს ამ პარამეტრების ოპტიმალური დიაპაზონები, რომლებშიც ცვალებადობს სპორტსმენთა დიდი ნაწილის სიმაღლის და წონის მაჩვენებლები. მაგრამ აგრეთვე არსებობს ზემოაღნიშნული პარამეტრების საშუალო მნიშვნელობებიდან მნიშვნელოვანი გადახრები, რომლებიც განპირობებულია მძლეოსნობის კონკრეტული დისციპლინის

ბიომექანიკური კანონზომიერებებით. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მძლეოსნობაში სპორტსმენთა შერჩევის და მომზადების დროს მწვრთნელმა უნდა განიხილოს სპორტსმენის ფიზიკური პარამეტრები ერთმანეთთან ბიომექანიკურ კავშირში მათი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: სპორტული ბიომექანიკა, თვისებრივი ბიომექანიკური ანალიზი, BMI ინდექსი, მძლეოსნობა.

THE BIOMECHANICAL ANALYSIS OF DEVIATIONS OF HEIGHT, WEIGHT AND BMI INDEX OF ELITE TRACK AND FIELD ATHLETES FROM STATISTICALLY CALCULATED MEAN VALUES

Alexander Egoyan

Associate Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;
49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

alexander.egoyan@sportuni.ge

Alexander Gobirakhashvili

Associate Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;
49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

aleksandre.gobirakhashvili@sportuni.ge

Karlo Moistsrapishvili

Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;
49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

karlo.moistsrapishvili@sportuni.ge

Manana Meskhi

Senior Specialist, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;
49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

manana.meskhi@sportuni.ge

Sabina Shakhverdieva

Master, Athens University of Economics and Business; 76, Patission Str., Athens, Greece;
ssha21@yahoo.com

Elena Tyo

Doctor, Academy of Public Management under the President of the Republic of Kazakhstan;
33a Abaya Avenue, Almaty, Kazakhstan;

y.tyo@apa.kz

Tarun Gupta

Mental Trainer for Sportspersons, Sports Enthusiast with deep knowledge and understanding of Sports, Sportspersons & their requirements, Goa, India;

tarun.gupta68@gmail.com

Abstract. This paper investigates the biomechanical nature of deviations from the mean in height, mass, and BMI of professional athletes in elite athletics. According to our analysis, an athlete's performance in elite athletics is largely determined by his physical parameters, such as height and weight, and in all athletics disciplines, there are optimal ranges of these parameters, in which the height and weight indicators of a large number of athletes vary. However, there are also significant deviations of the above-mentioned parameters from the average values due to the biomechanical regularities of a specific athletics discipline. We argue that during the selection

and training of athletes in athletics, the coach should consider the physical parameters of the athletes in their biomechanical connection with each other, taking into account both their advantages and disadvantages.

Keywords: Sports biomechanics, qualitative biomechanical analysis, BMI index, athletics.

შესავალი. ბოლო ნაშრომებში, ჩვენ განვიხილეთ ელიტარული მძლეოსანი სპორტსმენების სიმაღლის, წონის და BMI ინდექსის საშუალო მნიშვნელობები და ავხსენით მათი ბიომექანიკური არსი [1, 2]. გაირკვა, რომ ისეთ სპორტულ დისციპლინებში, როგორიცაა მამაკაცთა 100, 200 და 400 მეტრზე სპრინტი, 800 მეტრზე რბენა, სიმაღლეზე ხტომა, სიგრძეზე ხტომა, სამხტომი, შუბის ტყორცნა და მრავალჭიდი, სპორტსმენების უმეტესობისთვის ზემოთ აღნიშნული პარამეტრები ძალიან ახლოსაა სტატისტიკურად გამოთვლილ საშუალო მნიშვნელობებთან. მაგრამ აგრეთვე არსებობს გამონაკლისები, როდესაც სპორტსმენის სიმაღლე, წონა ან BMI ინდექსი მნიშვნელოვნად განსხვავდება საშუალო მნიშვნელობიდან. ამ ნაშრომში ჩვენ ვიკვლევთ ასეთი გამონაკლისების ბიომექანიკურ არსს.

კვლევის ამოცანები. ამ კვლევის ძირითად ამოცანას წარმოადგენს იმის დადგენა, თუ როგორ არის დამოკიდებული ელიტარული მძლეოსნის შედეგი სპორტსმენის სიმაღლეზე და წონაზე მძლეოსნობის კონკრეტულ დისციპლინაში და რითია განპირობებული ამ პარამეტრების არსებული გადახრები.

მასალები და მეთოდები. ამ ნაშრომში ჩვენ გამოვიყენეთ მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანი მამაკაცების მონაცემები მძლეოსნობის 10 დისციპლინაში, რომლებიც გამოქვეყნებულია ინტერნეტში [3]. ჩვენ ჩავატარეთ ამ მონაცემების სტატისტიკური ანალიზი და ყველა დისციპლინისთვის გამოვთვალეთ სპორტსმენების სიმაღლის, წონის და BMI ინდექსის საშუალო მნიშვნელობები და შევადგინეთ მათი საშუალო მნიშვნელობიდან გადახრის ცხრილი, რომლის საფუძველზეც მერე მოხდა ამ გადახრების თვისებრივი ბიომექანიკური ანალიზი.

შედეგები. ელიტარული სპორტსმენების სიმაღლის, წონის და BMI ინდექსის საშუალო მნიშვნელობები მძლეოსნობის 10 დისციპლინაში ნაჩვენებია ცხრილში 1. ცხრილში 2 წარმოდგენილია მსოფლიო ჩემპიონების ამავე პარამეტრების მაჩვენებლები. ცხრილში 3 შევიდა იმ ათლეტების მონაცემები, რომლების სიმაღლე განსხვავდება საშუალო მნიშვნელობისგან 5 ან მეტი სანტიმეტრით.

ცხრილი 1. სტატისტიკურად გამოანგარიშებული მსოფლიო რანგის მამაკაცთა მძლეოსნების სიმაღლის, წონის და BMI ინდექსის საშუალო მნიშვნელობები.

სპორტის სახეობა	ათლეტების რ-ბა	საშუალო სიმაღლე (მ.)	საშუალო წონა (კგ.)	BMI (კგ/მ ²)
რბენა 100 მ	39	1.80	79.08	24.29
რბენა 200 მ	10	1.84	77.80	23.11
რბენა 400 მ	10	1.87	78.00	22.40
რბენა 800 მ	10	1.81	64.50	19.80
400 მ თარჯრბენი	20	1.82	65.76	19.88
სიმაღლეზე ხტომა	35	1.93	76.57	20.60
სიგრძეზე ხტომა	21	1.84	78.90	23.43
სამხტომი	10	1.86	79.60	22.98

შუბის ტყორცა	11	1.90	97.18	26.84
მრავალჭიდი	61	1.90	88.34	24.56

ცხრილი 2. მძლეოსნობის 10 დისციპლინაში მსოფლიო რეკორდის მფლობელების სიმაღლის, წონის და BMI ინდექსის მნიშვნელობები.

Type of sport	მსოფლიო რეკორდი	ათლეტის სახელი და გვარი	სიმაღლე (მ.)	წონა (კგ.)	BMI (კგ/მ²)
რბენა 100 მ	9.58 წ	უსეინ ბოლტი	1.95	94.00	24.72
რბენა 200 მ	19.19 წ	უსეინ ბოლტი	1.95	94.00	24.72
რბენა 400 მ	43.29 წ	მაიკლ ჯონსონი	1.85	79.00	23.08
რბენა 800 მ	1:40.9 წთ	დავით რუდიშა	1.90	71.00	19.67
400 მ თარჯრბენი	46.78 წ	კევინ იანგი	1.94	82.00	21.79
სიმაღლეზე ხტომა	2.45 მ	ხავიერ სოტომაიორი	1.93	80.00	21.48
სიგრძეზე ხტომა	8.95 მ	მაიკ პაუელი	1.88	79.00	22.35
სამხტომი	18.29 მ	ჯონათან ედვარდსი	1.82	72.00	21.74
შუბის ტყორცა	98.48 მ	იან ზელეზნი	1.86	88.00	25.44
მრავალჭიდი	9039 ქ.	ემტონ იტონი	1.85	84.00	24.54

ცხრილი 3. მსოფლიო რანგის მამაკაცთა მძლეოსნების სიმაღლის, წონის და BMI ინდექსის გადახრები სტატისტიკურად გამოანგარიშებული საშუალო მნიშვნელობებიდან.

	სპორტის სახეობა და ათლეტის სახელი და გვარი	შედეგი	სიმაღლე (მ.)	წონა (კგ.)	BMI (კგ/მ²)
	რბენა 100 მ				
1	უსეინ ბოლტი	9.58 წ	1.95	94	24.72
2	ასაფა პაუელი	9.72 წ	1.9	88	24.38
3	ნესტა კარტერი	9.78 წ	1.73	78	26.06
4	ადეკოტუნზო ოლუსოჯი ფასუბა	9.85 წ	1.65	70	25.71
5	მაიკ როჯერსი	9.85 წ	1.7	76	26.30
6	ფრენსის ობიქველუ	9.86 წ	1.95	74	19.46
7	მაიკლ ფრეტერი	9.88 წ	1.7	67	23.18
8	ტრევის პეჯეტი	9.89 წ	1.73	82	27.40
	რბენა 200 მ				
1	უსეინ ბოლტი	19.19 წ	1.95	94	24.72
2	უოლტერ დიქსი	19.53 წ	1.75	86	28.08
3	ქსავიერ კარტერი	19.63 წ	1.91	77	21.11
4	უოლას სპირმონი	19.65 წ	1.91	79	21.66
	რბენა 400 მ				
1	ჰარი რეინოლდსი	43.29 წ	1.93	84	22.55
2	ლი ევანსი	43.86 წ	1.8	78	24.07
	რბენა 800 მ				
1	დავით რუდიშა	01:40.9 წთ	1.9	71	19.67
2	ხოაკიმ კრუზი	01:41.3 წთ	1.87	74	21.16
3	მოჰამედ ამანი	01:42.4 წთ	1.73	55	18.38
	400 მ თარჯრბენი				

1	კეკინ იანგი	46.78 წ	1.94	82	21.79
2	ამადუ დია ბა	47.23 წ	1.9	72	19.94
3	ბერშონ ჯექსონი	47.3 წ	1.73	72	24.06
4	ჰადი სუაან ალ-სომაილი	47.53 წ	1.72	72	24.34
5	ფაბრიციო მორი	47.54 წ	1.68	68	24.09
6	უინტროპ გრეჰემი	47.6 წ	1.72	72	24.34
სიმაღლეზე ხტომა					
1	კარლო თრენჰარდტი	2.42 მ	1.99	85	21.46
2	პატრიკ სიობერგი	2.41 მ	2.00	84	21.00
3	ჰოლის კონვეი	2.40 მ	1.83	68	20.30
4	სტეფან ჰოლმი	2.40 მ	1.81	69	21.06
5	ლინუს ტორნბლადი	2.38 მ	1.80	76	23.46
6	დიტმარ მოგენბურგი	2.39 მ	2.01	78	19.31
7	გენადი ავდეენკო	2.38 მ	2.00	82	20.5
სიგრძეზე ხტომა					
1	ბობ ბიმონი	8.9 მ	1.89	75	21.99
2	რობერტ ემიიანი	8.86 მ	1.78	69	21.78
3	ირვინგ სალადინო	8.73 მ	1.76	70	22.60
4	ივან პედროსო	8.71 მ	1.76	66	21.31
5	ჯეიმს ბეკფორდი	8.62 მ	1.78	78	24.62
6	იაგო ლამელა	8.56 მ	1.77	79	25.22
7	ალექსანდრე მენკოვი	8.56 მ	1.78	74	23.36
8	სავანტე სტრინგფელოუ	8.52 მ	1.91	84	23.03
სამხტომი					
1	კენი ჰარისონი	18.09 მ	1.78	75	23.67
2	ჯეიმს ბეკფორდი	17.92 მ	1.78	78	24.62
3	ჯადელ გრეგორიო	17.9 მ	2.02	104	25.49
მრავალჭიდი					
1	ემტონ იტონი	9039 ქ.	1.85	84	24.56
2	იურგენ ჰინსენი	8832 ქ.	2	102	25.50
3	ბრაიან კლეი	8832 ქ.	1.8	84	25.93
4	დიმიტრი კარპოვი	8725 ქ.	1.98	98	25.00
5	ლეონელ სუარესი	8654 ქ.	1.8	78	24.07
6	დინ მელისი	8603 ქ.	1.97	92	23.71
7	ალექსანდრე პოგორელოვი	8528 ქ.	2.01	94	23.27
8	კრისტიან შენკი	8500 ქ.	2.01	93	23.02

მძლეოსნობაში სპორტული შედეგი შეიძლება იყოს დამოკიდებული შემდეგ ბიომექანიკურ პარამეტრებზე:

1. კუნთოვანი ძალა;
2. სხეულის მასა;
3. ინერციის მომენტი;
4. სიმაღლე;
5. ნაბიჯის სიგრძე;
6. ნაბიჯის სიხშირე;

7. ფეხების და/ან ხელების სიგრძე.

კუნთოვანი ძალა მნიშვნელოვანია ყველა სპორტის სახეობაში, მაგრამ ამავედროულად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ კუნთების მასა ზრდის მთელი სხეულის მასას, რაც თავის მხრივ მოითხოვს სპორტსმენისგან მეტ ენერგიას და შეიძლება გამოიწვიოს დაღლა მძლეოსნობის ისეთ დისციპლინებში, სადაც სპორტსმენს უწევს ინტენსიური მოძრაობების ხანგრძლივი შესრულება.

სხეულის მასა საჭიროა იქ, სადაც სპორტსმენმა უნდა შეასრულოს ხანმოკლე ქმედება დაკავშირებული სხვა ფიზიკური ობიექტების გადაადგილებასთან (შუბის ტყორცნა, ბირთვის კვრა და სხვ.).

ინერციის მომენტი დამოკიდებულია სპორტსმენის მასის განაწილებაზე სივრცეში. რაც უფრო დაშორებულია სხეულის ნაწილების სიმძიმის ცენტრები სპორტსმენის სხეულის საერთო სიმძიმის ცენტრიდან, მით უფრო მეტ ენერგიას მოითხოვს სპორტსმენისგან ამ ნაწილების ამოძრავება და გადაადგილება. ამიტომ მაღალი სპორტსმენისგან გრძელი ფეხებით ან ხელებით მოძრაობის შესრულება უფრო მეტ ენერგიას მოითხოვს ვიდრე ანალოგიური მოძრაობის შესრულება დაბალი სპორტსმენისგან.

სიმაღლე მნიშვნელოვანია მძლეოსნობის ბევრ სახეობაში. ამიტომ ათივე განხილულ დისციპლინაში სპორტსმენების საშუალო სიმაღლე აღემატება 1.80 მ-ს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიმაღლე ისეთ დისციპლინებში როგორიცაა სიმაღლეზე ხტომა, შუბის ტყორცნა და მრავალჭიდი.

ნაბიჯის სიხშირე მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად ხშირად ეხება სპორტსმენის ფეხი მიწას წუთში. ნაბიჯის სიგრძე კი განსაზღვრავს მანძილს, რომელსაც სპორტსმენი დაფარავს ერთი ნაბიჯით. სიჩქარე არის სიხშირისა და ნაბიჯის სიგრძის ფუნქცია. ეს პარამეტრები ურთიერთდამოკიდებულია და მათი ოპტიმალური თანაფარდობა იძლევა მაქსიმალურ სიჩქარეს. სიჩქარის მატება მიიღწევა ნაბიჯის სიგრძის ან სიხშირის გაზრდით.

გრძელი ხელები შეიძლება აღმოჩნდეს სასარგებლო მძლეოსნობის ისეთ დისციპლინებში, სადაც ათლეტები ასრულებენ ტყორცნებს, დარტყმებს და კვრებს. გრძელი ფეხები კი სასარგებლოა სირბილში და ხტომების შესრულების დროს.

დაგროვილი მონაცემების დეტალური ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ავსხნათ მძლეოსნობის ზემოაღნიშნული დისციპლინების ბიომექანიკა:

100 მ. სპორტსმენების სიმაღლე ამ დისციპლინაში მერყეობს 1.65-1.95 მ დიაპაზონში. ეს განპირობებულია იმით, რომ დაბალ სპორტსმენს შეუძლია მიაღწიოს კარგ შედეგს სისწრაფის გამო - ანუ ნაბიჯების უფრო მაღალი სიხშირის გამო, ხოლო მაღალ სპორტსმენს აქვს უფრო გრძელი ნაბიჯები, მაგრამ მას მოუწევს მეტი ენერგიის დახარჯვა ინერციის დასაძლევად. ამ დისციპლინაში სპორტსმენმა უნდა იპოვოს მისთვის ოპტიმალური ბალანსი ნაბიჯის სიგრძესა და სიხშირეს შორის.

200 მ. ამ დისციპლინაში სპორტსმენების სიმაღლე მერყეობს დიაპაზონში 1.75 – 1.95 მ. ამ სპორტში უფრო მეტი აქცენტი კეთდება ნაბიჯის სიგრძეზე და ნაკლები აქცენტი - კუნთების ძალაზე, ამიტომ 200 მეტრზე სპრინტერები 100 მეტრზე სპრინტერებზე უფრო მაღლები და გამხდრები არიან.

400 მ. სპორტსმენების სიმაღლე აქ მერყეობს 1.80 – 1.93 მ დიაპაზონში. მანძილის ზრდასთან ერთად იზრდება ენერგიის დანახარჯი. ამიტომ 400 მეტრზე მორბენლები უფრო მეტ აქცენტს აკეთებენ ნაბიჯის სიგრძეზე და ნაკლებ აქცენტს კუნთების ძალაზე.

ისინი არიან 200 მეტრზე მორბენლებზე საშუალოდ უფრო მაღლები და აქვთ ნაკლები BMI ინდექსი.

800 მ. აქ სპორტსმენების სიმაღლე მერყეობს დიაპაზონში 1.73-1.90 მ. ისინი 400 მეტრზე მორბენლებზე უფრო დაბლები და უფრო მსუბუქები არიან, ვინაიდან საკმაოდ დიდი მანძილის გამო აქცენტი კეთდება რესურსების ეკონომიურ ხარჯვაზე. ამ დისციპლინაში სპორტსმენმა უნდა იპოვოს ოპტიმალური ბალანსი ნაბიჯის სიგრძეს, ნაბიჯის სიხშირესა და ენერგიის დანახარჯს შორის. ამ დისციპლინაში სპორტსმენებს აქვთ 10 დისციპლინას შორის ყველაზე დაბალი BMI ინდექსი (19.80 კგ/მ²).

400 მ თარჯრბენი. ამ სპორტულ დისციპლინაში სპორტსმენებს აქვთ მასის და BMI ინდექსის დაბალი საშუალო მნიშვნელობები - 65.76 კგ და 19.88 კგ/მ². სპორტსმენების სიმაღლე 1.68 მ-დან 1.94 მ-მდე დიაპაზონში მერყეობს. ეს მაჩვენებლები ძალიან ჰგავს 800 მეტრზე მორბენლების შესაბამის მაჩვენებლებს, მაგრამ 400 მეტრზე თარჯრბენის წარმომადგენლებს აქვთ სიმაღლეების უფრო ფართო დიაპაზონი. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან დაბალ და ძალიან მაღალ სპორტსმენებს აქვთ თავიანთი უპირატესობები ამ დისციპლინაში.

სიმაღლეზე ხტომა. ცნობილია, რომ სიმაღლეზე მხტომელები ჩვეულებრივ ძალიან მაღლები არიან (სიმაღლე მერყეობს დიაპაზონში 1.80-2.01 მ, სიმაღლის საშუალო მნიშვნელობა შეადგენს 1.93 მ-ს). მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც (მაგალითად, ჰოლის კონვეი და სტეფან ჰოლმი საუკეთესო შედეგით 2.40 მ და ლინუს ტორნბლადი - მისი შედეგია 2.38 მ). მიუხედავად მათი შედეგებით პატარა სიმაღლისა (1.83, 1.81 მ და 1.80 მ შესაბამისად), ამ სპორტსმენებმა მიაღწიეს ფენომენალურ შედეგებს მათი სპორტული ტექნიკისა და შედეგებით პატარა ინერციის მომენტის გამო. კარლო თრენჰარდტი, პატრიკ სიობერგი, დიტმარ მოგენბურგი და გენადი ავდეენკო არიან ძალიან მაღლები (1.99 მ, 2.00 მ, 2.01 მ და 2.00 მ შესაბამისად) და აქვთ ინერციის შედარებით დიდი მომენტები. ამ დისციპლინაში სპორტსმენის დიდი სიმაღლე მნიშვნელოვნად ზრდის ხტომის შედეგს და ნაწილობრივ ანეიტრალებს ინერციის მომენტის უარყოფით ეფექტს.

სიგრძეზე ხტომა. მსოფლიო რეკორდი ამ სპორტში ეკუთვნის მაიკ პაუელს, მეორე შედეგი - ბობ ბიმონს და მესამე შედეგი - რობერტ ემიანს, რომელთა სიმაღლე შესაბამისად არის 1.88 მ, 1.89 მ და 1.78 მ და ცხრილში 3 კიდევ არიან სპორტსმენები, რომელთა სიმაღლეები მნიშვნელოვნად ნაკლებია საშუალო მნიშვნელობაზე (1.84 მ). ცნობილია, რომ სიგრძეზე მხტომელი ასევე კარგი სპრინტერი უნდა იყოს და უნდა ფლობდეს ხტომის კარგ ტექნიკას. მაღალმა სპორტსმენმა შეიძლება მიაღწიოს კარგ შედეგს მისი სიმაღლის გამო, რომელიც ზრდის სიჩქარეს გამორბენის დროს ნაბიჯების გაზრდილი სიგრძის გამო, ხოლო დაბალი სპორტსმენი შეიძლება აღმოჩნდეს უფრო სწრაფი შედეგებით ნაკლები ინერციის მომენტის გამო.

სამხტომი. სამხტომს, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, აქვს ბევრი საერთო სიგრძეზე ხტომასთან. ამიტომ ამ ორი დისციპლინის წარმომადგენლების ბიომექანიკური პარამეტრები ერთმანეთთან ახლოს არის. სამხტომელები ოდნავ უფრო მაღლები არიან, მაგრამ მათი BMI ინდექსები ოდნავ ნაკლებია. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი უფრო მეტ ენერგიას ხარჯავენ სამი ხტომის შესრულების დროს, ვიდრე სიგრძეზე მხტომელები და უფრო მეტი აქცენტი უნდა გააკეთონ სიმაღლეზე და წონის შემცირებაზე. გამონაკლისია კენი ჰარისონი და ჯეიმს ბეკფორდი, რომლებიც შედარებით დაბლები არიან (1.78 მ) და ჯადელ გრეგორიო, რომელიც არის ძალიან მაღალი (2.02 მ) და აქვს დიდი წონა (104 კგ). პირველმა ორმა უნდა გააკეთონ აქცენტი კუნთების ძალაზე და სისწრაფეზე, ხოლო მესამემ უნდა გამოიყენოს თავისი სიმაღლე და სხეულის ძალა.

შუბის ტყორცნა. ცხრილში 3 ამ დისციპლინას გამონაკლისები არ აქვს, რადგან შუბის მტყორცნელი უნდა იყოს ფიზიკურად ძლიერი, ჰქონდეს საკმარისი მასა და სიმაღლე. ასევე სასურველია ჰქონდეს გრძელი ხელები და ფეხები.

მრავალჭიდი. მრავალჭიდი მოიცავს რბენას 100 მეტრზე, 400 მეტრზე, 1500 მეტრზე, 110 მეტრზე თარჯრბენს, სიგრძეზე ხტომას, სიმაღლეზე ხტომას, ძელზე ხტომას, დისკოს სროლას, შუბის ტყორცნას და სროლას. მხოლოდ მაღალ და ძლიერ სპორტსმენებს შეუძლიათ ყველა ამ სპორტში წარმატების მიღწევა. მაგრამ ისინი შუბის მტყორცნელებზე საშუალოდ უფრო მსუბუქები არიან, რაც განპირობებულია მათი სპორტის სახეობის სპეციფიკით, რომელიც მოიცავს ისეთ დისციპლინებს, სადაც პატარა წონას მეტი სარგებელი აქვს. სიმაღლე მერყეობს 1.80 – 2.01 მ დიაპაზონში. ეს ნიშნავს, რომ შედარებით დაბალი სპორტსმენები აქცენტს აკეთებენ კუნთურ ძალაზე და ინერციის შემცირებულ მომენტზე, ხოლო მაღალი სპორტსმენები - სიმაღლეზე და კუნთების სიმძლავრეზე.

დასკვნა. ამ ნაშრომში მძლეოსნობის 10 სახეობის მსოფლიო რანგის ათლეტების მაგალითზე ჩვენ შევისწავლეთ მათი სიმაღლის, წონის და BMI ინდექსის გადახრები საშუალო მნიშვნელობიდან. დადგინდა, რომ ათივე სახეობაში ათლეტების დიდი ნაწილის ზემოაღნიშნული მაჩვენებლები არ განსხვავდება მნიშვნელოვნად საშუალო მნიშვნელობიდან: მაგალითად, სიმაღლის გადახრა საშუალო მნიშვნელობიდან არის 5 სმ-ზე ნაკლები. მაგრამ, აგრეთვე დადგინდა, რომ თითქმის ყველა დისციპლინაში, გარდა შუბის ტყორცნისა, არსებობს მნიშვნელოვანი გადახრები: მაგალითად, 100 მეტრზე სპრინტში სპორტსმენების სიმაღლე მერყეობს დიაპაზონში 1.65-1.95 მ, ხოლო წონები - დიაპაზონში 68-94 კგ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დისციპლინებში მაღალ და შედარებით დაბალ ათლეტებს აქვთ თავიანთი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, მაღალ ათლეტებს აქვთ უფრო დიდი ნაბიჯის სიგრძე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სპრინტში, მაგრამ მათ ამავდროულად აქვთ ინერციის უფრო დიდი მომენტი, რაც ამცირებს მოძრაობების სისწრაფეს და მოითხოვს მეტ კუნთურ ენერგიას. სამაგიეროდ, დაბალ ათლეტებს აქვთ ნაკლები ნაბიჯის სიგრძე, მაგრამ ისინი უფრო სწრაფები არიან. რაც შეეხება წონას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთიდაიგივე სიმაღლის მქონე ათლეტების შემთხვევაში, უფრო მძიმე სპორტსმენს შეიძლება ჰქონდეს მეტი ენერგია და ძალა, მაგრამ ასევე ექნება გაზრდილი ინერციის მომენტი. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სპორტსმენმა ეფექტიანად გამოიყენოს თავისი ფიზიკური პარამეტრები, როგორცაა სიმაღლე და წონა, და იპოვოს ოპტიმალური ბალანსი სიმძლავრესა და სისწრაფეს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Egoyan, A., Shakhverdieva, S., Tyo, E., Gobirakhashvili, A., Moistsrapishvili, K. (2023). The relationship between the performance of elite track and field athletes and their height, weight and BMI. Proceedings of the III International Scientific Conference "Health and Sport", Tbilisi, 27-28 April, 2023, 59-63. <https://doi.org/10.5281/zenodo.7978995>.
2. Egoyan, A.E., Gobirakhashvili, A.D., Moistsrapishvili, K.M. (2023). Biomechanical analysis of the dependence of the high jump result on the height and weight of an athlete. III international scientific and practical conference "Nation's health and improvement of physical and sports education", Kharkiv National Technical University, Department of Physical Education, 79-83. (Plenary talk).
3. Wikipedia. Official world championship track and field events. (Retrieved on December 10, 2024). https://en.wikipedia.org/wiki/Sport_of_athletics.

**ზომიერი და ადრეული ფიზიკური თერაპიის ეფექტურობა სპინალური
ამიოტროფიის III ტიპის**

ელისო მურვანიძე

ფიზიკური თერაპევტი (Ph.D) (PT),

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი, Tbilisi, Georgia;

murvanidzeeliso@yahoo.com

აბსტრაქტი. შვეისწავლეთ სპინალური ამიოტროფიის III ტიპის მქონე ბავშვების მსხვილი მოტორული ფუნქციის ძირითადი მოძრაობები და დავადგინეთ რომ ადრეული ფიზიკური ვარჯიშები გაცილებით შედეგიანი აღმოჩნდა ვიდრე 3 წლის ზევით დაწყებული. მონაცემები რომელიც მივიღეთ დაგვცხმარა განგვესაზღვრა ფიზიკური თერაპიის ის მეთოდები რომელიც სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ ამ დიაგნოზის დროს, ვინაიდან არ მოხდეს ფუნქციური გაუარესება. ჩვენ შევისწავლეთ 5 თვის, 6 თვის, 8 თვის და 10 თვის ბავშვის მოძრაობები, ადრეულმა ჩარევამ უკეთესათ განავითარა ბავშვის ფიზიკური მდგომარეობა და შენარჩუნების ფაზა გაცილებით დიდხანს გაგრძელდა.

Keywords: ფიზიკური თერაპია, სპინალური ამიოტროფია, გენის მუტაცია.

**THE EFFECTIVENESS OF MODERATE AND EARLY PHYSICAL THERAPY IN TYPE III
SPINAL MUSCULAR ATROPHY WAS OBSERVED**

Eliso Murvanidze

Physical Therapist (PhD) (PT),

Georgian State Teaching University of Physical Education and Sports, Tbilisi, Georgia;

murvanidzeeliso@yahoo.com

Abstract. We studied the major motor movements of children with type III spinal muscular atrophy and found that early physical exercises were much more effective than starting after the age of 3. The data we obtained helped us identify the physical therapy methods that should be used cautiously with this diagnosis to avoid functional deterioration. We examined the movements of children aged 5 months, 6 months, 8 months, and 10 months. Early intervention significantly improved the child's physical condition, and the maintenance phase lasted much longer.

Keywords: physical therapist, spinal muscular atrophy, Gene mutation.

შესავალი. სპინალური ამიოტროფია მძიმე გენეტიკური, პროგრესირებადი ნერვ-კუნთოვანი დაავადება, რომელიც გამოვლინდება კუნთოვანი სისტემის სისუსტით და ძალის დაკარგვით, ის იშვიათი დაავადებათა ჯგუფს მიეკუთვნება მისი სტატისტიკა არის 11000-დან 1 ახალშობილი მსოფლიოში, საქართველოში რეგისტრირებულია 72 - მდე პაციენტი. ძირითადად გამოვლინდება ბავშვთა ასაკში და ჩვილი ბავშვების

სიკვდილიანობის ერთერთი ყველაზე გავრცელებილ გენეტიკურ მიზეზს წარმოადგენს [1, 2].

მისი გამომწვევი მიზეზია SMN1 გენის მუტაცია, განასხვავებენ დაავადების 4 ტიპს:

I ტიპის გამოვლენა ხდება ექვს თვემდე, II ტიპის გამოვლენა ხდება შვიდი თვიდან თვრამეტ თვემდე, III ტიპის გამოვლენა ხდება თვრამეტი თვის ზევით, IV ტიპის გამოვლენა ხდება ოცდათხუთმეტი წლის ასაკში [1, 2];

III ტიპის დროს მისი მსხვილი მოტორიკა მკვეთრად ჩამორჩება განვითარებას, მაგრამ არა ისე როგორც I და II დროს, მენტალური პრობლემები არ აღენიშნება, შეუძლია დამოუკიდებელი ჯდომა, დგას დამოუკიდებლად, გადაადგილდება, ხშირია ხერხემლის დეფორმაცია - სქოლიოზი, სუნთქვის და ყლაპვის პრობლემები (მოგვიანებით), მცირე დროით სწავლობენ სიარულს მაგრამ მერე მალე კარგავენ.

საკვლევი პრობლემა. კვლევის პროცესში პრობლემას წარმოადგენდა ბავშვების სხვადასხვა დროს ჩართულობა (შემთხვევები 1-3-5 თვე).

კვლევის მეთოდოლოგია. დაკვირვება არის რაოდენობრივი ტიპის. დაკვირვება ჩატარდა 4 პაციენტზე, მათი ასაკი იყო 5 თვიდან და 10 თვემდე, რომლებიც 2019-2023 წლების განმავლობაში. სპინალური ამიოტროფიის შეფასება მოხდა ჯერ გენეტიკოსის მიერ, გადმომისამართდა რეაბილიტაციის ცენტრში, სადაც მოხდა შეფასება ექიმი ნევროლოგის მიერ, რომელმაც განსაზღვრა დაავადების სიმძიმის ხარისხი.

დაკვირვება მოხდა ბავშვის უნარების მიხედვით:

- თავის კონტროლი
- ბრუნვები
- საყრდენით ჯდომა
- ჯდომა დამოუკიდებელი
- ოთხზედგომა.

ფიზიკური ვარჯიშების ძირითადად მიმართული იყო ბავშვის მდგომარეობის შენარჩუნებაზე და კუნთური ძალის მომატებაზე.

პროცედურის მსვლელობა:

- სახსრების პასიური დამუშავება;
- ბავშვის მოძრაობითი/მოქმედებების განვითარება (თავის კონტროლი, ბრუნვები, სატრდენით ჯდომა, დამოუკიდებელი ჯდომა, ოთხზედგომა).

აქტიური ფიზიკური ვარჯიშები:

- ხელების აქტიური მოძრაობები, (S- პოზაში);
- გადაბრუნება/გადმობრუნება;
- ჯდომის დროს პირამიდის აწყობა საპირისპირო მხარეს.

I ჯგუფში გაერთიანებული იყო სპინალური ამიოტროფიის 4 ბავშვები, სადაც ხდებოდა ფიზიკური ვარჯიშები, წელიწადში უტარდებოდათ 120 დღე, პირველი სამი წელი კვირაში 5 დღე, სამი წლის შემდეგ კვირაში 3 დღე.

II ჯგუფში გაერთიანეთ სპინალური კუნთოვანი ატროფიის მქონე ბავშვები, რომლებიც მკურნალობდნენ 2006/2007 - 2015/2017 წლებში, მკურნალობა დაიწყო სამი წლიდან (ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრიდან).

ცხრილი 1. პაციენტის მსხვილი მოტორული უნარების შეფასება.

	უნარები	მკურნალობა ამდე	1 წლის შემდეგ	2 წლის შემდეგ	3 წლის შემდეგ	4 წლის შემდეგ	5 წლის შემდეგ
I ჯგუფი	თავის კონტროლი	+	+	+	+	+	+
	ბრუნები	-	+	+	+	+	+
	საყრდენით ჯდომა	-	±3წთ	+	+	+	+
	დამოუკიდებელი ჯდომა	-	-	±5წთ	±10წთ	+	+
	ოთხზე დგომა	-	-	-	-	-	-
	სიარული	-	-	-	5წთ	10წთ	15წთ
II ჯგუფი	თავის კონტროლი	+	+	+	+	+	+
	ბრუნები	-	+	+	+	+	+
	საყრდენით ჯდომა	-	-	+	+	+	+
	დამოუკიდებელი ჯდომა	-	-	±2წთ	±3წთ	±5წთ	+
	ოთხზე დგომა	-	-	-	-	-	-
	სიარული	-	-	-	+	5წთ	-

პირველი ჯგუფის შემთხვევაში მოტორული უნარების გაუმჯობესება დაიწყო ერთი წლის შემდეგ, სამი წლის შემდეგ მოხდა სტაბილიზაცია ფიზიკური უნარების და ხუთი წლის შემდეგ დაიწყო დაავადებამ პროგრესირება, მაგრამ გვინდა ავღნიშნოთ რომ სიარულის მდგომარეობა გაცილებით დიდხანს შენარჩუნდა ვიდრე მეორე ჯგუფის ბავშვების შემთხვევებში იყო (იხ. ცხრილი 1).

მეორე ჯგუფის ბავშვებს აქ გაცილებით გვიან განვითარდა განვითარდა, მდგომარეობის სტაბილურობის ფაზა საერთოდ გვიან გამოიკვეთა და მკურნალობიდან 5 წლის შემდეგ დაიწყო დაავადებამ პროგრესი (იხ. ცხრილი 1).

დასკვნა:

1. სპინალური ამიოტროფიის დროს ფიზიკური ვარჯიშების ეფექტურობა უნდა იყოს ბავშვის უნარებზე მორგებული;
2. ფიზიკური ვარჯიშების დროს სპინალური ამიოტროფიის სტაბილურობის ფაზა გაცილებით დიდხანს გაგრძელდა;
3. ფიზიკური ვარჯიშების დროს დაავადების პროგრესირება გაცილებით ნელა მიმდინარეობს ვიდრე სხვა შემთხვევებში.
4. ადრეული ჩარევა გაცილებით დიდხანს შენარჩუნდა
5. ზომიერი და ფიზიკური უნარებზე მორგებული ფიზიკური ვარჯიშები ფუნქციურ გაუმჯობესებაში გაცილებით უკეთეს შედეგს იძლევა ვიდრე უბრალოდ ფიზიკური ვარჯიშები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მურვანიძე, ე. (2022). ფიზიკური თერაპიის გავლენა სპინალური კუნთოვანი ატროფიის III შემთხვევებში. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჯანმრთელობა და სპორტი“, ISBN 978-9941-8-4623-6.

2. მურვანიძე, ე. (2023). სპინალური ამიოტროფიის II ტიპის ადაპტირებული ფიზიკური ვარჯიშების ეფექტურობა. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, III საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ჯანმრთელობა და სპორტი“, თბილისი, 27-28 აპრილი 2023 წ. DOI: 10.5281/zenodo.7979350
3. ტატიშვილი, ნ., გაბუნია, მ., ბოკერია, ი. (2011). ბავშვთა ნევროლოგიურ დაავადებათა მკურნალობა.
4. Wegener, G. (2019). Progressive Spinal Muscular Atrophy.
5. Thomas, N. H., & Dubowitz, V. (1994). The natural history of type I (severe) spinal muscular atrophy. *Neuromuscul. Disord.*, 4, 497-502.
6. Ogino, S., Leonard, D. G., Rennert, H., Ewens, W. J., & Wilson, R. B. (2002). Genetic risk assessment in carrier testing for spinal muscular atrophy. *Am. J. Med. Genet.*, 110, 301-307.

Ketevan Khazaradze

Associate Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;
49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;
ketevan.khazaradze@sportuni.ge

Nino Japaridze

Doctor, Tbilisi State University;
1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;
nino.japaridze@tsu.ge

Aza Revishvili

Associate Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;
49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;
aza.revishvili@sportuni.ge

Irina Javakhishvili

Visiting teacher, Tbilisi Humanitarian Education University.

Abstract. Air pollution is a threat to sustainable development because it simultaneously affects various social, environmental and economic criteria related to equitable human development, such as healthy living, food security, gender equality, climate stability and poverty reduction. The purpose of our research was to determine the public's attitude to the problem of air pollution. As a result of the research, it was determined that the majority of the respondents take the problem of environmental pollution seriously, the respondents are fully and adequately aware of their own responsibility, as well as that of the people around them in the matter of environmental protection.

Keywords: Air pollution, human health, environmental measures, climate.

ჰაერის დაბინძურება და მისი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

ქეთევან ხაზარაძე

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;
ketevan.khazaradze@sportuni.ge

ნინო ჯაფარიძე

დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
1 ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;
nino.japaridze@tsu.ge

აზა რევიშვილი

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;
aza.revishvili@sportuni.ge

ირინა ჯავახიშვილი

მოწვეული პედაგოგი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი.

აბსტრაქტი. ჰაერის დაბინძურება საფრთხეს წარმოადგენს მდგრადი განვითარებისთვის, რადგან იგი ერთდროულად გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ კრიტერიუმებზე, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის სამართლიან განვითარებასთან, როგორცაა ჯანმრთელი ცხოვრება, კვების უსაფრთხოება, გენდერული თანასწორობა, კლიმატის სტაბილურობა და სიღარიბის შემცირება. ჩვენი კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა საზოგადოების დამოკიდებულება ჰაერის დაბინძურების პრობლემისადმი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა სრული სერიოზულობით ეკიდება გარემოს დაბინძურების პრობლემას, რესპოდენტები სრულად და ადეკვატურად აცნობიერებენ, როგორც საკუთარ ისე გარშემომყოფთა პასუხისმგებლობას გარემოს დაცვის საკითხში.

საკვანძო სიტყვა: ჰაერის დაბინძურება, ადამიანის ჯანმრთელობა, გარემოსდაცვითი ღონისძიებები, კლიმატი.

Introduction. As is known, air pollution refers to the release of pollutants into the air, which are harmful to human health and the planet as a whole. According to the World Health Organization, air pollution causes seven million deaths worldwide every year. Currently, nine out of every ten people breathe air that exceeds WHO limits for pollutants. Ambient air quality is one of the main environmental challenges for our country. In Georgia, the problem of atmospheric air pollution is fixed in the largest cities of the country, as well as near large industrial facilities and industrial zones [1].

Air pollution with harmful substances is the introduction/dispersal (emission) of any substance into the air as a result of human activity, which has or can have a negative impact on human health and the natural environment [2].

Human-caused factors of air pollution include: combustion process; agricultural activities; traffic emissions; industrial activities; Electricity production; use of solvents; Non-methane volatile organic compounds [3].

Ambient air pollution occurs from both natural and anthropogenic sources. Natural factors include windblown dust (mostly desert and/or sea salt), wildfires, volcanic eruptions, wind erosion, methane gas in wetlands, space dust from comets, asteroids, and meteor impacts, and more. As for anthropogenic factors, the air convention of the United Nations Economic Commission for Europe "UNECE" (convention on "long-range transboundary air pollution") distinguishes the main anthropogenic sources after atmospheric air pollution: atmospheric air pollution by harmful substances is the introduction of any substance into the atmospheric air as a result of human activities / Emissions that have or may have a negative impact on human health and the natural environment [1].

Air pollution is the fourth leading risk factor for death worldwide, after metabolic risks (overweight, high blood cholesterol, etc.), dietary disorders, and tobacco use.

Air pollution has a negative impact on the health of any person, however, children, women and people working on the street are especially vulnerable to it. Air pollution is a threat to sustainable development because it simultaneously affects various social, environmental and economic criteria related to equitable human development, such as healthy living, food security, gender equality, climate stability and poverty reduction.

According to the 2019 special report of the Public Defender of Georgia, in-depth analysis of the causes of pollution and its consequences and, accordingly, planning and implementation of effective measures to reduce air pollution are not possible in the country. In addition, there are significant gaps in the enforcement of current environmental regulations. Thus, for the reduction and prevention of atmospheric air pollution, it is necessary, based on the analysis of available data and best practices, to take timely and effective steps both at the legislative and policy level [3].

Objectives and purpose of the research: The purpose of our research was to determine the attitude of the society towards the problem of air pollution. How informed they are about risk factors and health problems. To what extent each citizen realizes his own share of responsibility in terms of harming the environment and which prevention mechanisms are necessary to reduce the harm caused by air pollution to human health.

Materials and method: the questionnaire method was used in the research process, a sociological research questionnaire was drawn up, the survey was conducted using the principle of random sampling. 156 people were interviewed. across Tbilisi. The research was conducted in the period from May 10 to June 10, 2024.

Discussion of research results: as a result of the research, it was established that the majority of respondents take the problem of environmental pollution seriously, the respondents are fully and adequately aware of their responsibility and those around them in the issue of environmental protection. 86% of the respondents were between 18 and 30 years old, and therefore, the majority of the participants in the study, 87%, were students. A polluted environment is especially risky for children, which 90% of respondents are aware of. Participants in the study are informed about the risk factors that affect us all and that cause quite unfavorable health problems. Most people have an idea about diseases provoked by pollution. They rationally and correctly discuss preventive measures (for example, restrictions on the movement of old/broken vehicles, noise, emissions) that will contribute to reducing the level of environmental pollution and the harmful effects on human health.

Conclusion. As a result of the research, we can conclude that it is necessary to inform and encourage the population regarding environmental measures by the state. As is known, in 2021 the Parliament of Georgia adopted the Law on Environmental Responsibility. The full implementation of the mentioned law was planned from July 1, 2023, then it was postponed until September 1, 2026, and most importantly, air pollution remains a serious problem in the country.

References:

1. ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, 2021, UNDP, https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_dg_ambient-air-quality-2021_geo.pdf
2. საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“;
3. უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში), სპეციალური ანგარიში, 2019, საქართველოს სახალხო დამცველი, <https://ombudsman.ge/res/docs/2019040113594483544.pdf>

სპორტის და ფიზიკური აქტივობების მნიშვნელობა უსინათლო და სუსტი მხედველობის მქონე ადამიანებისთვის

ილია ხიპაშვილი

პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სპორტამაშების კათედრის მასწავლებელი;

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

ilia_khipashvili@yahoo.com

აბსტრაქტი. სპორტი და ფიზიკური ვარჯიშები ანაზღაურებს უსინათლო ადამიანებში მხედველობის დაქვეითებას კუნთოვან-მოტორული შეგრძნებების და სხვა ანალიზატორების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების დახმარებით. ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებით, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეშვეობით, ამაღროულად აუმჯობესებს და კოორდინაციას უწევს მოძრაობას, პოზას, სიარულის, ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებას, მორალური და გამძლეობის თვისებების ამაღლებას, სოციალიზაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

საკვანძო სიტყვები: სპორტი, ფიზიკური აქტივობა, უსინათლოთა სპორტი, უსინათლოთა ფეხბურთი.

ON THE EFFECT OF SPORTS AND PHYSICAL ACTIVITY ON VISUALLY IMPAIRED PEOPLE

Ilia Khipashvili

Doctor of Pedagogy, Teacher, Honoured Coach of Georgia, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;

49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

ilia_khipashvili@yahoo.com

Abstract. Therefore, sports and physical exercises compensate for visual impairments in blind people with the help of significant improvement of muscle-motor sensations and other analyzers. By improving human health, physical culture and sports at the same time improve and coordinate movement, posture, walking, develop physical abilities, raise moral and endurance qualities, promote socialization and integration in society.

Keywords: Sports, physical exercise, physical activity, visually impaired people.

შესავალი

უსინათლოთა სპორტი - ეს არის ადაპტირებული სპორტული პროგრამების ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობებისა და მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანების ფიზიკური რეაბილიტაციასა და სოციალიზაციისკენ არის მიმართული.

უსინათლოთა სპორტში გამოყოფენ ციკლურ, სათამაშო, გუნდურ, ორთაბრძოლებს და ბუნებრივ გარემოში არსებულ სხვა სპორტულ სახეობებს.

თანამედროვე ადამიანის ცხოვრება სპორტის გარეშე ბევრს არასრულფასოვნად წარმოუდგენია. ეს არამხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობის გაძლიერებისა და თვითრეალიზაციის საუკეთესო საშუალებაა, ეს ყველა ასაკის ადამიანს მოიცავს.

წარმოადგენს თუ არა ასეთ პრობლემას მხედველობის დარღვევა? როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სრულიად უსინათლოებსაც კი ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებებში მაღალი შედეგების ჩვენება, და მიღწევების მოპოვება შეუძლიათ.

კვლევის მიზანი. ამ კვლევის მიზანს წარმოადგენს სპორტის და ფიზიკური აქტივობების დადებითი ეფექტის ანალიზი უსინათლო და სუსტი მხედველობის მქონე ადამიანების ჯანმრთელობაზე, ფსიქიკაზე და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესზე.

შედეგების განხილვა. ფეხბურთი ერთ-ერთი მასობრივი სპორტია მსოფლიოში, და ხშირად მხედველობის პრობლემებიც კი ვერ უშლის ხელს ადამიანებს გააგრძელონ ეს დინამიური თამაში. გარდა ამისა, შექმნილია სპეციალური აქსესუარები და აღჭურვილობა უსინათლო და მხედველობის უნარის მქონე ადამიანებისთვის. უსინათლოთა სპორტში ერთ-ერთ პოპულარულ სახეობად უსინათლოთა ფეხბურთს მიიჩნევენ. ამის მაგალითია, პარიზის პარალიმპიური თამაშების შედეგი, სადაც თამაშის ფინალური ბრძოლა დამაბულად და ემოციურად მიმდინარეობდა. უსინათლოთა ფეხბურთი, ფეხბურთის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს, მინი-ფეხბურთს (ფუტზალს) 5 X 5-ზე, ჟღარუნა ბურთით თამაშს.



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის, სპორტის სხვადასხვა ადაპტირებული სახეობები არსებობს.

ისინი სპეციალურად უსინათლოთათვის და სუსტი მხედველობის მქონე ადამიანებისთვის არის შემუშავებული და მათ ადაპტირებასა და სოციალიზაციაში ეხმარებათ. მხედველობის დარღვევის მქონე პირებისთვის მხედველობითი დარღვევებისა და მათი ხარისხიდან გამომდინარე ადაპტირებული სპორტი კლასებად იყოფა. თავისი კლასის ფარგლებში ადამიანს შეუძლია ნებისმიერი სახეობის სპორტით დაკავდეს: ეს იქნება უსინათლოთა ფეხბურთი, თუ სხვა უსინათლოთა სპორტის სახეობა.

სპორტსმენები - პროფესიონალები და მოყვარულები ვარჯიშობენ მწვრთნელების, ინსტრუქტორების მეთვალყურეობით და რეგულარულად გადიან შემოწმებას ექიმ-ოფთალმოლოგთან. დღესდღეისობით სრულყოფილი ადაპტაციისთვის მხედველობის დარღვევების მქონე ადამიანებისთვის, ბევრი შესაძლებლობა არსებობს. ფიზიკური მომზადება და სპორტი მხედველობის დარღვევების მქონე ადამიანს სრულფასოვანი ცხოვრების საშუალებას აძლევს.

სპორტის გავლენა და ფიზიკური ვარჯიში მხედველობისთვის დიდ დატვირთვას წარმოადგენს, თუმცა ამ საკითხისადმი სწორი მიდგომა დადებითი შედეგის მომტანი იქნება.

უსინათლო ადამიანები, ისევე როგორც მხედველი ადამიანები შეიძლება სპორტის სხვადასხვა სახეობით იყვნენ დაკავებულნი. სპორტის ეს სახეობები უნდა იყოს ადაპტირებული. მხედველობის პრობლემების მქონე ადამიანებისთვის სპორტი ეს არამარტო სახლიდან გამოსვლის შესაძლებლობაა, არამედ ის ურთიერთობისა და ადამიანების გაცნობის შესაძლებლობას იძლევა. არ არის აუცილებელი ის, რომ ყველა მხედველობის დარღვევების მქონე ან მხედველობადაკარგულმა ადამიანმა მონაწილეობა მიიღოს ოლიმპიადაში. ბევრისთვის ის უბრალოდ დროის სასიამოვნოდ გატარების შესაძლებლობაა ისეთ ადამიანებთან ერთად, ვისაც მსგავსი ფიზიკური პათოლოგიური თავისებურებები გააჩნიათ.

მთელი ცხოვრების მანძილზე ადამიანს ფიზიკური აქტივობა ესაჭიროება. ეს დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში კუნთებისა და სისხლძარღვების, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მთელი ორგანიზმის სარეზერვო შესაძლებლობების, მათ შორის გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი და სხვა სისტემების შენარჩუნების ერთადერთი საშუალებაა. ფიზიკური აქტივობა სიცოცხლის მუდმივ ფაქტორს, ორგანიზმის ყველა ფუნქციის მთავარ მარეგულირებელ ძალას უნდა წარმოადგენდეს. მოსახლეობის ახალი ჯგუფების, და უპირველეს ყოვლისა მოზარდებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სპორტში ჩართულობა დღევანდელ ეტაპზე, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სისტემაში მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

უსინათლო ადამიანთა სოციალური რეაბილიტაციის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ორგანიზმის ფიზიკურ შესაძლებლობათა გაუმჯობესებას უკავია, რაც ფიზიკურ უნარებს ანვითარებს, რადგანაც უმოძრაობა უარყოფითად მოქმედებს მამოძრავებელ სისტემაზე. სპორტი არამარტო ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებაა, არამედ ის უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც წარმოადგენს. ჩნდება შესაძლებლობა, ვაჩვენოთ რა მაღალი და გამორჩეული შედეგების მიღწევაა შესაძლებელი სხვადასხვა ორგანოების ფუნქციების დაქვეითების ან არარსებობის პირობებშიც კი. ეს უკანასკნელი ასპექტი ძალზედ მნიშვნელოვანია. შშმ პირთა მონაწილეობა სპორტულ თამაშებში, რეაბილიტაციის ერთერთი ეტაპია. სპორტი ხელს უწყობს ფიზიკური ჯამრთელობის გაუმჯობესებას, ანვითარებს მეხსიერებას და ყურადღებას, ასევე ხელს უწყობს ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ზოგადად სოციალურ ადაპტაციას.

სპორტული დატვირთვის არჩევისას მონაწილეებისთვის ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ფსიქოლოგიური დახმარება წარმოადგენს. ამასთან ერთად, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა უნდა იყოს წარმოდგენილი მხედველობის დარღვევის მქონე სპორტსმენის ვარჯიშის ყველა ეტაპზე.

სპორტის ფსიქოლოგიაში შეჯიბრებით პროცესში ფსიქოლოგის როლისადმი რამოდენიმე მიდგომა არსებობს. პირველი მიდგომის არსს სპორტში კომპლექსური ფსიქოლოგიური კონტროლი წარმოადგენს.

ფსიქოლოგი, ძირითადად ახდენს დაკვირვებას სპორტსმენზე და მწვრთნელს სპორტული მომზადების სხვადასხვა ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელ ინფორმაციას აწვდის.

მეორე მიდგომას სპორტულ მოღვაწეობაში ფსიქოლოგიური უზრუნველყოფა წარმოადგენს. ფსიქოლოგი არამხოლოდ ახდენს დაკვირვებას სპორტსმენზე, არამედ

ზემოქმედებს მასზე როგორც თავად, ასევე მწვრთნელს სპორტული მომზადების სხვადასხვა ამოცანების გადასაჭრელად საჭირო ინფორმაციას აწვდის.

მხედველობის დაზიანებების მქონე სპორტსმენის სპორტული დატვირთვის ოპტიმიზაციისადმი მსგავსი მიდგომა საუკეთესო შედეგის მიღწევისა და სოციალური ადაპტაციის საშუალებას მოგვცემს.

სპორტი და ფიზიკური აქტივობა მხედველობის დარღვევების მქონე და მხედველობადაკარგულ ადამიანებს ასევე მოძრაობის განვითარებასა და ტანადობის გამოსწორებაში ეხმარება, ზრდის ორგანიზმის ყველა სისტემის აქტივობას.

ფიზიკური აქტივობა ასევე სისხლის მიმოქცევას აწესრიგებს, რომლის დახმარებითაც ხორციელდება ჯანგზადითა და ადამინისთვის სხვა მნიშვნელოვანი ნივთიერებებით ორგანოების კვება. სპორტი შესანიშნავ პრევენციასა და ჯანმრთელობის გაჯანსაღებისა და გაძლიერების შესაძლებლობას წარმოადგენს. მთავარია, რომ ფიზიკური ვარჯიში და დატვირთვები ზომიერი იყოს.

დასკვნა

შედეგად, სპორტი და ფიზიკური ვარჯიშები კუნთოვან-მამოძრავებელი შეგრძნებებისა და სხვა ანალიზატორთა ფუნქციის სრულყოფის დახმარებით უსინათლოეებში მხედველობის დარღვევებს აკომპენსირებს. ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებით ფიზიკური კულტურა და სპორტი ამავედროულად მოძრაობის, ტანადობის, სიარულის გამოსწორებას და კოორდინაციას უწყობს ხელს, ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებას, ზნეობრივი-გამძლეობითი თვისებების აღზრდას, საზოგადოებაში აქტიურ სოციალიზაციასა და ინტეგრაციას უწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Alcaraz-Rodríguez V, Medina-Rebollo D, Muñoz-Llerena A, Fernández-Gavira J. Influence of Physical Activity and Sport on the Inclusion of People with Visual Impairment: A Systematic Review. *Int J Environ Res Public Health*. 2021 Dec 31;19(1):443. doi: 10.3390/ijerph19010443. PMID: 35010704; PMCID: PMC8744778.
2. Haegele, J.A.; Zhu, X.; Lee, J.; Lieberman, L.J. Physical activity for adults with visual impairment: Impact of sociodemographic factors, *European journal of adapted physical activity*. *Eur. J. Adapt. Phys. Act.* 2016, 9, 3–14.
3. İlhan, B.; İdil, A.; İlhan, I. Sports participation and quality of life in individuals with visual impairment. *Ir. J. Med. Sci.* 2021, 190, 429–436.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი როგორც ჯანმრთელობის გარანტი

ვასილ ბაკაშვილი

პროფესორი, პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ვაჟა ფშაველას 76, თბილისი, საქართველო;

bakashvilivasili@gmail.com

აბსტრაქტი. ფიზიკური აქტივობა ადამიანის ბუნებრივი საჭიროებაა. სოციალური საქმიანობის ნებისმიერი სფეროს განვითარება შეუძლებელია ფიზიკური კულტურისა და სპორტის გაძლიერებისა და განვითარების გარეშე. ფიზიკური აქტივობის დაკმაყოფილების ადამიანის სურვილი ფიზიკური კულტურის განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა, რომელშიც გადამწყვეტია ჯანმრთელობის გამაუმჯობესებელი ფაქტორი. ჯანდაცვა, როგორც უმაღლესი ღირებულება, არის მთავარი კატეგორია, რომელიც განსაზღვრავს ამ ფენომენის შინაარსს.

საკვანძო სიტყვები: ჯანმრთელობა, ფიზიკური აღზრდა, სპორტი, ფიზიკური აქტივობა.

PHYSICAL EDUCATION AND SPORTS AS A GUARANTOR OF HEALTH

Vasili Bakashvili

Professor, Doctor of Pedagogics, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;

76 Vazha Pshavela, Tbilisi, Georgia;

bakashvilivasili@gmail.com

Abstract. Physical activity is a necessary natural human need. The development of any area of social activity is impossible without the strengthening and development of physical culture and sports. The desire of a person to satisfy physical activity is one of the driving forces of the development of physical culture, in which the health-improving factor is decisive. Health care as the highest value is the main category that determines the content of this phenomenon.

Keywords: sport, health, adopting, healthy lifestyle.

შესავალი. საყოველთაოდ ცნობილია რომ, ფიზიკური აღზრდა და სპორტი, წარმოადგენს საზოგადოების საერთო კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილს, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ადამიანის ფიზიკური სრულყოფისადმი სოციალური მოთხოვნები. ფიზიკური კულტურის ისეთ ფაქტორებს შორის როგორებიცაა სოციალურ-ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკურისი, სოციალურ-კუკტურული და ა.შ., გამაჯანსაღებელი წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს, რომლის გარეშეც საზოგადოებრივი საქმიანობის რომელიმე სფეროს (დარგის) წარმატებული განვითარება მწელად წარმოსადგენია. ფიზიკულტურულ-სპორტული საქმიანობა განიხილება როგორც ცხოველმყოფელობის კულტურის განუყოფელი ნაწილი. ფიზიკური აღზრდა და სპორტი ადამიანის არა უბრალოდ საქმიანობის სფეროა,

არამედ სოციალური მოვლენაა რომელიც ხელს უწყობს არამართო ცალკეული პიროვნებების, არამედ ქვეყნებისა და სახელმწიფოების პრესტიჟის ამაღლებას.

კვლევის ამოცანა. კვლევის ამოცანას წარმოადგენდა არსებული მეცნიერული მონაცემების თეორიული ანალიზის საფუძველზე გაგვერკვია წარმოადგენს თუ არა ფიზიკური აღზრდა და სპორტი მნიშვნელოვან გამაჯანსაღებელ ფაქტორს.

კვლევის მეთოდები. კვლევისას გამოყენებულ იქნა ინფორმაციის შეგროვების, თეორიული ანალიზის და განზოგადოების მეთოდები.

კვლევის შედეგები. ფიზიკური აქტივობა წარმოადგენს ადამიანის აუცილებელ ბუნებრივ მოთხოვნილებას რომლის გარეშეც მისი არსებობა უბრალოდ შეუძლებელია, ხოლო მისი ლტოლვა ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად წარმოადგენს ფიზიკური კულტურის განვითარების მამოძრავებელ ძალას. ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს საფუძვლად უდევს ფიზიკური განვითარების, გაჯანსაღების, დღეგრძელობის სოციალური მოთხოვნები. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფენომენის ძირითად განმსაზღვრელ კატეგორიას ჯანმრთელობაზე ზრუნვა წარმოადგენს. ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი პრინციპიც სწორედ გამაჯანსაღებელი პრინციპია. სისტემატიური, სწორად შერჩეული და სათანადოდ ორგანიზებული ფიზიკური ვარჯიშები ყოველმხრივ დადებითად მოქმედებს ადამიანის როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ სფეროზე. მათი ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე მრავალმხრივია: ისინი დადებითად მოქმედებენ უჯრედის რეაქტიულობაზე, მათ ფიზიკურ, ქიმიურ შემადგენლობასა და სტრუქტურაზე; ნივთიერებათა ცვლაზე; ნერვული პროცესების დინამიკაზე; გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე; კუნთურ სისტემაზე; აქტიურებენ საჭმლის მომნელებელ ორგანოებს; იცავენ ორგანიზმს ზედმეტი ცხიმების დაგროვებისაგან; ზრდიან ფილტვების სასიცოცხლო მოცულობას; ავითარებენ ფიზიკურ თვისებებს და სხვა. ფიზიკური აღზრდის პროცესში, ფიზიკური ვარჯიშების გამოყენებით, მიიღწევა როგორც გამაჯანსაღებელი, ასევე სამკურნალო ეფექტი. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენის მქონე ფაქტორთა შორის, ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ცხოვრების წესზე მოდის (50%), რაც იმას ნიშნავს რომ, ადამიანი საკუთარ ჯანმრთელობას მეტწილად თავად განსაზღვრავს. ამასთანავე ფიზიკურ ვარჯიშებს დიდი საგანმანათლებლო და ზრდელობითი როლი აკისრიათ, მათი მეშვეობით ადამიანი იმუშავებს საკუთარი სხეულის ფლობის უნარს, იყალიბებს სიცოცხლისათვის აუცილებელ მოძრაობით უნარ-ჩვევებს. ამავდროულად, ფიზიკური ვარჯიშები ხელს უწყობს ადამიანის ინტელექტუალურ განვითარებას, კერძოდ: ავითარებს აღქმის სიზუსტეს, ყურადღებას, მეხსიერებას, აზროვნებას, ნებელობას, ემოციურობას და ა.შ.. სპორტის მნიშვნელობის მრავალგვარობა განაპირობებს მისი ფუნქციების მრავალრიცხოვნებას. საყოველთაოდ ცნობილია რომ, სისტემატიური ფიზიკულტურულ-სპორტული მეცადინეობები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ჯანმრთელობის განმტკიცებას და დაავადებათა პროფილაქტიკას, ამიტომაც სპორტის დანიშნულება არ ამოიწურება მხოლოდ საშეჯიბრო მოღვაწეობითა და მათში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევით, არამედ მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ზრუნვა ჯანმრთელობაზე, როგორც უმაღლეს ფასეულობაზე. არ უნდა გვავიწყდებოდეს რომ, ერის ჯანმრთელობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და ეკონომიური განვითარების საწინდარია. ფიზიკური აღზრდის სპეციფიკური (რეკრეაციულ-გამაჯანსაღებელი და სხვ.) ფუნქციები ორგანულ კავშირშია საერთო სოციალურ ფუნქციებთან, მაგრამ ისინი უფრო კონკრეტულ ფორმებში გამოხატავენ ფიზიკური კულტურის სოციალურ არსს, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის აუცილებლობას, გამოხატულს

საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში ფიზიკური აღზრდის სფეროში. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ ყველას კარგად არ ესმის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის როლი საზოგადოებისათვის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან (70-80 იანი წლებიდან), ამერიკულმა საზოგადოებამ ის აღიარა მეორე რელიგიად, რომლისაც ამერიკელების უდიდეს ნაწილს ღრმად სწამს და გამომდინარე აქედან დიდი ყურადღებით ექცევიან საკუთარ ჯანმრთელობას, რადგანაც კარგად ესმით რომ, სწორედ ამ „კაპიტალზე“ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათი მომავალი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60 წლებში პ.ბოილის მიერ გამოცემული წიგნი „სპორტი - ამერიკული ცხოვრების სახე“, აღიარებული იქნა ამერიკული საზოგადოების მოდელად, ხოლო ამერიკელი ფილოსოფოსი მ.ნოვაკი თვლიდა რომ, სპორტის უგულვებელყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაციონალური ღირებულების ხელიდან გაშვებას ნიშნავს. ამერიკელი სოციოლოგების დასკვნით სპორტი აკუმულირებს ამერიკული საზოგადოების ძირითად ფასეულობებს. ცნობილი ამერიკელი პროფესორი რ.ფორსი სამართლიანად უწოდებს სპორტს ცხოვრების მინიატურას ლაბორატორიის ფუნქციით.

თანამედროვე სპორტი დღეს, საზოგადოებისათვის უდაოდ წარმოადგენს საზოგადოებრივ მოვლენას, თუმცა, დღესდღეობით მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტი სულ უფრო და უფრო დისტანცირდება ერთმანეთისგან მრავალი მაჩვენებლებით, მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელია დატვირთვების მზარდი მოცულობები და ინტენსიობები, წვრთნის ტექნოლოგიები, აღდგენითი პროცესების პირობები და თანამედროვე საშუალებები. ცნობილია რომ, დიდ სპორტში სპორტსმენის მომზადების თანამედროვე სისტემები აიძულებს სპორტსმენებს იმუშაონ საკუთარი სარეზერვო შესაძლებლობების ზღვარზე, რაც სამწუხაროდ მათ ჯანმრთელობას უქმნის არასასურველ პირობებს. ხშირად სპორტსმენების მომზადების პროცესები მიმდინარეობს ფორსირებულად, მათი ასაკობრივი განვითარების თავისებურებების არასათანადო გათვალისწინებით, რასაც ხშირად მივყავართ როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ და ნებელობით დარღვევებამდე, სპორტული „დღემოკლეობის“ არასასურველ შედეგებამდე.

მიუხედავად იმისა რომ, რეგულარული ფიზიკურ ვარჯიშები ადამიანის ჯანმრთელობისთვის უდაოდ უმნიშვნელოვანესია, არ შეიძლება მასთან ერთად ისეთი ფაქტორების დავიწყება და უგულვებელყოფა როგორებიცაა: სწორი, რაციონალური, ჯანსაღი კვება, ეკოლოგია, მავნე ჩვევები, ცხოვრების დონე, გენეტიკა და ა.შ. ჯანმრთელობის თვალთახედვით, მნიშვნელოვან უარყოფით ფაქტორს წარმოადგენს სპორტსმენების მიერ დოპინგის მოხმარება, რაც თანამედროვე სპორტისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან და რთულ პრობლემას წარმოადგენს, იმდენად, რამდენათაც გამარჯვების მოსაპოვებლად ნებისმიერი საშუალებების გამოყენების ტენდენციები სულ უფრო და უფრო იზრდება, მათ შორის დოპინგის მოხმარება. გარდა იმისა რომ დოპინგი უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე ის სპორტს აქცევს ანტიჰუმანურად, ვინაიდან მისი გამოყენებისას საუბარი აღარ მიმდინარეობს გამარჯვებულის გამოსავლენად შექმნილ თანაბარ პირობებზე. მის მოხმარებას მივყავართ „ჯანსაღი“ სპორტის დისკრედიტაციამდე და საზოგადოებრივი აზრის ნეგატიურ ფორმირებამდე.

საბედნიეროდ, დღეს საქართველოში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, შეიმჩნევა ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზებულ სპორტულ სექციებში ჩართულობის ზრდის ტენდენცია, რომლის ერთ-ერთ მამოტივირებელ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი

სახელოვანი სპორტსმენების მიერ ბოლო პერიოდში მაღალ საერთაშორისო დონის შეჯიბრებებში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევებით.

დასკვნები. ფიზიკური აქტივობა წარმოადგენს ადამიანის აუცილებელ, ბუნებრივ მოთხოვნილებას, რაც ფიზიკურ აღზრდას საზოგადოებრივი მოვლენის სტატუსს ანიჭებს. ადამიანის ლტოლვა ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ წარმოადგენს ფიზიკური კულტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას, რომელშიც გამაჯანსაღებელი ფაქტორი განმსაზღვრელია. საზოგადოებრივი საქმიანობის არცერთი სფეროს განვითარება არ არის შესაძლებელი ფიზიკური კულტურის განვითარების და როგორც შედეგი ჯანმრთელობის განმტკიცების გარეშე. ჯანმრთელობაზე ზრუნვა, როგორც უზენაესი ღირებულება, წარმოადგენს ძირითად კატეგორიას რომელიც განსაზღვრავს მოცემულ ფენომენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაკაშვილი ვ. „Спорт и здоровья общества“. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „ჯანმრთელობა და სპორტი“. თბილისი. 12-13 აპრილი, 2021.
2. ბაკაშვილი ვ. „სკოლა და ჯანსაღი ცხოვრების წესი“. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მეთოდური კონფერენცია. თბილისი. 2015.
3. Любичева Л.И. Социология физической культуры и спорта. М.Академия.2010.
4. Любичева Л.И. Развитие ценностного потенциала физической культуры и спорта на рубеже XXI века. Краснодар., 1996.
5. Bakashvili V., Aptsiauri L. Social factors of physical culture development in modern society. XXI International Scientific and Practical Conference „Physical education, sports and health: state, problems and prospects. Ukraine, Kharkov. December 6-7, 2022.

წლიური და მრავალწლიური მომზადების ძირითადი პერიოდიზაცია

გივი გოგოძე

ასისტენტ პროფესორი, საქ. დამსახურებული მწვრთნელი; საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო.

givigogodze@gmail.com

აბსტრაქტი. პერიოდიზაციის თეორია მოითხოვს, რომ სპორტსმენის მიერ გამოყენებული სტრატეგიის მიუხედავად, წლიური და მრავალწლიანი ვარჯიშის ელემენტები უნდა იყოს სტრუქტურირებული, რათა ხელი შეუწყოს მათ განვითარებას სხვადასხვა ტიპის ვარჯიშებში. მრავალწლიანი ტრენინგის პერიოდიზაცია შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მიკროციკლების დამოუკიდებელი სისტემა, ინტეგრირებული მთლიან წლიურ მაკროციკლში. ტრენინგის ძირითადი მიმართულებაა ყოვლისმომცველი ფიზიკური განვითარება, სადაც აქცენტი კეთდება კოორდინაციაზე და ტექნიკურ უნარებზე.

საკვანძო სიტყვები: პერიოდიზაცია, პერიოდიზაციის თეორია, ტრენინგი, წლიური ტრენინგი, მრავალწლიანი ტრენინგი.

THE BASIC PERIODIZATION OF ANNUAL AND MULTI-YEAR TRAINING

Givi Gogodze

Assistant Professor, Honoured Coach of Georgia, Georgian State Teaching University of Physical Education and Sport;

49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia.

givigogodze@gmail.com

Abstract. Periodization theory requires that, regardless of the strategy used by the athlete, elements of both annual and multi-year training should be structured to support their development across various types of training. Multi-year training periodization can be viewed as an independent system of microcycles, integrated into the overall annual macrocycle. The primary focus of training is comprehensive physical development, with an emphasis on coordination and technical skills.

Keywords: Periodization, periodization theory, training, annual training, multi-year training.

შესავალი. პერიოდიზაციის თეორია მოითხოვს, რომ სპორტსმენის მიერ გამოყენებული პერიოდიზაციის სტრატეგიის მიუხედავად, ვარჯიშთა სახეების მიხედვით მისი განვითარებისთვის წარმოადგინოს მთლიანი წლიური და მრავალწლიური მომზადების ელემენტები. მრავალწლიანი მომზადების პერიოდიზაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც დამოუკიდებელი სისტემა მიკროციკლებისა, განუყოფელი მთლიანი წლიური მაკროციკლისა. ძირითადი მიმართულებაა მომზადების ყოველმხრივი ფიზიკური მომზადება, განსაკუთრებით კოორდინაციული და ტექნიკური მომზადება.

კვლევის ამოცანები. კვლევის ძირითადი მიზანია წლიური და მრავალწლიური მომზადების ძირითადი პერიოდიზაციის მნიშვნელობის განხილვა. ჩვენ

შემოგთავაზებთ რჩევებს, რომელთა გათვალისწინებაც შეძლებთ წლიური და მრავალწლიური მომზადების გეგმის ჩამოყალიბებას და პერიოდიზაციას.

სპორტული შეჯიბრების დროს ხდება მაქსიმალური რეალიზაცია გუნდებისა და სპორტსმენების, მათი მომზადებულობის დაპირისპირება, ახალი შედეგების მიღწევა და რეკორდების დამყარება. შეჯიბრება არის სპორტსმენთა მომზადების ერთ-ერთი ძლიერი საშუალება და ის ანვითარებს, როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ნებელობით და სხვა ფაქტორებს, მაგრამ განსხვავდება სპორტის სახეობების მიხედვით. მაგალითად სპორტული თამაშების დროს საშუალოდ მთელი წლის განმავლობაში 60-70 დღეა დაკავებული; ველოსპორტის დროს სპორტსმენები ღებულობენ მონაწილეობას მრავალდღიან შეჯიბრებებში და უწევთ 100-120 საშეჯიბრო დღის გადალახვა, რაც თითქმის 20 ათასი კილომეტრის ტოლია და ა.შ..

არსებობს პერიოდიზაციის ერთი, ორი ან სამ ციკლიანი მოდელი. წლიური ვარჯიშების აწყობას ერთი მაკროციკლით ეწოდება ერთციკლიანი, ორ მაკროციკლზე ორციკლიანი, სამზე სამციკლიანი. თითოეულ მაკროციკლში გამოიყოფა სამი პერიოდი: მოსამზადებელი, საშეჯიბრო და გარდამავალი. სხვადასხვა სპორტის სახეობის სპეციფიკა მოითხოვს განსხვავებულ მოდელებს.

გულისცემის სიხშირის რაოდენობრივი პროცენტის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ სპორტული პროცესის მოსალოდნელი ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური ეფექტი, რადგან ჩვენ ვიცით, თუ როგორ მუშაობს სპორტსმენის ორგანიზმი, პულსაციის სხვადასხვა რეჟიმის დროს საჭირო ენერგიის გამომუშავებისას.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს მიკროციკლები და მათი პროგრამების აშენება-მოწყობა. მიკროციკლი შეიძლება ვუწოდოთ მეცადინეობების სერიებს, რომლებიც ტარდება (გრძელდება) 3-4 10-14 დღე. განვიხილოთ მისი სხვადასხვა ვარიანტები: მოზიდვითი მიკროციკლი: ეს ვარიანტი გამოიყენება მოსამზადებელი პერიოდის პირველ ეტაპზე; (ეს მიკროციკლი არ გამოიყოფა სხვა მიკროციკლებისგან დიდი დატვირთვებით, ამ მიკროციკლში მომზადებულობის ზრდასთან ერთად იმატებს დატვირთვის სიდიდე და აღწევს 70-75%. განმავითარებელი მიკროციკლი (დარტყმითი): ხასიათდება დიდი სიდიდის დატვირთვით; მისი ძირითადი დავალება ადაპტაციური პროცესების სტიმულირებაა. სპორტსმენის ორგანიზმის ძირითადი მიზნების გადასაწყვეტად, ტექნიკური, ტაქტიკური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ნებელობითი მომზადება. ეს მიკროციკლი გამოიყენება როგორც მოსამზადებელი, ისე საშეჯიბრო პერიოდებშიც. მიმყვანი მიკროციკლი: ეს მიკროციკლი ძირითადად კონკრეტულად შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად გამოიყენება. მისი შემადგენლობა მრავალფეროვანია და დამოკიდებულია სპორტსმენთა მრავალწლიან მომზადებაზე, საშეჯიბრო კალენდარზე აღდგენითი მიკროციკლი: ამითი მთავრდება დარტყმითი მიკროციკლები. ამ მიკროციკლს გეგმავენ ყველა შეჯიბრებისთვის. აღნიშნული მიკროციკლის მოვალეობაა სპორტსმენს შევუქმნათ ოპტიმალური პირობები ადაპტაციური და აღდგენითი პროცესებისთვის.

მიკროციკლების აწყობა დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე: მიკროციკლის სწორად ასაწყობად უნდა ვიცოდეთ, რა გავლენას ახდენს სხვადასხვა სიდიდის და მიმართულების დატვირთვები, სპორტსმენის ორგანიზმზე, როგორია მისი დინამიკა და აღდგენა. თუ მიკროციკლებში დატვირთვების რიგითობების სისტემას კვალიფიციურად გამოვიყენებთ, მომდევნო ვარჯიში პირველის სუპერკომპენსაციის შემდეგ ჩატარდება და სწორედ ამ შემთხვევაში იქნება მიღებული უმაღლესი შედეგი. მიკროციკლებში

რაციონალური რიგითობითი გაკვეთილები შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა სიდიდის დატვირთვების ჩანაცვლებით - ყველა დონის სპორტსმენთა მომზადებაში.

მიკროციკლთა სახეები - მოზიდვითი მიკროციკლები უზრუნველყოფენ სპორტსმენთა გეგმიურ მომზადებას; მოზიდვითი მიკროციკლები გამოირჩევა არა დიდი დატვირთვებით (განსაკუთრებით წლის დასაწყისში გარდამავალი პერიოდის შემდეგ; დატვირთვის სიდიდე არის 20-25%); ამ ეტაპის გასვლის შემდეგ დატვირთვები იმატებს 70-75%-მდე; მოზიდვითი მიკროციკლების აწყობა ხდება საერთო ფიზიკური და სხვადასხვა დამხმარე საშუალებების ხარჯზე;

დარტყმითი (განმავითარებელი) მიკროციკლები - ამ ტიპის მიკროციკლები გამოიყენება სპორტსმენთა ადაპტაციური სტიმულირებისთვის; ეს მიკროციკლები გამოირჩევა მაქსიმალური დატვირთვით და კვირის განმავლობაში ვარჯიშთა დიდი რაოდენობით - 9-10 ვარჯიშში კვირაში ზღვრული დიდი დატვირთვებით; ეს მიკროციკლები დიდი სტიმულია ადაპტაციური რეაქციებისა სპორტსმენთა ორგანიზმზე; მეორეს მხრივ მისმა არასწორმა დაგეგმვამ შეიძლება გამოიწვიოს ტრამვები, გადატვირთვა და სხვა; მიმყვანი მიკროციკლები ამ ტიპის მიკროციკლები იგეგმება საშეჯიბრო სამკვირიან მეზოციკლში, ყველა ძირითადი შეჯიბრების წინ; პირველი კვირა აღდგენითი მიკროციკლი; მეორე კვირა მიმყვანი საკმაოდ დიდი 60-70%-იანი დატვირთვით; მესამე კვირა მიმყვანი მიკროციკლის დატვირთვის სიდიდე 20-30%;

საშეჯიბრო მიკროციკლი - გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ შეჯიბრი რამდენ ხანს გაგრძელდება, ამიტომ ძირითადი ყურადღება ექცევა: აღდგენით პროცესებს; ფსიქოლოგიურ მომზადებას, განწყობას; ტაქტიკურ მოქმედებას საშეჯიბრო პიკის მისაღწევად;

აღდგენითი მიკროციკლი -ეს მიკროციკლი ხასიათდება არც თუ ისე დიდი დატვირთვებით, 30-40 სიდიდით; -სიდიდე უზრუნველყოფს ვარჯიშთა რაოდენობის შემცირებით (1,5 – 2ჯერ); -იცვლება სამუშაოს მიმართულება აღდგენითი ვარჯიშები, ფსიქოლოგიური ფიზიკური სხვადასხვა პროცედურებით;

ვარჯიშების სიდიდეები და დატვირთვები მიკროციკლებში - ამ დროს პირველ რიგში გასათვალისწინებელია სპორტსმენთა ინდივიდუალური მომზადება; დარტყმით მიკროციკლებში ხშირად არეგისტრირებენ (გამოიყენებენ) დატვირთვის შემდეგ სიდიდეებს: მაგალითად: ველოსპორტი 100-120 კგ., მარათონი 250-300 კგ., ნიჩბოსნობა 220-240 კგ., ცურვა 90-120კგ.; საწვრთნო გაკვეთილების ხანგრძლივობა ყოველდღიურად აღწევს 4,5,6 საათს, ზოგჯერ 6-7 საათი.

სავარჯიშო პროგრამების მიკროციკლების აგებისას კვალიფიციური სპორტსმენებისთვის რეკომენდირებულია და შეგვიძლია გამოვიყენოთ ერთპიკიანი, ან ორპიკიანი მოდელები, სადაც იგეგმება ერთი, ან ორი მეცადინეობა დიდი დატვირთვებით; შეიძლება სამი ვარჯიშის დაგეგმვაც ასეთი ვარჯიშების დროს, ყურადღება უნდა მივაქციოთ დაღლას და შემდგომ სათანადო აღდგენას; რაც შეეხება დიდ დატვირთვებს, მაქსიმალური აქტივაციით; -აერობული და ანაერობული ლაქტატური მონაცემების ენერგომომარაგებას თან სდევს გლიკოგენური მარაგის კუნთებში ღრმა ხარჯვა , ასეთი დაგეგმარების დროს საჭიროა სიფრთხილე; -ამგვარ ვარჯიშების პროგრამას მიყვავართ კუნთებში გლიკოგენური მარაგის ინტენსიურ ხარჯვასთან 60-დან 85%-მდე; (24 საათის განმავლობაში ხდება მხოლოდ ნახევარი დანახარჯის აღდგენა, მთლიანი აღდგენისთვის კი საჭიროა 72 საათი).

დღეში რამდენიმე ვარჯიშიანი მიკროციკლები მომზადების სპეციალური საბაზო ეტაპის ბოლოს ვარჯიშთა რაოდენობა კვირის განმავლობაში შეიძლება 7-8მდე, შემდეგ

ეტაპზე კი 10-12 მდე გაიზარდოს; პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მიკროციკლებში იგეგმება კვირაში 15-18, ხოლო ზოგიერთ დღეებში დღეში სამი ვარჯიში; ასეთი ვარჯიშები ეპიზოდური სახისაა და მაღალი კლასის სპორტსმენებში გამოიყენება; ეს ვარიანტები მოსამზადებელ და სპეციალურ მოსამზადებელ პერიოდებში გამოიყენება; პირველი ან მეორე ვარჯიშის დონიდან ორჯერადი ვარჯიშის ჩატარების დროს, ერთ-ერთი ძირითადია, მეორე კი დამატებითი; შეიძლება ისეთი ვარიანტიც, რომ ორი იყოს დამატებითი, ორიც ძირითადი; ორჯერადი და მეტი ვარჯიშის ჩატარების დროს აუცილებელია ვცვალოთ ჩატარებისა და მიზნების მიმართულებები; მიზანშეწონილია დატვირთვა მივცეთ დღის მეორე ნახევარში, რადგან დღის პირველ ნახევარში მიცემული დატვირთვა უძილობას იწვევს;

მეზოციკლები, მათი აგება და პროგრამები - მეზოციკლები გრძელდება 2-6 კვირამდე და შედგება მიკროციკლების სერიებიდან აერობული სისტემების გამძლეობის განსავითარებლად მაღალი კლასის სპორტსმენებისთვის. მოსამზადებელ პერიოდში საჭიროა 6-8 კვირიანი მომზადების ვარიანტი რაიმე ძირითადი ფუნქციის განსავითარებლად. მიღწეული აერობული სისტემის ადაპტაციისათვის შემდგომ ეტაპებზე შესაძლებელია საჭიროა მინიმუმ 2-3 კვირა 60-70% სიდიდის დატვირთვებით კვირეულ მიკროციკლებში. რთულ კორდინაციულ სახეობებში როგორცაა თამაშები და ორთაბრძოლები საჭიროა 4-5 კვირიანი მეზოციკლები. როდესაც საქმე გვაქვს სპორტსმენთა ფუნდამენტალურ მომზადებასთან ძალისმიერი სისწრაფის, ფეთქებადი ძალის, ალაქტატური სისტემის ენერგომომარაგებასთან, ვარჯიშების ხანგრძლივობა (დამატებული ვარჯიშებისა), არ უნდა აღემატებოდეს 3-4 კვირას.

ანალოგიური ხანგრძლივობით უნდა ვისარგებლოთ ანაერობული ლაქტატური ენერგოსისტემის მომარაგების დროსაც. უშუალოდ შეჯიბრებისთვის მომზადებისთვის სხვადასხვა სახეობათა სპეციფიკიდან გამომდინარე სპორტსმენის მომზადებულობის გათვალისწინებით საჭიროა 2 ან 4-6 კვირა. მომდევნო წლის მეზოციკლები შეიძლება გავაგრძელოთ 2-6 კვირა. წლიური გეგმის შედგენისას ზოგიერთი სპორტის სახეობის მაკროციკლის მომზადებისას მეზოციკლების სერიებიდან შემდგარი, გაჯერებული თანამედროვე სპორტის კალენდრები. ამ გეგმებში შეიძლება გამოყენებული იქნას 4-7 ციკლიანი პერიოდიზაცია. გვახსოვდეს მრავალწლიანი პერიოდიზაცია მოითხოვს შემოქმედებით მიდგომას, რადგან კლასიკური მიდგომის მაკროციკლების ხანგრძლივობა შეადგენს 8-15 კვირას.

მეზოციკლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია სპორტსმენის ფუნქციონალურ მომზადებაზე. ის შეიძლება მერყეობდეს 2-6 კვირამდე, ტრამპების შემთხვევაში 6-8 კვირამდე. ამ პერიოდში მეზოციკლიდან მეზოციკლამდე დატვირთვა იზრდება. მაგალითად თუ მეზოციკლი გრძელდება 3 კვირა, მაშინ პირველ კვირას დატვირთვა აღწევს 25-30%-ს, შემდგომი კვირა 50-60%-ს, ხოლო შემდგომი კვირა 60-70%. პირველ მიკროციკლში იგეგმება 5-6 სავარჯიშო გაკვეთილი, მეორე, მესამეში იზრდება 8-10მდე.

სპეციალური მოსამზადებელი მეზოციკლები - ამ მეზოციკლის გამოყენება დამოკიდებულია პერიოდიზაციის მოდელზე და სპორტსმენთა კვალიფიკაციაზე. მაგალითად ოთხ ციკლიანი მომზადების დროს სპორტის სპეციფიკის მიუხედავად მეზოციკლი პირველ მაკროციკლში შეიძლება გრძელდებოდეს 2-3 კვირა, ხოლო მეორეში 4-5 კვირა. იმ სპორტის სახეობაში სადაც დიდი მოთხოვნაა აერობულ ენერგომომარაგებაზე, შეიძლება დაიგეგმოს გრძელი სპეციალური მეზოციკლი 5-6

კვირამდე. სპორტსმენებმა უნდა გამოიყენონ მცირედროიანი მეზოციკლის სტრუქტურა 3-4 კვირა.

მისი მნიშვნელობაა უზრუნველყოს წინასაშეჯიბრო მომზადება მაღალ დონეზე. ესეთი მეზოციკლის ხანგრძლივობა 2-3 კვირაა. ეს უფრო საკმარისია წინა საშეჯიბრო სპეციალური მომზადების მძიმე ვარჯიშების შემდგომ აღდგენისთვის. ესეთი სპორტის სახეობებისთვის, სადაც საჭიროა გამძლეობა, წინასაშეჯიბრო მეზოციკლი შეიძლება იყოს შედარებით მცირე - 2 კვირა. ხოლო სწრაფძალისმიერი სპორტის სახეობებისათვის სჭირდებათ უფრო მეტი დრო საშუალოდ 4-5 კვირა.

საშეჯიბრო მეზოციკლი იგეგმება მაშინ, როცა არც ისე დიდი დროის განმავლობაში 3-5 კვირის განმავლობაში ტარდება რამდენიმე შეჯიბრი. ვარჯიშთა ინტენსიობა (სიდიდე) ასეთ მეზოციკლებში იკლებს 25-30%-მდე, მცირდება ვარჯიშების რაოდენობაც 5-6 კვირეულ მიკროციკლში.

მიკრო და მეზო ციკლების შერწყმა - სხვადასხვა მეზოციკლებისა და მიკროციკლების შერწყმა, განისაზღვრება მეზოციკლების ტიპისაგან და სპორტსმენტა მომზადებულობისაგან. საბაზო და სპეციალური მოსამზადებელი მეზოციკლები ხასიათდებიან დიდი სიდიდის სამუშაოებით, რაც მოითხოვს სხვადასხვა ტიპის მიკროციკლების შერწყმას, სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა დატვირთვებით. ასეთი მეზოციკლების და მაკროციკლების შერწყმა დამახასიათებელია და გამოყენებული უნდა იქნას კარგად მომზადებულ სპორტსმენზე და გამოიყენება წინასაშეჯიბრო მეზოციკლების აწყობაში.

დასკვნა

წლიური მომზადების პერიოდიზაციის სისტემის მიზანია წარმატებულად მონაწილეობა წლის ძირითად შეჯიბრებებში, სხვა შეჯიბრებებს აქვს მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა. მათში მონაწილეობა ატარებს მომზადებულობის ხასიათს და განმსაზღვრელია ეფექტურობის, მაგალითად ოლიმპიური თამაშები. სწავლების პროცესის დაგეგმვა უმნიშვნელოვანესია წვრთნის პროცესში სპორტსმენის მომზადების ყოველწლიური გეგმის შედგენა, ნებისმიერი დონის მწვრთნელისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია; სწავლების მეცნიერულ პრინციპზე და პერიოდიზაციის კონცეფციაზე აგებული გეგმა მთელი წლის განმავლობაში სწორად წარმართავს ათლეტის მომზადებას; სწავლების პროგრამის დაგეგმვა მოითხოვს პროგრამის მიზნის ქონას და პროცედურის ნათლად გაგებას იმისთვის, რომ ეს მიზანი იქნას მიღწეული. ეს კი შეიძლება შემდეგი პრინციპების გამოყენებით განხორციელდეს: დაისახოს მიზანი; შემუშავდეს სწავლების გეგმა; განხორციელდეს გეგმა; გაკონტროლდეს და დაკორექტირდეს გეგმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფიტნესის ინოვაციური პროცესები თანამედროვე სპორტში - რუსეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მასალა ნაკრები; ა.ი. გერცინის სახელობის ავტორთა კოლექტივი; 2008 წელი. პროფესორები გ.ნ. ჰონომარიოვი, ე.გ. საკინა, ვ.ი. გრიგორიევი, ISBN 987-5-8064-1339-1 ა.ი.გერცინის სახელობის გამომცემლობა 2008 წ.
2. ვ.ნ. პლატონოვი სპორტსმენტა მომზადების სისტემები 2004 წელი. ISBN 966-7133-64-8 უკრაინა.
3. <http://bonduelle.ge/feasting/tbd-new-shape-your-body/fizikuri-aqtivoba/aerobika/>
4. <http://fortuna.ge/ra-sargebloba-moaqvs-aerobikas/>

რაჭული ღვინო - ჯანმრთელობის ელექსირი

ლელა მურუსიძე

მედიცინის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; გ. ბრწყინვალის ქ. N 9 , თბილისი, საქართველო;

l.murusidze@gmail.com

ქეთევან ხაზარაძე

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

ketevan.khazaradze@sportuni.ge

ეკატერინე მურუსიძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო;

ავთანდილ გულიაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო;

ზურაბ სულუხია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო.

აბსტრაქტი. სტატიაში წარმოდგენილია წითელი ღვინის როგორც, დადებითი, ასევე უარყოფითი თვისებები. წითელი ღვინის მიღება ძალზე სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებების, ონკოლოგიისა და სხვა დაავადებების დროს. თუმცა, უნდა გახსოვდეთ, რომ მთავარი წესი ღვინის ზომიერი მოხმარებაა. ალკოჰოლის გადაჭარბებულმა მოხმარებამ შეიძლება ჯანმრთელობის დამანგრეველი შედეგები გამოიწვიოს.

საკვანძო სიტყვები: წითელი ღვინო, ზომიერი მოხმარება, ჯანმრთელობის დაზიანება.

RACHA WINE - ELIXIR OF HEALTH

Lela Murusidze

Tbilisi State Medical University, Georgia;

l.murusidze@gmail.com

Ketevan Khazaradze

Associate Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;

49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

ketevan.khazaradze@sportuni.ge

Ekaterine Murusidze

Tbilisi State Medical University, Georgia;

Avtandil Guliashvili

Tbilisi State Medical University, Georgia;

Zurab Sulukhia

Tbilisi State Medical University, Georgia.

Abstract. The article presents both positive and negative properties of red wine. Drinking red wine is very useful for cardiovascular, nervous, osteo-articular system diseases, oncology and

other diseases. However, you should remember that the main rule is moderate consumption of wine. Excessive alcohol consumption can have devastating health consequences.

Keywords: red wine, moderate consumption, damage to health.

შესავალი

ქართული ღვინის კულტურა საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა. ის ქართული იდენტობის და სტუმართმოყვარეობის მნიშვნელოვანი ნაწილია. საქართველო მეღვინეობის უძველესი ტრადიციის მქონე ქვეყანაა. უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა და მრავალფეროვანი კლიმატი, ხელს უწყობს ადგილობრივი ვაზის ჯიშების ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოშენებას. არქეოლოგიური მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ ქართველები ღვინოს ადგილობრივი ყურძნიდან ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. 3000-1000 წწ.) ამზადებდნენ [1].

ქართული ღვინის უნიკალურობა ორი ძირითადი ფაქტორით, ქვევრის მეთოდითა და ადგილობრივი ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებითაა განპირობებული.

ქვევრის მეთოდი UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი და სასმლის დაყენებას მიწაში ჩაფლულ დიდ თიხის ჭურჭელში გულისხმობს. ამ პროცესში ყურძენი ბუნებრივად ფერმენტირდება, რაც ღვინოს მრავალფეროვან გემოს, უნიკალურ არომატებსა და ტანინების განსაკუთრებულ ნჯყნსტრუქტურას ანიჭებს.

ენოთერაპიით (ღვინით) და **ამპელოთერაპიით** (ყურძნით) მკურნალობის მეთოდებს დიდი ხნის ისტორია აქვთ საქართველოშიც, სადაც პირველად გააცნობიერეს ველური ყურძნის კვებითი თვისებები, მოხდა მისი ვაზის კულტურაში გადმოტანა და ღვინის დაყენების ხელოვნების დაუფლება. ბუნებრივია, საფუძველი უნდა ჩაყროდა ყურძნისა და ღვინის სამკურნალო თვისებების შეცნობას. ასეთ ქვეყნად ძველი დროის მოგზაურთა, მწერალთა თუ ისტორიკოსთა დიდი ნაწილი საქართველოს მიიჩნევს. ამის მაგალითად უნდა მივიჩნიოთ 1999 წელს ლონდონში გახსნილი მსოფლიოში უდიდესი და მუდმივმოქმედი გამოფენა, რომელსაც “ვინოპოლისი” (ღვინის ქალაქი) ეწოდება და რომელიც ქართული პავილიონით იწყება, სახელწოდებით “ღვინის აკვანი”. მედიცინის მატრიარქის – მედეას (ძვ. წ. XIVს.) – სამკურნალო 40-მცენარიან ნუსხაში ვაზიც მოიხსენება. ჰიპოკრატე (ძვ. წ. 372-287წწ.) ღვინოს კომპრესების სახით იყენებდა, ჭრილობათა და რევმატული ტკივილების მოსაშუშებლად. ღვინო ბიბლიაში 450-ჯერ არის მოხსენებული, ხოლო ბაბილონის თალმუდში განხილულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი სამკურნალო საშუალება [1].

კვლევის მიზანი

ჩვენი კვლევის მიზანი იყო ადამიანის ჯანმრთელობაზე წითელი ღვინის დადებითი და უარყოფითი გავლენის შესწავლა.

კვლევის მეთოდი

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა დოკუმენტური და რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. დოკუმენტური ანალიზის მეთოდის გამოყენებით განხილული და შეფასებული იქნა სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე.

ღვინის ისტორია

საფრანგეთში XX საუკუნეში გაიხსნა მსოფლიოში პირველი ენოთერაპიული ცენტრი. აქ პაციენტებს ღვინისა და ვაზის აბანოებით, ღვინისა და თაფლის სახვევებით, ღვინის ნიღბებით, დაფქული წიპწებით მკურნალობდნენ. ანალოგიური ცენტრები გაიხსნა სხვა ქვეყნებშიც. XVIII საუკუნის დასაწყისში ინგლისელი სწავლული **სიდენჰემი** (ინგლ. Thomas Sydenham) ღვინოს, როგორც მინერალური ნივთიერებებით მასაზრდოებელ საშუალებას, დედათა და ბავშვთა სამკურნალოდ იყენებდა სისხლნაკლებობისას.

ქართულ სამკურნალო „უსწორო კარაბადინში“ (X-XI სს.) ღვინოზე დამზადებული მრავალი წამალია აღწერილი. 2003 წელს მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტში შეიქმნა ენოთერაპიულ საკითხთა შემსწავლელი ჯგუფი, რომლის მიზანი იყო – ვაზის პროდუქტებიდან ფარმაცევტული პრეპარატებისა და სამკურნალო ღვინის მარკების შექმნა-აპრობაცია.

ბურგუნდიაში ღვინით მკურნალობის საგანგებო ცენტრებია, რომელთაც ენოთერაპიის ცენტრებს უწოდებენ. აქ მკურნალობის შემდეგი პრინციპია დამკვიდრებული: სვით ცოტ-ცოტა და ხშირ-ხშირად! ღვინის დადებითი ზემოქმედების ეფექტი ამერიკელებმაც დაადასტურეს. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ისინი, ვინც ყოველდღიურად 200-300 მლ. ღვინოს სვამენ, უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე ლოთები ან პრინციპული არამსმელები.

ღვინო რთული შემადგენლობის პროდუქტია, რომელიც უამრავ სამკურნალო თვისებების მქონე კომპონენტს შეიცავს. ის ორგანიზმს ამარაგებს მაკრო და მიკრო ელემენტებით, ვიტამინებით, ამინომჟავებით. მდიდარია მთრიმლავი, საღებავი, პექტინოვანი, ფენოლური ნივთიერებებით (800-ზე მეტი კომპონენტით!). ორგანიზმში მოხვედრისას ღვინის შემადგენელი კომპონენტები ცალკეულად, თუ კომპლექსურად განაპირობებენ: კარდიო და ვაზოპროტექტორულ, ბაქტერიოციდულ, ანტიოქსიდანტურ, ანტივირუსულ, ანტისტრესულ, ანტისიმისიზნურ და სხვა მოქმედებებს. ღვინო ამაღლებს ორგანიზმის იმუნიტეტსა და ტონუსს, ეხმარება ორგანიზმს საჭმლის შეთვისება-მონელებაში, გამოაქვს ტოქსინები, ხელს უწყობს შარდში შაქრის კონცენტრაციის შემცირებას, რის გამოც დადებით გავლენას ახდენს დიაბეტით დაავადებულებზე. ღვინის რეგულარულად და სათანადო დოზით მიღება აფერხებს ათეროსკლეროზული პროცესების განვითარებას, ახდენს ქოლესტერინისა და ლიპოპროტეინების ფიზიოლოგიურ ნორმაზე დაბალანსებას [2].

წითელი ღვინო მუქი ფერის ყურძნის დაწურვისა და მისი ფერმენტაციის შედეგად მიიღება, როდესაც ბუნებრივი შაქრები ალკოჰოლად გარდაიქმნება. ფერმენტაციის პროცესის დასრულების შემდეგ ხდება ღვინის დამკვლევა ქვევრში, უჟანგავი ლითონის ჭურჭელში, მუხის კასრში.

წითელი ღვინის არაერთი სახეობა არსებობს, რომლებიც ერთმანეთისგან ფერითა და გემოვნური თვისებებით განსხვავდება. მსოფლიოში გავრცელებული წითელი ღვინის სახეობებია შირაზი, მერლო, კაბერნე სოვინიონი, შავი პინო და სხვა.



ადგილობრივი ვაზის ჯიშებისგან დამზადებული წითელი ღვინოებია ქინძმარაული, საფერავი, ხვანჭკარა, მუკუზანი. წითელ ღვინოში ალკოჰოლის შემცველობა დაახლოებით 12-15%-ია. დადგენილია, რომ წითელი ღვინის ზომიერ მიღებას, მძლავრი

ანტიოქსიდანტების, იგივე ანტიდამჟანგავების მაღალი შემცველობის გამო, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი ჯანმრთელობისთვის. ისინი ხელს უშლიან ორგანიზმში ჟანგვითი რეაქციების მიმდინარეობას და აფერხებს უჯრედების დაზიანებას და დაზიანებას. წითელ ღვინოში შემავალი ანტიოქსიდანტები, პოლიფენოლები, არაერთი სასარგებლო თვისებითაა ცნობილი. ამ ნივთიერებათაგან გამოირჩევა **რესვერატროლი**. ის ყურძნის კანში მოიპოვება, საიდანაც ღვინოში გადადის. მას შესწევს უნარი, ებრძოლოს ანთებით პროცესებს, თრომბების წარმოქმნას, შეამციროს დაავადებების პრევენცია. საცდელ ცხოველებში რესვერატროლმა სიცოცხლის გახანგრძლივების უნარი გამოავლინა. მას შეუძლია გაააქტიუროს გენები, რომლებიც დაბერების პროცესს აფერხებს. თვითონ ყურძნის ან მისი წვენი მიღება რესვერატროლის მიღების კიდევ ერთი გზაა. წითელი და შავი ყურძნის ნატურალურ წვენს გულის ჯანმრთელობისთვის წითელი ღვინის მსგავსი სარგებლობის მოტანა შეუძლია. რესვერატროლს სხვა მცენარეებიც შეიცავს, მათ შორის – მიწის თხილი.

წითელი თუ თეთრი? - რატომ მაინცდამაინც წითელი ღვინო, რატომ თეთრი არა, რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან?

მთავარი განსხვავება ყურძნის ფერი და ჯიშებია. მათი დაყენების მეთოდებიც განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, თეთრი ევროპული ტიპის ღვინის მისაღებად ყურძნის ნაწურს თავიდანვე ან მალევე აცლიან კანს, კურკებსა და ღეროებს და ასე ახდენენ მის ფერმენტაციას. ამის შედეგად ყურძნის კანში არსებული რესვერატროლი ღვინოში ვეღარ გადადის. წითელი ღვინის ფერმენტაცია კი ბოლომდე კანთან, კურკებსა და ღეროებთან ერთად ხდება, ამიტომ ყველა სასარგებლო ნივთიერება, რომლებსაც ყურძნის ეს კომპონენტები შეიცავს, ხდება ღვინოშიც. თეთრი და წითელი ღვინოები ერთმანეთისგან ენერგეტიკული ღირებულებითაც განსხვავდება. ვიტამინებისა და მინერალების შემცველობა წითელ ღვინოში ოდნავ უფრო მაღალია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეთრი ღვინო ნაკლები კალორიულია [1].

წითელი ღვინო - ჯანმრთელობის ელექსირი

რაჭა ქართული მეღვინეობის პატარა, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე ეგზოტიკური მხარეა. იგი ისტორიულად წარმოადგენს ბუნებრივად ნახევრად ტკბილი და მშრალი ღვინოების აკვანს. აქ გავრცელებულია წითელი ჯიშები – ალექსანდროული, მუჯურეთული, რაჭული ძველშავი, არაბული შავი, ბახვა, ბერბეშო, კირწმაგარა, ნაკუთვნილი, ნაცარა, ძელშავი რაჭული, ხოტეურა, ხროგი. ქვემო რაჭაში მევენახეობის უმთავრესი რაიონი ძველი „საყიფიანო“ იყო, სადაც აყენებდნენ ღვინო „**ხვანჭკარას**“, რომელიც იწარმოება ორი ჯიშის, ალექსანდროულისა და მუჯურეთულის შერევით, რომელიც იძლევა ნახევრად ტკბილ წითელ ღვინოს. ხვანჭკარა ძირითადად გულისხმობს დაუდუღარობას და ნარჩენი შაქრით გამოწვეულ სიტკბოს, ანუ ღვინო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მზადდება, ტრადიციულ „საყიფიანოს“ ღვინოში კი პირიქით, ბოლომდე დადუღება იყო მთავარი [1].

დადებითი მოქმედება

გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე - ადამიანებს, რომლებიც დღეში დაახლოებით 150 მლ. წითელ ღვინოს იღებენ, გულის დაავადებათა განვითარების 32%-ით დაბალი რისკი აქვთ.

- გაზარდოს სისხლში მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (HDL), იმავე "კარგი" ქოლესტეროლის დონე;

- შეამციროს დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (LDL), იმავე "საშიში" ქოლესტეროლის დონე და ამით არტერიების დაზიანების პრევენცია მოახდინოს;

- ხელი შეუშალოს სისხლში თრომბების წარმოქმნას;

- გააუმჯობესოს ენდოთელიუმის უჯრედების ფუნქცია.

ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ ადამიანების ორგანიზმში, რომლებიც დღეში 1-2 ჭიქა წითელ ღვინოს სვამდნენ, HDL-ის ანუ სასარგებლო ქოლესტეროლის დონემ 4 კვირაში 11-16%-ით მეტად მოიმატა, ვიდრე მათ ორგანიზმში, ვინც ღვინოს ნაცვლად წყალს ან წყლისა და ყურძნის ექსტრაქტის ნაზავს იღებდა [3].

ნერვული სისტემა - კვლევებმა აჩვენა, რომ წითელ ღვინოს ტვინის უჯრედების ასაკობრივი განლევისა და ცვეთის პროცესების შენელება შეუძლია. რაც განპირობებულია მასში შემავალი რესვერატროლისა და მისი მსგავსი ნივთიერებების ანტიანთებითი და ანტიოქსიდაციური მოქმედებით. რესვერატროლმა, ასევე გამოავლინა უნარი, შეაფერხოს ცილოვანი ნაერთების – ბეტა-ამილოიდების – ფორმირება, რომელიც ასრულებს გადამწყვეტ როლს ალცჰაიმერის დაავადების განვითარებაში. მკვლევართა თქმით, დღეში 1-3 ჭიქა წითელი ღვინოს მიღება ამცირებს დემენციისა და ალცჰაიმერის დაავადების განვითარების რისკს.

გუნება-განწყობილება - შუახნისა და ხანში შესულ ადამიანებზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მას, ვინც კვირაში 2-7 ჭიქა წითელ ღვინოს იღებს, დეპრესიის შედარებით დაბალი ალბათობა აქვს.

ონკოლოგიური დაავადებები - კვლევების თანახმად, ზომიერ მიღებას ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების რისკის შემცირებაც შეუძლია, მათ შორის - კოლინჯის, საკვერცხეებისა და პროსტატის სიმსივნეებისა. დაკვირვებამ ისიც აჩვენა, რომ წითელი ღვინოს მომხმარებლებში ფილტვის კიბო შედარებით იშვიათია.

ინსულინრეზისტენტობა და დიაბეტი - დღეში 2 ჭიქა დეალკოჰოლიზებული წითელი ღვინოს რეგულარულმა მიღებამ შესაძლოა შეამციროს ინსულინრეზისტენტობა და მე-2 ტიპის დიაბეტის განვითარების რისკი. ცხოველებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ წითელ ღვინოს, არა მხოლოდ დიაბეტის რისკის შემცირება, არამედ მის გართულებათა თავიდან აცილებაც შეუძლია.

ძვალსახსროვანი სისტემა - წითელი ღვინოს მომხმარებლებს შედარებით დაბალი აქვთ ოსტეოართროიტის განვითარების რისკი. მკვლევარები ფიქრობენ, რომ რესვერატროლს შესწევს ხრტილების დაზიანების პრევენციის უნარიც, რის გამოც მას სახსრების ტკივილის შემცირება შეუძლია [4].

უარყოფითი შედეგია ზედმეტი ალკოჰოლი

აშკარაა, რომ წითელ ღვინოს დიდი სარგებლობა მოაქვს ჩვენი ჯანმრთელობისთვის, თუმცა ოქროს გასაღები, რა თქმა უნდა, მისი ზომიერი მიღებაა. ალკოჰოლის გადაჭარბებულ მოხმარებას შეუძლია, ჯანმრთელობას უდიდესი ზიანი მიაყენოს. მისი რეგულარული და ხშირი მიღება შესაძლოა ალკოჰოლიზმის განვითარების საფუძველი გახდეს. ჭარბი ალკოჰოლი არათუ არ ამცირებს, არამედ საგრძნობლად ზრდის ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების განვითარების რისკს. გარდა ამისა, ალკოჰოლის გადაჭარბებული მოხმარება საფუძველად უდევს, ღვიძლის ციროზსა და პანკრეასის დაავადებებს, ინსულტსა და გულის შეტევებს, ნაადრევ სიკვდილიანობას, არტერიულ ჰიპერტენზიას, ზოგიერთი ტიპის სიმსივნეს, ავტოსაგზაო შემთხვევებს, ძალადობას, აგრესიას, სუიციდს, წონის მატებასა, სიმსუქნეს, დეპრესიას, იმუნური სისტემის სისუსტეს [4].

როდის იკრძალება - ორსულობისას, ალკოჰოლიზმის პირადი ან ოჯახური ისტორიის არსებობისას, ღვიძლის ან პანკრეასის რომელიმე პათოლოგიისას, გულის უკმარისობისას.

დასკვნა

წითელი ღვინის მიღებას დიდი სარგებლობა მოაქვს გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, ძვალსახსროვანი სისტემების, ონკოლოგიური და სხვადასხვა დაავადებების შემთხვევებში, რა თქმა უნდა, თუ ხდება მისი ზომიერი მოხმარება. უნდა გვახსოვდეს, რომ ალკოჰოლის გადაჭარბებულ მიღებას შეუძლია, ჯანმრთელობას გამანადგურებელი ზიანი მიაყენოს. ამიტომაც თუ წითელ ღვინოს სვამთ, ზომიერება არ დაგავიწყდეთ. ეს ნიშნავს:

- დღეში არა უმეტეს 1 ჭიქისა – ყველა ასაკის ქალებისთვის;
- დღეში არა უმეტეს 1 ჭიქისა – 65 წელს გადაცილებული მამაკაცებისთვის;
- დღეში არა უმეტეს 2 ჭიქისა – 65 წლამდე ასაკის მამაკაცებისთვის.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვჩნია, რომ ენოთერაპიისას პაციენტი და ექიმი იყვნენ მჭიდრო კავშირში, იმის გათვალისწინებით, თუ რა სიხშირით, რა რაოდენობისა და რა სახეობის ღვინო მიიღოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე ი., ჭიაურელი ვ., ლოლაძე გ. "ქართული ღვინო".
2. სებისკვერაძე ლ. ღვინო და ჯანმრთელობა// პუბლიკაცია 2016 წ.
3. ზურაბიშვილი ე. წითელი ღვინო// ჯანმრთელობის ელექსირი - პუბლიკაცია 2022 წ.
4. Wurz D.A. Wine and health: A review of its benefits to human health, BIO Web of Conferences 12, 04001, 2019:
(www.bio-conferences.org/articles/bioconf/full_html/2019/01/bioconf-oiv2018_04001/bioconf-oiv2018_04001.html?fbclid=IwAR1hnAPcNLs9uK23cTOA25Z5Q4-Bth6xadZNVlUIPIrpLgOySZopeyFjDrE)
5. Jones J. (2023). Is red wine good for you?
(www.medicalnewstoday.com/articles/265635?fbclid=IwAR1fi7npKsoNOzDke8Efc_Evy4dBwcLu7Hud4kc10Sfi-QJPMR4MfTmJaro).

პოსტკოვიდური ნევროლოგიური სინდრომები და რეაბილიტაცია

აზა რევიშვილი

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

aza.revishvili@sportuni.ge

მურად გარუჩავა

პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

murad.garuchava@sportuni.ge

გიორგი ფარულავა

პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; 49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

giorgi.parulava@sportuni.ge

ქეთევან ხაზარაძე

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

ketevan.khazaradze@sportuni.ge

ნინო ჯაფარიძე

დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

1 ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

nino.japaridze@tsu.ge

ირინა ჯავახიშვილი

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი.

POST-COVID NEUROLOGICAL SYNDROMES AND REHABILITATION

Aza Revishvili

Associate Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;

49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

aza.revishvili@sportuni.ge

Murad Garuchava

Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;

49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

murad.garuchava@sportuni.ge

Giorgi Parulava

Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;

49A Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

giorgi.parulava@sportuni.ge

Ketevan Khazaradze

Associate Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;

49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;
ketevan.khazaradze@sportuni.ge

Nino Japaridze

Doctor, Tbilisi State University;
1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;
nino.japaridze@tsu.ge

Irina Javakhishvili

Tbilisi Humanitarian Education University.

Abstract. Post-Covid-19 syndrome remains an important challenge after the end of the coronavirus pandemic. Post-Covid syndrome can be defined as the result of a new coronavirus infection. Such neurological syndromes and symptoms as: cephalgia, craniopathy "disorders of smell, taste, vision, hearing", deficient forms of damage to the nervous system (partially restored or preserved speech, motor, sensitivity, vegetative, mental and cognitive disorders), Thoracalgia, abdominal pain, neuropathic post-covid pain, damage to the peripheral nervous system, post-covid epileptic attack, chronic fatigue syndrome and others can be detected both during the acute period of the disease and after transmission of Covid-19. By studying the duration of neurological syndromes, it was determined that in the case of timely start of neurorehabilitation, their duration was 2.1 ± 1 months, which is much less compared to later onset (5 ± 1 month) $P < 0.05$. Patients who did not undergo neurorehabilitation after covidinfection showed persistence of neurological symptoms for an average of 11 ± 1.5 months. In the presence of post-covid neurological syndromes after the transfer of the COVID-19 infection, it is advisable to carry out rehabilitation measures and start them in time.

Keywords: Covid-19, post-covid syndrome, neurological syndromes, neurorehabilitation.

შესავალი. კორონავირუსული ინფექციის პანდემიის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პოსტ-Covid-19 სინდრომი. პოსტ-კოვიდ სინდრომი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ახალი კორონავირუსული ინფექციის შედეგი და გამოვლინდეს როგორც დაავადების მწვავე პერიოდში, ასევე Covid-19 -ის გადატანის შემდეგ. პოსტკოვიდური სინდრომის ხანგრძლივობის მიხედვით შემუშავდა და შემდგომში დაზუსტდა COVID-19 სინდრომის ტიპები [4, 13]:

პირველი ტიპი (მწვავე COVID-19) სიმპტომები აღინიშნება მხოლოდ მწვავე პერიოდში, მეორე ტიპისთვის დამახასიათებელია სიმპტომების მუდმივობა ინფიცირებიდან 4-12 კვირის განმავლობაში. მესამე ტიპი არის გახანგრძლივებული longhaul COVID-19 სინდრომი >12 კვირა ხანგრძლივობით, მეოთხე ტიპის შემთხვევაში დაავადების მწვავე პერიოდი მიმდინარეობს უსიმპტომოდ, 1-3 ან მეტი თვის შემდეგ კი ვითარდება პოსტკოვიდური სინდრომი. მეხუთე ტიპის შემთხვევები მთავრდება ლეტალური გამოსავლით, რაც მიზეზ- შედეგობრივ კავშირშია ფილტვების, გულის, თავის ტვინის დაავადებებთან [8, 10].

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით ახალი კორონავირუსული ინფექციის გადატანის შემდეგ შეიძლება სტაბილურად დარჩეს ან გამოვლინდეს ისეთი ნევროლოგიური სინდრომები და სიმპტომები, როგორიცაა: ცეფალგია, კრანოპათია „ყნოსვის, გემოს, მხედველობის, სმენის დარღვევა“, ნერვული სისტემის დაზიანების დეფიციტური ფორმები (ნაწილობრივ აღდგენილი ან შენარჩუნებული მეტყველების, მოტორული, მგრძნობელობის, ვეგეტატიური,

ფსიქიკური და კოგნიტური დარღვევები), თორაკალგია, აბდომინალგია, ნეიროპათიული პოსტკოვიდური ტკივილი, პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანება, პოსტკოვიდური ეპილეფსიური შეტევა, ქრონიკული დაღლილობის სინდრომი და სხვა. [2, 3, 9].

მუდმივი ან ახლად გაჩენილი სიმპტომები, ფუნქციური დარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია COVID-19-თან, შემთხვევების $\geq 50\%$ -ში უარყოფითად მოქმედებს სამედიცინო დახმარებაზე მყოფი პაციენტების ცხოვრების ხარისხზე, მობილურობაზე და დამოუკიდებლობაზე [5, 6, 7, 11].

COVID-19-ის გადატანის შემდეგ სამედიცინო დახმარება მოიცავს პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეკომენდაციების საფუძველზე პაციენტებზე მონიტორინგს და უკუჩვენებების გათვალისწინებით რეაბილიტაციის მიზნების დასახვას. სამედიცინო რეაბილიტაცია (ნეირორეაბილიტაცია) ქვეშ მოიაზრება დოზირებულ ფიზიკურ აქტივობა, ფსიქოთერაპია, აუტოგენური, შემეცნებითი ვარჯიში და ფიზიოთერაპია. ამასთანავე უნივერსალური სამედიცინო რეაბილიტაციის პროგრამის შეთავაზება შეუძლებელია [12].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პოსტკოვიდური ნევროლოგიური სინდრომები საჭიროებს დრმა შესწავლას ნეირორეაბილიტაციასთან კავშირში.

მიზანი. პოსტკოვიდური ნევროლოგიური სინდრომების შესწავლა ნეირორეაბილიტაციის როლის შეფასებასთან კავშირში.

მეთოდი. რეტროსპექტულად გაანალიზებული იქნა 20 წლიდან - 80 წლამდე ასაკის 60 პაციენტის სამედიცინო ბარათები, რომლებიც მკურნალობდნენ COVID-19-ის დიაგნოზით და აღენიშნებოდათ ნევროლოგიური სიმპტომები.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ინტერვიუს მეთოდი წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით. რესპოდენტი პაციენტები დაყოფილი იქნა ჯგუფებად კოვიდ ინფექციის სიმძიმის, ნევროლოგიური სინდრომების და ნეირორეაბილიტაციის ჩატარების მიხედვით. გამოვყავით 2 ჯგუფი: პირველ ჯგუფში შევიყვანეთ პაციენტები, რომლებსაც სტაციონარიდან გაწერის შემდეგ ნეირორეაბილიტაცია არ ჩაუტარდათ, სულ -28 (46.6%), მეორე ჯგუფში კი პაციენტები, რომლებიც იმყოფებოდნენ ოჯახის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, უტარდებოდათ შესაბამისი მკურნალობა და ნეირორეაბილიტაცია, სულ 32 (53.3%). მოვახდინეთ ამ ჯგუფებს შორის ნევროლოგიური სინდრომებისა და სიმპტომების ხანგრძლივობის შედარება.

კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა SPSS.v12 პროგრამული პაკეტის გამოყენებით. სარწმუნოების კრიტიკულ მნიშვნელობად მიჩნეულ იქნა $P < 0.05$.

კვლევის შედეგები და განხილვა

კოვიდ ინფექციის მსუბუქი, საშუალო სიმძიმის და მძიმე მიმდინარეობის შემთხვევები პირველ ჯგუფში იყო შესაბამისად : 6 (26.4%), 11 (29.3%), 11 (39.3%), ხოლო მეორე ჯგუფში : 7 (21.8%), 10 (31.3%), 15 (46.9%). ნევროლოგიური სინდრომები და სიმპტომები გადანაწილდა შემდეგნაირად: პირველ ჯგუფში ცეფალგია გამოვლინდა 19 (67.9%) პაციენტს, კრანოპათია ყნოსვის, გემოსა და მხედველობის დარღვევის სახით - 22 (78.6%)-ს, ნერვული სისტემის დაზიანების დეფიციტური ფორმები მოტორული, მგრძნობელობის, ვეგეტატიური, მეტყველების, ფსიქიკური, ქცევითი და კოგნიტური დარღვევების სახით 16 (57%)-ს, ნეიროპათიული პოსტკოვიდური ტკივილი 12 (43%)-ს, ტკივილი გულმკერდის არეში 10 (35%)-ს, ხოლო ქრონიკული დაღლილობის სინდრომი 7 (25%)-ს.

მეორე ჯგუფში კი ზემოაღნიშნული სინდრომები და სიმპტომები გამოვლინდა შესაბამისად: 20 (62.5%), 25 (78%), 23 (72%), 15 (47%), 12 (37.5%) და 14 (43.7%) პაციენტს.

რესპოდენტი პაციენტების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ 32 პაციენტიდან 13 (40.6%)-ს სამედიცინო რეაბილიტაცია დაეწყო სტაციონარიდან გაწერისთანავე, ხოლო 19 (59.4%)-ს საშუალოდ 2.5 კვირის შემდეგ.

ნევროლოგიური სინდრომების ხანგრძლივობის შესწავლით დადგინდა, რომ ნეირორეაბილიტაციის დროული დაწყების შემთხვევაში მათი ხანგრძლივობა შეადგენდა 2.1 ± 1 თვეს, რაც გაცილებით ნაკლებია მოგვიანებით დაწყებასთან (5 ± 1 თვე) შედარებით $P < 0.05$. პაციენტებს რომლებსაც კოვიდინფექციის გადატანის შემდეგ არ ჩაუტადათ ნეირორეაბილიტაცია გამოვლინდათ ნევროლოგიური სიმპტომების მდგრადობა საშუალოდ 11 ± 1.5 თვის განმავლობაში.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ COVID-19 ინფექციის გადატანის შემდეგ პოსტკოვიდური ნევროლოგიური სინდრომების არსებობის შემთხვევაში მიზანშეწონილია სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება და მისი დროულად დაწყება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 21 ოქტომბრის N01-232/ო ბრძანება „Post-Covid19/SARS-CoV-2 - შემდგომი ამბულატორიული სამედიცინო რეაბილიტაცია და კურორტული მკურნალობის (კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლი))“ დამტკიცების შესახებ
2. Белопасов, В., В., Яшу, Я., Самойлова, Е., М., Баклаушев, В., П. Поражение нервной системы при COVID-19 // Клиническая практика. 2020. Т. 11, № 2. С. 60–80. [Belopasov, V., V., Yashu, Ya., Samoilova, E., M., Baklaushev, V., P. Lesion of the nervous system in COVID-19. Journal of Clinical Practice. 2020;11(2):60–80. (In Russ).] doi: 10.17816/clinpract34851
3. COVID-19 rapid guideline: managing the long-term effects of COVID-19. London: National Institute for Health and Care Excellence (UK); 2020.
4. Garrigues, E., Janvier, P., Kherabi, Y., et al. Post-discharge persistent symptoms and health-related quality of life after hospitalization for COVID-19. J Infect. 2020;81(6): e4–e6. doi: 10.1016/j.jinf.2020.08.029
5. Garg, P., Arora, U., Kumar, A., Wig, N. The «post-COVID» syndrome: how deep is the damage? J Med Virol. 2021;93(2):673–674. doi: 10.1002/jmv.26465
6. Iqbal, A., Iqbal, K., Arshad Ali, S., Azim, D., Farid, E., Baig, M. D., Bin Arif, T., & Raza, M. (2021). The COVID-19 Sequelae: A Cross-Sectional Evaluation of Post-recovery Symptoms and the Need for Rehabilitation of COVID-19 Survivors. Cureus, 13(2), e13080. <https://doi.org/10.7759/cureus.13080>
7. Moreno-Pérez, O., Merino, E., Leon-Ramirez, J. M., Andres, M., Ramos, J. M., Arenas-Jiménez, J., Asensio, S., Sanchez, R., Ruiz-Torregrosa, P., Galan, I., Scholz, A., Amo, A., González-de la Aleja, P., Boix, V., Gil, J., & COVID19-ALC research group. (2021). Post-

- acute COVID-19 syndrome. Incidence and risk factors: A Mediterranean cohort study. *The Journal of infection*, 82(3), 378–383. <https://doi.org/10.1016/j.jinf.2021.01.004>
8. Oronsky, B., Larson, C., Hammond, T. C., Oronsky, A., Kesari, S., Lybeck, M., & Reid, T. R. (2023). A Review of Persistent Post-COVID Syndrome (PPCS). *Clinical reviews in allergy & immunology*, 64(1), 66–74. <https://doi.org/10.1007/s12016-021-08848-3>
 9. Reza-Zaldívar, E. E., Hernández-Sapiéns, M. A., Minjarez, B., Gómez-Pinedo, U., Márquez-Aguirre, A. L., Mateos-Díaz, J. C., Matias-Guiu, J., & Canales-Aguirre, A. A. (2021). Infection Mechanism of SARS-COV-2 and Its Implication on the Nervous System. *Frontiers in immunology*, 11, 621735. doi: 10.3389/fimmu.2020.621735
 10. Taboada, M., Cariñena, A., Moreno, E., et al. Post-COVID-19 functional status six-months after hospitalization. *J Infect.* 2021;82(4): e31–e33. doi: 10.1016/j.jinf.2020.12.022
 11. Wijeratne, T., Crewther, S. COVID-19 and long-term neurological problems: Challenges ahead with Post-COVID-19 Neurological Syndrome. *Aust J Gen Pract.* 2021;(50). doi: 10.31128/AJGP-COVID-43
 12. Wade D. T. (2020). Rehabilitation after COVID-19: an evidence-based approach. *Clinical medicine (London, England)*, 20(4), 359–365. doi: 10.7861/clinmed.2020-0353. Epub 2020 Jun 9. (DOI: 10.7861/clinmed.2020-0353)
 13. Yong S. J. (2021). Persistent Brainstem Dysfunction in Long-COVID: A Hypothesis. *ACS chemical neuroscience*, 12(4), 573–580. doi: 10.1021/acscchemneuro.0c00793

SEXOPATHOLOGY - A CRIME COMMITTED IN THE SEXUAL SPHERE

Maia Kerkenjia

Associate Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;
49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;
maia.kerkenjia@sportuni.ge

Abstract. The 20th century saw the birth of three strong and pervasive ideologies: fascism, communism, and liberalism. Fascism and communism were lost in the debris of history in the 20th century. As for liberalism, it is now flourishing and flourishing. I do not want to present the 21st century or the age of liberalism only in dark colors. Good things are happening, but I'd rather talk about the vices, because they are very noticeable for such a small, traditional, Christian-Puritan country like Georgia.

Keywords: Sexopathology, liberalism, sexual crime.

სექსოპათოლოგია - სექსუალურ სფეროში ჩადენილი დანაშაული

მაია კერკენჯია

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;
maia.kerkenjia@sportuni.ge

აბსტრაქტი. მე-20 საუკუნეში დაიბადა სამი მყარი და ყოვლისმომცველი იდეოლოგია: ფაშიზმი, კომუნიზმი და ლიბერალიზმი. ფაშიზმი და კომუნიზმი მე-20 საუკუნეშივე ჩაიკარგა ისტორიის ნამსხვრევებში. რაც შეეხება ლიბერალიზმს, ახლა ყვავის და იფურჩქნება. 21-ე საუკუნე ანუ ლიბერალიზმის ეპოქა არ მსურს მხოლოდ მუქ ფერებში წარმოვაჩინო. კარგიც ხდება, თუმცა ჯობს მანკიერებებზე ვისაუბრო, რადგან მეტად ყურადსაღებია ისეთი პატარა, ტრადიციული, ქრისტიანულ-პურიტანული ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.

საკვანძო სიტყვები: სექსოპათოლოგია, ლიბერალიზმი, სექსუალური დანაშაული.

Introduction

I, who used to work in the field of forensic medical examination, have often come across crimes committed in the sexual sphere and helped the court to identify the culprit, while there was no suitable special technology, database in social networks, and we identified a dangerous criminal only by evidence and intuition.

Before moving directly to subject of crime, let's first distinguish sexopathology from crime. Because in the era of liberalization of the 21st century, many things were reevaluated and a conglomerate of pathology-crimes was created, that is, crime was recognized as a norm, which in turn greatly increased the list of crimes. All of this is backed by the statistics of crimes committed in the sexual sphere, which can be freely searched on the Internet and is transparent for all interested persons.

Issues

Let's start with the disease or pathology. Such is hermaphroditism, both true and false, that is, psychological. In the first case, the subject has characteristics of both sexes, while in case of

false hermaphroditism, the subject's problem is only in his perception. That is, he feels like a person of the opposite sex. He dresses and behaves like one. Both of these cases are considered as a pathology, I emphasize it as a pathology and not as a norm, let alone a crime. Although this is not a crime, the practice of advertising it, which we see in the conditions of liberalization, is a crime, moreover - reprehensible.

Another issue is pedophilia and rape - both of these are the most serious crimes punishable under Article 137 of the Georgian legislation. Rape is an abusive sexual relationship. It can be done by using force, or by psychological influence (threats, blackmail, helplessness).

It is easy for a forensic expert to determine rape by physical force, because there are signs of violence visible clearly. In the case of psychological impact, it is necessary to involve a psychologist, because the medical expert is powerless here. I hasten to point out that pedophilia is punishable even if it occurred with the consent and desire of the "victim". I will refrain from going into more depth, because it is no longer within the competence of a forensic medical expert.

Research Results

Now, let's move on to the main thing, which is considered normal for a liberal society and completely unacceptable for a healthy one. It is the satisfaction of sexual needs in an unnatural way. This is homosexuality in women (Sapphism) and homosexuality in men. This act, although to our surprise it was not punished in ancient Rome and Greece, was later recognized as a crime in Europe and became punishable by hanging and burning at the stake, and in Asia by stoning and premature burial. In our era, since liberalization has recognized it as a norm, its determination from a purely medical point of view is absolutely useless and unnecessary.

Discussion

I just want to point out that humans were created by God as a man and as a woman, and awareness of this is utmost necessary, and going against nature with surgical intervention and hormone therapy causes important physiological and psychological changes in the body and is not safe from a purely medical point of view. Psychological change is often a prerequisite for committing atrocious crimes, which we can look up on the Internet.

The stressful condition of such people is indicated by how they clothe and behave, ignorance of public opinion, nihilistic attitude and depression, which is often disguised by aggression towards others. Unfortunately, today's news media outlets try to justify their behavior.

Conclusion

In conclusion, it is important to express that a lifestyle inconsistent with our values is unacceptable for the Georgian people. Additionally, the extensive propaganda promoting such lifestyles is concerning.

It is reassuring to note that a bill addressing these issues has been proposed in Parliament. With due respect, I would like to emphasize the importance of preserving our traditions and considering the future of our children. Our history and unblemished past are significant, extending back millennia.

References:

1. Temur Gordeladze. Forensics Medicine. 1981.

დამწყებ ფრენბურთელთა წვრთნის პროცესის ორგანიზებული მართვა

ზვიად მიქაძე

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

zviad.mikadze@sportuni.ge

ტრისტან გულბიანი

პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

tristan.gulbiani@sportuni.ge

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია ნორჩ ფრენბურთელთა წვრთნის პროცესის ისეთი ასპექტები, როგორიცაა გუნდის შექმნა და მართვა, ტექნიკური საშუალებების ოპტიმალური გამოყენება, სამუშაო გეგმის შედგენა და დროის განაწილება.

საკვანძო სიტყვები: სპორტი, ფრენბურთი, წვრთნის პროცესი, მეზოციკლი, მიკროციკლი.

ABOUT ORGANIZED MANAGEMENT OF THE TRAINING PROCESS OF BEGINNER VOLLEYBALL PLAYERS

Zviad Mikadze

Associate Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;

49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

zviad.mikadze@sportuni.ge

Tristan Gulbiani

Professor, Rector of the Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;

49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

tristan.gulbiani@sportuni.ge

Abstract. The paper discusses such aspects of the training process of young volleyball players as team management, optimal use of technical facilities, work plan preparation and time allocation.

Keywords: sport, volleyball, training process, mesocycle, microcycle.

შესავალი. თანამედროვე მსოფლიოში ფრენბურთმა განვითარების განსაკუთრებულ დონეს მიაღწია. გაიზარდა თამაშის სისწრაფე, დარტყმების სიზუსტე, ჩქაროსნული ტექნიკა, კომბინაციათა შესრულების დონე თავდასხმაში და ურთიერთდაზღვევის ოსტატობა დაცვაში, ათლეტიზმი, გამძლეობა და თამაშის სხვა კომპონენტები. ამგვარი ოსტატობის მიღწევა მხოლოდ საფრენბურთო ნიჭიერებით და თუნდაც თავდაუზოგავი შრომითა და მონდომებით შეუძლებელია. ის ათიოდე წელი, რომელიც მწვრთნელებს ეძლევათ 8–10 წლის მოზარდების ისეთი დონის ოსტატებად აღსაზრდელად, რომელთაც გააჩნიათ უზადო ტექნიკა საფრენბურთო აზროვნება და სხვა ღირსებები ნამდვილად არასაკმარისია. ამოცანას ასრულებს ის ფაქტორიც, რომ საქმე გვაქვს სწრაფად მოზარდ ახალგაზრდებთან, რომელთა კოორდინაციისა და სისწრაფის მიყვანა საფრენბურთო კონდიციამდე მეტად რთული საქმეა. ამიტომ, ცხადია, რომ ნორჩ ფრენბურთელთა

წვრთნის პროცესი, მიუხედავად მრავალი სიძნელისა, უნდა იყოს დეტალურად გააზრებული, მომავლის საჭიროებებზე ორიენტირებული, მეთოდურად დახვეწილი და მიმდინარე, მაღალი საფრენბურთო კულტურის მქონე სკოლების გამოცდილებაზე დაფუძნებული.

შინაარსი: ფრენბურთელის წვრთნა მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისაკენ მიმართული ყოველმხრივი ფიზიკური აღზრდის და განვითარების სპეციალიზირებული პროცესია.

წვრთნის ამოცანები: ჯამრთელობის შენარჩუნება და გამტკიცება; ჰარმონიული ფიზიკური განვითარება (მათ შორის ტანადობის გაუმჯობესება); ფიზიკური თვისებების განვითარება და მოძრაობითი ჩვევების სისტემის ჩამოყალიბება. სპორტული წვრთნის პროცესში ხორციელდება არა მარტო სწავლება, არამედ აღზრდაც, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც პიროვნების ჩამოყალიბების, ასევე პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის (გუნდური თამაშის განსახორციელებლად). ფრენბურთელის აღზრდისას ყალიბდება მისი გრძნობები, ჩვევები და ჩვეულებები, ზნეობრივი შეხედულებანი და მსოფლმხედველობა.

ფრენბურთელის წვრთნაში მწვრთნელი მთავარ როლს ასრულებს. მწვრთნელის პედაგოგიური ოსტატობა შეიცავს არა მარტო პედაგოგიური საქმიანობის პრაქტიკას, არამედ ფრენბურთის სახეობის თეორიის ღრმა ცოდნას, აგრეთვე მომიჯნავე დისციპლინების ცოდნასაც. მწვრთნელი ვალდებულია თავის საქმიანობაში დაეყრდნოს თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს და მოწინავე პრაქტიკას. პედაგოგიურ ოსტატობაში მთავარია მუშაობისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, ძიება, თეორიასა და პრაქტიკაში სიახლის ძიება, გონივრული გამოყენება. ამიტომ არის აუცილებელი ფრენბურთის მწვრთნელი სისტემატურად და განუწყვეტლივ ეწეოდეს თვითგანვითარებას, გაიუმჯობესოს პროფესიულ-პედაგოგიური მომზადება.

წვრთნის სრულყოფის ხერხები და მეთოდები. გუნდის შექმნა; მოთამაშეების მიღება, ეს დამოკიდებულია გუნდში უკვე არსებულ მოთამაშეთა და მისაღებათა ოპტიმალურ რაოდენობაზე. ახალგაზრდული გუნდის შექმნისას გასათვალისწინებელია შემდეგი პირობები:

- აუცილებელია ყველა მსურველს მიეცეთ თამაშის შესაძლებლობა, რისთვისაც უნდა შეიქმნას ორი ან მეტი გუნდი, რათა დაკმაყოფილდეს ყველა მსურველი;
- თითოეულ გუნდში უნდა იყოს მოთამაშეთა ის რაოდენობა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მწვრთნელს, ვარჯიშები ნორმალურ პირობებში ჩატაროს და ყველა მოთამაშემ შეძლოს ვარჯიშში მონაწილეობის მიღება;
- გუნდის მოთამაშეთა დონე ერთნაირი უნდა იყოს. ძალათა ასეთი განლაგება დაოსტატების მეტ საშვალებას იძლევა.
- სასურველია ფრენბურთის გუნდი შეიქმნას მოთამაშეთაგან, რომლებსაც სხვაც ბევრი აქვთ საერთო (მაგალითად, თანაკლასელები, უბნელები არიან და ა.შ.).

მოთამაშეთა მოვალეობები; მწვრთნელმა უნდა განსაზღვროს მოთამაშეთა მოვალეობები და გამოყოს მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, ანუ რომელ დღეებში ჩატარდება ვარჯიშები, კვირაში რამდენი დღე დაეთმობა წვრთნას, რამდენ თამაშს ითამაშებენ, ითამაშებენ თუ არა კვირის ბოლოს (შაბათ-კვირას), მოუწევთ თუ არა მოთამაშეებს მოგზაურობა და ა.შ.

ამ საკითხთა გადაწყვეტა ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან თუ ისინი მოთამაშეთათვის ბუნდოვანია ან ზოგიერთს არ სურს მათი შესრულება, ეს, ადრე თუ გვიან, გუნდს პრობლემებს შეუქმნის.

მწვრთნელი ვალდებულია გუნდის შესაძლებლობებისა და მიზნებიდან გამომდინარე, დასახოს სწორედ ამ გუნდის დონის შესაფერისი ამოცანები.

პრაქტიკული რჩევა ფრენბურთის მწვრთნელებს: გუნდის თავისებურებებიდან გამომდინარე, იფიქრე იმ ამოცანებზე, რომელთა გადაჭრა ძალუძს შენს გუნდს. ახალგაზრდა ფრენბურთელთან მუშაობისას მნიშვნელოვანია, რომ მოთამაშეებმა გააცნობიერონ და შეასრულონ თავიანთი მოვალეობები (ვალდებულებები), რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს მათ ასაკს და ფიზიკურ შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანია, რომ გუნდის წევრებს ეკისრებოდეთ ისეთი მოვალეობები, რომლებიც მათ ძალებს არ აღემატება და რომელთა შესრულებაც ხელეწიფებათ.

საჭიროა მწვრთნელმა მოთამაშეებთან ერთად განსაზღვროს ეს მოვალეობები, რათა ბავშვებიც ჩაებან საკუთარი საქმიანობის დაგეგმვაში. ასეთი მიდგომით ისინი მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საკუთარ მოვალეობათა შესრულებას.

მოთამაშეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, იფიქრე, კიდევ რისი შესრულებაა მათთვის აუცილებელი. შინაგანაწესი გუნდის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ელემენტია. ის უნდა იყოს ნაკლებ გადატვირთული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და სავალდებულო. შესრულების დროს გაუგებრობებისა და კომფლიქტური სიტუაციების თავიდან ასაცილებლად, შინაგანაწესი ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული. რა თქმა უნდა, ის უნდა შეესაბამებოდეს არსებულ გარემოებას, გუნდის შესაძლებლობების გათვალისწინებით. —მაგალითად, საჭიროა შემუშავდეს გარკვეული წესები, როგორიცაა, ვარჯიშის ერთსა და იმავე დროს დაწყება, შესაბამისი სპორტული ჩაცმულობა, თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მოსვლა, ვარჯიშის შემდეგ ბურთების შესაგროვებლად მორიგეობის დაწესება და სხვა.

ფრენბურთის მოთამაშეთათვის ასევე აუცილებელია თამაშებში მონაწილეობის სქემის შექმნა, რომლის საფუძველზეც ყველა მოთამაშეს ექნება შესაძლებლობა, სეზონის განმავლობაში ითამაშოს მატჩის თუნდაც მინიმალური რაოდენობა.


მოთამაშეთა მშობლებისათვის უნდა დადგინდეს ქცევის გარკვეული წესი, რომელიც ცხადია, მათ აუცილებლად უნდა დაიცვან. მაგალითად, თამაშის დროს დაუშვებელია მშობლის ჯდომა გუნდის სკამზე, ან შვილისათვის ხმამაღალი მითითებების მიცემა.

ხელმისაწვდომი საფრენბურთო ტექნიკური საშვალებები; მწვრთნელმა უნდა იცოდეს, თუ რა ტექნიკური შესაძლებლობების (დარბაზი, მოედნები, ბურთები და ა. შ.) პატრონია, რათა მაქსიმალურად ისარგებლოს არსებული რესურსებით, ხოლო მათი დეფეციტის შემთხვევაში, ვარჯიშის გარკვეულ მიზნების მისაღწევად გამოიყენოს საკუთარი გამოცდილება და ფანტაზია. უპირველეს ყოვლისა, მწვრთნელმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები. მაგალითად, თუ მწვრთნელის განკარგულებაში მხოლოდ რამდენიმე ფრენბურთის ბურთია, შესაძლებელია ჯგუფების ორგანიზება სხვადასხვაგვარი ვარჯიშების შესასრულებლად ბურთით და უბურთოდ. სასურველია მოძრავი თამაშების შეთავაზება, შერჩევა. თამაშის შესარჩევად პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ის პედაგოგიური ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც თამაშის მეშვეობით უნდა განვახორციელოთ. ასათ ამოცანად ჩვენ შეიძლება გვქონდეს ძირითადი მოძრაობითი ჩვევების სრულყოფა გართულებულ პირობებში, განვლილი მასალის ათვისების შემოწმება, გუნდის ყურადღებისა და ორგანიზაციულობის უზრუნველყოფა, აქტიური დასვენება და სხვა. ამა თუ იმ კონკრეტულ ამოცანას უნდა შეურჩიოთ მსგავსი შინაარსის თამაში. მაგალითად, „ბურთი შვამი მდგომს“, „ტენილი ბურთის გადაცემა თავს ზემოთ“, „ანკესი“ და ა. შ. (იხ. სურ. 1, 2, 3).

თამაშის ბარათი N5

1. თამაშის დასახელება: „ბურთი შუაში მდგომს“
2. მოთამაშეთა რაოდენობა: 14–18
3. ინვენტარი: ფრენბურთის ბურთი


- ასაკი: 8-9-10–11 წ.
- თამაშის ამოცანა: ბურთის აღქმა, ბურთის სწორი გადაწოდების დაუფლება.

მოთამაშეთა განლაგება	თამაშის შინაარსი	ძირითადი წესები	ვარიანტები
	მასწავლებელი, მწვრთნელი ან სხვა მოსწავლე უნდა დააყენოს ბურთი ცენტრში. ბურთი უნდა გადაეცეს მოთამაშეს, რომელიც ცენტრში დგას ბურთით ხელში. მასწავლებლის ნიშნით უნდა დაიწყოს ბურთის თაობაზე გადაცემა. ბურთი უნდა გადაეცეს მოთამაშეს, რომელიც ცენტრში დგას ბურთით ხელში. ბურთი უნდა გადაეცეს მოთამაშეს, რომელიც ცენტრში დგას ბურთით ხელში.	ბურთის დავარდნის დროს წამყვან მოთამაშეს აქვს უფლება ბურთის აღების და თამაშის გაგრძელების.	- მოთამაშეების რაოდენობიდან გამომდინარე შეიძლება წერის მატება ან შემცირება. - ბურთები შერჩეულ ინდა იქნას მოთამაშეთა წლოვანების მიხედვით (ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის და რაგბის).

სურ. 1. თამაშის ბარათი (თამაშის დასახელება: „ბურთი შუაში მდგომს“).

თამაშის ბარათი N9

1. თამაშის დასახელება: ტენილი ბურთის გადაცემა თავს ზემოთ.
 2. მოთამაშეთა რაოდენობა: 12-16
 3. ინვენტარი: ტენილი ბურთი.
- ასაკი: 8–9–10წ.
თამაშის ამოცანა: მოქნილობის, სიჭრაფის, ბურთის გადაცემის განვითარება.

მოთამაშეთა განლაგება	თამაშის შინაარსი	ძირითადი წესები	ვარიანტები
	მასწავლებელი ჯგუფს, კლასს ყოფს ორ გუნდად. მათი განლაგების შემდეგ, გუნდების პირველ მოთამაშეებს ხელში უჭირავთ ბურთები. მასწავლებლის ნიშანზე ბურთის გადასცემენ უკან მდგომ მოთამაშეს, ის ბურთს გადასცემს თავის უკან მდგომს და ა.შ. მიიღებს რა უკანასკნელი მოთამაშე ბურთს, გამორბის და დგება გუნდის სათავეში და გრძელდება ბურთის გადაცემა მანამ, სანამ პირველი მოთამაშე არ დადგება ისევ თავის ადგილზე და აწევს ზემოთ ბურთს. ის გუნდია გამარჯვებული, რომელიც ადრე დაასრულებს თამაშს წესების დაცვით.	1. ბურთის გადაწოდება ხდება ზემოდან ორივე ხელით გუნდის მეორე წომერი გადაცემის წინაშე. ქვემოდავლებს შუა) მესამეს და ასეხდება ცვლით გადაცემა 2. მოთამაშის გამოტოვება არ შეიძლება.	მასწავლებელი, მწვრთნელი ირჩევს (მოთამაშის ასაკობრივი, ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით) ბურთებს; კალათბურთის, რაგბის ან ტენილ ბურთს. (ტენილი ბურთის წონის შერჩევას ახდენ პედაგოგი).

სურ. 2. თამაშის ბარათი (თამაშის დასახელება: „ტენილი ბურთის გადაცემა თავს ზემოთ“).

თამაშის ბარათი N



1. თამაშის დასახელება: ანკესი
2. მოთამაშეთა რაოდენობა: 15-20
3. ინვენტარი: თოკი, ტომსიკა.

ასაკი: 8-9-10 წ.

თამაშის ამოცანა: წახტომის უნარ-ჩვევების, მოქნილობის, მხედველობის განვითარება.



მოთამაშეთა განლაგება	თამაშის შინაარსი	მირითადი წესები	ვარიანტები
	მოთამაშეები დგებიან წრეზე, სახით ცენტრისკენ. თამაშის წამყვანი ერთი, რომელიც მასწავლებლის ბრძანების შემდეგ ატრიალებს 15-20 სმ. სიმაღლეზე თოკს, რომლის ბოლოზე გამოზმულია მარცვლით სავსე ტომსიკა (ანკესი). დატრიალებული თოკი გაივლის ზავშვების ფეხებ ქვეშ. მოთამაშეები ყურადღებით თვალს ადევნებენ თოკის ტრიალს და ხტებიან ისე, რომ „ანკესმა“ (ტომსიკამ) ფეხებზე შეუხებლად გაუაროს ფეხქვეშ. წაგებულისა და თამაშიდან გადის ის, ვისაც ფეხში მოედება „ანკესი“. თოკის ყოველ დატრიალებზე აღინიშნება, თუ რომელი გუნდის მოთამაშეს შეეხო „ანკესი“. იმარჯვებს ის მოთამაშე და გუნდი, რომლის მოთამაშესაც ნაკლებჯერ შეეხო თოკზე გამოზმული ტომსიკა.	1. წრიდან თვითნებურად გამოსვლა არ შეიძლება.	1. შეიძლება წრის გადიდება ან შემცირება. 2. თოკის სიმაღლის მომატება ან შემცირება. 3. მოთამაშეთა გუნდებიდან დაყოფა შეიძლება 2 გუნდად, 3 გუნდად და ა.შ. კლასის რაოდენობიდან გამომდინარე. 4. წამყვანის შეცვლა და თოკის საწინააღმდეგო მიმართულებით ტრიალი შეიძლება.

სურ. 3. თამაშის ბარათი (თამაშის დასახელება: „ანკესი“).

სამუშაო გეგმის შედგენა: გუნდის საქმიანობის დაგეგმა (ვარჯიშები და თამაშები) მწვრთნელის მუშაობის მნიშვნელოვანი მხარეა. მწვრთნელი, რომელიც თავის საქმიანობას წინასწარ არ გეგმავს, დინებას არ მიჰყვება. სეზონის დასაწყისში ასეთი მწვრთნელები ძლიერ აღტაცებულნი, ენერგიულნი, თავდაჯერებულნი და იდეებით აღსავსენი არიან და ერთდროულად ბევრი მიზნის მიღწევას ისახავენ. სეზონის დაწყებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მათი აღტაცება, ენერგია და ენთუზიაზმი ნელ-ნელა კლებულობს, იდეები ილევა და მათ მიერ ჩატარებული ვარჯიშები არაფრის მომცემი და ძალზე მოსაწყენი ხდება.

მნიშვნელოვანი თამაშის წინა პერიოდში ისინი კვლავ აღივსებიან ენთუზიაზმით და ცდილობენ მოთამაშეებს ყველაფერი ერთბაშად ასწავლონ, თამაშამდე დარჩენილი რამდენიმე ვარჯიშის განმავლობაში.

ცხრილი 1. სეზონის პერიოდებად დაყოფის მაგალითი. მაკროციკლი - მოიცავს მთელ სეზონს სექტემბრიდან მაისამდე. გვაქვს 5 მეზოციკლი, რომელთაგან თითოეული დაყოფილია ერთ ან ორკვირიან მიკროციკლებად.

თვე	მეზოციკლი	მიკროციკლი
სექტემბერი	1	1.1
		1.2
ოქტომბერი		1.3
		1.4
		1.5
ნოემბერი	2	2.1
		2.2
		2.3
		2.4
		2.5
დეკემბერი		2.6
		2.7
საშობაო შუალედი		
იანვარი	3	3.1
		3.2
		3.3
თებერვალი		3.4
		3.5
	4	4.1
		4.2
მარტი		4.3
		4.4
სააღდგომო შუალედი		
აპრილი	5	5.1
		5.2
		5.3
		5.4
მაისი		5.5
		5.6

მწვრთნელი რომელიც წინასწარ არ გეგმავს თავის საქმიანობას, მხოლოდ დღევანდელი თამაშით კმაყოფილდება და ხელს არ უწყობს ბავშვების დაოსტატებას.

არსებობს მწვრთნელის მეორე ტიპი, რომელიც მუშაობს გეგმაზომიერად, იცის თუ რა ნაკლის აღმოფხვრა სჭირდება მის გუნდს, ზრუნავს საკუთარი მოთამაშეების დაოსტატებასა და წინსვლაზე ჩემპიონატის შედეგების მიუხედავად.

წინასწარ შემუშავებული გეგმა ხელს უწყობს მწვრთნელს გააცნობიეროს მის წინაშე დასმული მიზნები და მათი მიღწევის გზები, პრობლემები, რომლებიც შეიძლება შეხვდეს ამ გზაზე და გაითვალისწინოს მათი გადაჭრის შესაძლებლობები.

როგორ წინსწრეფით უნდა დაგეგმოს მწვრთნელმა მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი გეგმები, შეუძლია დაგეგმოს თავისი საქმიანობა რამდენიმე წლით, მხოლოდ ერთი სეზონით, რამდენიმე თვით ან რამდენიმე კვირით.

როდესაც კლუბი აერთიანებს სხვადასხვა კადეგორიის გუნდებს, კარგი იქნება, კლუბის ინტერესების გათვალისწინებით, შემუშავდეს ერთი საერთო, რამდენიმე წლის მომცველი მოქნილი გეგმა, ახალგაზრდა მოთამაშეებისათვის (დამწყებ ფრენბურთელის ეტაპი) და მეორე ან რამდენიმე სხვა ასეთივე გეგმა, უფროსი ასაკის მოთამაშეთათვის (13 წლის ასაკისა და ზემოთ), რის შედეგადაც მწვრთნელთა მუშაობა კლუბის ძირითადი მიმართულებების შესაბამისი იქნება და საუკეთესო ნაყოფს გამოიღებს. მწვრთნელმა, გუნდში თავისი საქმიანობის დაგეგმისა და ამ გეგმის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების მიუხედავად, უახლოეს მიზნებთან ერთად აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ახალგაზრდა მოთამაშეთა პრესპექტივებიც.

დროის განაწილება: როგორც წესი, ახალგაზრდა მოთამაშეთა მწვრთნელები გუნდთან ერთი სეზონის განმავლობაში 6–10 თვე მუშაობენ. თავიანთი საქმიანობა მათ უნდა დაგეგმონ დროის ამ მონაკვეთის შესაბამისად. ეს პერიოდი მაკროციკლის ან უბრალოდ, ციკლის სახელითაა ცნობილი (ცხრილი 1).

გუნდის გარკვეული სპეციპიკიდან გამომდინარე, სეზონის დასაწყისში დაგეგმილი მოვლენების გათვალისწინებით, მწვრთნელი ჰყოფს სეზონს დროის უფრო მცირე მონაკვეთებად, რომელთაც გარკვეული მახასიათებლები აქვთ. ამ პერიოდებს მეზოციკლები ეწოდება.

მეზოციკლი შეიძლება დაყოფილი იყოს დროის უფრო მცირე, ორ–სამ კვირიან მონაკვეთებად, რომელსაც მიკროციკლი ჰქვია.

და ბოლოს არსებობს ვარჯიშების სერია. თითოეული ეს პერიოდი (მაკროციკლი, მეზოციკლი, მიკროციკლი და ვარჯიშების სერია) მწვრთნელმა წინასწარ უნდა დაგეგმოს.

აქედან გამომდინარე, თითოეული ვარჯიშის სერია უფრო დიდი მიკროციკლის ნაწილია, ასევე როგორც, მიკროციკლი არის მეზოციკლის ნაწილი და მეზოციკლი კი– მაკროციკლისა, რომლებიც მოიცავს მთელ სეზონს.

ასეთი ცხრილი ხელს შოუწყობს მწვრთნელს, მის მიერ ჩატარებული თითოეული ვარჯიში შეესაბამებოდეს მოთამაშეთა როგორც სპორტული, ასევე პიროვნული განვითარების უფრო ყოვლისმომცველ და გრძელვადიან გეგმებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნიკოლაიშვილი, ი. ფრენბურთი. თბილისი, განათლება, 1966 წ.
2. მატყევეი, ლ. სპორტული წვრთნის საფუძვლები. თბილისი, 1987 წ. (თარგმანი).
3. მიქაძე, ზ. მოძრავი თამაშები. თბილისი, 2023 წ.
4. მაგანია, ჯ., კახიძე, გ. ფიზიკური აღზრდის და სპორტის თეორიისა და მეთოდის საფუძვლები (მესამე ნაწილი). თბილისი, 2007 წ.

სარეაბილიტაციო პროცედურების გამოყენების ეფექტურობა მოცურავთა ვარჯიშის პროცესში

ედუარდ ფეროიანი

ბიოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური
აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

eduardferoyan@gmail.com

აბსტრაქტი. კვლევის მიზანია დინამიური ელექტრო-ნეიროსტიმულაციის გამოყენების შესაძლებლობის შესწავლა გამოჯანმრთელების დაჩქარებისა და სპორტსმენების ფიზიკური მუშაობის გაზრდის მიზნით. კვლევა მრავალსაფეხურიანი იყო. გამოიკვლიეს 16-25 წლის 138 მაღალკვალიფიციური მოცურავე (I კატეგორია და ზემოთ). პირველ ეტაპზე შესწავლილი იქნა DENAS თერაპიის ერთი პროცედურის ეფექტი სპორტსმენების აღდგენის პროცესების მიმდინარეობაზე ინტენსიური ფიზიკური დატვირთვის შემდეგ. სამუშაოს მეორე ეტაპის მიზანი იყო DENAS-ის ფიზიოთერაპიის აპარატის ზემოქმედების კურსის შესწავლა ფიზიკური მუშაობის აღდგენაზე. მესამე ეტაპზე გაზის გაცვლის შესწავლამ შესაძლებელი გახადა შრომისუნარიანობის მდგომარეობისა და დატვირთვის სიმძლავრის ცვლილებების შეფასება. წარმოდგენილი მონაცემები, მიღებული მრავალსაფეხურიანი კვლევის შედეგად, მიუთითებს დინამიური ელექტრო-ნეიროსტიმულაციის მაღალ ეფექტურობასა და მოქმედების ფართო სპექტრზე, რაც შესაძლებელს ხდის მათ გამოყენებას ინტენსიური ვარჯიშის შემდეგ აღდგენის პროცესების დასაჩქარებლად და ფიზიკური დონის ამაღლებისთვის. სპორტსმენების შესრულება. DENAS ფიზიოთერაპიის აპარატის აღდგენის მიზნით გამოყენება ხელს უწყობს ენერგეტიკული პროცესების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, ცენტრალური და პერიფერიული ჰემოდინამიკის და მთლიანად კარდიორესპირატორული სისტემის დაჩქარებულ აღდგენას. დინამიური ელექტრო-ნეიროსტიმულაციის პროცედურების გამოყენება საშუალებას იძლევა, მათი შედეგების პერიოდის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანმიმართულად მობილიზდეს სპორტსმენის ნეირო-კუნთოვანი სისტემის რეზერვები და, ამის გამო, მიაღწიოს ფიზიკური მუშაობის დონის მნიშვნელოვან ზრდას და გააუმჯობესოს სპორტული შედეგები. ჩვენს კვლევაში მიღებული თეორიული ინფორმაციის მთლიანობა და დინამიური ელექტრო-ნეიროსტიმულაციის გამოყენების პრაქტიკული ასპექტები ამ მეთოდს აქცევს ერთ-ერთ წამყვან დამატებით საშუალებას მაღალკვალიფიციური სპორტსმენების ვარჯიშის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: მოცურავეები, ფიზიკური შესრულება, დინამიური ელექტრო-ნეიროსტიმულაცია, ფიზიოთერაპია.

EFFICIENCY OF THE USE OF REHABILITATION PROCEDURES IN THE TRAINING PROCESS OF SWIMMERS

Eduard Feroyan

PhD in Biology, Associate Professor, Georgian State Teaching University of Physical Education
and Sports;

49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

Abstract. The aim of the study was to investigate the possibility of using dynamic electric-neurostimulation for accelerated recovery and increased physical performance of athletes. The study was multi-stage. 138 highly qualified swimmers (I category and above) aged 16-25 years were examined. At the *first* stage, the effect of a single DENAS-therapy procedure on the course of recovery processes in athletes after intense exercise was studied. The objective of the *second* stage of the work was to study the course of effects of the DENAS physiotherapy device on the restoration of physical performance. At the *third* stage, the study of gas exchange made it possible to evaluate changes in the state of physical performance and load power. The data presented, obtained as a result of a multi-stage study, indicate the high efficiency and wide range of action of dynamic electric-neurostimulation, which makes it possible to use them to accelerate recovery processes after intensive training and to increase the level of physical performance of athletes. The use of the DENAS physiotherapy device for the purpose of recovery contributes to a significant improvement in energy processes, accelerated restoration of central and peripheral hemodynamics and the cardiorespiratory system as a whole. The use of dynamic electric-neurostimulation procedures allows, due to the specificity of the period of their consequences, to purposefully mobilize the reserve of the neuromuscular apparatus of the athlete and achieve due to this a significant increase in the level of physical performance, improvement of the sports result. The totality of theoretical information obtained in our studies and the practical aspects of the use of dynamic electric-neurostimulation make this method one of the leading among additional means in the training process of highly qualified athletes.

Keywords: swimmers, physical performance, dynamic electric-neurostimulation, physiotherapy.

შესავალი. თანამედროვე სპორტში მიღწევების პროგრესი სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული არა მხოლოდ ვარჯიშის დატვირთვაზე, არამედ დამატებითი საშუალებების გამოყენებაზე, რომლებიც ხელს უწყობენ დაჩქარებულ აღდგენას და სპორტსმენების შრომის უნარიანობის ზრდას, განსაკუთრებით ფიზიკურ ფაქტორებს [1, 14, 11].

ფიზიკური ფაქტორების, როგორც დამატებითი საშუალებების შესაძლებლობები საწვრთნელ პროცესში, შესწავლილია რამდენიმე მიმართულებით: ინტენსიური ვარჯიშის შემდეგ აღდგენის პროცესების დაჩქარება, ფიზიკური მუშაობის დონის ამაღლება (შეჯიბრებამდე) [19, 7], სპორტსმენების იმუნური დარღვევების გამოსწორება). და ჰორმონალური მდგომარეობა ავადმყოფობის პრევენციის მიზნით [12, 10, 22], სპორტული ტექნიკის წარმატებული და სწრაფი ათვისება და მოძრაობის უნარების განვითარება.

კვლევის მიზანია - დინამიური ელექტრო-ნეიროსტიმულაციის გამოყენების შესაძლებლობის შესწავლა გამოჯანმრთელების დაჩქარებისა და სპორტსმენების ფიზიკური მუშაობის გაზრდის მიზნით. არჩევანი გაკეთდა DENAS-PKM (რუსეთი) ფიზიოთერაპიის აპარატზე, რაც განპირობებული იყო იმით, რომ მისი მოქმედების მექანიზმი კარგად იყო შესწავლილი როგორც ექსპერიმენტულად, ასევე კლინიკაში [9, 6, 3, 17, 2, 8, 21, 16].

მასალები და მეთოდები. DENAS-ის ფიზიომოწყობილობის მიერ წარმოქმნილი ფიზიოთერაპიული ეფექტების უპირატესობა მდგომარეობს მათ ფიზიოლოგიაში, ღრმად განლაგებულ ორგანოებსა და ქსოვილებზე უშუალო ზემოქმედების უნარში

ელექტროდების ქვეშ კანის გაღიზიანების გარეშე. დინამიური ელექტრული ნეიროსტიმულაცია ხორციელდება ელექტრული დენის იმპულსების გამოყენებით ადამიანის სხეულის ბიოლოგიურ აქტიურ წერტილებზე. მოწყობილობა უსაფრთხოა გამოსაყენებლად, რადგან იგი იყენებს დაბალი ძაბვის დენის წყაროს (სიხშირის დიაპაზონი 1,0 - 200 ჰც), იზოლირებული მოწყობილობის სამუშაო ნაწილისგან (ტიპის B პროდუქტი F ტიპის სამუშაო ნაწილით).

კვლევა მრავალეტაპიანი იყო, რამაც შესაძლებელი გახადა DENAS-ის ფიზიოთერაპიული პროცედურების ეფექტის მაქსიმალურად სრულყოფილად შესწავლა. სულ გამოიკვლია 16-25 წლის ასაკის 138 მაღალკვალიფიციური მოცურავე (1 კატეგორია და ზემოთ).

პირველ ეტაპზე შესწავლილი იქნა DENAS თერაპიის ერთი პროცედურის ეფექტი სპორტსმენების აღდგენის პროცესების მიმდინარეობაზე ინტენსიური ვარჯიშის შემდეგ. ფიზიოთერაპია DENAS-ის აპარატით ჩატარდა ველოერგომეტრიული მაქსიმალური დატვირთვის შემდეგ. წინამხრისა და მხრის კუნთებზე ჩაშენებული ელექტროდების მქონე მოწყობილობა (ბიოლოგიურად აქტიური წერტილები P 3-7; C 1-7; MS 2-7; IG 5-12; TR 4-14; GI 4-15). სპორტსმენების ლაბილურ-სტაბილურად გამოყენებული იყო დაბალი ძაბვის დენი (კომფორტის დონე) 60-77 ჰც სიხშირით, სეანსის დრო იყო 10-15 წუთი.

ელექტროკარდიოგრაფიის გამოყენებით შესწავლილი იქნა DENAS მოწყობილობის ერთჯერადი ზემოქმედების ეფექტი გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციურ მდგომარეობაზე. კვლევები ჩატარდა დასვენების დროს, ველოერგომეტრიული მაქსიმალური დატვირთვის შემდეგ, შემდეგ მთავარი (პირველი) ჯგუფის სპორტსმენებში DENS აპარატის პროცედურებისთანავე და 30 წუთის შემდეგ საკონტროლო (მეორე) ჯგუფის სპორტსმენებში 15 და 30 წუთის პასიური დასვენების შემდეგ.

ელექტროკარდიოგრაფიული კვლევები ჩატარდა BTL-08 SD (ინგლისი) მოწყობილობის გამოყენებით და ელექტროსფიგმოგრაფი pOpmetre® (საფრანგეთი) გამოიყენეს არტერიებში პულსის ტალღის გავრცელების სიჩქარის დასადგენად. გამოცდაში მონაწილეობა მიიღო ძირითადი ჯგუფიდან 35 სპორტსმენმა და საკონტროლო ჯგუფიდან 9 სპორტსმენმა.

სამუშაოს მეორე ეტაპის ამოცანას წარმოადგენდა DENAS-ის ფიზიოთერაპიის აპარატის ზემოქმედების კურსის შესწავლა ფიზიკური მუშაობის აღდგენაზე. მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა 48 სპორტსმენი; 28-მათგანმა ვარჯიში 6 თვის განმავლობაში გაიარა DENAS-ის ფიზიოთერაპიის აპარატით ეფექტების 3-4 კურსი, თითო 8-10 პროცედურა (ძირითადი ჯგუფი); 20 სპორტსმენს არ მიუღია რაიმე ეფექტი DENAS-ის ფიზიკური აპარატისგან (საკონტროლო ჯგუფი).

აღდგენის პროცესების მიმდინარეობა და სხეულის ფუნქციური მდგომარეობა შეფასდა გაზის გაცვლის მდგომარეობით, კარდიოგრაფიით, მიოტონომეტრიით და ველოერგომეტრიით.

მესამე ეტაპზე, გაზის გაცვლის შესწავლამ შესაძლებელი გახადა ფიზიკური მუშაობის, ენერგეტიკული მეტაბოლიზმის აერობული პროცესების ცვლილებების შეფასება მთლიანი მუშაობის, დატვირთვის სიმძლავრის, ჟანგბადის მაქსიმალური მოხმარების, ჟანგბადის დავალიანებისა და ჟანგბადის პულსის თვალსაზრისით [18, 20].

ჟანგბადის მოხმარება განისაზღვრება სისტემის გამოყენებით, რომელიც შედგება ამოსუნთქული ჰაერის შეგროვების მოწყობილობისგან - სასუნთქი ნილაბი, დიდი განყოფილების გოფრირებული შლანგი (32 მმ), სუნთქვის სარქველი კომპანია "Beckman"-

ისგან (უზრუნველყოფს სუნთქვის მინიმალურ წინააღმდეგობას როგორც დასვენების, ასევე ფიზიკური დატვირთვის დროს), ჩანთა „დუგლასი“ (ამოსუნთქული ჰაერის ერთგვაროვანი ნაკადის უზრუნველსაყოფად), მოცულობითი მრიცხველი, გაზის ანალიზატორი „VO2000“ (მწარმოებელი MGC Diagnostics, აშშ). ფიზიკური ტესტირება ჩატარდა დღის პირველ ნახევარში. მექანიკური ხელის ველოერგომეტრით Schiller ERG 911 S/HK (შვეიცარია) ეტაპობრივად მზარდი დატვირთვის გამოყენებით 60 ბრ/წთ-ში, დაწყებული 0,5 კგ დატვირთვით 2 წუთის განმავლობაში, დატვირთვის გაზრდა 0,25 კგ-ით ყოველი მომდევნო 2 წუთი [15, 5]. პარამეტრები რეგისტრირდებოდა 5 წუთიან მონაკვეთში დატვირთვამდე, დატვირთვის დროს, ასევე 15-30 წუთიანი აღდგენის პერიოდში (დატვირთვის შემდეგ). კვლევები ჩატარდა ლაბორატორიულ პირობებში 2-ჯერ წელიწადში DENAS ფიზიომოწყობილობის ზემოქმედების შემდეგ მოსამზადებელი პერიოდის დასაწყისში. გამოიკვლიეს ძირითადი ჯგუფის 25 და საკონტროლო ჯგუფის 21 მოცურავე.

კვლევის მასალების მათემატიკური დამუშავება განხორციელდა ვარიაციის სტატისტიკის მეთოდების [4] გამოყენებით Microsoft-ისა და Biostat-ის პროგრამული პაკეტის გამოყენებით. განსხვავებების სანდოობა შეფასდა სტუდენტური კრიტერიუმის გამოყენებით.

კვლევის შედეგები და განხილვა. DENAS-ის აპარატით ერთჯერადი ფიზიკური პროცედურის შემდეგ, რომელიც ჩატარდა ფიზიკური აქტივობისთანავე, ძირითად ჯგუფში გულისცემის სიხშირე $105,1 \pm 3,08$ -დან $81,5 \pm 4,8$ ცემამდე შემცირდა. დ.წთ⁻¹ ($p < 0,001$) და 30 წუთის შემდეგ იგი მთლიანად აღდგა. საკონტროლო ჯგუფის სპორტსმენებში ფიზიკური აქტივობის შემდეგ მან მიაღწია $98,2 \pm 2,5$ დ.წთ⁻¹, 15 წუთიანი დასვენების შემდეგ — $88,2 \pm 3,9$ დ.წთ ($p > 0,05$) და 30-ის წუთის დასვენების შემდეგ იყო კიდევ მეტი თავდაპირველ დროის მაჩვენებელს.

ატრიოვენტრიკულური გამტარობის ინდიკატორების დინამიკის მიმართულება, ისევე როგორც R და T ტალღების სიმაღლე ელექტროკარდიოგრამაზე ორივე ჯგუფში იყო იგივე, მაგრამ მეორე ჯგუფის სპორტსმენებში ეს ნაკლებად გამოხატული იყო (ცხრილი 1).

იგივე კანონზომიერება აღინიშნა სისხლძარღვთა ტონუსის დინამიკის ანალიზისას. ამრიგად, პულსის ტალღის გავრცელების სიჩქარე ელასტიურ არტერიებში დატვირთვამდე იყო $664,5 \pm 18,7$ სმ.წმ, მაქსიმალური ფიზიკური დატვირთვის შემდეგ — $797,1 \pm 12,0$ სმ.წმ, DENAS ფიზიოთერაპიის აპარატით პროცედურის შემდეგ — $700,5 \pm 11,7$ სმ.წმ, ხოლო 30 წუთის შემდეგ — $666,2 \pm 14,2$ სმ.წმ. ანუ თითქმის უტოლდება თავდაპირველს.

ცხრილი 1.

მოცურავეების ცენტრალური ჰემოდინამიკის აღდგენა მაქსიმალური ველოერგომეტრიული დატვირთვის შემდეგ, DENAS-ს ფიზიომოწყობილობის ერთჯერადი პროცედურის გავლენის ქვეშ, საწყისი მნიშვნელობის %

გაზომვები	დარტყმითი სისხლის მოცულობა		სისხლის წუთიერი მოცულობა		საერთო პერიფერიული სისხლძარღვთა წინააღმდეგობა	
	I	II	I	II	I	II

ფიზიკური დატვირთვის შემდეგ	+41,4	+37,5	+60,0	+60,2	-33,0	-35,3
DENAS-სის ზემოქმედების შემდეგ	+8,0	+29,3	+25,4	+45,1	-15,7	-25,1
30 წუთის შემდეგ	-3,3	+13,5	-1,5	+21,6	+0,3	-17,2

შენიშვნა: I — პირველი ჯგუფი, II — მეორე ჯგუფი

მეორე ჯგუფის სპორტსმენებში ეს მაჩვენებელი დაკვირვების ბოლოს (30 წუთის შემდეგ) 13,3%-ით იყო მომატებული (ცხრილი 2).

ცხრილი 2.

მოცურავეთა პერიფერიული ჰემოდინამიკის აღდგენა მაქსიმალური ველოერგომეტრიული დატვირთვის შემდეგ ერთი პროცედურის გავლენის ქვეშ DENAS ფიზიომოწყობილობით, საწყისი მნიშვნელობის %

გაზომვები	რეოგრაფიული ინდექსი		სისხლის შევსების დრო		ვენური გადინების სიჩქარის საერთო მაჩვენებელი	
	I	II	I	II	I	II
ფიზიკური დატვირთვის შემდეგ	+53,3	+23,8	-16,8	-23,3	-55,5	-41,9
DENAS-სის ზემოქმედების შემდეგ	+28,0	+12,3	- 8,4	-15,1	-33,7	-32,1
30 წუთის შემდეგ	-3,0	+6,5	-1,1	-4,6	-1,1	-17,9

შენიშვნა: I — პირველი ჯგუფი, II — მეორე ჯგუფი

ამრიგად, ცენტრალური და პერიფერიული ჰემოდინამიკის პროცედურები უფრო სწრაფად ხდება DENAS ფიზიოთერაპიის აპარატით.

ძირითად ჯგუფში მუშაობის მეორე ეტაპზე მაქსიმალური წნევა ვარჯიშის შემდეგ იყო $160 \pm 3,75$ მმ ვწყ სვ-ია, პროცედურის შემდეგ DENAS ფიზიომოწყობილობით — $123 \pm 3,65$, მინიმუმი წნევა — შესაბამისად $50 \pm 2,74$ და $62 \pm 1,28$ ($P < 0,01$). საკონტროლო ჯგუფში ვარჯიშის შემდეგ არტერიული წნევა იყო $155 \pm 3,22$, 15 წუთიანი შესვენების შემდეგ — $145 \pm 3,33$ მმ ვწყ სვ. ($p > 0,2$), ანუ ვარჯიშის შემდეგ მომატებული არტერიული წნევის დაქვეითება უფრო გამოხატული იყო DENAS ფიზიოთერაპიის აპარატით პროცედურის შემდეგ.

მესამე ეტაპზე, შეჯიბრის დაწყებისთანავე, ე.ი. DENAS-ის ფიზიოთერაპიის აპარატზე ზემოქმედების კურსების შემდეგ, ძირითადი ჯგუფის სპორტსმენებს შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშაობის სიმძლავრე, ჟანგბადის მაქსიმალური მოხმარება, ჟანგბადის დავალიანება და ჟანგბადის პულსი ($p < 0,05$). ეს მიუთითებს აერობული და ანაერობული ენერგეტიკული პროცესების შესაძლებლობების ზრდაზე და გულის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ვარჯიშის დროს გამოსხივებული პარამეტრების მატება დაფიქსირდა საკონტროლო ჯგუფშიც, მაგრამ ნაკლებად გამოხატული ($p > 0,05$).

სპორტსმენის სხეულის მზადყოფნის განსაზღვრისას, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია გულისცემის დინამიკა უკიდურესი დატვირთვის შემდეგ აღდგენის დროს. მოსამზადებელი პერიოდის დასაწყისში თითო სპორტსმენზე იყო 6.2 ქულა (A.П. Скородумова с соав, 2016 სკალაზე), შეჯიბრის დასაწყისში — 7.5, საკონტროლო ჯგუფში

- შესაბამისად 5.5 და 6.6 ქულა, რაც საუკეთესოზე მიუთითებდა გულისცემის აღდგენა ძირითადი ჯგუფის სპორტსმენებში [13].

ფიზიკურიუნარიანობა პირველი კლასის ბიჭების ძირითად ჯგუფში DENAS-ის ფიზიომოწილობის მოქმედების კურსამდე და კურსის შემდეგ იყო $196,7 \pm 5,7$ და $225,5 \pm 3,6$ ვატტ.წთ⁻¹ შესაბამისად ($p < 0,01$). საკონტროლო ჯგუფში 8-10 დღიანი ვარჯიშის შემდეგ $200,4 \pm 4,3$ -დან $220,4 \pm 2,6$ ვატტ.წთ⁻¹-მდე გაიზარდა ($p > 0,05$).

ბუნებრივ პირობებში DENAS ფიზიოაპარატის ზემოქმედების გამოვლენილი მახასიათებლის ეფექტურობის შესამოწმებლად მოცურავეებისთვის სპეციფიკურ მამოძრავებელ აქტივობაზე, ჩატარდა საკონტროლო შეჯიბრებები. სპორტსმენებმა 100 მ მანძილზე დაიწყეს საკუთარი სტილით, როგორც ჩვეულებრივი წინასაშეჯიბრო მომზადებით (საკონტროლო სტარტი), ასევე DENAS-ით პროცედურის შემდეგ.

მეორე სტარტის შედეგები საშუალოდ 0,21 წამით უკეთესი იყო. შემდგომში, წინასაშეჯიბრო მომზადების ეს ვარიანტი გამოიყენებოდა 100 მ-ის ოფიციალურ სტარტამდე. ამ ვარიანტის ტესტირებამ აჩვენა, რომ ეს ხელს უწყობს სპორტსმენების შედეგების გაუმჯობესებას ამ დისტანციაზე საშუალოდ 0,64 წამით.

ამრიგად, DENAS-ის ფიზიომოწილობის გამოყენების კურსით, გაუმჯობესდა გულის ფუნქციური მდგომარეობა, გაიზარდა ენერგომომარაგების სისტემების ფუნქციონალური შესაძლებლობები და მნიშვნელოვნად გაიზარდა ფიზიკურიუნარიანობის დონე.

დასკვნა. მრავალსაფეხურიანი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები მიუთითებს დინამიური ელექტრო-ნეიროსტიმულაციის მაღალ ეფექტურობასა და მოქმედების ფართო სპექტრზე, რაც შესაძლებელს ხდის მათ გამოყენებას ინტენსიური ვარჯიშის შემდეგ აღდგენის პროცესების დასაჩქარებლად და ფიზიკური დონის ამაღლებისთვის. სპორტსმენების მუშაობა DENAS-ის ფიზიოთერაპიის აპარატის აღდგენის მიზნით ხელს უწყობს ენერგიის დონის პროცესების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, ცენტრალური და პერიფერიული ჰემოდინამიკის და მთლიანად კარდიორესპირატორული სისტემის დაჩქარებულ აღდგენას.

დინამიური ელექტრო-ნეიროსტიმულაციის პროცედურების გამოყენება საშუალებას იძლევა, მათი შედეგების პერიოდის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანმიმართულად მობილიზდეს სპორტსმენის ნეირომუსკულური სისტემის რეზერვები და, ამის გამო, მიაღწიოს ფიზიკური მუშაობის დონის მნიშვნელოვან ზრდას და გააუმჯობესოს სპორტული შედეგები. ჩვენს კვლევაში მიღებული თეორიული ინფორმაციის მთლიანობა და დინამიური ელექტრო-ნეიროსტიმულაციის გამოყენების პრაქტიკული ასპექტები ამ მეთოდს აქცევს ერთ-ერთ წამყვან დამატებით საშუალებას მაღალკვალიფიციური სპორტსმენების ვარჯიშის პროცესში.

ჩვენს კვლევაში მიღებული თეორიული ინფორმაციის მთლიანობა და დინამიური ელექტრო-ნეიროსტიმულაციის გამოყენების პრაქტიკული ასპექტები ამ მეთოდს აქცევს ერთ-ერთ წამყვან დამატებით საშუალებას მაღალკვალიფიციური სპორტსმენების ვარჯიშის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Азарова Н.О., Октябрьская Е.В., Синицкий А.А., Трегубов Д.В., Селедцов А.П., Медведев Д.С., Попечителей Е.П. Применение КВЧтерапии для профилактики синдрома перетренированности у спортсменов / Медицинский алфавит. 2010. Том 1, № 4. С. 22-24.

2. Бакуткин В.В., Бакуткин И.В. Влияние ДЭНС на уровень внутриглазного давления у пациентов с открытоугольной глаукомой. / Научно-практический журнал. - № 2 (10), - 2006. - С. 60-66.
3. Беляев А.Ф., Ларионов А.М., Чернышов В.В., Лобанова В.В., Малахов В.В. Динамическая электронейростимуляция в лечении миофасциального болевого синдрома. / Научно-практический журнал. - № 2 (10), - 2006. - С. 36-39.
4. Гланц С. Медико-биологическая статистика. - М.: "Практика", -1999. - 459 с.
5. Классина, С. Я. Физическая работа до отказа и порог анаэробного обмена у лиц с различным уровнем физической подготовки / Ученые записки университета им. П. Ф. Лесгафта. - 2018. - № 6 (160)
6. Кукушкин М.Л., Мейзеров Е.Е., Графова В.Н., Смирнова В.С., Гуров А.А., Чернышев В.В. Исследование анальгетического эффекта динамической электронейростимуляции с частотой 10 и 77 Гц. / Научно-практический журнал. - № 2 (10), - 2006. - С. 16-19.
7. Левченко А.В., Николаева И.В., Иващенко Е.А. Эффективные средства восстановления после физических нагрузок / OlymPlus. (Гуманитарная версия): международный научно-практический журнал. - 2023. - № 2 (17). - С. 121-126. [https://doi:10.46554/OlymPlus.2023.2\(17\)](https://doi:10.46554/OlymPlus.2023.2(17)). pp.121.
8. Малахов В.В., Чернышев В.В., Рявкин А.Ю., Рявкин С.Ю. Чрескожная динамическая электронейростимуляция аппаратами семейства «ДЭНАС» - новый высокоэффективный способ электрорефлексотерапии. Динамическая электронейростимулирующая терапия на современном этапе. Опыт и практика. / Материалы Республиканской научно-практической конференции. Якутск. - 2005. - С. 78-82.
9. Мейзеров Е.Е., Малахов В.В., Черемхин К.Ю. Актуальные вопросы применения информационно-волновых технологий в аппаратах семейства «ДЭНС». / Научно-практический журнал. - № 2 (10), - 2006. - С. 10-15.
10. Петрушкина Н. А., Симонова Н. А., Быков Е. В., Коломиец О. И. Иммунология спорта (обзор литературы) / Научно-спортивный вестник Урала и Сибири. - 2019. - № 3(23). - С. 21-37.
11. Пономаренко Г.Н. Частная физиотерапия: / ОАО «Издательство «Медицина», - М.: - 2005. - 744 с.
12. Рахманов Р.С., Блинова Т.В., Разгулин С.А., Страхова Л.А., Чумаков Н.В., Бахмудов Н.Г., Сапожникова М.А., Тарасов А.В. Оценка адекватности восстановительного периода в профессиональной деятельности при физических и психоэмоциональных нагрузках по гормональному статусу организма / Медицинский альманах. - 2(47). 2017. - С. 146-150.
13. Скородумова А.П., Баранов И.С., Тошович С.Д., Кузнецова О.В. Разработка нормативов и оценочных шкал показателей физической подготовленности теннисистов, тренирующихся на этапе начальной подготовки и тренировочном этапе (этапе спортивной специализации) / ФГБУ ФНЦ ВНИИФК. - М., - 2016. - 115 с.
14. Соколова Н.Г. Физиотерапия. / Изд. «Феникс». - 2018. - С. 121-126.
15. Фероян Э. Биоэнергетические критерии физической работоспособности пловцов различного возраста. Научно-методический журнал «Наука в спорте: современные проблемы», Государственный институт физической культуры и спорта, Ереван, Армения, №3(7): - 2022. - Р.141-151. <https://doi.org/10.53068/25792997-2022.7-141>

16. Шоферова С.Д., Шиман А.Г., Егорова Е.В., Андреева Е.Н. ДЭНС - терапия в лечении больных деформирующим остеоартрозом / Материалы международного юбилейного симпозиума "Динамическая элеронейростимулирующая терапия. Новые рубежи и итоги эмпирического этапа развития". - Екатеринбург, - 2003. - С. 49-51.
17. Юшкова Т.А., Юшков В.В. Рациональная динамическая электронейростимуляция при псориазе и атопическом дерматите. Научно-практический журнал. - № 2 (10), - 2006. - С. 40-49.
18. Feroyan E. Comparative assessment of young cyclists of all ages cardiorespiratory system function parameters. The Russian Journal of Physical Education and Sport (Pedagogical-Psychological and Medico-Biological Problems of Physical Culture and Sports), № 1 (38): - 2016. - P. 78-86. https://doi.org/10.14526/01_1111_85
19. Feroyan E. Efficiency of application of physiotherapy at disease by the cervical osteochondrosis of the backbone. Proceedings of the XXII International Scientific and Practical Conference International Trends in Science and Technology Vol.2, February 28, Warsaw, Poland: - 2020. - P. 3-6.
20. Feroyan E. Indicators of gas exchange and their relationship at rest and physical performance of the body of young swimmers. Proceedings of the VIII International Conference of European Academy of Sciences & Research. Publisher: "EASR". June, Bonn, Germany: - 2019. - P. 30-31.
21. Vlasov A., Ryavkin S., Umnikova M. Application of «DENAS-Vertebra» device in patients with backbone diseases. / Internationaler medizinischer Kongress Euromedica: Abstracts. - Hannover. - 2011. - P.111.
22. Walsh, N. P. Recommendations to maintain immune health in athletes / European journal of sport science. - 2018. - Vol. 18, № 6. - P. 820-831.

თავდასხმითი დარტყმის ანალიზი ფრენბურთში

გენადი გიკაშვილი

პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო;

genadi.gikashvili@sportuni.ge

აბსტრაქტი. ფრენბურთელთა საშეჯიბრო მოღვაწეობის საფუძვლიანად და ეტაპობრივად შესწავლა შესაძლებელს ხდის სპორტსმენების მომზადების ადეკვატური სისტემის შემუშავებას. აღნიშნული ცოდნის საფუძველზე შესაძლებელია არა მხოლოდ დეტალური გეგმების შედგენა და სპორტსმენების ვარჯიშის ეფექტურობის გაზრდა, არამედ გუნდის სწორად მართვა თამაშის დროს (სტრატეგიის და ტაქტიკის დროული დარეგულირება). გუნდის წარმატება შეჯიბრში დამოკიდებულია ყველა ამ კომპონენტზე. ფრენბურთელთა სათამაშო მოქმედების ანალიზი ტარდებოდა ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით. მათ მიეკუთვნება: მოცულობა (აქტიურობა), ეფექტიურობა, შედეგიანობა და წაგება. ამ მაჩვენებლების გამოყენებით ჩვენ განვსაზღვრეთ როგორც ცალკეული მოთამაშეების ტექნიკური ილეთების შესრულების ხარისხი და რაოდენობა, ისევე გუნდის სათამაშო მოქმედებების მახასიათებლები.

საკვანძო სიტყვები: ფრენბურთი, თავდასხმითი დარტყმა, თამაშის ანალიზი.

ANALYSIS OF THE OFFENSIVE SHOT IN VOLLEYBALL

Gennady Gikashvili

Doctor of Pedagogy, Professor, Georgian State Teaching University of Physical Education and Sports;

49a Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia;

genadi.gikashvili@sportuni.ge

Abstract: Studying the competition activity of volleyball players in a thorough and step-by-step manner makes it possible to develop an adequate system of training for athletes. Based on the said knowledge, it is possible not only to make detailed plans and increase the effectiveness of training of athletes, but also to manage the team correctly during a game (adjust the strategy and tactics in a timely manner). The success of a team in a competition depends on all of these components. The **analysis** of the game actions of volleyball players was conducted taking into account the four most important indicators. They include: volume (activity), effectiveness, efficiency and loss. Using these indicators, we determined both the quality and quantity of technical actions of individual players, as well as the characteristics of the team's playing actions.

Keywords: volleyball, offensive shot, game analysis.

შესავალი. თავდასხმითი დარტყმა - შეტევის ტექნიკური ილეთია, რომელიც წარმოადგენს ცალი ხელით ბურთის ჩაგდებას მოწინააღმდეგის მხარეს ბადის ზედა

კიდიდან. ამ დარტყმის ორი ხერხი (პირდაპირი და გვერდითი) და მისი რამდენიმე ნაირსახეობა იკვეთება.

თამაშის დროს მრავლად იჩენს თავს ტექნიკური შეცდომები, რაც დიდ გავლენას ახდენს თამაშის მსვლელობაზე, ანგარიშზე და შედეგიანობაზე. მხოლოდ, საშეჯიბრო მოღვაწეობის დროს ნათელი ხდება ყველა შეცდომა, რომელიც დაშვებული იყო საწვრთნო პროცესში. აქედან გამომდინარე, მარტო საშეჯიბრო მოღვაწეობის დეტალური ანალიზი გვაძლევს ზუსტ სურათს სპორტსმენის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, რაც საშუალებას გვაძლევს შეცდომები გამოვასწოროთ საწვრთნო პროცესში [1, 2, 6].

პრაქტიკული მნიშვნელობა. გამოკვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მიღებული მონაცემები, საშეჯიბრო მოღვაწეობის შესახებ, გამოყენებული იქნება, საქართველოში, საწვრთნო პროცესში რაც ხელს შეუწყობს შედეგიანობის ზრდას.

გამოკვლევის მიზანი: თანამედროვე ფრენბურთში თავდასხმითი დარტყმის ეფექტიურობის ზრდა.

დასახული მიზნის მისაღწევად დაყენებული იყო **კვლევის შემდეგი ამოცანები:**

1. ქართულ ფრენბურთში საშეჯიბრო მოღვაწეობის დროს ტექნიკური ხერხების შესრულებისას ძირითადი შეცდომების გამოვლენა.
2. საწვრთნო პროცესში ტექნიკური ხერხების სწავლების დროს დაშვებული შეცდომების გამოვლენა და ანალიზი.

დასახული ამოცანების მისაღწევად იყო გამოყენებული შემდეგი **მეთოდები:**

1. სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურის ანალიზი;
2. პედაგოგიური დაკვირვების მეთოდი;
3. მათემატიკური სტატისტიკის მეთოდი.

კვლევის ორგანიზაცია:

კლევა მიმდინარეობდა ეტაპობრივად, დასახული ამოცანების მიხედვით. პედაგოგიური დაკვირვება ფრენბურთელთა საშეჯიბრო მოღვაწეობაზე ხორციელდებოდა 2022 წლის 10 – 17 ივლისს, თბილისში, ევროპის ჩემპიონატის U18 მსვლელობის დროს.

აღნიშნული პრობლემის სრული შესწავლისათვის ჩატარებული იქნა სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურის ანალიზი. გაანალიზირებული იქნა 6 ლიტერატურული წყარო.

ფრენბურთელთა საშეჯიბრო მოღვაწეობის რეგისტრირება ხორციელდებოდა ერთი დამკვირვებლით თამაშის მსვლელობის დროს სპეციალური ოქმის შევსებით.

ფრენბურთელთა საშეჯიბრო მოღვაწეობისას ხორციელდებოდა შემდეგი მაჩვენებლების **რეგისტრირება:**

1. გათამაშებული ქულების რაოდენობა (ანგარიში);
2. თავდასხმითი დარტყმების რაოდენობა;
3. თავდასხმითი დარტყმების ხარისხის შეფასება.

სპორტსმენების საშეჯიბრო მოღვაწეობის შეფასებისთვის გამოყენებული იქნა მეთოდიკა, რომელიც მიზნად ისახავს თამაშის ილეთების შესრულების ხარისხის ოთხნიშნა პირობით შეფასებას [1].

ის გარემოება, რომ მეთოდიკაში გამოყენებულია მცირე რაოდენობის შეფასება, მნიშვნელოვნად აადვილებს მის პრაქტიკაში გამოყენებას. ამავ დროს ის გვაძლევს

საკმაო მოცულობის ინფორმაციას საწვრთნო და საშეჯიბრო მოღვაწეობაში სპორტსმენების მოქმედებების შესახებ [3].

შეტევითი (თავდასხმითი) დარტყმის შეფასება წარმოებდა ილეთის შესრულების მომენტში სათანადო კრიტერიუმების შესაბამისად:

- "⊕" - მოგებულია ქულა და ჩაწოდების უფლება;
- "+" - შეტევის შემდეგ ბურთი რჩება თამაშში, მაგრამ მოწინააღმდეგის შემდგომი მოქმედება შეფერხებულია, ან შემტევ გუნდს აქვს ბურთის განმეორებითი გათამაშების შესაძლებლობა;
- "-" - შეტევის შემდეგ ბურთი რჩება თამაშში, მოწინააღმდეგეს აქვს საშუალება შეტევის კომბინაციური განვითარებისათვის;
- "⊖" - ბურთი წაგებულია.

ფრენბურთელთა სათანადო მოქმედების ანალიზი ტარდებოდა ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით. მათ მიეკუთვნება: მოცულობა (აქტიურობა), ეფექტიურობა, შედეგიანობა და წაგება.

ამ მაჩვენებლების გამოყენებით ჩვენ განვსაზღვრეთ როგორც ცალკეული მოთამაშეების ტექნიკური ილეთების შესრულების ხარისხი და რაოდენობა, ისევე გუნდის სათანადო მოქმედებების მახასიათებლები.

მოცულობა (A) - ტექნიკურ-ტაქტიკური მოქმედებების შესრულების რაოდენობა, ან მათი იმიტაცია, რომლებიც განხორციელდა მოთამაშის (გუნდის) მიერ ერთ პარტიაში, გარკვეულ მონაკვეთში, მატჩის ან შეჯიბრის განმავლობაში. ეს მაჩვენებელი შეიძლება გამოყენებული იქნეს, აგრეთვე, ვარჯიშებსა და საშეჯიბრო მოღვაწეობაში სპორტსმენთა დატვირთვის ანალიზის დროს [2].

ეფექტიურობა (F) - ამ "⊕" და "+" ნიშნებით ყველა შეფასებული მოქმედების ჯამი შეფარდებული შესრულებული მოქმედებების მოცულობასთან (A) პროცენტებში. ის წარმოადგენს სპორტსმენთა ტექნიკურ-ტაქტიკური ოსტატობის ხარისხობრივ მახასიათებელს და განისაზღვრება ფორმულით:

$$F = \frac{(\sum \text{"⊕"}) + (\sum \text{"+"})}{A} \times 100\% \quad (1)$$

შედეგიანობა (P) - ამ "⊕" ნიშნით შეფასებული მოქმედებების ჯამი შეფარდებული შესრულებული მოქმედებების მოცულობასთან (A) პროცენტებში. ის, აგრეთვე, წარმოადგენს ფრენბურთელთა ტექნიკურ-ტაქტიკური ოსტატობის ხარისხობრივ მახასიათებელს და განისაზღვრება ფორმულით:

$$P = \frac{(\sum \text{"⊕"})}{A} \times 100\% \quad (2)$$

წაგება (Z) - ამ " $\ominus$ " ნიშნით შეფასებული მოქმედებების ჯამი შეფარდებული შესრულებული მოქმედებების მოცულობასთან (A) პროცენტებში. ის აგრეთვე, წარმოადგენს სპორტსმენტთა ტექნიკურ-ტაქტიკური ოსტატობის მაჩვენებელს და განისაზღვრება ფორმულით:

$$Z = \frac{(\sum \ominus)}{A} \times 100\% \quad (3)$$

ამ მაჩვენებლების გამოყენებით ჩვენ ვსაზღვრავთ როგორც ცალკეული ტექნიკური ილეთების შესრულების ხარისხს, ასევე ცალკეული მოთამაშეების და გუნდის სათამაშო მოქმედებების მახასიათებლებსაც.

მოპოვებული მონაცემები (შეგროვილი მასალა) დამუშავებული იქნა მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებით, საშუალო არითმეტიკული (μ) და პროცენტული თანაფარდობის გამოყენებით (%) [4].

კვლევის შედეგები:

სულ გამოკვლევის დროს რეგისტრირებული იქნა 8 თამაში (32 პარტია), დაფიქსირებული იყო 1169 თავდასხმითი დარტყმა.

ფრენბურთელთა საშეჯიბრო მოღვაწეობაზე პედაგოგიური დაკვირვებებით და შემდგომი ანალიზით დადგინდა შემდეგი: თვითეული პარტიის დროს ხდება საშუალოდ 35,0 ქულის გათამაშება, 34,9 თავდასხმითი დარტყმა.

ცხრილი 1. საქართველოს ნაკრების ფრენბურთელების მიერ შესრულებული თავდასხმითი დარტყმების საშუალო მაჩვენებლები.

საქართველოს ნაკრების თავდასხმითი დარტყმების მაჩვენებლები							
მოცულობა		ეფექტიურობა		მოგება		წაგება	
μ	δ	$\mu \%$	δ	$\mu \%$	δ	$\mu \%$	δ
15,1	2,1	44,3	16,1	23,8	2,2	39,1	1,0

საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ თავდასხმითი დარტყმების დროს დაშვებული შეცდომები შეადგენს 39,1 % (5,9 ქულა პარტიაში).

ცხრილი 2. იტალიის ნაკრების (ევროპის ჩემპიონი) ფრენბურთელების მიერ შესრულებული თავდასხმითი დარტყმების საშუალო მაჩვენებლები.

იტალიის ნაკრების თავდასხმითი დარტყმების მაჩვენებლები							
მოცულობა		ეფექტიურობა		მოგება		წაგება	
μ	δ	$\mu \%$	Δ	$\mu \%$	δ	$\mu \%$	δ
24,1	1,6	64,2	18,4	37,1	2,1	9,2	0,9

იტალიის ეროვნული ნაკრების (ევროპის ჩემპიონი) მიერ თავდასხმითი დარტყმების დროს დაშვებული შეცდომები შეადგენს 9,2 % (2,2 ქულა პარტიაში).

დასკვნები

1. საქართველოს ეროვნული ნაკრების დაშვებული შეცდომები თავდასხმითი დარტყმის დროს შეადგენს 39,1%. აქედან გამომდინარე პარტიაში გათამაშებული ქულებიდან საშუალოდ 5,9 ქულა იყო წაგებული თავდასხმითი დარტყმის დროს.

2. იტალიის ეროვნული ნაკრების თავდასხმითი დარტყმის დროს დაშვებული შეცდომები შეადგენს 9,2 %. აქედან გამომდინარე პარტიაში გათამაშებული ქულებიდან საშუალოდ 2,2 ქულა იყო წაგებული თავდასხმითი დარტყმის დროს.

3. მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიქმნა თავდასხმითი დარტყმის მოდელი, რომლის პრაქტიკული გამოყენება ხელს შეუწყობს საწვრთნო პროცესის სრულყოფას და შედეგიანობის ზრდას ქართულ ფრენბურთში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიკაშვილი გ. ფრენბურთი: სასწავლო სახელმძღვანელო. თბ.: დეგაპრინტი, 2019 - 404 გვ., ილ.
2. გიკაშვილი გ. თამაშის ტექნიკის ანალიზი ფრენბურთში. //მეთოდური სახელმძღვანელო. თბილისი, 2018 - 76 გვ., ილ.
3. გიკაშვილი გ. თამაშის ტაქტიკის ანალიზი ფრენბურთში. // მეთოდური სახელმძღვანელო.-თბ.: კოლხი, 2019 - 68 გვ., ილ.
4. გიკაშვილი გ. საწვრთნო და საშეჯიბრო მოღვაწეობის კვლევის მეთოდები ფრენბურთში// მეთოდური სახელმძღვანელო. თბილისი, 2018 - 72 გვ., ილ.
5. გიკაშვილი გ. ფრენბურთის საფუძვლები //მეთოდური სახელმძღვანელო. თბილისი, 2018 - 108 გვ., ილ.
6. Gikashvili G. Characteristics of the ball and features of its serves in contemporary Georgian volleyball. Georgian Social Academy of Young Scientists International Scientific Journal "Intellectual", N 38, 2019 p.115.

მონაწილეების ფოტოები და მოკლე
ბიოგრაფიები
